




ევროკავშირი  
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



# NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის საბოლოო ვერსია

ტექნიკური  
ანგარიში



**EaP** | Eastern Partnership





ევროკავშირი  
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



დოკუმენტი მომზადებულია EU/UNDP პროგრამის EU4Climate ფარგლებში,  
CRIS ENI/2017/387-538

**ანგარიში თარიღი:** 2022 წლის 30 მაისი

**საანგარიშო პერიოდი:** 2021 წლის 28 ოქტომბერი – 2022 წლის 30 მაისი

**პროექტის პარტნიორები:** ევროპის გარემოს დაცვის სააგენტო (დანია)  
ავსტრიის გარემოს დაცვის სააგენტო (ავსტრია)  
ენერგეტიკული საზოგადოების სამდივნო (ავსტრია)

**ანგარიში მოამზადა:** Gauss International Consulting S.L. და Georgia's Environmental Outlook (GEO)

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია Gauss International Consulting S.L. და Georgia's Environmental Outlook (GEO) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შეხედულებებს.

# NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის საბოლოო ვერსია

ტექნიკური  
ანგარიში

საქართველო

## შინაარსი





## ცხრილები



# ნახაზები

## ვალუტის გაცვლითი კურსი

ყველა ფინანსური მაჩვენებელი წარმოდგენილია ლარში. უცხოურ ვალუტაში მოპოვებული მონაცემები გადაყვანილია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის 2021 წლის საშუალო წლიური კურსის მიხედვით - 3.8153 ევრო/ლარი და 3.2216 აშშ დოლარი/ლარი.<sup>1</sup>

1 <https://nbg.gov.ge/en/statistics/statistics-data>

## აბრევიატურები

ADA	ავსტრიის განვითარების სააგენტო
ADB	აზიის განვითარების ბანკი
AF	ადაპტაციის ფონდი
AFD	საფრანგეთის განვითარების სააგენტო
BDD	ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი
BMU	გერმანიის გარემოს დაცვის, ბუნების დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტრო
BMZ	გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო
BSTDB	შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი
CBT	კლიმატის ბიუჯეტის მარკირება
CBIT	შესაძლებლობების გაძლიერების ინიციატივა გამჭვირვალობისათვის
CCBA	კლიმატის ცვლილების სარგებლის ანალიზი
CCC	კლიმატის ცვლილების საბჭო
CCIA	კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შეფასება
CCSA	კლიმატის ცვლილების სკრინინგი და შეფასება
CDM	სუფთა განვითარების მექანიზმები
CEB	ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი
COP	მხარეთა კონფერენცია
CO <sub>2</sub>	ნახშირორჟანგი
CO <sub>2</sub> e	ნახშირორჟანგის ეკვივალენტები
C-PIMA	კლიმატის-საჯარო ინვესტიციების მართვის შეფასება
CSA	კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
CzechAid	ჩეხეთის განვითარების სააგენტო
DAC	განვითარების ხელშემწყობი კომიტეტი
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონა
eAIMS	საგარეო დახმარების ინფორმაციული მართვის ელექტრონული სისტემა
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EFSD	მდგრადი განვითარების ევროპული ფონდი
EIB	ევროპის საინვესტიციო ბანკი
EU	ევროკავშირი
E5P	აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი

FAO	სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FMO	ჰოლანდიის სამეწარმეო განვითარების ბანკი
GCF	მწვანე კლიმატის ფონდი
GCPF	კლიმატის გლობალური საპარტნიორო ფონდი
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GEDP	საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი
GEF	გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი
GEL	ლარი
GeoStat	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
Gg	გიგაგრამი
GGF	მწვანე ზრდის ფონდი
GHG	სათბურის აირი
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
GNI	მთლიანი ეროვნული შემოსავალი
GOGC	საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
GRB	გენდერული ბიუჯეტირება
GRDF	საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი
ha	ჰა
HP	ჰიდროენერჯეტიკა
IBRD	რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი
ICSID	საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი
IDA	საერთაშორისო განვითარების ასოციაცია
IFAD	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IFU	საინვესტიციო ფონდი განვითარებადი ქვეყნებისთვის
IKI	გერმანიის კლიმატის საერთაშორისო ინიციატივა
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
IUCN	ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი
JICA	იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო
KfW	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი
KPI	შესრულების ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებელი
kt	კილოტონა
LDC	ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყანა
LDCF	ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ფონდი
LULUCF	მიწათსარგებლობა, მიწათსარგებლობის ცვლილება და სატყეო მეურნეობა

L-SLM	ლანდშაფტისა და მიწის მდგრადი მართვის
MCG	ათასწლეულის გამოწვევა საქართველო
MDF	მუნიციპალური განვითარების ფონდი
MEPA	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MFA	ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
MIGA	მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო
MPLs	ზღვრულად დასაშვები სიდიდე
MoF	ფინანსთა სამინისტრო
MRV	მონიტორინგი, ანგარიშგება და გადამოწმება
MTBF	საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჩარჩო
MTEF	საშუალოვადიანი ხარჯების ჩარჩო
MTPF	საშუალოვადიანი ეფექტიანობის ჩარჩო
MW	მეგავატი
mWAE	კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი მრავალფუნქციური ქარსაფარი და აგროსატყეო ეკოსისტემა
NAMA	ეროვნულ დონეზე მისაღები შემარბილებელი ღონისძიება
NAP	ეროვნული ადაპტაციის გეგმა
NCCF	კლიმატის ცვლილების ეროვნული ფონდი
NDC	ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი
NEFCO	სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია
NIB	სკანდინავიური საინვესტიციო ბანკი
NIS	ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები
NORAD	ნორვეგიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტო
N <sub>2</sub> O	აზოტის ოქსიდი
ODA	განვითარების მიზნით ოფიციალური დახმარება
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OOF	სხვა ოფიციალური ნაკადები
PCCB	შესაძლებლობების გაძლიერების პარიზის კომიტეტი
PFM	სახელმწიფო ფინანსების მართვა
PPA	ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულება
PPP	საჯარო და კერძო თანამშრომლობა
REDD	გაუტყეურებისა და ტყის დეგრადაციის შედეგად წარმოქმნილი ემისიების შემცირება
SCA	სპეციალური დაცული ტერიტორიები
SCCF	კლიმატის ცვლილების სპეციალური ფონდი
SDC	შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო

SDG	მდგრადი განვითარების მიზანი
SEAF	მცირე საწარმოების დახმარების ფონდები
SMEs	მცირე და საშუალო ზომის საწარმოები
SIDA	შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
SP	მზის ენერჯია
SUMP	მდგრადი ურბანული მობილობის გეგმა
UN	გაერთიანებული ერები
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNEP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNFCCC	გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ
UNIDO	გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია
USAID	შერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
USD	აშშ დოლარი
USDA	აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი
WG	სამუშაო ჯგუფი
WMO	მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია
WP	ქარის ენერჯია
WPP	ქარის ელექტროსადგური
WWF	ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი

## რეზიუმე პოლიტიკის შემქმნელებისთვის

საქართველო, როგორც კლიმატის ცვლილების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის (UNFCCC) ფარგლებში დადებული პარიზის შეთანხმების ხელმომწერი ქვეყანა, იღებს ვალდებულებას, უწყვეტი ძალისხმევა გასწიოს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელების კუთხით. კლიმატთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების ფარგლებში საქართველომ 2021 განაახლა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტი. NDC შედგება შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებებისგან, რომლებიც საქართველომ უპირობოდ უნდა განახორციელოს, აგრეთვე ისეთი ღონისძიებებისგან, რომლებსაც ქვეყანა საერთაშორისო დახმარების შემთხვევაში შეასრულებს. შესაბამისად, შერბილების მიზნების შესასრულებლად აუცილებელია დაფინანსების შესაბამისი გარემოს არსებობა. ამასთან დაკავშირებით, მოხდა სახელმძღვანელო მითითებების და სტრატეგიების შემუშავება, რომლებიც მიზნად ისახავენ კლიმატთან დაკავშირებული ეფექტიანი დაფინანსების შემაფერხებელი ფაქტორებისა და ხარვეზების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრას.

საქართველოს NDC-ის დაფინანსების სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა ექვსი მთავარი კომპონენტისგან შედგება. პირველი - აღწერილია საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების ჩარჩო, მეორე - იდენტიფიცირებულია ეფექტიანი დაფინანსების შემაფერხებელი ფაქტორები, მესამე - მოცემულია რესურსების მობილიზაციის სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც ეხება ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერებას, კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების საჭიროების შეფასებასა და დაფინანსების შესაძლო წყაროების იდენტიფიცირებას, მეოთხე - წარმოდგენილია მიდგომა, რომლითაც გაიზრდება ბიუჯეტის შედგენისას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საბიუჯეტო პროგრამების პრიორიტეტიზაცია და ინტეგრირება, მეხუთე - მოცემულია სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს განახლებულ NDC-ში განსაზღვრული თითოეული პრიორიტეტული ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო საინვესტიციო პროგრამებს, მეექვსე - წარმოდგენილია განხორციელების გზამკვლევი NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის მდგრადი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

### საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების ჩარჩო

ვინაიდან საქართველოსთვის კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსება უაღრესად მნიშვნელოვანია, შესწავლილ იქნა არსებული ფინანსური ვითარება და კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების მიღების პირობები. ამისათვის შეფასებულ იქნა ქვეყნის NDC-ის ვალდებულებებთან მიმართებით როგორც ადაპტაციის, ასევე შერბილების ღონისძიებებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები.

2010 - 2019 წლებში საქართველომ კლიმატთან დაკავშირებული ორმხრივი დაფინანსების სახით 5.17 მილიარდი ლარი მიიღო, რომელშიც გერმანიის წვლილი ნახევარზე მეტია (2.98 მილიარდი ლარი). უზრუნველყოფილი დაფინანსების მოცულობით მას მოსდევს ევროკომისია, საფრანგეთი, აშშ, შვეიცარია, ავსტრია და შვედეთი.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსება ძირითადად შემდეგ სექტორებზე განაწილდა: ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის პროექტები (45%), წყლის რესურსები (17%), სოფლის განვითარება (12%) და სოფლის მეურნეობა (7%). რაც შეეხება ფინანსურ ინსტრუმენტებს, 2010 - 2019 წლებში პროექტების 93% დაფინანსებული იყო გრანტებით, 6% - შეღავათიანი სესხებით, ხოლო დაახლოებით 1% - კაპიტალური ინვესტიციებით.

2010 - 2019 წლებში მრავალმხრივი დაფინანსების მოცულობამ 2.19 მილიარდი ლარი შეადგინა. პროექტის სიდიდის თვალსაზრისით, ყველაზე მსხვილი პროექტები განხორციელდა მწვანე კლიმატის ფონდის (GCF) (56%), გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) (16%), აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდის (E5P) (13%) და მდგრადი განვითარების ევროპული ფონდის (EFSD) (13%) დახმარებით. დარჩენილი 2% კი ადაპტაციის ფონდისა (AF) და მწვანე ზრდის ფონდის (GGF) დახმარებით განხორციელდა. ამ პროექტებიდან დაფინანსების უდიდესი ნაწილი მოხმარდა სატყეო და ენერგეტიკის პროექტებს, თუმცა მნიშვნელოვანი დაფინანსება მიიღეს ისეთმა სექტორებმაც, როგორცაა ტრანსპორტი, ბიზნესის განვითარება და ურბანული ინფრასტრუქტურა.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, როგორცაა ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), აზიის განვითარების ბანკი (ADB), რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) ან მსოფლიო ბანკის ჯგუფი, და სხვ., მიერ 2010-2022 წლებში უზრუნველყოფილმა დაფინანსებამ 28.35 მილიარდი ლარი შეადგინა. რაც შეეხება ფინანსური ინსტრუმენტების სახეებს, 2010-2022 წლებში კლიმატთან დაკავშირებული პროექტებისთვის გამოყოფილი დაფინანსების 97%-ზე მეტს სესხები წარმოადგენდა, დარჩენილი 3% არის გრანტები, კაპიტალური ინვესტიციები და ტექნიკური დახმარება, როგორც ეს ნახ. 4-დან ჩანს.

შიდა დაფინანსება ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე ადგილობრივი და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტიდან ხორციელდება. ამ პროცესს კოორდინირებას ფინანსთა სამინისტრო უწევს. საქართველოს სახელმწიფო ადგენს კონკრეტულ გეგმას, თუ როგორ უნდა მოიპოვოს მთავრობამ დაფინანსება, აგრეთვე განსაზღვრავს იმ რესურსების ტიპსა და რაოდენობას, რომლებიც საჭიროა ვალდებულებების შესასრულებლად. სახელმწიფო ბიუჯეტში კლიმატის ცვლილება არ არის განსაზღვრული, როგორც პრიორიტეტი, ან სამოქმედო მიმართულება, მაგრამ კლიმატის ცვლილებასთან ყველაზე აშკარა კავშირი იკვეთება პრიორიტეტულ მიმართულება 10-ში „სოფლის მეურნეობა“ და პრიორიტეტულ მიმართულება 12-ში - „გარემოს დაცვა“. თუმცა, 2022 წლის მდგომარეობით, კლიმატის ცვლილების ღონისძიებების ბიუჯეტი ცალკე არ მზადდება და ინფორმაცია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების კონკრეტულ ხარჯებზე არ არსებობს.

კერძო ინვესტიციები კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. მართლაც, კერძო კაპიტალი სახელმწიფო კაპიტალთან შედარებით ბევრად სწრაფად იზრდება და მოცულობით მას აშკარად აჭარბებს. თუმცა, ვინაიდან საქართველოში არ არსებობს განვითარების მიზნით არაოფიციალური დახმარების (არა-ODA) პროექტების იდენტიფიცირების ცენტრალიზებული სისტემა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ინიციატივებში ასეთი კერძო ინვესტიციების წილის რაოდენობრივი შეფასება რთულია. თუმცა, ტენდენციები აჩვენებს, რომ ბაზარი თანდათანობით უფრო ხელსაყრელი ხდება კერძო ინვესტიციებისათვის, რაც საქართველოში კლიმატის წინააღმდეგ ბრძოლაში კერძო დაფინანსების მოზიდვის შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, კლიმატთან დაკავშირებულ ღონისძიებებში კერძო დაფინანსების მოცულობის გასაზრდელად აუცილებელია მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის მოხსნა.

## კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების ხელშემშლელი ფაქტორები

- **კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მობილიზებისთვის აუცილებელი თანმიმდევრული ეროვნული პოლიტიკის არარსებობა:** საქართველოს პოლიტიკურ დოკუმენტებში კლიმატის ცვლილება, როგორც პოლიტიკის დამოუკიდებელი სფერო, როგორც წესი, არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, ამდენად, კლიმატის ცვლილება ინტეგრირებული უნდა იყოს ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის ჩარჩოში ისეთი ყოვლისმომცველი სტრატეგიის საშუალებით, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების მიმართულებას და რომელთანაც დაკავშირებული იქნება კონკრეტული ღონისძიებების შემცველი მოკლევადიანი დოკუმენტები.
- **კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების საინვესტიციო საჭიროებების არათანმიმდევრული ანალიზი:** კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის მიზნების მისაღწევად საჭირო ფინანსური ინვესტიციების ზუსტი აღრიცხვა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში კლიმატის ცვლილების ინტეგრირების ერთ-ერთ მთავარ ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს. სტრატეგიების, განსაკუთრებით ადაპტაციის ნაწილში, ხარჯების გამოსათვლელად საჭირო მონაცემები ძალიან მწირია. აქედან გამომდინარე, მომავალში მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტები უნდა შეიცავდნენ კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების კონკრეტულ და დასაბუთებულ ფინანსურ მოთხოვნებს, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საბიუჯეტო პროგრამებში.
- **კერძო სექტორის ინვესტიციების სიმცირე:** საქართველოს კერძო სექტორში იაფი, გრძელვადიანი კაპიტალის შეზღუდული ხელმისაწვდომობა კლიმატთან დაკავშირებულ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვის მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად რჩება. საქართველოში კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის პროექტების კერძო დაფინანსების მექანიზმები, როგორც წესი, მოითხოვს მაღალ წინასწარ კაპიტალდაბანდებას, ინვესტიციის ამოღების ხანგრძლივ პერიოდს და ძლიერ დამოკიდებულებას სტიმულირების სახელმწიფო მექანიზმებზე. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) თანახმად, საქართველოში ხელმისაწვდომია კერძო დაფინანსების რამდენიმე მექანიზმი, როგორიცაა კორპორაციული ობლიგაციები, საპროექტო ობლიგაციები, პირდაპირი დაკრედიტება მიკროსაფინანსო ინსტიტუტების მიერ, საწყისი ინვესტიციების უზრუნველყოფა, და სხვ., თუმცა ბევრი მათგანი გამოუყენებელია.
- **შემოსავლების შემცირება, ხარჯებისა და სახელმწიფო ვალის ზრდა:** სახელმწიფოს მიერ კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსებას ხელს უშლის ეროვნულ დონეზე არსებული ისეთი მძიმე ფინანსური პრობლემები, როგორიცაა შემოსავლების ზრდის მაჩვენებლის შემცირება, ხარჯებისა და სახელმწიფო ვალის ზრდა. 2021 წელს შემოსავლის მოცულობა ნაწილობრივ აღდგა და 12.8 მილიარდ ლარს მიაღწია, თუმცა იმავე წელს ხარჯებმა 14.2 მილიარდი ლარი შეადგინა, რის შედეგადაც წმინდა საოპერაციო სალდო -1.4 მილიარდი ლარით განისაზღვრა. ეს მძიმე ფინანსური შეზღუდვები საქართველოს მზარდ ვალზეც აისახება, 2021 წელს ქვეყნის სახელმწიფო ვალის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 52%-ს, ხოლო მთავრობის ვალის წილი მშპ-ში 54%-ს შეადგენდა.

- ძლიერი დამოკიდებულება საგარეო დაფინანსებაზე:** მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლიდან საქართველოს დამოკიდებულებამ უცხოურ დაფინანსებაზე 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მაქსიმუმს მიაღწია, მას შემდეგ ის მნიშვნელოვნად არ შემცირებულა და ODA-ს წლიური მაჩვენებლები მაინც მაღალი დარჩა - მთლიანი ეროვნული შემოსავლის 2.89%. ეს არაპროგნოზირებად დახმარებასა და დონორების მიერ დაფინანსებულ პროგრამებზე ზედმეტად ძლიერი დამოკიდებულების რისკს ქმნის.
- ეროვნული ვალუტის გაუფასურება:** უკანასკნელ წლებში საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი გაუფასურდა. გაუფასურების ტემპი განსაკუთრებით კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყებიდან გაიზარდა. 2010 წელს ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 1.78 იყო, 2021 წელს კი ის 3.22-მდე დაეცა. დოლარიზაციის მაღალი დონე საფრთხის შემცველია, ვინაიდან ლარის გაუფასურებასთან ერთად საგარეო ვალის ტვირთი გაუფასურების პირდაპირპროპორციულად იზრდება, ხოლო მოვალეები სესხების დაფარვას დოლარში ვერ ახერხებენ, რადგან მათ შემოსავალი ლარში აქვთ. საქართველოს მოწყვლადობა გაცვლითი კურსის რისკების მიმართ უარყოფითად აისახება ქვეყნის მაკროეკონომიკურ გარემოზე და აფერხებს საერთაშორისო ინვესტიციების შემოდინებას.
- კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების კონტროლის არარსებობა:** კლიმატის ცვლილების ფინანსების ანგარიშგების მექანიზმების არარსებობა ნიშნავს იმას, რომ 2022 წლის მდგომარეობით კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბიუჯეტი ცალკე არ არის განსაზღვრული და ინფორმაცია შესაბამის ხარჯებზე არ მოიპოვება. ეს იწვევს მნიშვნელოვან პრობლემებს კლიმატის დაფინანსების შესახებ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე ქვეყნის მიერ წარსადგენი ინფორმაციის მოცულობისა და ხარისხის კუთხით. აქედან გამომდინარე, საქართველომ უნდა განავითაროს კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშების სისტემა, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს როგორც ეროვნული ასიგნებებით, ასევე საერთაშორისო მხარდაჭერით ქვეყანაში კლიმატისთვის მობილიზებულ ფინანსურ ნაკადებს.

## რესურსების მობილიზების სახელმძღვანელო

ამ წინააღმდეგობების გადალახვა ადვილი არ არის. რესურსების მობილიზაცია მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს. რესურსების მობილიზება აუცილებელია ქვეყნისათვის მათ მიერ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და პროგრამების წარმატებით განსახორციელებლად. რესურსების მობილიზების სახელმძღვანელო სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება, რომლებიც ეხება ეროვნული ინსტიტუციური შესაძლებლობების უზრუნველყოფას, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსების საჭიროებების შეფასებას და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას. თითოეული ნაწილი რამდენიმე ქმედებას ითვალისწინებს, რომლებიც უნდა შესრულდეს რესურსების სათანადოდ უზრუნველსაყოფად.

ეროვნული ინსტიტუციური შესაძლებლობების უზრუნველყოფა ნიშნავს იმას, რომ დაფინანსების მაძიებელ უწყებებს აქვთ ყველაზე შესაფერისი პარტნიორების იდენტიფიცირებისა და მათთან მუშაობის შესაძლებლობები. ამიტომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსების უზრუნველყოფაში ჩართული უწყებების ძირითად ფუნქციებში სახსრების მოზიდვის ჩარჩოების შექმნა, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წვლილის განსაზღვრა და საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება, აგრეთვე ანგარიშგების გაუმჯობესება შედის. ამის მიღწევა შესაძლებელია, პირველ რიგში, ინსტიტუციური საჭიროებების დადგენით, ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასებითა და გამოვლენილი ინსტიტუციური საჭიროებების მიხედვით შესაძლებლობების განვითარების მიმართულებების განსაზღვრით.

კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ნაკადების შესახებ ზუსტი ინფორმაცია საქართველოს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს უფრო ინფორმირებული გადაწყვეტილებები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვის, პრიორიტეტებისა და რესურსების განაწილების თაობაზე და უკეთ გაზომოს და შეაფასოს ამ მიმართულებით ჩატარებული საქმიანობა. თითოეულ უწყებას მოეთხოვება, გაავრცელოს ინფორმაცია პრიორიტეტულ ღონისძიებებთან დაკავშირებული ფინანსური საჭიროებებისა და ფინანსური დეფიციტის, მათ შორის კვლევებთან, მონიტორინგთან, შესაძლებლობების განვითარებასა და გარდელი/შეცვლილი მიმდინარე ხარჯების შესახებ. ფინანსური საჭიროებები დაკავშირებული უნდა იყოს ქვეყნის განახლებულ NDC-ში განსაზღვრულ მიმართულებებთან.

ქვეყანამ უნდა შეისწავლოს ფინანსური გარემო NDC-ში განსაზღვრული ღონისძიებებისთვის ინვესტორების ყველაზე შესაფერისი ტიპის შესარჩევად და დაფინანსების ისეთი წყაროების გამოსავლენად, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება ღონისძიების ხედვასა და მიზნებს და დაფინანსების კრიტერიუმებს.

## კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საბიუჯეტო პროგრამების პრიორიტეტიზაცია და ინტეგრაცია

კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების მოძიების პროცესის ეფექტიანობის გასაზრდელად ქვეყნებმა საკუთარ საბიუჯეტო პროგრამებში კლიმატის ცვლილების გათვალისწინება და მისთვის მეტი მნიშვნელობის მინიჭება დაიწყეს და ამ გზით სახელმწიფო ფინანსების მართვის გავლენა გააძლიერეს. აუცილებელია, რომ საქართველომ გააძლიეროს საკუთარი ძალისხმევა კლიმატის ცვლილების ინტეგრაციისთვის წინასაბიუჯეტო პერიოდში, რაც სამინისტროებს, დეპარტამენტებსა და სააგენტოებს კლიმატთან დაკავშირებული საკუთარი ხარჯების პროგნოზირებისა და დაგეგმვის შესაძლებლობას მისცემს და დაეხმარება ამ ხარჯების საკუთარ ბიუჯეტებში უკეთ ინტეგრაციაში. ამისათვის ახლახან შექმნილმა კლიმატის ცვლილების საბჭომ (CCC) უნდა უზრუნველყოს საბჭოს შემადგენლობაში შემავალი თითოეული სამინისტროს მიერ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინიციატივების პოლიტიკური მიზნების მკაფიოდ განსაზღვრა. მხარჯავი უწყებები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული საშუალოვადიანი და წლიური ბიუჯეტის მომზადების პროცესში დამტკიცებულ და განფასებულ სტრატეგიულ გეგმებში განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზნებთან ხარჯვითი პოლიტიკის წინადადებების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კოორდინაცია და მხარდაჭერა უნდა უზრუნველყოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელსაც დაეხმარება CCC-ს სახელმძღვანელო მითითებებითა და შესაძლებლობების გაძლიერებით.

ანგარიშვალდებულებისა და ეროვნულ დონეზე ცნობადობის გასაზრდელად, საქართველოს შეუძლია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები პარლამენტის მიერ ბიუჯეტის განხილვის პროცესებში ჩართოს. კლიმატის ცვლილების საკითხების პრიორიტეტიზაციასთან ერთად, უნდა დაინერგოს გენდერული ბიუჯეტირების (GRB) პროცესიც. 2022 წლის მდგომარეობით, საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობა არ შეიცავს კონკრეტულ მეთოდოლოგიას/მოთხოვნებს გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით ანალიზის ჩატარების თაობაზე და არ განსაზღვრავს GRB პროცედურების გამოყენების პირდაპირ ვალდებულებას. 2023 წლიდან შესაძლებელი იქნება გენდერსა და კლიმატის შორის შესაძლო კავშირის მითითება არა პირდაპირი გზით - გენდერი-კლიმატის მარკერით, არამედ პროგრამის მონიშვნით ორივე - კლიმატისა და გენდერის მარკერებით.

## სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა

სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა განსაზღვრავს განახლებულ NDC-ში თითოეული პრიორიტეტული როგორც უპირობო, ასევე პირობიანი ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ინვესტიციების პროგრამას და დაფინანსების საჭიროების დაკმაყოფილების სტრატეგიას. ის ადგენს საქართველოს განახლებული NDC-ის შერბილებისა და ადაპტაციის პრიორიტეტული ღონისძიებების ღირებულებას, აფასებს ამ ღონისძიებების დაფინანსებასთან დაკავშირებულ ვითარებას და განსაზღვრავს დაფინანსების მიღების ვარიანტებს სახსრების დეფიციტის შესავსებად.

რაც შეეხება შერბილებას, დაახლოებით 13 მილიარდი ლარია საჭირო NDC-ით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, კერძოდ შერბილების უპირობო მიზნების მისაღწევად საჭირო დაახლოებით 8 მილიარდი ლარი, ხოლო პირობიანი მიზნების მისაღწევად - 5 მილიარდი ლარი. ხოლო, რაც შეეხება ადაპტაციას, საქართველოს მიერ UNFCCC-ში 2017 წელს წარდგენილი პირველი NDC-ის თანახმად, ქვეყანას 2021 წლიდან 2030 წლამდე ადაპტაციის ღონისძიებების განსახორციელებლად დაახლოებით 4.8 - 6.4 მილიარდი ლარი დასჭირდება. თუმცა, განახლებული NDC შერბილებისა და ადაპტაციის უფრო ამბიციურ მიზნებს განსაზღვრავს. ამიტომ, შესაძლებელია, რომ 2030 წლამდე საჭირო დაფინანსების მოცულობა ზემოთ მოცემულ მაჩვენებლებზე მნიშვნელოვნად მაღალი იყოს, რაც ხაზს უსვამს საქართველოს მიერ დაფინანსების ადეკვატური სტრატეგიის მომზადების აუცილებლობას.

შერბილების ღონისძიებების დაფინანსების დეფიციტი 208 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო პირობიანი ღონისძიებების დაფინანსების დეფიციტი - დამატებით 5 მილიარდ ლარს. ადაპტაციის ღონისძიებებისთვის დაფინანსების დეფიციტი 8 - 6.4 მილიარდი ლარის ფარგლებშია, თუმცა, ეს რიცხვი დადგენილია ექსპერტების მოსაზრებების საფუძველზე და გამოთვლის გამოყენებული მეთოდოლოგია მითითებული ან განმარტებული არ არის. ამ საწყისი შეფასებების გათვალისწინებით, სტრატეგიასა და საინვესტიციო გეგმაში პირობიანი და უპირობო ღონისძიებების დაფინანსების დეფიციტი და სექტორები ცალ-ცალკეა განხილული.

უპირობო მიზნების განხორციელების დაფინანსების 208 მილიონი ლარის ოდენობის დეფიციტი ძირითადად ენერჯეტიკის სექტორზე მოდის (მთლიანი დეფიციტის 95%). დეფიციტის დარჩენილი 5% მოდის ტრანსპორტის (1.3%), შენობების (0.8%), სოფლის მეურნეობისა (1.5%), და ნარჩენების (1.4%) სექტორებზე. დაფინანსების დეფიციტი არ აქვთ მრეწველობისა და სატყეო სექტორებს.


## შერბილების პრიორიტეტული უპირობო ღონისძიებები

საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, საქართველოში კლიმატის ცვლილების შესარბილებლად, საქართველოს განახლებულ NDC-ში განსაზღვრული სათბურის აირების ემისიების შემცირების მიზნების მიღწევის გზებს ადგენს. 2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს იმ პრიორიტეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქართველოს უპირობო მიზნების მისაღწევად.

დაფინანსების 208 მილიონი ლარის ოდენობის დეფიციტი ძირითადად ენერგეტიკის სექტორზე მოდის (მთლიანი დეფიციტის 95%). დეფიციტის დარჩენილი 5% მოდის ტრანსპორტის (1.3%), შენობების (0.8%), სოფლის მეურნეობისა (1.5%), და ნარჩენების (1.4%) სექტორებს. დაფინანსების დეფიციტი არ აქვთ მრეწველობისა და სატყეო სექტორებს.

### საქართველოში NDC-ს შერბილების უპირობო ღონისძიებებისთვის გამოყოფილი სავარაუდო ბიუჯეტი

#### ბიუჯეტის განაწილება დაფინანსების წყაროების მიხედვით




მიზანი	ბიუჯეტის განაწილება (ლარი)				
სექტორი	სახელმწიფო ასიგნებები	კერძო ინვესტიციები	საერთაშორისო სესხები და გრანტები	დეფიციტი	მთლიანი ბიუჯეტი
1 ენერგეტიკა	109,692,000	4,699,880,000	662,310,000	199,200,000	5,671,082,000
2 ტრანსპორტი	120,000	0	1,771,213,840	2,523,600	1,773,857,440
3 შენობები	2,623,896	0	164,157,840	1,429,560	168,211,296
4 მრეწველობა	0	24,597,936	9,009,600	0	33,607,536
5 სოფლის მეურნეობა	0	0	498,000	2,995,800	3,493,800
6 ნარჩენები	36,734,344	56,000	213,795,574	2,800,000	253,385,918
7 სატყეო სექტორი	6,445,845	0	19,512,743	0	25,958,588
<b>სულ</b>	<b>155,616,085</b>	<b>4,724,533,936</b>	<b>2,840,497,597</b>	<b>208,948,960</b>	<b>7,929,596,578</b>

### შერბილების პრიორიტეტული პირობიანი ღონისძიებები

საქართველოში NDC-ს შერბილების პირობიანი ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო იქნება დაახლოებით 5 მილიარდი ლარი, ძირითადად ენერგეტიკის სექტორში (საჭირო დამატებითი დაფინანსების 43%) და ტრანსპორტის სექტორში (საჭირო დამატებითი დაფინანსების 33%). დარჩენილი 24% ნაწილდება სოფლის მეურნეობის (9.4%), შენობების (5.5%), მრეწველობის (5.1%), სატყეო (3.1%) და ნარჩენების (0.5%) სექტორებს შორის. ღონისძიებების წარმოდგენილი ღირებულება განსაზღვრულია საქართველოში ადრე განხორციელებული პროექტების, რეგიონში მიმდინარე მსგავსი პროექტებისა და საქართველოს მიერ წარდგენილი საპროექტო წინადადებების საფუძველზე.

საერთაშორისო დახმარების საჭიროება სექტორების მიხედვით



ადაპტაციის პრიორიტეტული ღონისძიებები

საქართველოს განახლებული NDC დოკუმენტი აღიარებს კლიმატის ცვლილების უარყოფით ზემოქმედებასთან ადაპტაციის აუცილებლობას და ქვეყანა იღებს ვალდებულებას, განაგრძოს კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ადაპტაციის შესაძლებლობების შესწავლა. კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან ადაპტაციის კუთხით NDC განიხილავს ეკონომიკის ყველაზე მოწყვლად სექტორებს, ეკოსისტემებს და სხვა ბუნებრივ რესურსებს, კერძოდ, შავი ზღვის სანაპირო ზონას, ტურიზმს, სოფლის მეურნეობას, წყლის რესურსებს, ბიომრავალფეროვნებას, ტყიან ტერიტორიებს და ადამიანის ჯანმრთელობას. NDC-ის ადაპტაციის კომპონენტის განსახორციელებლად აუცილებელ დოკუმენტს წარმოადგენს ეროვნული ადაპტაციის გეგმა, თუმცა, 2022 წლის მარტში საქართველოს ეროვნული ადაპტაციის გეგმის მომზადების პროცესი ჯერ დაწყებულიც არ იყო. ამიტომ, საჭიროა ეროვნული ადაპტაციის გეგმის მომზადების ინიცირება. საქართველოს შეუძლია იხელმძღვანელოს ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის (LDC) შემუშავებული ეროვნული ადაპტაციის გეგმების მოსამზადებელი საწყისი სახელმძღვანელო მითითებებით. სახელმძღვანელო მითითებები შედგება ოთხი ძირითადი ელემენტისგან, პირველია საფუძვლის შექმნა და ხარვეზების გამოსწორება მოწყვლადობისა და პოლიტიკის შეფასებით, მეორე - ისეთი მოსამზადებელი ელემენტების დაგეგმვა და შემუშავება, როგორცაა პოლიტიკა და საჭიროებების შეფასება, მესამე - განხორციელების სტრატეგიების მომზადება ინსტიტუტების გასაძლიერებლად და საჭიროებების პრიორიტეტიზაციის მიზნით, და მეოთხე - ანგარიშგება, მონიტორინგი და განხილვა რეგულარულ და ინსტიტუციონალიზებულ საფუძველზე.

## განხორციელების გამკვლევი

განხორციელების გამკვლევი წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს NDC-ის კლიმატის დაფინანსების სტრატეგიის მდგრადი განხორციელების უზრუნველსაყოფად. ის აგვარებს საქართველოს კლიმატის დაფინანსების ჩარჩოში არსებულ წინაღობებსა და ხარვეზებს და წარმოადგენს ცოცხალ დოკუმენტს, რომელიც პერიოდულად უნდა განახლდეს და გაუმჯობესდეს.

### პოლიტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციები


საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად საქართველოს პოლიტიკური ჩარჩოს გასაძლიერებლად და გამოვლენილი წინაღობების პრობლემის მოსახსნელად, ქვეყანამ:

- NDC-ს განხორციელება და შესაბამისი საჭირო ფინანსური ნაკადები ეროვნული განვითარების პოლიტიკის ციკლს უნდა შეუსაბამოს. მაგალითად, თუ ეროვნული განვითარების გეგმებს ხუთწლიანი ციკლი აქვთ, UNFCCC-ის სამდივნოს განახლებული NDC ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა წარედგინოს.
- NDC-ს განხორციელება უნდა დააკავშიროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ისეთ სისტემებთან, როგორცაა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომლის კოორდინაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების განყოფილება უზრუნველყოფს. ეს ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და მათთვის უზრუნველყოფილი დაფინანსების, ან ფინანსური საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მონიტორინგს და მათ დაკავშირებას საქართველოს განახლებული NDC-ის მიზნებთან.
- პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელ სამინისტროებში, დეპარტამენტებსა და უწყებებში უნდა შექმნას ექსპერტთა ჯგუფი ან დეპარტამენტი, რომელსაც ექნება კონკრეტული მანდატი, საკუთარი საქმიანობის სფეროში შეიმუშაოს და კოორდინაცია გაუწიოს კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებს და უზრუნველყოს მათი კავშირი განახლებულ NDC-ის სექტორებსა და ღონისძიებებთან. ასეთ ჯგუფებს შეიძლება მიეცეთ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების კოორდინაციისა და საკუთარი საქმიანობის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის უფლებამოსილებაც.
- საქართველომ უნდა განავითაროს ნახშირბადის გადასახადების ეროვნული პოლიტიკა, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პოლიტიკა და კერძო ინვესტიციების წახალისების პოლიტიკა ქვეყნის ფინანსური გარემოს გასაუმჯობესებლად.

## დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და რეკომენდაციები ინსტიტუციურ მექანიზმებთან დაკავშირებით

წამყვანი უწყებები და პარტნიორი ორგანიზაციები, როგორც დაინტერესებული მხარეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საქართველოს განახლებული NDC-ის მოქმედების პერიოდის განმავლობაში (2020 წლიდან 2030 წლამდე) ღონისძიებების ფინანსური მდგომარეობის შეფასებაზე, იდენტიფიცირებულია შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებებისა და სექტორების მიხედვით. უფლებები და ვალდებულებები NDC-ის შერბილების 6 რეკომენდაციას და 35 პირობიანი ღონისძიებისთვის განაწილებულია 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგიისა და 2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აცნობიერებს კლიმატის ცვლილების უარყოფით ზემოქმედებასთან ადაპტაციის აუცილებლობას, 2022 წლის მარტში საქართველოს ეროვნული ადაპტაციის გეგმის მომზადების პროცესი ჯერ დაწყებულიც არ იყო, არ იყო განსაზღვრული ადაპტაციის კონკრეტული ღონისძიებები, რის გამოც წამყვანი უწყებებისა და პარტნიორი ორგანიზაციების ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. ამ ეტაპზე შესაძლებელია განისაზღვროს მხოლოდ ეროვნული ადაპტაციის გეგმის შედგენისა და განხორციელების დაინტერესებული მხარეები.

NDC-ის დაფინანსების მართვა განაწილებულია სხვადასხვა უწყებებს შორის, რაც კოორდინაციის პრობლემას ქმნის. NDC-ის დაფინანსების კონტექსტში ძლიერ ინსტიტუციურ სისტემას სამი ძირითადი მიმართულება საჭიროებს: ეროვნული ასიგნებები, საერთაშორისო (საგარეო) მხარდაჭერა და კერძო სექტორის ინვესტიციები. შემოთავაზებულ ინსტიტუციურ სისტემაში განსაზღვრულია სხვადასხვა წყაროებიდან NDC-ის განსახორციელებლად მიმართული ფინანსური ნაკადების მონიტორინგში ჩართული უწყებები და მათ შორის არსებული ურთიერთობები. მწვანე ფერით აღნიშნულ უწყებებს აქვთ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი შიდა და საერთაშორისო ფინანსური ნაკადების წინასწარი შეფასების დამხმარე როლი. ის წამყვანი უწყებები, რომლებიც დაკავშირებული არიან MRV სისტემასთან (მონაცემების ცენტრალიზებული შეგროვება, ანგარიშგება და გადამოწმება) ყვითელი ფერით არის წარმოდგენილი.



### შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა

შესაძლებლობების გაძლიერება ძალიან მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების გასააქტიურებლად, რადგან ის უზრუნველყოფს ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზებას NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის განსახორციელებლად. შესაძლებლობების გაძლიერების პროცესის ეფექტიანად ჩასატარებლად, პირველ რიგში სდება ხარვეზების და ხელშემშლელი ფაქტორების გამოვლენა, რომელთა საფუძველზეც მზადდება რეკომენდაციები ცნობიერების ამაღლებისა და ჩართულობის გასაზრდელად, „პრაქტიკით სწავლების“ მიდგომით კლიმატის ღონისძიებების დაფინანსების შესახებ. შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები შეიძლება მიმართული იყოს ინდივიდუალურ, ინსტიტუციურ და სისტემურ დონეზე არსებული პრობლემების მოგვარებაზე, გამომდინარე იქიდან, თუ სად იქნება ხარვეზები გამოვლენილი.

შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა მოიცავს შესაძლებლობების საჭიროებების შეფასებას, 'ტრენერების ტრენინგის' პროგრამებს, ინდივიდუალურ სწავლებასა და მომზადებას, კლიმატის ცვლილების შესახებ განათლების ეროვნულ პროგრამას, სასწავლო გაცვლით კურსებს, დაინტერესებული მხარეების სემინარებს და პოლიტიკოსების დახმარებას ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული ღონისძიების მდგომარეობა გაკონტროლდება სამსაფეხურიანი შუქნიშნის სისტემის მეშვეობით, რომელიც მიზნად შესაძლებლობების გაძლიერების დასრულებული და ჯერ არ დაწყებული ღონისძიებების დროულად გამოვლენას ისახავს.

## განხორციელების გრაფიკი

საქართველოს განახლებული NDC-ის განხორციელების პერიოდი მოიცავს 10 წელიწადს 2020 წლიდან 2030 წლამდე. NDC-ის შერბილების თითოეული უპირობო 66 და პირობიანი 35 ღონისძიების განხორციელების გრაფიკი დადგენილია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს პრიორიტეტული ღონისძიებების განხორციელება რეალისტურ ვადებში. გრაფიკში ყურადღება გამახვილებულია მაღალი პრიორიტეტის მქონე ღონისძიებების მოკლე ვადებში, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვანი ღონისძიებების საშუალო და ხანგრძლივ ვადებში განხორციელებაზე. ის მომზადებულია საქართველოს 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგიისა და 2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმის შესაბამისად. ვინაიდან ადაპტაციის კონკრეტული ღონისძიებები ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, NDC-ის ადაპტაციის კომპონენტის განხორციელების გრაფიკი 2020-2030 წლებში ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების სავარაუდო ვადებით განისაზღვრება.

## NDC-ის დაფინანსების კონტროლი

NDC-ის შერბილებისა და ადაპტაციის მიზნების მისაღწევად მიმართული ფინანსური ნაკადების ეფექტიანობის დასადგენად აუცილებელია NDC-ის შესაბამისი დაფინანსების მუდმივი კონტროლი. NDC-ის შესაბამისი დაფინანსების კონტროლის ჰარმონიზაციამ და დანერგვამ შესაძლოა დასაბამი დაუდოს NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის განხორციელებისა და მუდმივი განახლების ეფექტიან ციკლს. საქართველოს განახლებული NDC-ის ეფექტიანად განხორციელების ხელშესაწყობად აუცილებელია NDC-ის ფინანსური ნაკადების მონიტორინგის, ანგარიშგებისა და გადამოწმების (MRV) გამართული სისტემის შექმნა. MRV სისტემის NDC-ის დაფინანსების კონტროლის სისტემაზე მოსარგებლად შემოთავაზებულია კონტროლის ხუთსაფეხურიანი სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის რეგულარულად შეფასებასა და განახლებას და ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საკვანძო აუდიტორიისათვის ზუსტი და აქტუალური ინფორმაციის მიწოდებას. ეს ხუთი საფეხურია: NDC-ის განხორციელების ხარჯების შეფასება, NDC-ის განსახორციელებლად შიდა ბიუჯეტისა და საერთაშორისო და კერძო ინვესტიციების შესწავლა და შედეგების საფუძველზე NDC-ის დაფინანსების დეფიციტისა და საჭირო დახმარების იდენტიფიცირება.

გარდა ამისა, NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის შესრულების მონიტორინგის განსახორციელებლად, მიზანშეწონილია შესრულების ინდიკატორების გამოყენება. ეს ინდიკატორები ემყარება ორსაფეხურიანი შუქნიშნის სისტემას, რომელიც NDC-ის დაფინანსების დეფიციტის შევსების კუთხით დროთა განმავლობაში მიღწეული წარმატების მარტივად და თვალსაჩინოდ დანახვის შესაძლებლობას იძლევა. შუქნიშნის სისტემის პირველ ეტაპს NDC-ის ღონისძიებების დაფინანსების მდგომარეობის დადგენა წარმოადგენს. ღონისძიებები იყოფა „დაფინანსებულ“, „ნაწილობრივ დაფინანსებულ“, ან „დაუფინანსებელ“ ღონისძიებად. მეორე ეტაპი „დეფიციტის შევსების ინდიკატორის“ ფუნქციას ასრულებს. სისტემის მიზანია NDC-ის ღონისძიებებისათვის საჭირო დაფინანსების უზრუნველყოფა რესურსების მობილიზების და კლიმატის ცვლილების ბიუჯეტების ინტეგრაციის სახელმძღვანელო მითითებებს შესაბამისად.

საქართველომ ინფორმაცია NDC-ის განხორციელების შესახებ უნდა მიაწოდოს რიგ ეროვნულ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის UNFCCC-ს, რომელსაც უნდა წარუდგინოს ინფორმაცია კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის საჭირო და მიღებული დახმარების შესახებ გაძლიერებული გამჭვირვალობის ჩარჩოს (ETF) ფარგლებში, და ეროვნულ მთავრობას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ასიგნებების ეფექტიანობის შესაფასებლად. გარდა ამისა, NDC-ის დაფინანსების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დონორებსა და ინვესტორებს, რაც დონორების მხრიდან ნდობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხს აამაღლებს. დაბოლოს, აუცილებელია საზოგადოების რეგულარულად ინფორმირება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ზომების გამჭვირვალობისა და მათ შესახებ ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად.

## შესავალი

დოკუმენტში წარმოდგენილია საქართველოს NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსია, რომელიც მომზადდა NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის მომზადებასა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საბიუჯეტო ხარჯების მარკირებისთვის საქართველოსთვის ტექნიკური დახმარების საკონსულტაციო მომსახურების მიზნით და პროექტის „NDC-ის დაფინანსების სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საბიუჯეტო ხარჯების მარკირება“ ფარგლებში.

## წინაპირობა

2015 წელს, UNFCCC-ის მხარეთა 21-ე კონფერენციაზე (COP21), კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) ყველა მონაწილე ქვეყანამ (195) და ევროკავშირმა პარიზის შეთანხმება დაამტკიცეს. პარიზის შეთანხმების მიზანია კლიმატის ცვლილების საფრთხეზე გლობალური რეაგირების გაძლიერება და კერძოდ, გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2 გრადუს ცელსიუსამდე შეზღუდვა, პრეინდუსტრიულ (1850-1900 წწ.) დონესთან შედარებით და ტემპერატურის ზრდის 1.5 გრადუს ცელსიუსამდე შეზღუდვის მცდელობა პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით. პარიზის შეთანხმება ასევე მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან ქვეყნების ადაპტაციის უნარის გაზრდას და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის და სათბურის აირების დაბალემისიანი განვითარების უზრუნველყოფის ხელშეწყობას და მოუწოდებს ქვეყნებს, ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის მიმართულებით მათ მიერ გაწეული ძალისხმევის შესახებ.

კონვენციის მხარეთა 21-ე შეხვედრის (COP21-ის) ერთ-ერთ მთავარ მიღწევას წარმოადგენს ქვეყნების მიერ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შემუშავებაზე შეთანხმება პარიზის შეთანხმების გრძელვადიანი მიზნების შესასრულებლად. ამ დოკუმენტებში განსაზღვრულია თითოეული ქვეყნის ძალისხმევა სათბურის აირები ეროვნული ემისიების შემცირებისა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან ადაპტაციის მიმართულებით. პარიზის შეთანხმება მხარეებისგან მოითხოვს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილების რეგულარულად მომზადებას და შეტყობინებას. NDC-ის მიზნების მისაღწევად მხარეებმა უნდა განახორციელონ შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებები და რეგულარულად წარმოადგინონ ინფორმაცია NDC-ის განხორციელებისა და მისი მიზნების შესრულებაში მიღწეული პროგრესის საჩვენებლად.

ქვეყნების NDC-ებში განსაზღვრული შერბილებისა და ადაპტაციის მიზნების მისაღწევად აუცილებელია დაფინანსება. ამიტომ ბევრმა ქვეყანამ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსების სტრატეგიები და საინვესტიციო გეგმები მოამზადა. სტრატეგიებსა და გეგმებში განსაზღვრულია NDC-ის განსახორციელებლად საჭირო საინვესტიციო პროგრამა, ფინანსური მოთხოვნების დაკმაყოფილების სტრატეგია და სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ნაკადების მიმართვას NDC-ის განხორციელებისაკენ ეროვნული ბიუჯეტის, დახმარების წყაროების იდენტიფიცირებისა და კერძო სექტორის ჩართვის გზით.

## საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC)

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების სამიზნე მაჩვენებლები 2021-2030 წწ. პერიოდისთვის, საქართველომ 2021 წელს განაახლა და წარადგინა.

განახლებული NDC-ის თანახმად, შერბილებასთან დაკავშირებით საქართველო იღებს უპირობო ვალდებულებას, რომ 2030 წლისთვის ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიების ჯამური მაჩვენებელი 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით 35%-ით შეამციროს, მიწათსარგებლობის, მიწათსარგებლობის ცვლილებისა და სატყეო მეურნეობის სექტორების (LULUCF) ემისიების გამოკლებით. ეს შეესაბამება 2030 წლისთვის სათბურის აირების ემისიების ეროვნული მაჩვენებლის მაქსიმუმ 29.25 მეგატონა CO<sub>2</sub>-მდე შეზღუდვას. გარდა ამისა, საქართველო იღებს პირობიან ვალდებულებას, რომ 2030 წლისთვის ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიების ჯამური მაჩვენებელი 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით 50-57%-ით შეამციროს, იმ შემთხვევაში, თუ ის საერთაშორისო მხარდაჭერას მიიღებს.

უფრო კონკრეტულად, საქართველომ განახლებულ NDC-ში, 2030 წლისთვის შერბილების ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის მისაღწევად, სამიზნე მაჩვენებლები სხვადასხვა სექტორებისთვისაც განსაზღვრა. ეს სამიზნე მაჩვენებლები კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა და 2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმის მიზნებად უნდა განისაზღვროს. თითოეული სექტორისთვის დადგენილია შემდეგი სამიზნე მაჩვენებლები:

- საქართველო ტრანსპორტის სექტორში 2030 წლისთვის სათბურის აირების ემისიების, საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზებთან შედარებით, 15%-ით შემცირებას გეგმავს.
- საქართველო ენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორში 2030 წლისთვის სათბურის აირების ემისიების, საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზებთან შედარებით, 15%-ით შემცირებას გეგმავს.
- შენობების სექტორში რაოდენობრივი მიზნობრივი მაჩვენებელი განსაზღვრული არ არის. თუმცა, საქართველო ხელს უწყობს შენობების სექტორის დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარებას კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებით.
- სოფლის მეურნეობის სექტორში რაოდენობრივი მიზნობრივი მაჩვენებელი განსაზღვრული არ არის. თუმცა, საქართველო ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის სექტორის დაბალნახშირბადიან განვითარებას კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებით.
- საქართველო მრეწველობის სექტორში 2030 წლისთვის სათბურის აირების ემისიების, საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზებთან შედარებით, 5%-ით შემცირებას გეგმავს. საქართველო ხელს უწყობს მრეწველობის სექტორის დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარებას, კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებით.

- ნარჩენების სექტორში რაოდენობრივი მიზნობრივი მაჩვენებელი განსაზღვრული არ არის. თუმცა, საქართველო ხელს უწყობს ნარჩენების სექტორის დაბალნახშირბადიან განვითარებას კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებითა და ნარჩენების სეპარაციის პრაქტიკისა და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვით.
- საქართველო 2030 წლისთვის, სატყეო სექტორის მიერ ნახშირბადის შთანთქმის შესაძლებლობის, 2015 წელს დაფიქსირებულ დონესთან შედარებით, 10%-ით გაზრდას გეგმავს.

საქართველოს განახლებულ NDC-ში განსაზღვრული უპირობო და პირობიანი სამიზნე მაჩვენებლები ეხება ქვეყნის სატრანსპორტო, შენობების, ენერჯის გენერაციისა და გადაცემის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ნარჩენების სექტორებს. საქართველოს განახლებული NDC დოკუმენტი ადგენს კლიმატის ცვლილების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის 2021 წლიდან 2030 წლამდე პერიოდს, ინდივიდუალური შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრის გზით, რაც თითოეული სექტორისთვის გაწერილი მიზნების მიღწევას განაპირობებს.

საქართველოს განახლებული NDC დოკუმენტი აღიარებს კლიმატის ცვლილების უარყოფით ზემოქმედებასთან ადაპტაციის აუცილებლობას და იღებს ვალდებულებას განაგრძოს კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ადაპტაციის შესაძლებლობების შესწავლა. კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან ადაპტაციის კუთხით NDC განიხილავს ეკონომიკის ყველაზე მოწყვლად სექტორებს, ეკოსისტემებს და სხვა ბუნებრივ რესურსებს, კერძოდ, შავი ზღვის სანაპირო ზონას, ტურიზმს, სოფლის მეურნეობას, წყლის რესურსებს, ბიომრავალფეროვნებას, ტყიან ტერიტორიებს და ადამიანის ჯანმრთელობას. საქართველო ამ განსაკუთრებით მოწყვლად სექტორებში გეგმავს ადაპტაციის შემდეგ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება უნდა მოხდეს ეროვნული ადაპტაციის გეგმის ფარგლებში, NDC-ის დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად:

- საქართველო გეგმავს, შეაფასოს კლიმატის ცვლილების ზემოქმედება სანაპირო ზონაზე, მთების ეკოსისტემებზე, და ეკოსისტემურ სერვისებზე. ასევე, შეისწავლოს კლიმატის ცვლილების ზემოქმედება მყინვარებზე, მთიანი და სანაპირო ზონის რეგიონების ეკონომიკურ მდგომარეობასა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, აღნიშნული რეგიონების მდგრადი მართვის მიზნით;
- საქართველო გეგმავს, განავითაროს ადაპტაციის შესაძლებლობები ზამთრისა და ზაფხულის მოწყვლადი კურორტებისთვის;
- საქართველო გეგმავს, შეაფასოს და განავითაროს ადაპტაციის შესაძლებლობები იმ სასოფლო-სამეურნეო წარმოებებისთვის, რომლებსაც ყველაზე დიდი წილი აქვთ მშპ-ში ან/და ქვეყნის უნიკალური პროდუქტის წარმოებაში;
- საქართველო გეგმავს, შეაფასოს კლიმატის ცვლილების ზემოქმედება მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის რესურსების ხელმისაწვდომობაზე მათი მდგრადი გამოყენებისთვის სოფლის მეურნეობის (სარწყავი სისტემები), ენერგოწარმოებისა და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში;
- საქართველო გეგმავს, ხელი შეუწყოს ენდემური, წითელი ნუსხით დაცული სახეობების და სურსათისა და სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი აბორიგენული ჯიშების კონსერვაციას;

- საქართველო გეგმავს, შეისწავლოს წინასწარ შერჩეულ ტერიტორიებზე ტყის საფარის ყველაზე მოწყვლადი არეალები;
- საქართველო გეგმავს, შეაფასოს ადამიანის ჯანმრთელობაზე კლიმატის ცვლილების ეფექტი სოციალურ, ეკონომიკურ, ბიოლოგიურ, ეკოლოგიურ და ფიზიკურ სისტემებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ინტერდისციპლინარული კვლევის ჩატარების გზით;
- საქართველო გეგმავს, ხელი შეუწყოს იმ ღონისძიებების განხორციელებას, რომელთა მიზანია ექსტრემალური ამინდით გამოწვეული ზარალისა და ზიანის შემცირება.

## ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიში შემდეგი თავებისაგან შედგება:

### თავი 1. კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება საქართველოში

ამ თავში აღწერილია საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების გარემო, რომლის საფუძველზეც NDC-ის დაფინანსების სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა შემუშავდა. განხილულია ქვეყანაში კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების არსებული წყაროები (საერთაშორისო, ეროვნული და კერძო) და ამ წყაროების კონსოლიდირებისა და დაფინანსებაში არსებული დეფიციტის შევსების მიზნით არსებული ფინანსური სტრატეგიები.

### თავი 2. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების ხელშემშლელი ფაქტორები

ამ თავში წარმოდგენილია ქვეყანაში კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების სისტემაში აღმოჩენილი მთავარი ხარვეზები, რომელთა გამოსწორება NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის საშუალებით არის გათვალისწინებული.

### თავი 3. რესურსების მობილიზების სახელმძღვანელო

ამ თავში წარმოდგენილია რესურსების მობილიზების სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც საორიენტაციოდ გამოდგება დაფინანსების საჭიროებების იდენტიფიცირებისას, დაფინანსების ყველაზე შესაფერისი წყაროების შერჩევისას და NDC-ის განხორციელებისათვის აუცილებელი ეროვნული შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის. სახელმძღვანელო მითითებები ითვალისწინებენ სამ მთავარ ეტაპს: i) ფინანსური საჭიროებების შეფასება, ii) ეროვნული ინსტიტუციური შესაძლებლობების უზრუნველყოფა, და iii) დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება.

#### **თავი 4. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საბიუჯეტო პროგრამების პრიორიტეტიზაცია და ინტეგრაცია**

ამ თავში მოცემულია ზოგადი მითითებები, რომელიც ეხებაწინასაბიუჯეტო დოკუმენტებში, საშუალოვადიან და წლიურ ბიუჯეტებში, ბიუჯეტების დამტკიცების პროცესებსა და ანგარიშებში კლიმატის ცვლილების საკითხების ჩართვასა და გენდერულ ბიუჯეტირებას.

#### **თავი 5. სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა**

ამ თავში იდენტიფიცირებულია NDC-ის თითოეული პრიორიტეტული ღონისძიების დაფინანსების საჭიროებები, მდგომარეობა, დეფიციტი და დაფინანსების მიღების ალტერნატიული ვარიანტები, აგრეთვე მოცემულია NDC-ის დაფინანსებაში არსებული დეფიციტის შევსების ზოგადი სტრატეგია.

#### **თავი 6. განხორციელების გზამკვლევი**

ამ თავში წარმოდგენილია NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის მდგრადი განხორციელების მთავარი კომპონენტები საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების სისტემაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

## 1 კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება საქართველოში

საქართველოს მიერ შერბილებისა და ადაპტაციის მიზნების შესასრულებლად საჭირო დაფინანსების უზრუნველსაყოფად ხელშემწყობი ფინანსური სიტუაცია უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების წარმატებით განსახორციელებლად და ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო დაფინანსება იდენტიფიცირდეს, უზრუნველყოფილ იქნეს, მობილიზდეს და მისი მონიტორინგი მოხდეს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქართველოს განახლებული NDC-ში განსაზღვრულია შერბილების ისეთი მიზნები, რომელთა შესრულება დამოკიდებულია საერთაშორისო ფინანსურ, ტექნიკურ და შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებულ დახმარებაზე, თუმცა ქვეყანას არ აქვს რაოდენობრივად შეფასებული ის საერთაშორისო დახმარება, რომელიც მას სჭირდება.

კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების ხელშემწყობი სიტუაციის შექმნის მიმართულებით ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს NDC-ში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭირო ფინანსური სახსრების ზუსტად შეფასება როგორც ხელმისაწვდომი დაფინანსების, ასევე დაფინანსების დეფიციტის გამოსავლენად. საქართველოს მთავრობამ და განვითარების მიზნით თანამშრომლობის პარტნიორებმა გამოთვალეს კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო დაფინანსების ოდენობა. თუმცა, ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად, ეს ამოცანა საქართველოსთვისაც რთული აღმოჩნდა, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ინფორმაცია არასრულია, მოძველებული და დარგობრივი პოლიტიკის სხვადასხვა დოკუმენტებშია გაფანტული.

გამოთვლების შედეგები აჩვენებს, რომ NDC-ით განსაზღვრული შერბილების უპირობო ღონისძიებების განსახორციელებლად საქართველოს დაახლოებით 8 მილიარდი ლარი დასჭირდება, ხოლო პირობიანი ღონისძიებების განსახორციელებლად - დამატებით 5 მილიარდი ლარი. რაც შეეხება ადაპტაციას, საქართველოს მიერ UNFCCC-ში 2017 წელს წარდგენილი პირველი NDC-ის თანახმად, ქვეყანას 2021 წლიდან 2030 წლამდე ადაპტაციის ღონისძიებების განსახორციელებლად დაახლოებით 4.8 – 6.4 მილიარდი ლარი დასჭირდება. თუმცა, ეს რიცხვი დადგენილია ექსპერტების მოსაზრებების საფუძველზე და გამოთვლის გამოყენებული მეთოდოლოგია არ არის მითითებული ან განმარტებული. უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს საქართველომ წარადგინა განახლებული NDC, რომელიც შერბილებისა და ადაპტაციის უფრო ამბიციურ ვალდებულებებს განსაზღვრავს. ამიტომ, შესაძლებელია, რომ 2030 წლამდე საჭირო დაფინანსების მოცულობა ზემოთ მოცემულ მაჩვენებლებზე მნიშვნელოვნად მაღალი იყოს.

ვინაიდან კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებები საკუთარი ბუნებით მრავალგანზომილებიანია, მათი განხორციელების საშუალებების მისაღებად და ასამოქმედებლად საჭიროა ბევრი დაინტერესებული მხარის მობილიზება დაფინანსების სხვადასხვა შიდა, ეროვნული, საჯარო თუ კერძო არხებიდან. საქართველომ აცნობიერებს, რომ კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსება მიზნად უნდა ისახავდეს ბიზნესის შესაძლებლობების გაზრდას, ტექნოლოგიების გაზიარებასა და სამუშაო ადგილების შექმნას, ქვეყნის ინკლუზიური მწვანე ეკონომიკური ზრდის დღის წესრიგის შესაბამისად.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საქართველომ, ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციისა და გამოცოცხლების მიზნით, ღრმა სტრუქტურული და ეკონომიკური რეფორმები განახორციელა. რეფორმები მოიცავდა საჯარო სექტორის რესტრუქტურირებას, ბიზნესის დერეგულირებას, კორუფციის შემცირებას და საგადასახადო და სავაჭრო წამახალისებელი მექანიზმებისა და პროცედურების რაციონალიზაციას.

საქართველომ, მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით, დაბალი საშუალო შემოსავლის ჯგუფიდან 2015 წელს მაღალი საშუალო შემოსავლის ჯგუფში გადაინაცვლა<sup>2</sup>. ამ ცვლილებამ ქვეყანაში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში საჯარო და კერძო ინვესტიციებისთვის მიმზიდველობისა და მომგებიანობის დონე გაზარდა.

საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება ხელმისაწვდომია: i) დაფინანსების კერძო არხებით, ii) შიდა ბიუჯეტებით, შიდა ფონდებითა და წამახალისებელი მექანიზმებით; და iii) კლიმატის ცვლილების საკითხებზე საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობითა და ინვესტიციებით. საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მთავარ წყაროებს წარმოადგენენ ეროვნული და მუნიციპალური მთავრობები, სახელმწიფო საწარმოები და განვითარების საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, რაც, სავარაუდოდ, მომავალშიც ასევე გაგრძელდება.

მიუხედავად იმისა, რომ კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება საქართველოსთვის ხელმისაწვდომია, დაფინანსების მოცულობა სექტორების მიხედვით განსხვავებულია და სავარაუდოდ არ იქნება საკმარისი ქვეყნის მიერ კლიმატთან მიმართებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. ინვესტიციები დაგეგმილია სახელმწიფო ბიუჯეტის, კერძო საინვესტიციო მექანიზმებისა და საერთაშორისო დაფინანსების ფარგლებში, თუმცა არასაკმარისია საქართველოს განახლებული NDC-ით დასახული მიზნების მისაღწევად. საწყისი მიახლოებითი გამოთვლებით, NDC-ის შერბილების უპირობო ღონისძიებების განხორციელების დაფინანსებაში 208 მილიონ ლარზე მეტი დეფიციტია, გარდა ამისა, NDC-ის შერბილების პირობიანი ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო იქნება დამატებით 5 მილიარდი ლარის ოდენობის საერთაშორისო დახმარების მოძიება.

აქედან გამომდინარე, კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების სტრატეგია უაღრესად მნიშვნელოვანია NDC-ის დაფინანსებაში არსებული დეფიციტის აღმოსაფხვრელად, დაფინანსების შესაფერისი არხების უზრუნველყოფისა და მობილიზებისათვის. საქართველოს არ აქვს შემუშავებული კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების ფინანსური სტრატეგია, რომელიც შიდა და საერთაშორისო საჯარო და კერძო წყაროებიდან საკმარისი ოდენობით დაფინანსებას უზრუნველყოფდა განახლებულ NDC-ში 2030 წლისთვის განსაზღვრული ეროვნული მიზნების მისაღწევად, კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით. უკანასკნელ წლებში იყო ასეთი სტრატეგიის შემუშავების გარკვეული მცდელობები, რომლებიც ძირითადად კლიმატის ცვლილების შერბილებას ეხებოდა:

2 მსოფლიო ბანკი. მსოფლიო შემოსავლებისა და რეგიონების მიხედვით: <https://datatopics.worldbank.org/world-development-indicators/the-world-by-income-and-region.html>

- საქართველოს 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც 2021 წელს მომზადდა, განსაზღვრავს 2021-2023 წწ. პერიოდში კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებების განხორციელების მოკლევადიან ბიუჯეტს. დოკუმენტი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, განხორციელების პერიოდს, სავარაუდო ბიუჯეტს და დაფინანსების წყაროებს შერბილების თითოეული იმ ღონისძიებისათვის, რომლის განხორციელება დროის ამ პერიოდშია გათვალისწინებული.
- საქართველოს დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის (LEDS) კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების გზამკვლევი განსაზღვრავს სტრატეგიულ მიმართულებებსა და წარმატების მნიშვნელოვან ფაქტორებს ქვეყანაში შერბილების გრძელვადიანი ღონისძიებების სრულად განხორციელების მიზნით საჯარო და კერძო დაფინანსების მოსაზიდად.

ორივე დოკუმენტი ხაზს უსვამს საქართველოში კლიმატის ცვლილების შერბილებაში როგორც კერძო ინვესტიციების, ასევე საერთაშორისო მხარდაჭერის მნიშვნელოვან როლს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ საქართველო იყოს როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა კერძო წყაროებისთვის მიმზიდველი საინვესტიციო ადგილი, ასევე გამჭვირვალე და სანდო კანდიდატი ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო მხარდაჭერის მისაღებად.

შესაბამისად, საქართველომ უნდა გააძლიეროს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების სტრატეგიები, კლიმატის ცვლილების მიზნების მიღწევისა და ამავდროულად ინკლუზიური მწვანე ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, და მოამზადოს NDC-ის დაფინანსების სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა.

მომდევნო თავებში წარმოდგენილია უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების დაფინანსების არსებული წყაროების შესახებ. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილ NDC-ის დაფინანსების სტრატეგიასა და საინვესტიციო გეგმაში მოცემულია საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების დაფინანსების მოქმედი წყაროების შეფასება დაფინანსების არსებული არსების კონსოლიდირებისა და არსებული წინააღმდეგობების დაძლევის მიზნით.

## 1.1 კლიმატთან დაკავშირებული საერთაშორისო დაფინანსება

კლიმატთან დაკავშირებული საერთაშორისო მხარდაჭერა ფულადი დახმარებით, ტექნოლოგიების გადაცემითა და შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამების საშუალებით საქართველოში კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის ღონისძიებების დაფინანსების მნიშვნელოვანი მდგენელია. საქართველო განვითარების მიზნით საერთაშორისო დახმარებას (ODA)<sup>3</sup> კლიმატთან დაკავშირებული პროექტებისთვის სხვადასხვა ორმხრივი თანადაფინანსების მექანიზმების, განვითარების მრავალმხრივი ბანკებისა და კლიმატის მრავალმხრივი ფონდებიდან იღებს.

3 განვითარების მიზნით საერთაშორისო დახმარება (ODA) OECD-ის განვითარების ხელშეწყობის კომიტეტის (DAC) მიერ განსაზღვრულია, როგორც სახელმწიფო დახმარება, რომელიც ხელს უწყობს და კონკრეტულად მიზნად ისახავს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას და კეთილდღეობას.

განვითარების საერთაშორისო პარტნიორების მიერ საქართველოში დაფინანსებული ODA პროექტები საგარეო დახმარების ინფორმაციული მართვის ელექტრონულ სისტემაში (eAIMS) აისახება, რომელიც ორმხრივ და მრავალმხრივ დონორებს ონლაინ მონაცემთა ბაზებში პროექტების შესახებ ინფორმაციის ნებაყოფლობით შეტანის შესაძლებლობას აძლევს. ეს არის საგარეო დახმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და ანგარიშგების ინსტრუმენტი, რომლის მიზანია გააუმჯობესოს საქართველოსთვის განკუთვნილი საგარეო დახმარების ნაკადების გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და ეფექტიანობა. ის შედგება ონლაინ მონაცემთა ბაზებისაგან, რომლებშიც შეტანილია ინფორმაცია განვითარების საერთაშორისო პარტნიორების მიერ საქართველოში დაფინანსებული პროექტების შესახებ. eAIMS სისტემა იყენებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კლასიფიკაციას კონკრეტული სექტორისთვის პროექტის მისაკუთვნებლად. თუმცა, მას არ აქვს კონკრეტული კლასიფიკაცია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროექტებისათვის. ასეთი პროექტები მიეკუთვნებიან OECD-ის სექტორს „ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება“, ვინაიდან ეს არის თემატური ჯგუფი, რომელიც კლიმატის ცვლილებასაც მოიცავს. თუმცა, მას აქვს ფილტრი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა პროექტები მდგრადი განვითარების შესაბამის მიზნებთან, მათ შორის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მდგრადი განვითარების მიზანთან - SDG 13, დააკავშიროს. დონორებს, რომლებმაც იციან eAIMS-ის შესახებ, თავად შეყავთ სისტემაში ინფორმაცია, ხოლო თუ დონორმა არ იცის eAIMS-ის არსებობის შესახებ, მას უკავშირდებიან და სთხოვენ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენას. ანგარიშგების პერიოდი წლიურად აპრილიდან მაისის ბოლომდე, ხანდახან ივნისამდეც ხანგრძლივდება. თუმცა, დონორი პარტნიორების დავალებულება, წარმოადგინონ ინფორმაცია ODA პროექტების შესახებ, შეუძლებელია.

## კლიმატთან დაკავშირებული ორმხრივი დაფინანსება

ორმხრივი დაფინანსების მექანიზმი არის ერთი ქვეყნის უწყებიდან რესურსების პირდაპირ მიმღები ქვეყნისთვის გადაცემა. კლიმატის ცვლილების მიზნებზე ორიენტირებული პირდაპირი, ან არაპირდაპირი ორმხრივი დაფინანსების აღრიცხვასა და მონიტორინგს OECD „რიოს მარკეტების“ საშუალებით ახორციელებს. კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების OECD-ის ფინანსური სტატისტიკური მონაცემთა ბაზის<sup>4</sup> თანახმად, საქართველოში კლიმატთან დაკავშირებით სხვადასხვა სექტორებში მიმდინარე რამდენიმე პროექტი იღებს ორმხრივ დახმარებას განვითარების დახმარების კომიტეტის (DAC) 19 წევრი ქვეყნისგან (ცხრილი 1).


როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, საქართველომ 2010-2019 წლებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფინანსური დახმარების სახით ჯამში 5.17 მილიარდი ლარი მიიღო. ამ თანხაში ყველაზე დიდი წილი აქვს გერმანიას (2.98 მილიარდი ლარი), მას მოსდევს ევროკომისია (1.37 მილიარდი ლარი), საფრანგეთი (266 მილიონი ლარი), აშშ (191 მილიონი ლარი), შვეიცარია (91 მილიონი ლარი), ავსტრია (90 მილიონი ლარი), და შვედეთი (70 მილიონი ლარი). საქართველოს ნაკლები მასშტაბის, თუმცა მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა დანიამ, ნორვეგიამ, იაპონიამ, პოლონეთმა, ფინეთმა, ჩეხეთის რესპუბლიკამ, სლოვაკეთის რესპუბლიკამ, სლოვენიამ, საბერძნეთმა, ს. კორეამ, იტალიამ, და ესპანეთმა. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსება ძირითადად შემდეგ სექტორებზე განაწილდა: ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის პროექტები (45%), წყლის რესურსები (17%), სოფლის განვითარება (12%) და სოფლის მეურნეობა (7%).

4 კლიმატის ცვლილება: OECD DAC-ის საგარეო განვითარების ფინანსური სტატისტიკა: <https://www.oecd.org/dac/financing-sustainable-development/development-finance-topics/climate-change.htm>

ცხრილი 3-ში მოცემულია მიღებული დაფინანსების დინამიკა. საქართველოს მიერ წლის განმავლობაში მიღებული დახმარების ოდენობა 189 მილიონი ლარიდან 621 მილიონ ლარამდე ფარგლებშია, რაც წელიწადში საშუალოდ 403 მილიონ ლარს შეადგენს. უპრეცედენტო ზრდა დაფიქსირდა 2019 წელს, როდესაც საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების მხარდასაჭერად 1,536 მილიონი ლარი გამოიყო. აღნიშნული ზრდა ძირითადად განაპირობა 2019 წელს ენერჯის გენერაციისა და გადაცემის პროექტებისთვის გერმანიის მიერ გაცემულმა შეღავათიანმა სესხებმა.

რაც შეეხება ფინანსური ინსტრუმენტების სახეებს, 2010-2019 წლებში პროექტების 93%-ზე მეტი მხარდაჭერილი იყო გრანტებით, 6% - შეღავათიანი სესხებით, ხოლო 1% - კაპიტალური ინვესტიციებით. თუმცა, როგორც წესი, სესხების მოცულობა ბევრად უფრო დიდია და საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერისთვის გამოყოფილი მთლიანი ორმხრივი სახსრების 59%-ს შეადგენს, როგორც ეს ნაჩვენებია მომდევნო ნახაზზე.

**ნახაზი 1.** ფინანსური ინსტრუმენტების სახეები საქართველოსთვის 2010-2019 წლებში უზრუნველყოფილი სახსრების რაოდენობისა და კლიმატის ცვლილების მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობის მიხედვით




**ცხრილი 1.** განვითარების ხელშეწყობის კომიტეტის (DAC) ქვეყნები, რომლებიც საქართველოს უწვევენ ოფიციალურ დახმარებას განვითარების მიზნით (ODA) კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის

ქვეყანა	დახმარების გამცემი სააგენტოები	დახმარების მიმღები ძირითადი სექტორები																ფინანსური ინსტრუმენტები	
		სოფლის მეურნეობა	ბიომრავალფეროვნება	შენობები	ბიზნესის განვითარება	სამრეწველო საზოგადოება	კატასტროფების რისკის შემცირება	განათლება	ენერჯეტიკა	სატყეო სექტორი	მრეწველობა	მართვა	მრავალსექტორული	სოფლის განვითარება	ტურიზმი	ტრანსპორტი	ურბანული		ნარჩენების მართვა
გერმანია	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW), გერმანიის გარემოს დაცვის, ბუნების დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტრო (BMU), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ).	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>				<input checked="" type="checkbox"/>	გრანტები, შელავათიანი სესხები, კაპიტალური ინვესტიცია							
ევროკავშირი	ევროკომისია	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>							<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>				<input checked="" type="checkbox"/>	გრანტები	
საფრანგეთი	საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFA), ეკონომიკის, ფინანსთა და მრეწველობის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო	<input checked="" type="checkbox"/>						<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>					<input checked="" type="checkbox"/>	გრანტები, შელავათიანი სესხები	
აშშ	შერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>						<input checked="" type="checkbox"/>	გრანტები
შვეიცარია	შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC)						<input checked="" type="checkbox"/>					<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>					გრანტები	
ავსტრია	ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA), მდგრადი განვითარებისა და ტურიზმის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>							გრანტები, კაპიტალური ინვესტიცია							
შვედეთი	შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA)					<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>				<input checked="" type="checkbox"/>						<input checked="" type="checkbox"/>	გრანტები
დანია	საგარეო საქმეთა სამინისტრო	<input checked="" type="checkbox"/>							<input checked="" type="checkbox"/>									გრანტები	
ნორვეგია	საგარეო საქმეთა სამინისტრო, ნორვეგიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (NORAD)								<input checked="" type="checkbox"/>									გრანტები	
იაპონია	იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA), საგარეო საქმეთა სამინისტრო					<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>				<input checked="" type="checkbox"/>						<input checked="" type="checkbox"/>	გრანტები

ქვეყანა	დახმარების გამცემი სააგენტოები	დახმარების მიმღები ძირითადი სექტორები																ფინანსური ინსტრუმენტები		
		სოფლის მეურნეობა	ბიომრავალფეროვნება	შენობები	ბიზნესის განვითარება	სამოქალაქო სამოგალოება	კატასტროფების რისკის შემცირება	განათლება	ენერჯეტიკა	სატყეო სექტორი	მრეწველობა	მართვა	მრავალსექტორული	სოფლის განვითარება	ტურიზმი	ტრანსპორტი	ურბანული		ნარჩენების მართვა	წყლის რესურსები
პოლონეთი	საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის სამინისტრო	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>				<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>					გრანტები
ფინეთი	საგარეო საქმეთა სამინისტრო					<input checked="" type="checkbox"/>														გრანტები
ჩეხეთის რესპუბლიკა	ჩეხეთის განვითარების სააგენტო (CzechAid)					<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>				<input checked="" type="checkbox"/>								გრანტები
სლოვაკეთის რესპუბლიკა	სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SAMRS), ფინანსთა სამინისტრო	<input checked="" type="checkbox"/>						<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>									<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	გრანტები
სლოვენია	ფინანსთა სამინისტრო									<input checked="" type="checkbox"/>										გრანტები
საბერძნეთი	ჯანდაცვისა და სოციალური სოლიდარობის სამინისტრო							<input checked="" type="checkbox"/>												გრანტები
კორეა	საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო																		<input checked="" type="checkbox"/>	გრანტები
იტალია	იტალიის მთავრობა					<input checked="" type="checkbox"/>														გრანტები
ესპანეთი	მრეწველობისა და ენერჯეტიკის სამინისტრო													<input checked="" type="checkbox"/>						გრანტები

**ცხრილი 2.** 2010-2019 წლებში დონორი ქვეყნების მიერ საქართველოსთვის უზრუნველყოფილი ორმხრივი დახმარების ჯამური ოდენობა სექტორებისა და ქვეყნების მიხედვით (ათასი ლარი)




ქვეყანა	გერმანია	ევროკავშირი	საფრანგეთი	აშშ	შვეიცარია
 სოფლის მეურნეობა	3,460.75	336,220.32	18.25	4,516.07	0.00
 ბიომრავალფეროვნება	38,633.25	0.00	0.00	32,493.68	0.00
 შენობები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 ბიზნესის განვითარება	56,242.17	38,949.15	0.00	67,102.69	0.00
 სამოქალაქო საზოგადოება	4,030.63	0.00	0.00	2,965.95	0.00
 კატასტროფების რისკის შემცირება	26,584.67	0.00	0.00	0.00	5,211.84
 განათლება	83,548.09	0.00	2.89	0.00	0.00
 ენერჯეტიკა	1,911,830.38	0.00	216,384.19	80,018.08	0.00
 სატყეო სექტორი	1,530.27	0.00	0.00	0.00	0.00
 მრეწველობა	427.25	0.00	0.00	0.00	0.00
 მართვა	957.96	374,063.64	0.00	0.00	21,547.36
 მრავალსექტორული	0.00	0.00	37.28	100.05	0.00
 სოფლის განვითარება	0.00	546,255.97	0.00	0.00	64,736.25
 ტურიზმი	1,991.93	0.00	0.00	0.00	0.00
 ტრანსპორტი	0.00	0.00	49,716.58	0.00	0.00
 ურბანული ინფრასტრუქტურა	0.00	77,905.63	0.00	0.00	0.00
 ნარჩენების მართვა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 წყლის რესურსები	846,055.76	0.00	0.00	3,631.38	0.00
<b>სულ</b>	<b>2,975,293.11</b>	<b>1,373,394.70</b>	<b>266,159.19</b>	<b>190,827.90</b>	<b>91,495.45</b>

ქვეყანა	ავსტრია	შვედეთი	დანია	ნორვეგია	იაპონია
 სოფლის მეურნეობა	27,343.01	0.00	14,858.20	0.00	0.00
 ბიომრავალფეროვნება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 შენობები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 ბიზნესის განვითარება	3,667.42	0.00	0.00	0.00	0.00
 სამოქალაქო საზოგადოება	0.00	175.35	0.00	0.00	0.00
 კატასტროფების რისკის შემცირება	5,190.00	11,924.41	0.00	0.00	320.17
 განათლება	1,300.32	10,220.92	0.00	0.00	0.00
 ენერჯეტიკა	24,938.44	0.00	29,495.02	28,314.81	14,567.53
 სატყეო სექტორი	24,383.10	0.00	0.00	0.00	0.00
 მრეწველობა	3,384.35	0.00	0.00	0.00	0.00
 მართვა	0.00	14,208.51	0.00	0.00	118.02
 მრავალსექტორული	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 სოფლის განვითარება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 ტურიზმი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 ტრანსპორტი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 ურბანული ინფრასტრუქტურა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 ნარჩენების მართვა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 წყლის რესურსები	0.00	33,752.58	0.00	0.00	68.34
<b>სულ</b>	<b>90,206.63</b>	<b>70,281.76</b>	<b>44,353.21</b>	<b>28,314.81</b>	<b>15,074.06</b>

ქვეყანა	პოლონეთი	ფინეთი	ჩეხეთის რესპუბლიკა	სლოვაკეთის რესპუბლიკა	სლოვენია
 სოფლის მეურნეობა	16.78	0.00	0.00	392.90	0.00
 ბიომრავალფეროვნება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 შენობები	165.19	0.00	0.00	0.00	0.00
 ბიზნესის განვითარება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 სამოქალაქო საზოგადოება	16.93	0.00	0.00	0.00	0.00
 კატასტროფების რისკის შემცირება	3,596.42	6,252.86	3,959.67	0.00	0.00
 განათლება	1,340.61	0.00	67.11	22.66	0.00
 ენერჯეტიკა	0.00	0.00	681.83	203.96	0.00
 სატყეო სექტორი	0.00	0.00	0.00	0.00	721.28
 მრეწველობა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 მართვა	1,094.84	0.00	209.38	0.00	0.00
 მრავალსექტორული	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 სოფლის განვითარება	243.25	0.00	0.00	0.00	0.00
 ტურიზმი	241.52	0.00	0.00	0.00	0.00
 ტრანსპორტი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 ურბანული ინფრასტრუქტურა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
 ნარჩენების მართვა	0.00	0.00	0.00	338.89	0.00
 წყლის რესურსები	0.00	0.00	0.00	1,147.06	0.00
<b>სულ</b>	<b>6,715.54</b>	<b>6,252.86</b>	<b>4,918.00</b>	<b>2,105.48</b>	<b>721.28</b>

ქვეყანა	საბერძნეთი	კორეა	იტალია	ესპანეთი	სულ
 სოფლის მეურნეობა	0.00	0.00	0.00	0.00	386,826.28
 ბიომრავალფეროვნება	0.00	0.00	0.00	0.00	71,126.93
 შენობები	0.00	0.00	0.00	0.00	165.19
 ბიზნესის განვითარება	0.00	0.00	0.00	0.00	165,961.44
 სამოქალაქო საზოგადოება	0.00	0.00	0.00	0.00	7,188.86
 კატასტროფების რისკის შემცირება	0.00	0.00	20.61	0.00	63,060.64
 განათლება	31.17	0.00	0.00	0.00	96,533.76
 ენერჯეტიკა	0.00	0.00	0.00	0.00	2,306,434.24
 სატყეო სექტორი	0.00	0.00	0.00	0.00	26,634.65
 მრეწველობა	0.00	0.00	0.00	0.00	3,811.60
 მართვა	0.00	0.00	0.00	0.00	412,199.69
 მრავალსექტორული	0.00	0.00	0.00	0.00	137.33
 სოფლის განვითარება	0.00	0.00	0.00	0.00	611,235.47
 ტურიზმი	0.00	0.00	0.00	1.35	2,234.80
 ტრანსპორტი	0.00	0.00	0.00	0.00	49,716.58
 ურბანული ინფრასტრუქტურა	0.00	0.00	0.00	0.00	77,905.63
 ნარჩენების მართვა	0.00	0.00	0.00	0.00	338.89
 წყლის რესურსები	0.00	22.51	0.00	0.00	884,677.63
<b>სულ</b>	<b>31.17</b>	<b>22.51</b>	<b>20.61</b>	<b>1.35</b>	<b>5,166,189.63</b>

**ცხრილი 3.** 2010-2019 წლებში ქვეყნების მიერ საქართველოსთვის უზრუნველყოფილი ორმხრივი დახმარების წლიური მოცულობა (ათასი ლარი)



ქვეყანა	2010	2011	2012	2013	2014	2015
გერმანია	423,507.32	138,230.97	172,335.62	236,711.84	25,163.74	12,5448.74
ევროკავშირი	0.00	0.00	157,155.84	0.00	46,134.29	242,754.20
საფრანგეთი	0.00	0.00	0.00	0.00	49,716.58	0.00
აშშ	2,2576.75	19,894.81	15,099.82	10,979.81	33,353.31	34,141.87
შვეიცარია	1,801.54	21,612.19	11,728.20	9,646.45	26,753.29	8,078.80
ავსტრია	0.00	6,251.04	4,500.46	9,102.21	7,049.76	26,386.39
შვედეთი	1,818.97	0.00	31,933.60	3,242.21	0.00	6,276.42
დანია	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	1,489.71
ნორვეგია	287.04	0.00	0.00	5,342.52	0.00	4,146.56
იაპონია	14,408.54	6.21	16.05	0.00	225.86	34.99
პოლონეთი	0.00	0.00	0.00	1,109.90	578.42	1,252.33
ფინეთი	3,666.03	2,586.84	0.00	0.00	0.00	0.00
ჩეხეთის რესპუბლიკა	0.00	0.00	1,052.20	995.49	458.75	857.88
სლოვაკეთის რესპუბლიკა	0.00	0.00	0.00	0.00	318.78	0.00
სლოვენია	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საბერძნეთი	0.00	0.00	0.00	31.17	0.00	0.00
კორეა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
იტალია	0.00	0.00	0.00	9.52	0.00	0.00
ესპანეთი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სულ	468,066.20	188,582.05	393,821.80	277,171.12	189,752.78	464,272.91

ქვეყანა	2016	2017	2018	2019	სულ
გერმანია	27,011.92	588,845.61	351,483.77	886,553.56	2,975,293.11
ევროკავშირი	411,409.60	0.00	122,842.81	393,097.95	1,373,394.70
საფრანგეთი	0.00	20.20	35.34	216,387.08	266,159.19
აშშ	35,966.09	1,997.92	13,187.07	3,630.43	190,827.90
შვეიცარია	0.00	11,874.99	0.00	0.00	91,495.45
ავსტრია	5,008.72	4,102.08	22,500.95	5,305.02	90,206.63
შვედეთი	3,290.51	0.00	1,574.72	22,145.33	70,281.76
დანია	14,858.20	0.00	14,600.30	0.00	44,353.21
ნორვეგია	0.00	11,988.10	0.00	6,550.58	28,314.81
იაპონია	28.91	186.50	121.93	45.06	15,074.06
პოლონეთი	902.74	624.23	809.68	1,438.25	6,715.54
ფინეთი	0.00	0.00	0.00	0.00	6,252.86
ჩეხეთის რესპუბლიკა	963.65	486.60	36.32	67.11	4,918.00
სლოვაკეთის რესპუბლიკა	0.00	1,077.67	709.02	0.00	2,105.48
სლოვენია	0.00	0.00	0.00	721.28	721.28
საბერძნეთი	0.00	0.00	0.00	0.00	31.17
კორეა	0.00	22.51	0.00	0.00	22.51
იტალია	11.09	0.00	0.00	0.00	20.61
ესპანეთი	0.00	0.60	0.75	0.00	1.35
<b>სულ</b>	<b>499,451.43</b>	<b>621,227.01</b>	<b>527,902.67</b>	<b>1,535,941.66</b>	<b>5,166,189.63</b>

## კლიმატის მრავალმხრივი ფონდები

მრავალმხრივ ფინანსურ მექანიზმში იგულისხმება რესურსების მიწოდება ისეთი ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციებიდან, რომლებიც შექმნილია კონკრეტული მიზნების მისაღწევად და რომელთა მართვა და დაფინანსება მრავალი ქვეყნის თანამშრომლობითა და წვლილით ხორციელდება. კლიმატის მრავალმხრივი ფონდები არის ისეთი ფონდები, რომელთა მიზანია კლიმატის ცვლილების შერბილების და/ან ადაპტაციის პროექტების დაფინანსება.

UNFCCC-ის ფარგლებში შექმნილია კლიმატის რამდენიმე საერთაშორისო ფონდი, რომელთა დანიშნულება კლიმატის ცვლილების შერბილების და მასთან ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელების დაფინანსებაში მდგომარეობს. ასეთი ფონდები ძირითადად მრავალმხრივია და იმართება მთავრობების, ან ისეთი ინსტიტუტების მიერ, როგორცაა საერთაშორისო, რეგიონული, ან ეროვნული განვითარების ბანკები, ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) მიერ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი სააგენტოები, ან ორგანიზაციები. UNFCCC-ის კლიმატის ფონდებიდან საქართველოში ოპერირებს ადაპტაციის ფონდი (AF), მწვანე კლიმატის ფონდი (GCF) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF). კლიმატის იმ სხვა მრავალმხრივი ფონდებიდან, რომლებიც არ არის შექმნილი UNFCCC-ის ფარგლებში, საქართველოში მუშაობს აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი (E5P), მდგრადი განვითარების ევროპული ფონდი (EFSD) და მწვანე ზრდის ფონდი (GGF).


ეს ფონდები ძირითადად გასცემენ გრანტებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროექტებისთვის, რომელთა თანადაფინანსებას სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტები და საქართველოში პროექტის ბენეფიციარები უზრუნველყოფენ. თანადაფინანსების ინსტრუმენტები მრავალფეროვანია, მათ შორის დამატებითი გრანტები, სესხები და არაფინანსური მონაწილეობა. ორმხრივი მხარდაჭერის მიმღებ პროექტებთან შედარებით, კლიმატის მრავალმხრივი ფონდების მიერ მხარდაჭერილი პროექტები, როგორც წესი, მოცულობით უფრო დიდი და ხანგრძლივია, ითვალისწინებს ბევრად დიდ ფინანსურ ნაკადებს და, როგორც წესი, ხასიათდება ბენეფიციარების მიერ უზრუნველყოფილი თანადაფინანსების მნიშვნელოვანი წილით.

ცხრილი 4-ში წარმოდგენილია 2010-2022 წლებში საქართველოში კლიმატის მრავალმხრივი ფონდების მიერ დამტკიცებული და მხარდაჭერილი პროექტები, რომლებიც კლიმატის ცვლილებას ეხება. წარმოდგენილი მონაცემები ემყარება შესაბამისი ფონდების ვებგვერდებზე პროექტის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის შესწავლას.


2010 - 2019 წლებში კლიმატის მრავალმხრივი ფონდების მიერ საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული 36 პროექტის განსახორციელებლად უზრუნველყოფილი დაფინანსების ჯამურმა მოცულობამ 2.19 მილიარდი ლარი შეადგინა. პროექტის სიდიდის თვალსაზრისით, ყველაზე მსხვილი პროექტები განხორციელდა მწვანე კლიმატის ფონდის (GCF) (56%), გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) (16%), აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდის (E5P) (13%) და მდგრადი განვითარების ევროპული ფონდის (EFSD) (13%) დახმარებით. დარჩენილი 2% ადაპტაციის ფონდისა (AF) და მწვანე ზრდის ფონდის (GGF) დახმარებით განხორციელდა. ამ პერიოდში მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობით პირველ ადგილზეა GEF 17 პროექტით, ხოლო მეორეზე - EFSD 7 პროექტით. ამ პროექტებიდან დაფინანსების უდიდესი ნაწილი მოხმარდა სატყეო და ენერგეტიკის სექტორებს, როგორც ეს ნახ. 2-დან ჩანს.

ნახ. 3-ზე ნაჩვენებია სტატისტიკური ინფორმაცია პროექტების შესახებ, რომლის თანახმად 2015 წლის შემდეგ დაფინანსებული პროექტების ღირებულება 150-200 მილიონი ლარის ფარგლებშია. მიუხედავად იმისა, რომ GCF-ის მიერ დამტკიცებული პროექტების რაოდენობა დიდი არ არის, იმ წლებში, როდესაც GDF-ის პროექტების დამტკიცება ხდებოდა, საქართველოს მიმართულებით კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ნაკადების მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება.

**ნახაზი 2.** 2010-2021 წლებში კლიმატის მრავალმხრივი ფონდების მიერ საქართველოში მხარდაჭერილი სექტორები



**ნახაზი 3.** 2010-2021 წლებში კლიმატის მრავალმხრივი ფონდების მიერ საქართველოსთვის უზრუნველყოფილი მხარდაჭერის დინამიკა



გარდა ამისა, საქართველო სარგებელს იღებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რამდენიმე რეგიონული პროექტიდან, რომლებსაც მწვანე კლიმატის ფონდი (GCF) და მდგრადი განვითარების ევროპული ფონდი (EFSD) აფინანსებს:

- **მწვანე ქალაქების მექანიზმი:** 2018 წელს დამტკიცებული GCF-ის ეს 23 წლიანი პროექტი ეხმარება აღმოსავლეთ ევროპის, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისა და აფრიკის 9 სახელმწიფოს. საქართველო ერთ-ერთი ბენეფიციარი ქვეყანაა. GCF ამ ცხრა ქვეყანას 183 მილიონი ლარის ოდენობის გრანტს და 687 მილიონი ლარის ოდენობის სესხს აძლევს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) 1,335 მილიონი ლარის მოცულობის გრანტის მხარდაჭერასთან ერთად. პროექტის მთავარ მიზანს ქალაქების უნახშირბადო, კლიმატის მიმართ მდგრად ურბანულ განვითარებაზე გადასვლა წარმოადგენს.
- **მდგრადი ენერჯეტიკის დაფინანსების მექანიზმი:** 2016 წელს დამტკიცებული GCF-ის ეს 15 წლიანი პროექტი, რომელსაც EBRD აფინანსებს, მიზნად ასახავს კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების უზრუნველყოფას კერძო სექტორისთვის სამრეწველო, კომერციულ, საცხოვრებელ, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მიერ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ისეთი პროექტების განსახორციელებლად, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს და გავრცელდეს. პროექტში ჩართულია აღმოსავლეთ ევროპის, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისა და აფრიკის 10 სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს კერძო სექტორი. GCF უზრუნველყოფს 1,231 მილიონ ლარს სესხის სახით და 122 მილიონ ლარს გრანტის სახით EBRD-თან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს 1,080 მილიონი ლარის ოდენობის სესხს და 35 მილიონი ლარის ოდენობის გრანტებს 10 ქვეყანაში.
- **კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსებისა და ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი (FINTECC):** დამტკიცდა 2019 წელს EFSD-ის მიერ 2.18 მილიარდი ლარის ოდენობის მთლიანი ბიუჯეტით. აქედან EFSD-ს წვლილი შეადგენს 58.8 მილიონ ლარს გრანტებისა და ტექნიკური დახმარების სახით. პროექტის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში კლიმატმეგობრული ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების განსახორციელებლად ფინანსური გარემოს გაუმჯობესების გზით. პროექტი ითვალისწინებს ტექნიკური დახმარების გაწევას, წახალისების მექანიზმების განვითარებას, აგრეთვე ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას, მარკეტინგსა და გავრცელებას.
- **EU4Business – მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის პროგრამა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში:** დამტკიცდა 2019 წელს EFSD-ის მიერ 1.17 მილიარდი ლარის ოდენობის მთლიანი ბიუჯეტით. აქედან EFSD-ს წვლილი შეადგენს 208.6 მილიონ ლარს გრანტებისა და ტექნიკური დახმარების სახით. პროექტის მიზანია, საქართველოში, მოლდოვაში, უკრაინაში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და ბელორუსში დაეხმაროს მცირე და საშუალო ბიზნესს საქმიანობის მოდერნიზებაში მდგრადი განვითარებისა და ზრდის მიმართულებით ევროკავშირის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად.
- **აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დაკავშირების საშუალებებში ინვესტირების მექანიზმი (EPIC):** დამტკიცდა 2019 წელს EFSD-ის მიერ 3.53 მილიარდი ლარის ოდენობის მთლიანი ბიუჯეტით. აქედან EFSD-ს წვლილი შეადგენს 84.4 მილიონ ლარს გრანტებისა და ტექნიკური დახმარების სახით. პროექტის მიზანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზება აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში დაკავშირების საშუალებების გასაძლიერებლად ადგილობრივი მობილობის, საგზაო უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესების პარალელურად.

**ცხრილი 4.** საქართველოში ამჟამად მოქმედი კლიმატის მრავალმხრივი ფონდების მიერ მხარდაჭერილი პროექტები

დამტკიცება	პროექტის სახელწოდება	პროექტის ხანგრძლივობა	სექტორ(ებ)ი	დაფინანსების წყარო	უზრუნველყოფილი დაფინანსების ოდენობა (ლარი)	ფინანსური ინსტრუმენტი
<b>ადაპტაციის ფონდი (AF)</b>						
2012	წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების მართვის კლიმატისადმი მდგრადი პრაქტიკის შემუშავება საქართველოს მოწყვლადი მოსახლეობის დასაცავად	2012-2017	სოფლის მეურნეობა	ადაპტაციის ფონდი	14,963,668.35	გრანტი
2019	მერძვეობის დარგის მოდერნიზაცია და ბაზარზე წვდომა: ადაპტაციის კომპონენტი (DiM-MAadapt)	2021-2025	წყლის რესურსები	ადაპტაციის ფონდი	17,127,636.40	გრანტი
<b>მწვანე კლიმატის ფონდი (GCF)</b>						
2018	მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში	2018-2025	წყლის რესურსები, ადამიანის ჯანმრთელობა, ურბანული ინფრასტრუქტურა	მწვანე კლიმატის ფონდი (GCF)	87,157,166.40	გრანტი
				შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC)	16,108,000.00	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	443,395,251.20	არა-ფინანსური
2020	საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის გატარების მხარდაჭერა ტყის დეგრადაციით გამოწვეული სათბური აირების ემისიის შემცირების მიზნით	2020-2027	სატყეო სექტორი	მწვანე კლიმატის ფონდი (GCF)	125,103,687.00	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	450,434,318.00	არა-ფინანსური
				გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ)	38,153,000.00	გრანტი
				შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA)	8,584,425.00	გრანტი
				კრისტალი	40,060,650.00	სესხი
				შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC)	15,604,577.00	გრანტი
<b>გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF)</b>						
2010	დაცული ტერიტორიების სისტემებისთვის შემოსავლების საკმარისობისა და პროგნოზირებადობის უზრუნველყოფა	2018 - ინფორმაცია არ არის	სატყეო სექტორი	GEF-ის სატრასტო ფონდი	3,221,600.00	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	8,376,160.00	გრანტი
				კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდი	2,061,824.00	გრანტი

დამტკიცება	პროექტის სახელწოდება	პროექტის ხანგრძლივობა	სექტორ(ებ)ი	დაფინანსების წყარო	უზრუნველყოფილი დაფინანსების ოდენობა (ლარი)	ფინანსური ინსტრუმენტი
2011	მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (PoPs) პესტიციდების განკარგვა და საწყისი ნაბიჯები ნაგავსაყრელიდან POPs პესტიციდების ლოკალიზაციისათვის საქართველოში	2011-2016	ნარჩენების მართვა	GEF-ის სატრასტო ფონდი	3,221,600.00	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	1,257,712.64	არა-ფინანსური
				გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	483,240.00	არა-ფინანსური
				სტრატეგიული მიდგომა ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო მართვისადმი (SAICM)	2,603,159.11	არა-ფინანსური
2011	ბიომასის პელეტების წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობა საქართველოში	2011-2018	ენერგეტიკა, სატყეო სექტორი	GEF-ის სატრასტო ფონდი	2,979,980.00	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	322,160.00	არა-ფინანსური
				გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	499,348.00	გრანტი
				ეროვნული კერძო სექტორი	13,675,692.00	არა-ფინანსური
2012	მოქმედებათა მეოთხე პროგრამის შეთანხმება და შეფასებისა და განხილვის მეოთხე პროცესის მეორე ეტაპის მომზადება	2012-2013	სატყეო სექტორი	GEF-ის სატრასტო ფონდი	439,310.26	გრანტი
				გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP)	731,303.20	გრანტი
2013	აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება	2013-2017	ბიომრავალფეროვნება	GEF-ის სატრასტო ფონდი	4,135,361.74	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	7,395,150.58	გრანტი
				გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	483,240.00	გრანტი
				გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)	7,524,046.80	გრანტი
				კავკასიის ბუნების ფონდი	980,242.68	გრანტი
ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF)	161,080.00	გრანტი				
2014	პირველი ორწლიური განახლებული ანგარიში	2014-2017	მართვა	GEF-ის სატრასტო ფონდი	1,134,003.20	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	206,182.40	არა-ფინანსური
2014	ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაძლიერება მინამატას კონვენციის რატიფიკაციის მიზნით და ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განმტკიცება მის აღსასრულებლად	2014-2018	ნარჩენების მართვა	GEF-ის სატრასტო ფონდი	664,320.00	გრანტი

დამტკიცება	პროექტის სახელწოდება	პროექტის ხანგრძლივობა	სექტორ(ებ)ი	დაფინანსების წყარო	უზრუნველყოფილი დაფინანსების ოდენობა (ლარი)	ფინანსური ინსტრუმენტი
2015	მწვანე ქალაქები: ინტეგრირებული მდგრადი ტრანსპორტი ქალაქ ბათუმსა და აჭარის რეგიონში	2015-2019	ურბანული ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი	GEF-ის სატრასტო ფონდი	2,748,024.80	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	16,430,160.00	არაფინანსური / გრანტი
				გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	902,048.00	არაფინანსური / გრანტი
2015	გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში	2015-2018	მართვა	GEF-ის სატრასტო ფონდი	3,865,920.00	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	2,577,280.00	არაფინანსური
				გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	483,240.00	გრანტი
				ჩეხეთის განვითარების სააგენტო	1,288,640.00	გრანტი
2015	საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის მდგრადობის გაძლიერება (ERASIG)	2015-2019	სოფლის მეურნეობა	GEF – კლიმატის ცვლილების სპეციალური ფონდი	7,074,480.00	გრანტი
				სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	42,847,280.00	სესხი
				საქართველოს მთავრობა	1,610,800.00	გრანტი
2016	ლანდშაფტისა და მიწის მდგრადი მართვის (L-SLM) გამოყენება მიწის დეგრადაციის შესამცირებლად და სოფლად სიღარიბის დასაძლევად	2016-2019	სატყეო მეურნეობა, სოფლის განვითარება	GEF-ის სატრასტო ფონდი	2,975,096.05	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	161,080.00	არაფინანსური
				კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ფონდი	4,671,320.00	არაფინანსური
				ევროკომისია	3,553,321.71	გრანტი
				გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)	3,221,600.00	გრანტი
				გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP)	161,080.00	არაფინანსური
2016	UNFCCC-ის მიმართ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინებისა და მეორე განახლებული ორწლიური ანგარიშის შემუშავება	2016-2020	მართვა	GEF-ის სატრასტო ფონდი	2,744,803.20	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	592,130.08	არაფინანსური
				გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	64,432.00	არაფინანსური

დამტკიცება	პროექტის სახელწოდება	პროექტის ხანგრძლივობა	სექტორ(ებ)ი	დაფინანსების წყარო	უზრუნველყოფილი დაფინანსების ოდენობა (ლარი)	ფინანსური ინსტრუმენტი
2017	საქართველოში ელექტროენერჯის განაწილება პოლიქლოროირებული ბიფენილების გამოყენების გარეშე	2014-2021	ნარჩენების მართვა, ენერჯეტიკა	GEF-ის სატრასტო ფონდი	12,596,456.00	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	3,865,920.00	არაფინანსური
				შიდა კერძო სექტორი	52,657,052.00	კაპიტალური ინვესტიცია/ არაფინანსური
				გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO)	241,620.00	გრანტი
2018	ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებელი მიწის მდგრადი მართვის გზით მოწყვლადი თემებისათვის საქართველოში	2018-2021	სატყეო მეურნეობა, სოფლის განვითარება	GEF-ის სატრასტო ფონდი	4,680,881.71	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	5,959,960.00	არაფინანსური / გრანტი
				კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ფონდი	4,220,296.00	არაფინანსური / გრანტი
				გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)	2,416,200.00	არაფინანსური
				გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)	1,127,560.00	არაფინანსური
				გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP)	966,480.00	არაფინანსური
2018	დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საქართველოში	2018-2023	სატყეო მეურნეობა, ბიომრავალფეროვნება	GEF-ის სატრასტო ფონდი	5,884,200.85	გრანტი
				კავკასიის ბუნების ფონდი	945,591.15	გრანტი
				საქართველოს ბანკი	644,320.00	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	15,302,600.00	გრანტი
2019	ინტეგრირებული გამჭვირვალობის ჩარჩო საქართველოში პარიზის შეთანხმების განსახორციელებლად	2019-2023	მართვა	GEF - ფონდი შესაძლებლობების გაძლიერების ინიციატივა გამჭვირვალობისათვის (CBIT)	3,221,600.00	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	442,454.54	არაფინანსური

დამტკიცება	პროექტის სახელწოდება	პროექტის ხანგრძლივობა	სექტორ(ებ)ი	დაფინანსების წყარო	უზრუნველყოფილი დაფინანსების ოდენობა (ლარი)	ფინანსური ინსტრუმენტი
2020	საქართველოს მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის ეროვნული მიზნების მიღწევა დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით	2020-2023	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, სოფლის განვითარება	GEF-ის სატრასტო ფონდი	5,723,120.85	გრანტი
				გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)	17,834,777.60	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	3,060,520.00	არა-ფინანსური
				კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ფონდი	2,416,200.00	არა-ფინანსური
				ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF)	1,610,800.00	არა-ფინანსური
				გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)	1,449,720.00	არა-ფინანსური
2022	ქუთაისის ურბანული განვითარების ბუნებაზე დაფუძნებული დაბალნახშირბადიანი გადაწყვეტილებები	2022-2026	ურბანული ინფრასტრუქტურა, ენერჯეტიკა	GEF-ის სატრასტო ფონდი	3,383,420.97	გრანტი
				საქართველოს მთავრობა	35,933,082.08	არა-ფინანსური
				კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ფონდი	4,510,240.00	არა-ფინანსური
				გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP)	483,240.00	არა-ფინანსური
<b>აღმოსავლეთ ევროპის ენერჯეტიკურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი (E5P)</b>						
2015	ენერჯეტიკურობა თბილისის სკოლებში	ინფორმაცია არ არის	ენერჯეტიკა	აღმოსავლეთ ევროპის ენერჯეტიკურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი (E5P)	22,891,800.00	გრანტი
				ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	53,414,200.00	სესხი
2016	თბილისის ავტობუსი	ინფორმაცია არ არის	ტრანსპორტი	აღმოსავლეთ ევროპის ენერჯეტიკურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი (E5P)	26,707,100.00	გრანტი
				ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	103,013,100.00	სესხი
2017	ენერჯეტიკურობა საქართველოს საჯარო შენობებში	ინფორმაცია არ არის	ენერჯეტიკა	აღმოსავლეთ ევროპის ენერჯეტიკურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი (E5P)	7,134,611.00	გრანტი
				სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	10,797,299.00	სესხი
2017	ბათუმის ავტობუსი	ინფორმაცია არ არის	ტრანსპორტი	აღმოსავლეთ ევროპის ენერჯეტიკურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი (E5P)	5,722,950.00	გრანტი
				ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	20,984,150.00	სესხი

დამტკიცება	პროექტის სახელწოდება	პროექტის ხანგრძლივობა	სექტორ(ებ)ი	დაფინანსების წყარო	უზრუნველყოფილი დაფინანსების ოდენობა (ლარი)	ფინანსური ინსტრუმენტი
2020	მაღალმთიანი რეგიონების საჯარო სკოლების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება	ინფორმაცია არ არის	ენერგეტიკა	აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი (E5P)	9,919,780.00	გრანტი
				სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	24,799,450.00	სესხი
<b>მდგრადი განვითარების ევროპული ფონდი (EFSD)</b>						
2017	აჭარა	ინფორმაცია არ არის	წყლის რესურსები	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)	28,080,608.00	გრანტი
2017	ენგურქესი	ინფორმაცია არ არის	წყლის რესურსები	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	28,042,455.00	გრანტი
2018	ენერგეტიკის სექტორის რეფორმა	ინფორმაცია არ არის	ენერგეტიკა	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)	33,574,640.00	არა-ფინანსური
2018	სახიფათო ნარჩენების მართვა	ინფორმაცია არ არის	ნარჩენების მართვა	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	31,819,602.00	გრანტი
2019	საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის პროგრამა	ინფორმაცია არ არის	ენერგეტიკა	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)	98,434,740.00	გრანტი
2019	ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების გაუმჯობესების პროექტი	ინფორმაცია არ არის	წყლის რესურსები, ნარჩენების მართვა	Alternative für Deutschland (AfD)	28,805,515.00	გრანტი
2019	ადგილობრივი ვალუტით დაკრედიტების ხელშეწყობა: მწვანე ზრდის ფონდის (GGF) "L აქციები" საქართველოსთვის	ინფორმაცია არ არის	ბიზნესის განვითარება	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)	38,534,530.00	კაპიტალური ინვესტიცია
<b>მწვანე ზრდის ფონდი (GGF)</b>						
2020	საქართველოში საყოფაცხოვრებო ტექნიკის განახლებული კვლევა	ინფორმაცია არ არის	ენერგეტიკა	მწვანე ზრდის ფონდი (GGF)	63,631.57	გრანტი
2021	ინოვაციური მწვანე სტარტაპების შესაძლებლობების გაზრდა და ხელშეწყობა	ინფორმაცია არ არის	ბიზნესის განვითარება	მწვანე ზრდის ფონდი (GGF)	95,382.50	გრანტი
2021	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების მნიშვნელობის შეფასება და გასაჯაროება	ინფორმაცია არ არის	ბიზნესის განვითარება	მწვანე ზრდის ფონდი (GGF)	192,329.27	გრანტი

## საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები არის ინსტიტუტები, რომლებიც დაარსებულია ერთზე მეტი ქვეყნის მიერ და, შესაბამისად, მათზე საერთაშორისო სამართლის ნორმები ვრცელდება. მათი მფლობელები ან აქციონერები ძირითადად ეროვნული მთავრობები არიან, რომლებიც გაერთიანებული არიან ფინანსური შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით.

განვითარების მრავალმხრივი ბანკები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების განსაკუთრებული ტიპის წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გლობალური ინსტიტუტები საკუთარი სპეციფიკისა და რეჟიმით მუშაობენ, ისინი მეტ-ნაკლებად ემსახურებიან ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას ფინანსური რესურსების მობილიზების, ტექნიკური, ინსტიტუციური და ინტელექტუალური შესაძლებლობების შექმნისა და შესაბამისად, გლობალურ, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე საზოგადოებრივი სარგებლის უზრუნველყოფის გზით. ამ ბანკებს, რომლებიც ბევრ ქვეყანაში მუშაობენ, შეუძლიათ საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე მოიძიონ რესურსები, რომლებსაც შემდეგ სესხის სახით წევრ ქვეყნებს კერძო ფინანსურ ბაზრებთან შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობებით აძლევენ. ისინი ასევე ახდენენ რესურსების მობილიზებას ოფიციალური წყაროებიდან, რომლებსაც ბენეფიციარ ქვეყნებს გადასცემენ.

ქვემოთ მოცემულია იმ ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და განვითარების ბანკების ჩამონათალი, რომლებიც აქტიურად აფინანსებენ საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პროექტებს:

- ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB).
- ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB).
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD).
- აზიის განვითარების ბანკი (ADB).
- შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB).
- სკანდინავიური საინვესტიციო ბანკი (NIB).
- სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია (NEFCO).
- სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD).
- მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

მსოფლიო ბანკის ჯგუფი არის მსოფლიოში განვითარების ერთ-ერთი უმსხვილესი მრავალმხრივი ბანკი, რომელიც განვითარებადი ქვეყნების დაფინანსებისა და ცოდნის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ეს არის უნიკალური გლობალური პარტნიორობა, რომელიც 189 წევრი ქვეყნისგან შედგება და რომელიც მუშაობს სიღარიბის შემცირებაზე, საერთო კეთილდღეობის გაზრდასა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ხუთი ინსტიტუტის მეშვეობით. ესენია:


- რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD).
- საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA).
- საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC).
- მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო (MIGA).
- საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი (ICSID).

როგორც ცხრილი 5-დან ჩანს, საქართველომ 2010 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან კლიმატთან დაკავშირებული პროექტების დაფინანსების სახით 28.36 მილიარდი ლარი მიიღო. ყველაზე მსხვილი წყაროა ევროპის საინვესტიციო ბანკი 9.39 მილიარდი ლარით (უზრუნველყოფილი ჯამური დაფინანსების 33%), მას მოსდევს აზიის განვითარების ბანკი 9.07 მილიარდი ლარით (უზრუნველყოფილი ჯამური დაფინანსების 32%). მნიშვნელოვანი მოცულობის დაფინანსება უზრუნველყო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა - 5.04 მილიარდი ლარი (უზრუნველყოფილი ჯამური დაფინანსების 18%) და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა (უზრუნველყოფილი ჯამური დაფინანსების 12%). დარჩენილი 5% უზრუნველყოფილი იყო ძირითადად მსოფლიო ბანკის ჯგუფის საერთაშორისო განვითარების ასოციაციისა და მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტოს მიერ. დაფინანსების დიდი ნაწილი მოხმარდა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ტრანსპორტის (53%) და ენერჯეტიკის (18%) სექტორებში, აგრეთვე სხვა ურბანული ინფრასტრუქტურასა და მომსახურებას, როგორცაა წყალმომარაგება და წყალარინება (19%). რამდენიმე პროექტი განხილვის პროცესშია IBRD-ისა და EIB-ის მიერ დასამტკიცებლად. მათი ღირებულება, შესაბამისად, 1.1 მილიარდ ლარს და 0.4 მილიარდ ლარს შეადგენს.

ცხრილი 6-ში მოცემულია დაფინანსების დინამიკა. საქართველოსთვის წლიურად გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა 1.2 მილიარდი ლარიდან 4.1 მილიარდ ლარამდე ფარგლებშია, და ზოგადად წლიდან წლამდე იზრდება. 2020 და 2021 წლებში ფიქსირდება კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების მნიშვნელოვანი შემცირება, რაც მსოფლიო მასშტაბით კოვიდ-19-ს პანდემიით გამოწვეული შეფერხებებით აიხსნება.

რაც შეეხება ფინანსური ინსტრუმენტების სახეებს, 2010-2022 წლებში კლიმატთან დაკავშირებული პროექტებისთვის გამოყოფილი დაფინანსების 97%-ზე მეტს სესხები წარმოადგენენ, დარჩენილი 3% არის გარანტიები, კაპიტალური ინვესტიციები და ტექნიკური დახმარება, როგორც ეს ნახ. 4-დან ჩანს.

**ნახაზი 4.** საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ფინანსური ინსტრუმენტები საქართველოში



ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობით და კლიმატის ცვლილების ფონდებიდან საქართველოსთვის ხელმისაწვდომ დაფინანსებასთან შედარებით, განვითარების მრავალმხრივი ბანკების მიერ საქართველოსთვის გაცემული სესხები ქვეყანაში კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და შერბილების პროექტების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს. ამ წყაროების მნიშვნელობა საქართველოსთვის მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება განვითარების მრავალმხრივი ბანკების მიერ დადებული იმ პირობის გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც 2023 წლისთვის მათ მიერ უზრუნველყოფილი დაფინანსება პარიზის შეთანხმებას უნდა შეესაბამებოდეს. 2015 წლის პარიზის შეთანხმებიდან ორი წლის შემდეგ, განვითარების მრავალმხრივმა ბანკებმა დადეს საკუთარი ფინანსური ნაკადების გლობალურ მიზნებთან შესაბამისობაში მიყვანის პირობა და შეთანხმდნენ შემდეგ ექვს მთავარ ელემენტზე დამყარებულ მიდგომაზე:

- შერბილების მიზნების შესაბამისი პრინციპების დანერგვა.
- ადაპტაციისა და კლიმატის მიმართ მდგრადი ოპერაციების შესაბამისი პრინციპების დანერგვა.

- კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების მასშტაბების გაზრდა შემდეგი მიდგომების დანერგვის გზით: i) კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების პრიორიტეტების და მიზნობრიობის განსაზღვრა და ანგარიშების მომზადება, ii) კერძო სექტორის ინვესტიციების მოზილევა, iii) შეღავათიანი ფინანსების ხელმისაწვდომობისა და კერძო კაპიტალის მოზიდვის მხარდაჭერა, და vi) კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა.
- დახმარება და მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებაში.
- კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დახასიათების, მონიტორინგისა და ანგარიშების ინსტრუმენტებისა და მეთოდების შემუშავება.
- შიდა ოპერაციების პარიზის შეთანხმების მიზნებთან შეთანხმება.

მხარეთა 26-ე კონფერენციაზე, რომელიც 2021 წლის ნოემბერში გლაზგოში ჩატარდა, განვითარების მრავალმხრივმა ბანკებმა დადეს პირობა, გააძლიერონ ძალისხმევა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციასა და შერბილებაზე გადასასვლელად, ორგანიზაციებსა და კოალიციებს შორის აქტიური კოორდინაციითა და პარტნიორული მიდგომით ქვეყნების საჭიროებებზე მორგებული ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის გზით. კერძოდ, ამ ბანკებმა დადეს პირობა<sup>5</sup>:

- გაზარდონ კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ნაკადები და გაზარდონ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ საბრძოლველად მოზილებული კერძო კაპიტალის მოცულობა საინვესტიციო საშუალებებისა და შერეული ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით.
- ხელი შეუწყონ ბუნებრივ კაპიტალს, ბიომრავალფეროვნებას, ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, გენდერული თვალსაზრისით გონივრულ გადაწყვეტილებებსა და სამართლიან განვითარებას.
- შეიმუშაონ პოლიტიკური დაკრედიტების მიდგომები.
- გააძლიერონ ქალაქების დაფინანსება ადგილობრივ დონეზე კლიმატთან დაკავშირებული პროექტების განსახორციელებლად.
- უზრუნველყონ ნახშირბადის ისეთი სატარიფო ინსტრუმენტების შემუშავება, პილოტირება და დანერგვა, როგორცაა ნახშირბადის გადასახადები და წიაღისეული საწვავის სუბსიდირების შემცირება.
- ხელი შეუწყონ დაბალნახშირბადიან და მდგრად განვითარებაზე სწრაფად გადასვლის გეგმების შემუშავებას.


2021 წლის ივნისში მსოფლიო ბანკის ჯგუფმა გამოაქვეყნა 2021-2025 წწ. კლიმატის ცვლილების ახალი სამოქმედო გეგმა<sup>6</sup>, რომელიც მიზნად ისახავს, ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, უზრუნველყოს დაფინანსების რეკორდული დონით კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციისათვის, ფინანსური ნაკადების პარიზის

5 კოლექტიური ამბიცია კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში - მრავალმხრივი ბანკების ერთობლივი განცხადება მხარეთა 26-ე კონფერენციაზე: <https://thedocs.worldbank.org/en/doc/8b63ef9b-33c96b80138ac1b1528bd65e-0020012021/original/COP26-Joint-MDB-Climate-Ambition-Statement.pdf>

6 მსოფლიო ბანკის ჯგუფი აძლიერებს განვითარებადი ქვეყნების მხარდაჭერას კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში: <https://www.worldbank.org/en/news/press-release/2021/06/22/world-bank-group-increases-support-for-climate-action-in-developing-countries>

შეთანხმებასთან შესაბამისობაში მოყვანითა და ამავდროულად კოვიდ-19-ით გამოწვეული პრობლემების გამოსწორების მდგრადი გზების მოძიებით. ამ გეგმის ფარგლებში, IBRD და IDA-ს ოპერაციები პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობაში 2023 წლის ივლისისთვის იქნება მოყვანილი, ხოლო IFC და MIGA-ს ოპერაციები კერძო სექტორისთვის 2023 წლის ივლისისთვის პარიზის შეთანხმების შესაბამისი 85%-ით, ხოლო 2025 წლისთვის 100%-ით იქნება. გეგმის თანახმად, კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსება 2025 წლისთვის 35%-ით გაიზრდება, საიდანაც სულ მცირე 50% ადაპტაციის ინიციატივებს მოხმარდება.

**ცხრილი 5.** 2010-2022 წლებში საქართველოსთვის გამოყოფილი დაფინანსების ჯამური რაოდენობა სექტორებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიხედვით (ათასი ლარი)




საერთ. საფინანსო ინსტიტუტი	IBRD	IDA	MIGA	EIB	CEB
 სოფლის მეურნეობა	25,631	161,080	0	381,530	0
 ბიომრავალფეროვნება	0	0	0	0	0
 შენობები	0	0	0	0	0
 ბიზნესის განვითარება	34,387	0	0	101,869	0
 ჯანმრთელობა	32,216	257,728	0	0	0
 კატასტროფების რისკის შემცირება	0	0	0	0	0
 განათლება	538,442	90,205	0	0	0
 ენერჯეტიკა	491,365	0	202,961	1,367,785	53,414
 სატყეო სექტორი	0	0	0	0	0
 მრეწველობა	75,385	193,296	0	0	0
 მართვა	184,179	0	0	0	0
 ტრანსპორტი	1,394,308	267,393	0	5,853,433	0
 ტურიზმი	0	0	0	0	0
 ურბანული ინფრასტრუქტურა	660,705	133,696	0	892,780	0
 ნარჩენების მართვა	0	0	0	488,358	0
 წყლის რესურსები	0	0	0	305,224	0
<b>სულ</b>	<b>3,436,619</b>	<b>1,103,398</b>	<b>202,961</b>	<b>9,390,979</b>	<b>53,414</b>

საერთ. საფინანსო ინსტიტუტი	EBRD	NEFCO	ADB	IFAD	სულ
 სოფლის მეურნეობა	152,612	0	0	58,247	779,100
 ბიომრავალფეროვნება	0	0	0	0	0
 შენობები	152,612	0	0	0	152,612
 ბიზნესის განვითარება	133,536	0	0	0	269,791
 ჯანმრთელობა	0	0	0	0	289,944
 კატასტროფების რისკის შემცირება	0	0	0	0	0
 განათლება	0	0	0	0	628,647
 ენერჯეტიკა	2,110,070	10,797	728,887	0	4,965,279
 სატყეო სექტორი	0	0	0	0	0
 მრეწველობა	499,348	0	0	0	768,029
 მართვა	0	0	8,859	0	193,038
 ტრანსპორტი	1,800,407	0	5,664,894	0	1,4980,435
 ტურიზმი	0	0	0	0	0
 ურბანული ინფრასტრუქტურა	0	0	833,508	0	2,520,690
 ნარჩენების მართვა	189,353	0	0	0	677,712
 წყლის რესურსები	0	0	1,829,023	0	2,134,247
<b>სულ</b>	<b>5,037,938</b>	<b>10,797</b>	<b>9,065,172</b>	<b>58,247</b>	<b>28,359,525</b>

**ცხრილი 6.** 2010-2022 წლებში საქართველოსთვის გამოყოფილი დაფინანსების წლიური რაოდენობა სექტორებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიხედვით (ათასი ლარი)

**2010-2022 წლებში საქართველოსთვის გამოყოფილი დაფინანსების წლიური რაოდენობა სექტორებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიხედვით (ათასი ლარი)**

2010-2022 წლებში საქართველოსთვის გამოყოფილი დაფინანსების წლიური რაოდენობა (ათასი ლარი)



საერთ. საფინანსო ინსტიტუტი	IBRD	IDA	MIGA	EIB	CEB	EBRD	NEFCO	ADB	IFAD	სულ
2010	140,14	165,912	0	681,031	0	95,383	0	1,018,710	0	2,101,176
2011	0	128,864	0	102,632	0	396,183	0	579,888	0	1,207,567
2012	289,944	557,337	0	209,842	0	22,551	0	363,686	0	1,443,360
2013	225,512	90,205	0	0	0	179,319	0	554,115	0	1,049,151
2014	757,076	161,08	0	0	0	843,074	0	589,553	44,458	2,395,241
2015	837,616	0	202,961	587,556	0	924,599	0	306,052	0	2,858,784
2016	233,244	0	0	3,052,240	53,414	158,885	0	325,382	0	3,823,165
2017	178,154	0	0	473,097	0	193,995	10,797	670,963	0	1,527,006
2018	0	0	0	1,987,771	0	162,735	0	971,957	13,788	3,136,251
2019	314,612	0	0	953,825	0	566,191	0	2,300,786	0	4,135,413
2020	89,277	0	0	316,67	0	682,939	0	608,963	0	1,697,849
2021	19,89	0	0	1,026,316	0	659,473	0	775,117	0	2,480,795
2022	351,154	0	0	0	0	152,612	0	0	0	503,766
სულ უზრუნველყოფილი	3,436,619	1,103,398	202,961	9,390,979	53,414	5,037,938	10,797	9,065,172	58,247	28,359,525
დამტკიცების პროცესში	1,127,560	0	0	431,129	0	0	0	0	0	1,558,689

## განვითარების მრავალმხრივი პარტნიორები

კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების წყაროები პასუხისმგებელი არიან კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული, მათი კრიტერიუმების შესაბამისად შერჩეული და დამტკიცებული პროექტებისა და პროგრამებისთვის ფინანსური რესურსების უზრუნველყოფაზე. ეს სახსრები მიმღებ ქვეყანას მიეწოდება თითოეული პროექტის ან პროგრამის სხვადასხვა ეროვნული, რეგიონული თუ საერთაშორისო განმახორციელებელი სააგენტოების მეშვეობით. განმახორციელებელი სააგენტოები პასუხისმგებელი არიან კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროექტების შესყიდვასა და ზედამხედველობაზე და დაფინანსების მიმწოდებლის მიერ გამოყოფილი დაფინანსების მართვაზე პროექტის მიზნების მისაღწევად მათი სათანადოდ მობილიზების უზრუნველსაყოფად.

საერთაშორისო დონეზე კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსება საქართველოს განვითარების სხვადასხვა მრავალმხრივი პარტნიორების, განსაკუთრებით გაეროს შემდეგი სააგენტოების მეშვეობით მიეწოდება:

- ▶ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).
- ▶ გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP).
- ▶ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).
- ▶ გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO).

ქვეყანაში კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების მოზიდვაში ასევე მონაწილეობენ მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია (WMO), ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) და ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUCN).

მრავალმხრივი განვითარების ბანკები სპეციალური პროგრამების ფარგლებში საქართველოსთვის კლიმატთან დაკავშირებულ დაფინანსებას ისეთი სხვადასხვა წყაროებიდან აგროვებენ, როგორცაა კლიმატის სპეციალური ფონდები, სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, აგრეთვე ODA ქვეყნების თანამშრომლობის საშუალებით. საკუთარი სახსრებით სესხებისა და გრანტების გაცემის გარდა, მაგალითად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოში კლიმატთან დაკავშირებულ დაფინანსებას მწვანე კლიმატის ფონდიდან და ევროკავშირიდან, როგორც მწვანე ქალაქების პროგრამის განმახორციელებელის სააგენტოდანაც, მიმართავს.

რაც შეეხება ეროვნულ დონეს, სს თიბისი ბანკს პირდაპირი წვდომა აქვს მწვანე კლიმატის ფონდზე ფონდში აკრედიტაციის შედეგად. ეს ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია GCF-ის რესურსების პირდაპირ საქართველოსთვის გამოყოფა, რომელთა მართვას უზრუნველყოფს სს თიბისი ბანკი GCF-ის შესაბამისი პროექტისთვის შესყიდვის, განხორციელებისა და ზედამხედველობის მიზნით.

## UNFCCC-ის კლიმატის ცვლილების მექანიზმები

საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა შერბილების რამდენიმე პროექტი და პროგრამა ხორციელდება UNFCCC-ის კლიმატის ცვლილების მექანიზმებით, მათ შორის ეროვნულ დონეზე მისაღები შემარბილებელი ღონისძიებები (NAMA-ები), გამჭვირვალობისათვის შესაძლებლობების გაძლიერების ინიციატივის (CBIT) პროექტები, სუფთა განვითარების მექანიზმების (CDM) პროექტები, და REDD+ პროგრამა.

**ეროვნულ დონეზე მისაღები შემარბილებელი ღონისძიებები (NAMA-ები)** არის ეროვნული მთავრობების ეგდით შემუშავებული კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც მიმართულია განვითარებად ქვეყნებში ემისიების 2020 წლის „ჩვეულებრივი“ დონის შესამცირებლად კონკრეტულ ან სხვადასხვა სექტორებში ტრანსფორმაციული ცვლილებების განხორციელების გზით. NAMA-ს რეესტრი არის საჯაროდ ხელმისაწვდომი ონლაინ პლატფორმა, რომელსაც მართავს UNFCCC-ის სამდივნო და რომელიც განვითარებად ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას, მოიძიონ ფინანსური, შესაძლებლობების გაძლიერების ან/და ტექნოლოგიური მხარდაჭერა დანართი I მხარეებისა და ორგანიზაციებისგან NAMA-ების შემუშავების, ან განხორციელებისათვის.

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს სამი NAMA ცდილობს მხარდაჭერის მოძიებას NAMA-ს რეესტრის საშუალებით. მაგრამ ქვეყანას აქვს სერიოზული პრობლემები NAMA-ების შემუშავებისა და განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური კაპიტალის მობილიზების კუთხით. ამჟამად ავსტრიიდან მიღებული ორმხრივი დაფინანსებით, უფრო ზუსტად 5,722,950.00 ლარის ოდენობის გრანტით ხორციელდება მხოლოდ ერთი NAMA „ბორჯომი-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის ადაპტაციური მდგრადი მართვა“. მიუხედავად ამისა, ამ პროექტის განსახორციელებლად დამატებით საჭიროა 1,907,650.00 ლარი, რომლის მოძიებასაც საქართველო NAMA-ს რეესტრის საშუალებით ცდილობს.

საქართველოს ორი სხვა NAMA შეჩერებულია, ვინაიდან ქვეყანამ მათ განსახორციელებლად საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფა ვერ მოახერხა, ძირითადად, შემდეგი მიზეზების გამო:<sup>7</sup>

- NAMA-ს მექანიზმში განაცხადის შეტანის მომენტში დეტალური ბიზნეს გეგმის არწარდგენა: დაფინანსების პოტენციური წყაროებს არ წარედგინათ ზუსტი და გამჭვირვალე ბიზნეს გეგმა, რამაც საქართველოში საინვესტიციო რისკი გაზარდა.
- NAMA-ს განხორციელებისთვის მხარდაჭერის მიღებისა და გამოყენების ფინანსური ასპექტების განმსაზღვრელი მკაფიო წესების არარსებობა: არ არსებობს საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს i) საქართველოში NAMA-ს მხარდაჭერის მიმღებ სუბიექტებს; ii) როგორ განახორციელებენ ეს სუბიექტები სახსრების მართვას და ბენეფიციარებისათვის მათ განაწილებას NAMA-ს მიზნების შესაბამისად; და iii) როგორ უნდა მოხდეს დონორებისთვის NAMA-ს ფინანსური ნაკადების შესახებ ანგარიშების წარდგენა გამჭვირვალე ფორმით.

7 ისსაკა ს.ა., 2021. შეფერხებები ეროვნულ დონეზე მისაღები შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებაში. ეთიოპიის, საქართველოსა და ინდონეზიის NAMA-ების მაგალითები. Quaestiones Geographicae 40(3), Bogucki Wydawnictwo Naukowe, Poznań, გვ. 33-44.

- NAMA-ს მომზადებისა და განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური ცოდნის ნაკლებობა: საქართველოს არ აქვს NAMA-ს სათანადო საპროექტო წინადადებების მოსამზადებლად საჭირო ტექნიკური ცოდნა და აქტიურად ცდილობს დონორთა მხარდაჭერის მოძიებას NAMA-ს განსახორციელებლად. ამასთან, საქართველო NAMA-ს საპროექტო წინადადებების მოსამზადებლად დახმარებას არ ითხოვს. მაგალითად, გერმანიის გარემოს დაცვის, ბუნების დაცვის და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტრო საქართველოს დაეხმარა NAMA-ს “ბიომასის ეფექტიანი გამოყენება სოფლად თანასწორი, კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი და მდგრადი განვითარებისათვის” საპროექტო წინადადების მომზადებაში. აღნიშნული დახმარება უზრუნველყოფილი იქნა კლიმატის საერთაშორისო ინიციატივის (IKI) Mitigation Momentum II-ის პროექტის ფარგლებში.
- ეროვნულ დონეზე კოორდინაციის არარსებობა: NAMA-ს “საქართველოს საჯარო შენობების ენერგოეფექტური მოდერნიზაცია” პრობლემას უქმნის საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც შეუთავსებელია NAMA-ს ცალკეულ მიმართულებებთან და აფერხებს მათ განხორციელებას. მეორე მხრივ, NAMA-ს “ბიომასის ეფექტიანი გამოყენება სოფლად თანასწორი, კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი და მდგრადი განვითარებისათვის” პრობლემას უქმნის საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და ენერგეტიკის სამინისტროს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის არარსებობა. ეს ორივე სამინისტრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს NAMA-ს განხორციელებაში. თუმცა, მათი განსხვავებული პრიორიტეტები განახლებად ენერჯისთან დაკავშირებით აფერხებს NAMA-ს განხორციელებისთვის საჭირო რესურსების მოძიებას. გარემოს დაცვის სამინისტრო პრიორიტეტს ანიჭებს განახლებადი ენერჯის მცირემასშტაბიან პროექტებს, ხოლო ენერგეტიკის სამინისტრო - მასშტაბურ ჰიდროენერგეტიკულ პროექტებს.

**ცხრილი 7.** საქართველოს NAMA-ები, რომლებსაც სჭირდებათ მხარდაჭერა განხორციელებისათვის

NAMA-ს სახელწოდება	დაწყების სავარაუდო დრო	განხორციელების მდგომარეობა	ღირებულება	სექტორი	განხორციელებისთვის მიღებული მხარდაჭერა
ბორჯომი-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის ადაპტაციური მდგრადი მართვა	2014	განხორციელების პროცესში - დამატებითი მხარდაჭერის ძიება	7,630,600.00 ლარი	სატყეო სექტორი	2014 წელს ავსტრიის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის, გარემოს დაცვისა და წყალმომარაგების სამინისტრომ საქართველოს, NAMA-ს განსახორციელებლად, NAMA-ს რეესტრის საშუალებით გამოუყო 5,722,950.00 ლარის ოდენობის გრანტი.
ბიომასის ეფექტიანი გამოყენება სოფლად თანასწორი, კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი და მდგრადი განვითარებისათვის	2016	შეჩერებული - მხარდაჭერის ძიება განხორციელების დასაწყებად	48,454,310.00 ლარი	ენერგეტიკა	საქართველოს ჯერ არ მიუღია მხარდაჭერა NAMA-ს რეესტრის საშუალები ამ NAMA-ს განსახორციელებლად.
საქართველოს საჯარო შენობების ენერგოეფექტური მოდერნიზაცია	2016	შეჩერებული - მხარდაჭერის ძიება განხორციელების დასაწყებად	72,109,170.00 ლარი	ენერგეტიკა	საქართველოს ჯერ არ მიუღია მხარდაჭერა NAMA-ს რეესტრის საშუალები ამ NAMA-ს განსახორციელებლად.

**შესაძლებლობების გაძლიერების ინიციატივა გამჭვირვალობისათვის (CBIT)** არის სპეციალური ინიციატივა, რომელიც შეიქმნა მოთხოვნის საფუძველზე განვითარებადი ქვეყნების - მხარეების მხარდასაჭერად მათთვის საჭირო შესაძლებლობების მოპოვებაში პარიზის შეთანხმების მე-13 მუხლით განსაზღვრული გაძლიერებული გამჭვირვალობის ჩარჩოს MRV-ის მოთხოვნების შესასრულებლად. 2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, CBIT-ის პროექტების პორტფელი შედგება 81 პროექტისაგან 130.0 მილიონ აშშ დოლარის ჯამური ღირებულებით. დაფინანსება უზრუნველყოფილია CBIT-ის სატრასტო ფონდის საშუალებით, რომელსაც GEF მართავს. ამჟამად საქართველოში UNEP-ისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლობით ხორციელდება CBIT-ის პროექტი „პარიზის შეთანხმების განხორციელების გამჭვირვალობის ინტეგრირებული ჩარჩო“. 2019 წლის სექტემბრიდან 2023 მარტამდე GEF-მა გამოყო 1 მილიონ აშშ დოლარის ოდენობის გრანტი მონაცემთა შეგროვებისა და მართვის, ემისიის ფაქტორების, სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაციის, საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების, ინსტიტუციური ღონისძიებებისა და NDC-ის შესრულების კონტროლის გასაუმჯობესებლად.

**სუფთა განვითარების მექანიზმის (CDM)** შერბილების პროექტების განხორციელებით განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ გამოიმუშაონ ემისიების შემცირების სერტიფიცირებული კრედიტები. მათ შეუძლიათ ეს კრედიტები მიჰყიდონ განვითარებულ ქვეყნებს კიოტოს ოქმის ფარგლებში ემისიების შემცირების მიზნების ნაწილის შესასრულებლად. ასეთი კრედიტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის სულ მცირე 2% ადაპტაციის ფონდის (AF) დაფინანსებას ხმარდება. საქართველოს აქვს სულ შვიდი რეგისტრირებული CDM პროექტი, რომლებიც მოცემულია ცხრილში:

**ცხრილი 8.** საქართველოში მიმდინარე სუფთა განვითარების მექანიზმის პროექტები

პროექტის სახელწოდება	ემისიების შემცირების სერტიფიცირებული კრედიტები			
	რეგისტრაციის წელი	მოქმედების ვადა	სექტორი	ემისიების შემცირება (ტონა CO <sub>2</sub> eq/წელი)
თბილისის ნაგავსაყრელზე აირების შეგროვებისა და ელექტროენერჯის გამომუშავების პროექტი	2007	2008-2015	2C 2E	72,700
ყაზრანსგაზ-თბილისის გაზგამანაწილებელი სისტემის მიწისზედა გამანაწილებელი მოწყობილობებიდან გაზის გაუონვის შემცირება	2009	2009-2019	2E	339,197
სოკარ ჯორჯია გაზის გაზგამანაწილებელი სისტემის მიწისზედა გამანაწილებელი მოწყობილობებიდან გაზის გაუონვის შემცირება	2012	2012-2022	2E	173,651
ენგურჰესის რეაბილიტაცია	2012	2013-2022	2E	581,715

პროექტის სახელწოდება	ემისიების შემცირების სერტიფიცირებული კრედიტები			
	რეგისტრაციის წელი	მოქმედების ვადა	სექტორი	ემისიების შემცირება (ტონა CO <sub>2</sub> eq/წელი)
აჭარისწყლის ჰესის პროექტი	2012	2016-2023	ენერჯის გენერაცია და გადაცემა	391,956
გუდაურის მცირე ჰესის პროექტი	2012	2013-2020	ენერჯის გენერაცია და გადაცემა	22,891
დარიალის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი	2013	2016-2026	ენერჯის გენერაცია და გადაცემა	259,229

## 1.2 კლიმატთან დაკავშირებული ეროვნული დაფინანსება

საქართველომ უზრუნველყო ქვეყანაში კლიმატთან დაკავშირებული რამდენიმე პროექტის დაფინანსება და თანადაფინანსება ქვეყნის საბიუჯეტო სისტემიდან მოპოვებული შიდა ეროვნული რესურსებით. საქართველომ ასევე შექმნა მექანიზმები და პოლიტიკური ჩარჩოები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების სახელმწიფო და კერძო დაფინანსების მოზილიზების ხელშესაწყობად, მათ შორის მდგრადი განვითარების ფონდების დაარსებისა და კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვის გზით.

### ეროვნული ასიგნებები კლიმატთან დაკავშირებული პროექტებისთვის

რაც შეეხება კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსებას, შიდა დაფინანსება ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე ადგილობრივი და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებიდან ხორციელდება. ამ პროცესს კოორდინირებას ფინანსთა სამინისტრო უწევს. თუმცა, მსხვილი განმახორციელებელი სუბიექტები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შედიან.

ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია საქართველოს ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებაზე. ის უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან განაწილებას ეროვნული პოლიტიკისა და მდგრადი განვითარების ევროპული და გლობალური მიზნების მიღწევის მისწრაფებების შესაბამისად. საქართველოს სახელმწიფო ადგენს კონკრეტულ გეგმას, თუ როგორ უნდა მოიპოვოს მთავრობამ დაფინანსება, აგრეთვე განასაზღვრავს იმ რესურსების ტიპსა და რაოდენობას, რომლებიც საჭიროა მისი ვალდებულებების შესასრულებლად. 2022 წლის მიმდინარე ბიუჯეტი კონცენტრირებულია შემდეგ თორმეტ პრიორიტეტულ სფეროზე<sup>8</sup>:

8 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (2021). კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. მოქალაქის გზამკვლევი.

1. ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.
3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი.
4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება.
5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.
6. ინსტიტუციური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა.
7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა.
8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი.
9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია.
10. სოფლის მეურნეობა.
11. სასამართლო სისტემა.
12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა.

სახელმწიფო ბიუჯეტში კლიმატის ცვლილება არ არის განსაზღვრული, როგორც ცალკე პრიორიტეტი ან სამოქმედო მიმართულება. თუმცა, ის გათვალისწინებულია ბიუჯეტის თორმეტ პრიორიტეტულ მიმართულებაში. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებში კლიმატის ცვლილებასთან ყველაზე აშკარა კავშირი შემდეგ სფეროებში იკვეთება:

#### **პრიორიტეტული მიმართულება 10 – სოფლის მეურნეობა:**

- აქცენტი გაკეთდება გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელებასა და ბიოწარმოების განვითარების ხელშეწყობაზე.
- აკვაკულტურის, მარიკულტურისა და მდგრადი მეთევზეობის დანერგვის ხელშეწყობა.

#### **პრიორიტეტული მიმართულება 12 – გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა:**

- გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს.
- მწვანე კლიმატის ფონდის პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდება ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი.
- გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება.
- განვითარდება ტყით მრავალმიზნობრივი სარგებლობა, რაც შექმნის დამატებით ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს.
- დაარსდება ახალი დაცული ტერიტორიები და გაფართოვდება ზოგიერთი არსებული დაცული ტერიტორია, შეიქმნება ახალი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა.
- გაგრძელდება გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება.

- გაძლიერდება ტყის რესურსების კონტროლი.
- გაუმჯობესდება ნარჩენების შეგროვებისა და მართვის სისტემა.

საქართველოს ეროვნული ხარჯების<sup>9</sup> მონიტორინგი ხორციელდება ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget) მეშვეობით. საქართველოს სხვადასხვა დარგობრივი სამინისტროები წარადგენენ საბიუჯეტო ინფორმაციას საკუთარი პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, აგრეთვე შესაბამის შედეგებსა და შესრულების ინდიკატორებს. ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა ახდენს საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიცირებას ეკონომიკური კლასიფიკაციის, ფუნქციური კლასიფიკაციისა და პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით. თუმცა, სისტემა იღებს მცირე რაოდენობის ინფორმაციას არაერთგვაროვანი გზით, ვინაიდან დარგობრივი სამინისტროები მას განსხვავებულ და ერთმანეთთან არათავსებად მონაცემებს აწვდიან.

იმის გამო, რომ არც სახელმწიფო ბიუჯეტს და არც ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემას კლიმატის ცვლილების კონკრეტული კომპონენტი არ გააჩნია, სახელმწიფო რესურსების გამოყოფისა და კლიმატის ცვლილების ხარჯების კონტროლი ქვეყანაში ძალიან რთულია. 2022 წლის მდგომარეობით, კლიმატის ცვლილების ღონისძიებების ბიუჯეტი ცალკე არ მზადდება და ინფორმაცია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების კონკრეტული ხარჯებზე არ არსებობს.

საქართველო მწვანე ბიუჯეტის სისტემის მიღებას აპირებს<sup>10</sup>. მწვანე ბიუჯეტი არის საქართველოს პარლამენტისთვის სარეკომენდაციო ძალის მქონე სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის მიზანიცაა შესაბამისობაში მოიყვანოს მოცემული წლის ბიუჯეტი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დარგში განსახორციელებელ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ რეფორმებთან. მწვანე ბიუჯეტის მიღების შემთხვევაში ყველა სახელმწიფო ორგანო, თუ დაწესებულება ვალდებული იქნება, ცალკე წარმოადგინოს ანგარიშები იმ პროგრამებისა ან ღონისძიებების შესახებ, რომლებიც „მწვანედ“ შეიძლება ჩაითვალოს. ის მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი ხარჯების არასისტემური დასაბუთების, შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებს შორის სუსტი კავშირების, აგრეთვე საბიუჯეტო პროცესში არასაკმარისი უწყებათაშორისი თანამშრომლობის პრობლემების მოგვარებას მდგრადი განვითარების საერთო, დარგთაშორისი მიზნების მისაღწევად. მწვანე ბიუჯეტირება ასევე მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების ფაქტორების გათვალისწინებით ხარჯების პრიორიტეტიზაციის ხელშეწყობას.

ეროვნულ ხარჯებსა და ბიუჯეტის დაგეგმვაში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების იდენტიფიცირების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტი კლიმატის ცვლილების კომპონენტის მწვანე ბიუჯეტის სისტემაში ჩართვის წინადადებით გამოვიდა. გარემოს დაცვის კომიტეტის ეს რეკომენდაცია შეიძლება გახდეს კლიმატთან დაკავშირებული ისეთი მარკერების დანერგვის საფუძველი, რომელიც სამინისტროებს მისცემს შესაძლებლობას, ცალკე გამოყოფონ და მიუთითონ კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებები.

9 ქვეყნის ეროვნული ხარჯები შედგება კაპიტალის ფორმირებისა და მოხმარებისგან.

10 საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი (2021). მწვანე ბიუჯეტის პროექტი: [http://environment.cenn.org/app/uploads/2021/02/EN\\_Green\\_Budget\\_A4\\_Print.pdf](http://environment.cenn.org/app/uploads/2021/02/EN_Green_Budget_A4_Print.pdf)

თუმცა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებული ვითარება 2023 წლიდან შეიცვლება. 2022 წლის 25 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის #88 დადგენილება 2023 - 2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მხარჯავ დაწესებულებებს ურჩევს, კლასიფიკატორის მეშვეობით (მდგრადი განვითარების მიზნები, გენდერი, კლიმატის ცვლილება და, სხვ.) ელექტრონული ბიუჯეტის სისტემაში ნებაყოფლობით განსაზღვრონ პროგრამის პოლიტიკური სფერო, დაადგინონ შესრულების შესაბამისი ინდიკატორები კლიმატის პოლიტიკის სფეროში და მოკლედ აღწერონ, თუ როგორ არის პროგრამა/ღონისძიებები დაკავშირებული კლიმატის ცვლილებასთან. ეს არის არა კანონის მოთხოვნა, არამედ არასავალდებულო შესაძლებლობა მხარჯავი დაწესებულებებისათვის, წარმოადგინონ ამ სახის ინფორმაცია და შესაბამისად, ის არ წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების მართვაში კლიმატის ცვლილების მიმართულების სრულყოფილად ინტეგრაციის საშუალებას, თუმცა ის შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც პირველი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბიუჯეტის შექმნის მიმართულებით და მნიშვნელოვანი ეტაპი ბიუჯეტირების სისტემაში კლიმატის ცვლილების საკითხების ინტეგრაციისთვის.

სუბეროვნულ დონეზე, თვითმმართველ ქალაქებს, როგორცაა თბილისი და ბათუმი, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებები გათვალისწინებული აქვთ მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის, ხარჯვისა და მონიტორინგის პროცესში, თუმცა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების პირდაპირი სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯების სისტემა არ არსებობს. ამ თვითმმართველმა ქალაქებმა, სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად, გამოთქვეს მერების შეთანხმებაში მონაწილეობისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში საკუთარი წვლილის შეტანის სურვილი. თუმცა, ამ მუნიციპალიტეტებს ადგილობრივი გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების დროს სერიოზული ფინანსური პრობლემები ექმნებათ. ამ ქალაქებმა უნდა შეიმუშაონ მწვანე ბიუჯეტირების სისტემა, რომელშიც კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებები და პროექტები ცალკე იქნება მონიშნული. ის ხელს შეუწყობს კლიმატთან დაკავშირებული პროექტებისა და პროგრამების შემუშავებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან მათთვის ასიგნებების გამოყოფის გაადვილების გზით და ამავე დროს გააადვილებს ადგილობრივ დონეზე კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ნაკადების კონტროლს.

## **კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების ხელშემწყობი ფონდები**

საქართველოში არ არსებობს სპეციალური ფონდი, რომელიც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას. თუმცა, განიხილება შესაბამისი პარტნიორების მიერ ასეთი ფონდის შექმნის შესაძლებლობა.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე სახელმწიფო ფონდი ეროვნულ და საერთაშორისო დაფინანსებას მდგრადი განვითარების პროექტებისკენ მიმართავს, თუმცა ეს პროექტები კონკრეტულად კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციაზე და/ან შერბილებაზე არ არის ორიენტირებული. ამ ფონდების დახასიათება ქვემოთ არის მოცემული.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფონდებს მწვანე საინვესტიციო პორტფელი არ აქვთ და პროექტებს კლიმატთან დაკავშირებულ ან მდგრადი განვითარების მიზნებში მათი წვლილის მიხედვით ცალკე არ გამოყოფენ. საქართველოს ფონდებისთვის ასეთი პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების გარემოს გაუმჯობესებას.

## საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი (GEDF):

GEDF არის სახელმწიფოს მიერ 2010 წელს დაარსებული და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მართვის ქვეშ მყოფი სააქციო საზოგადოება. მისი მისიაა ხელი შეუწყოს ქვეყნის ენერჯეტიკული პოტენციალის რეალიზაციას შესაბამისი ფონდების მოძიების, პროექტების განვითარებისა და მათი ეფექტიანი განხორციელების გზით. მიუხედავად იმისა, რომ ფონდს ცალსახად არ აქვს გაცხადებული საკუთარი საქმიანობის კავშირი კლიმატის ცვლილებასთან, ფონდის ყველა საინვესტიციო საქმიანობას, ენერჯის განახლებად წყაროებზე გადასვლის ხელშეწყობის გზით, საკუთარი წვლილი შეაქვს ქვეყნის კლიმატის ცვლილების შერბილებისკენ მიმართულ ძალისხმევაში.

GEDF-ის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს განახლებადი ენერჯის წყაროების პერსპექტიული პროექტების მოძიება და განვითარების ხელშეწყობა, კერძოდ, წინასწარი კვლევითი სამუშაოების ჩატარება, პროექტების წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება და პროექტების გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასება. GEDF ასევე იძიებს ინვესტორებს ამ პროექტებისთვის, ამავდროულად ხელს უწყობს საერთაშორისო ინსტიტუტებსა და ფონდებთან, აგრეთვე კერძო წყაროებთან საგრანტო და სასესხო ხელშეკრულებების დადებას.

განახლებადი ენერჯის პროექტებზე GEDF მუშაობს გარანტირებულ ინვესტორებთან ერთად საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) ხელშეკრულებების ფარგლებში და ჩართულობის სხვადასხვა ხარისხით, მათ შორის პროექტის სხვადასხვა ეტაპზე, ძირითადად, ექსპლუატაციაში შესვლის დროს პროექტიდან გამოსვლის შესაძლებლობით, თითოეულ კონკრეტულ პროექტზე ხელმოწერილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ინვესტორები პასუხისმგებელი არიან მშენებლობის ყველა საჭირო დოკუმენტის მომზადებაზე, სამშენებლო ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვებაზე, საინჟინრო პროექტის მომზადებაზე, მშენებლობასა და ობიექტის ექსპლუატაციაში შეყვანაზე.

GEDF აფინანსებს ამ საპროექტო წინადადების შემუშავებისა და მომზადების საწყის ხარჯებს. პროექტის განხორციელების ფაზაში GEDF კაპიტალურ ინვესტიციებს არ ახორციელებს.

GEDF-მა მოამზადა განახლებადი ენერჯის შესახებ ინვესტორთა გზამკვლევი<sup>11</sup>, რომელშიც განმარტებულია GEDF-ის მეშვეობით საქართველოში განახლებადი ენერჯის პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელი ეტაპები და ჩამოთვლილია შესაბამისი კანონები, ნებართვები, ვადები, მოსაკრებლები და პროცედურები.

ცხრილში წარმოდგენილია 2010 წლიდან დღემდე GEDF-ის განახლებადი ენერჯის პროექტების პორტფელი.

11 <https://vre.gedf.com.ge/en/about-us>

**ცხრილი 9.** საქართველოში GEDF-ის განახლებადი ენერჯის პროექტების პორტფელი

პროექტის სახელწოდება	განახლებადი ენერჯის სიმძლავრე	დაწყების წელი	GEDF-ის ინვესტიცია
ნამახვანის ჰესების კასკადი	433 MW	2016	20,994,920.00 ლარი
ჩორდულას ჰიდროელექტროსადგური	1.97 MW	2018	ინფორმაცია არ არის
ტორბილა ჰიდროელექტროსადგურის პროექტი	1.07 MW	2017	6,765,360.00 ლარი
ენგურის ტურისტული ცენტრი	ინფორმაცია არ არის	ინფორმაცია არ არის	ინფორმაცია არ არის
ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური	11.79 მგვტ	ინფორმაცია არ არის	ინფორმაცია არ არის
დარიალი ენერჯი	108 მგვტ	2016	402,700,000.00 ლარი
ლოპოტას ჰიდროელექტროსადგური	6 მგვტ	2014	26,283,504.14 ლარი
სუფსის ჰიდროელექტროსადგური	8.4 მგვტ	2014	418,821,041.04 ლარი
ყვირილას ჰიდროელექტროსადგური	6.6 მგვტ	2014	42,525,120.00 ლარი
რუისის ქარის ელექტროსადგური	12.6 მგვტ	2019	48,324,000.00 ლარი
ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური	50 მგვტ	2017	193,296,000.00 ლარი
ქართლის ქარის ელექტროსადგური	20.7 მგვტ	2016	95,681,520.00 ლარი
ცენტრალური ქარის ელექტროსადგური	120 მგვტ	2016	644,756,662.11 ლარი
ნიგოზას ქარის ელექტროსადგური	50 მგვტ	2016	212,272,499.75 ლარი
უდაბნოს მზის ელექტროსადგური	5 მგვტ	2016	14,497,200.00 ლარი


**სს საქართველო ფონდი:**

სს საქართველო ფონდი არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი რომელიც 2011 წელს შეიქმნა. კერძო სექტორთან ერთად ფონდი ინვესტირებას ახორციელებს კომერციულად მიზანშეწონილ პროექტებში ხუთ ძირითად სექტორში: აგრობიზნესი, ენერჯეტიკა, მრეწველობა, უძრავი ქონება და ტურიზმი და ლოჯისტიკა. ფონდს მართავენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები. 2019 წელს ფონდის აქტივების ღირებულება 4.9 მილიარდ ლარს, ხოლო კაპიტალი 2.3 მილიარდ ლარს შეადგენდა, შემდეგ კომპანიებში მთავარი წილით:

- საქართველოს რკინიგზა (100% წილი).
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (100% წილი).
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (100% წილი).
- ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი (100% წილი).
- თელასი (24.5% წილი).

ფონდი ან თავად ახდენს პროექტების ინიცირებას, ან მხარს უჭერს კერძო ინვესტორების მიერ ინიცირებულ პროექტებს კაპიტალური ინვესტიციების, მეზონინური დაფინანსებისა და სასეს-ხო ინსტრუმენტების საშუალებით, სტაბილურ საშუალო და გრძელვადიან დაფინანსებაზე დამყარებული საინვესტიციო მანდატით. ფონდის თანამონაწილეობა პროექტის მთლიან კაპიტალში 49%-ს არ აღემატება. ის ეხმარება პროექტებს, მოიზიდონ დიდი დაფინანსება კომერციული წყაროებიდან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, მათ შორის AEBRD, ADB და IFC-დან. ნახაზზე წარმოდგენილია 2011 წელს დაარსების დღიდან 2019 წლამდე საპარტნიორო ფონდის პროექტების მთლიანი საინვესტიციო პორტფელი.

**ნახაზი 5.** სს საპარტნიორო ფონდის პროექტების პორტფელი 2011-2019 წლებში



ამჟამად ფონდს აქვს ერთი მიმდინარე პროექტი ენერჯეტიკის სექტორში, რომელიც პირდაპირ კავშირშია კლიმატის ცვლილებასთან, კერძოდ, ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის თანადაფინანსებას, პროექტის დაწყებიდან 2017 წლამდე 4.2 მილიარდი ლარის ჯამური ოდენობით, ძირითადად EBRD, ADB, EIB და KDB უზრუნველყოფენ. საპარტნიორო ფონდის მონაწილეობა პროექტის კაპიტალში 10%-ს შეადგენს. შესაძლოა ფონდის მიერ მხარდაჭერილ სხვა პროექტებსაც აქვთ გარკვეული სარგებელი შერბილების და ადაპტაციის კუთხით, თუმცა მათი კავშირი კლიმატის ცვლილებასთან არ არის დადგენილი და/ან მითითებული ფონდის მიერ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფონდს არ აქვს მწვანე საინვესტიციო პორტფელი და პროექტებს კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ღონისძიებებში მათი წვლილის მიხედვით არ განსაზღვრავს.

### **მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF):**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც 1997 წელს შეიქმნა, საბინაო, ურბანული დაგეგმარების და თემის განვითარების პროგრამებში მონაწილეობს. მისი მთავარი მიზანია ფინანსური რესურსების მობილიზება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და დონორი სააგენტოებისგან, ასევე საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისაგან, რეგიონულ და მუნიციპალურ ინფრასტრუქტურასა და სერვისებში ინვესტირების მიზნით. ფონდის მთავარი დონორებია მსოფლიო ბანკი, EBRD, ADB, KfW, USAID, JICA, მიჰანის საოჯახო ფონდი, MCG ათასწლეულის გამოწვევა საქართველო, UNDP, GIZ, და SIDA. დეტალური ინფორმაცია ფონდის რესურსების შესახებ საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. ფონდის მიერ მხარდაჭერილი რამდენიმე მიმდინარე პროექტი პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება მდგრადი განვითარებისა და კლიმატის ცვლილების მიზნებს. თუმცა, MDF-ს მწვანე საინვესტიციო პორტფელი ცალკე არ აქვს გამოყოფილი და პროექტებს კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ღონისძიებებში მათი წვლილის მიხედვით არ განსაზღვრავს.

### **საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი (GRDF):**

საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი (GRDF) ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს (MCG) მიერ 2006 წელს შეიქმნა. ფონდის მიზანია საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და ქვეყნის კერძო სექტორის მდგრადობის ხელშეწყობა დედაქალაქის ფარგლებს გარეთ მდებარე, ძირითადად ტურიზმსა და აგრობიზნესში მომუშავე, მზარდ და დინამიურ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ინვესტირების გზით. GRDF-ს მართავს მცირე საწარმოების დახმარების ფონდი (SEAF), რომლის სათაო ოფისი აშშ-ში მდებარეობს. ფონდი ინვესტირებას აშშ დოლარში ახორციელებს. ფონდმა 2006 წელს გამოყო 30 მილიონი აშშ დოლარი (97 მილიონი ლარი) მეზონინური ინვესტიციებისთვის, 0.5 მილიონ აშშ დოლარზე (1.6 მილიონ ლარზე) მეტი ღირებულების პროექტებში მოგების შიდა უკუგების 10% ნორმის მაქსიმუმ 3 მილიონ დოლარამდე (9.7 მლნ ლარი) გასაზრდელად. დღემდე ფონდს ინვესტიცია განხორციელებული აქვს 10 პროექტში, რომელთა საშუალო ღირებულება 2 მლნ აშშ დოლარს (6.4 მლნ ლარი) შეადგენდა და კვლავ განაგრძობს ინვესტირებას. ჯერჯერობით არცერთი ინვესტიცია არ არის ამოღებული.

ფონდი ინვესტირებას ახორციელებს პროექტებში, რომლებიც დაკავშირებულია მდგრადი განვითარების მიზნებთან #1 (სიღარიბის გარეშე), #8 (ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა) და #9 (მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა). მიუხედავად იმისა, რომ ფონდის მიერ მხარდაჭერილმა მცირე და საშუალო ბიზნესებმა შესაძლოა შერბილებისა და ადაპტაციის კუთხით გარკვეული სარგებელი მოიტანონ, ფონდს მწვანე საინვესტიციო პორტფელი ცალკე არ აქვს გამოყოფილი და ინვესტიციებს კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ღონისძიებებში მათი წვლილის მიხედვით არ განსაზღვრავს.

## საქართველოს თანაინვესტირების ფონდი:

საქართველოს თანაინვესტირების ფონდი ინვესტორებს სთავაზობს კერძო საინვესტიციო სტრუქტურას, რომელიც შექმნილია ენერჯეტიკისა და ინფრასტრუქტურის, ტურიზმის და უძრავი ქონების, სოფლის მეურნეობის და წარმოების სფეროში ინვესტიციების წახალისების მიზნით. 2013 წელს დაარსებული ეს კერძო საინვესტიციო ფონდი ამჟამად მართავს 6.4 მილიარდ ლარზე მეტი ღირებულების აქტივებს და მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში გეგმავს საკუთარი კაპიტალის განთავსებას პროექტებში მინიმუმ 17% შიდა უკუგების ნორმით. ფონდი აპირებს ისეთი პროექტების მთლიანი კაპიტალის 25-75%-ის ინვესტირებას, რომელთა მინიმალური ღირებულება 16.1 მილიონი ლარია.

საქართველოს თანაინვესტირების ფონდი ორიენტირებულია შემდეგი სექტორების პროექტებზე:

- საშუალო და ფართომასშტაბიანი ჰიდროენერგეტიკული პროექტები.
- 200 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის თბოელექტროსადგურები.
- მსხვილი საცალო ვაჭრობის ინფრასტრუქტურა.
- იმპორტისა და ექსპორტის ჩანაცვლების შესაძლებლობები აგრობიზნესებისთვის.
- სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიდროენერგეტიკული პროექტები პირდაპირ კავშირშია კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნებთან, ფონდს მწვანე საინვესტიციო პორტფელი ცალკე არ აქვს გამოყოფილი და ინვესტიციებს კლიმატის ცვლილების ღონისძიებებში მათი წვლილის მიხედვით არ განსაზღვრავს.

## კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ხელშეწყობი სახელმწიფო წამახალისებელი მექანიზმები

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ხელშეწყობი სახელმწიფო წამახალისებელი მექანიზმები საქართველოში შედარებით ახალ კონცეფციას წარმოადგენს. ასეთი მექანიზმები ტრანსპორტის სექტორში 2016 წლიდან, ენერჯის გენერაცია და გადამცემის სექტორში 2018 წლიდან, ხოლო მრეწველობის სექტორში 2020 წლიდან დაინერგა.

ტრანსპორტის სექტორში 2016 წლიდან მოქმედებს რამდენიმე საგადასახადო შეღავათი, რომელთა მიზანია კლიმატის ცვლილების შერბილება, კერძოდ ქვეყნის ავტოპარკის განახლებისა და სუფთა საწვავისა ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა დაბალნახშირბადიანი სატრანსპორტო სისტემის განვითარებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნის გზით. ესენია:

- 2016 წლიდან იმპორტირებულ ელექტრომობილებზე აქციზის გადასახადი<sup>12</sup> მოიხსნა. ასევე, 60%-ით შემცირდა აქციზის გადასახადი ჰიბრიდულ ავტომობილებზე.

12 აქციზის გადასახადი არის გადასახადი, რომელიც დაწესებულია კონკრეტული საქონლის ან მომსახურების რეალიზაციაზე ან გამოყენების ცალკეულ სახეებზე.

- 2017 წლიდან აქციზის გადასახადი თითქმის ყველა ტიპის არაელექტრო სატრანსპორტო საშუალებებისთვის დაახლოებით 25% პროცენტით გაიზარდა, 10 წელზე მეტი ასაკის ავტომანქანებისთვის გაორმაგდა, ხოლო 14 წელზე მეტი ასაკის ავტომანქანებისთვის - თითქმის გასამმაგდა.
- 2017 წელს საგრძნობლად გაიზარდა აქციზის გადასახადი საწვავის იმპორტზე, ბენზინისთვის გაორმაგდა, ხოლო დიზელისთვის გასამმაგდა.<sup>13</sup>

გარდა ამისა, ახალი და ელექტრო მანქანების იმპორტის ხელშეწყობის მიზნით შეიცვალა სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების წესები, კერძოდ:

- 4 წლამდე ასაკის ახალ სატრანსპორტო საშუალებებს ტექნიკური ინსპექტირების გავლა აღარ მოეთხოვებათ.
- 4-დან 8 წლამდე ასაკის ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირების სიხშირე შემცირდა და სავალდებულო ორ წელიწადში ერთხელ გახდა.
- 8 წელზე მეტი ასაკის ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირება ყოველწლიურად არის სავალდებულო.
- არაელექტრო სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების ღირებულება ელექტრომობილების ტექნიკური ინსპექტირების ღირებულებას 25%-ით აღემატება.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა, მაგალითად თბილისის მერიამ, შემოიღეს ეკონომიკური მექანიზმები ელექტრომობილების გამოყენების წასახალისებლად. კერძოდ, თბილისში ამ სახის სატრანსპორტო საშუალებები სახელმწიფო ავტოსადგომებზე პარკირების გადასახადს არ იხდიან.<sup>14</sup>

ფინანსთა სამინისტრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების საგადასახადო შეღავათების/მექანიზმების შეფასებასა და დანერგვაში, რითიც ხელს უწყობს საგადასახადო პოლიტიკის და გადასახადების ამოღების ეფექტიანობასა და ქმედითობას.

ამ გარემოსდაცვითი საგადასახადო შეღავათების ზემოქმედება ტრანსპორტის სექტორში კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე აშკარად ჩანს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანახმად,<sup>15</sup> 2019 წელს რეგისტრირებული ელექტრო და ჰიბრიდული მანქანების რაოდენობა 15-ჯერ აღემატება 2015 წელს, საგადასახადო შეღავათების შემოღებამდე, რეგისტრირებული ამ სახის ავტომანქანების რაოდენობას. 2019 წელს რეგისტრირებული წყალბადის საწვავის ავზის მქონე ავტომანქანების და ჰიბრიდული ბენზინის/წყალბადის საწვავის ავზის მქონე ავტომანქანების რაოდენობა 2015 წლის (საგადასახადო შეღავათების შემოღებამდე) ანალოგიურ მაჩვენებელს ორჯერ აღემატება. მსგავსი სურათია იმპორტირებული მანქანების შემთხვევაშიც. ამ საგადასახადო შეღავათების წყალობით, ბენზინის ძრავიანი იმპორტირებული მანქანების რაოდენობა

13 სსიპ გარემოსდაცვითი საინფორმაციო და განათლების ცენტრი. ჰაერის ხარისხის პორტალი: [https://air.gov.ge/en/pages/4/6?news\\_event\\_id=3](https://air.gov.ge/en/pages/4/6?news_event_id=3)

14 თბილისის საკრებულოს დადგენილება #33-99, 27/12/2016: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3510243?-publication=16>

15 საქართველოში ავტომობილების იმპორტისა და რეგისტრაციის შესახებ პირველადი მონაცემებისთვის იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი: [https://info.police.ge/page?id=377&parent\\_id=121](https://info.police.ge/page?id=377&parent_id=121)

მხოლოდ ერთ წელიწადში (2017 წელთან შედარებით) განახევრდა. ეს ტენდენცია 2020 წლამდე გაგრძელდა. ხოლო ჰიბრიდული მანქანების იმპორტი მხოლოდ ერთ წელიწადში (2017 წელთან შედარებით) სამჯერ გაიზარდა და 2020 წლამდე იზრდებოდა.

რაც შეეხება ენერგეტიკის სექტორს, საქართველოს მთავრობამ 2018 წლის 4 მაისს დაამტკიცა საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ<sup>16</sup>. კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობას (PPP) განსაზღვრავს, როგორც შეთანხმებას საჯარო სექტორის დაწესებულებას ან მუნიციპალიტეტსა და კერძო ინიციატორს შორის, რომელშიც კერძო ინიციატორი საკუთარ თავზე იღებს პროექტის მომზადების, დაფინანსების, მშენებლობისა და ოპერირების მნიშვნელოვან ფინანსურ, ტექნიკურ და საოპერაციო რისკებს. კანონის თანახმად, საჯარო და კერძო თანამშრომლობა, რომელიც კონკრეტულ კრიტერიუმებს უნდა შეესაბამებოდეს, პირდაპირი მოლაპარაკების გზით დასაშვებია მხოლოდ ენერგეტიკის სექტორში. საჯარო და კერძო თანამშრომლობის მინიმალური ვადა სულ მცირე 5 წელი, ხოლო პროექტის ღირებულება - სულ მცირე 5 მილიონი ლარი უნდა იყოს. ამ კანონის შემოღებამ ხელი შეუწყო ჰიდრო, მზის, თერმულ და ქარის მასშტაბურ ენერგეტიკულ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვას საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის (GEDF), სს საპარტნიორო ფონდის და საქართველოს თანაინვესტირების ფონდის საშუალებით.

ენერგოეფექტურობის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების წასახალისებლად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოამზადა კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 21 მაისს დაამტკიცა. კანონი ქმნის სამართლებრივ საფუძვლებს უახლოეს მომავალში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით ისეთი ფისკალური მექანიზმების შესასწავლად, შესამუშავებლად და დასანერგად, როგორცაა ფინანსური წახალისება და საგადასახადო შეღავათები, აგრეთვე მოითხოვს:

- ენერგოეფექტური სახელმწიფო შესყიდვის პრაქტიკის ჩამოყალიბებას.
- მრეწველობის, მშენებლობისა და შენობების სექტორებში აკრედიტაციისა და სერტიფიცირების სქემების დანერგვას.
- სამრეწველო ობიექტებზე ენერჯის მართვის სერტიფიცირებული სისტემების ჩამოყალიბებას რეგულარული ენერგოაუდიტის საფუძველზე, რომლის მიზანია ენერჯის მოხმარების შემცირების შესაძლებლობის იდენტიფიცირება და ენერგოეფექტურობის ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციების მომზადება, აგრეთვე ნებაყოფლობითი შეთანხმებების გაფორმებას სამრეწველო ობიექტებზე ენერგოეფექტურობის ურთიერთშეთანხმებული მიზნების მისაღწევად. ამ სისტემის ფარგლებში საქართველო ასევე ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესის წამახალისებელი პროგრამების შემოღებას ენერგოაუდიტების ჩასატარებლად და ენერგოაუდიტების შედეგების საფუძველზე განსაზღვრული ღონისძიებების განსახორციელებლად.
- სამართლებრივად სავალდებულო ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემის შექმნას ენერჯის მომწოდებლებისა და გამანაწილებლებისთვის, რომლის შეუსრულებლობა დაჯარიმებას გამოიწვევს.
- მოხმარებული ენერჯის აღრიცხვისა და გადასახადის დარიცხვის სისტემის შექმნას.

16 საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ: [https://vre.gedf.com.ge/cdn/library/matsne-4193442-0%20PPP%20Law\\_ENG.pdf](https://vre.gedf.com.ge/cdn/library/matsne-4193442-0%20PPP%20Law_ENG.pdf)

NDC-ისა და 2030 წლის კლიმატიც ცვლილების სტრატეგიის ფარგლებში საქართველო გეგმავს შეისწავლოს ენერჯეტიკისა და ტრანსპორტის სექტორებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დამატებითი წამახალისებელი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების, აგრეთვე სხვა სექტორებში მსგავსი მექანიზმების დანერგვის შესაძლებლობები:

- 2030 სახელმწიფო გეგმავს, შეისწავლოს წახალისების ძლიერი მექანიზმები განახლებადი ენერჯის მასშტაბურ პროექტებში მსხვილი ინვესტიციების მოსაზიდად.
- 2030 წლისთვის სახელმწიფო გეგმავს, შეისწავლოს ფიზიკური პირებისა და მცირე და საშუალო საწარმოების წახალისების მექანიზმები საცხოვრებელი და კომერციული შენობებისთვის მათ მიერ მალაღებუქტური ღუმელების, მალაღებუქტური გათბობის სისტემებისა და მზის წყალგამაცხელებელი სისტემების შესაძენად და დასამონტაჟებლად.
- 2030 წლისთვის სახელმწიფო გეგმავს, შეისწავლოს ფერმერების მიერ სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების დამუშავების წახალისების მექანიზმები, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წვის პრაქტიკის შესამცირებლად.
- 2030 წლისთვის სახელმწიფო გეგმავს, შეისწავლოს წახალისების მექანიზმები, როგორცაა ბიო-საგადასახადო შეღავათები.
- 2030 წლისთვის სახელმწიფო გეგმავს, შემოიღოს საგადასახადო შეღავათები ელექტრო და ჰიბრიდული ავტომანქანებისთვის.
- 2030 წლისთვის სახელმწიფო გეგმავს წიაღისეულ საწვავზე გადასახადების გაზრდას.
- 2030 წლისთვის სახელმწიფო გეგმავს, შეისწავლოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების წამახალისებელი მექანიზმების შესწავლას.

საქართველოს ეროვნული ბანკი ამჟამად მუშაობს „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის“ სისტემის შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში კლიმატთან დაკავშირებული კერძო დაფინანსების იდენტიფიცირებას. ბანკებს დაეკისრებათ ვალდებულება, საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიშები ტაქსონომიის შესაბამისად წარმოადგინონ. მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია ქვეყანაში ეროვნული ტაქსონომიის არარსებობის პრობლემას გადაჭრის. მასში გამოყენებული მდგრადი დაფინანსების განსაზღვრება მოიცავს კლიმატთან დაკავშირებულ, მწვანე და სოციალურ დაფინანსებას და ასევე ითვალისწინებს უფრო ფართო ასპექტებს დაფინანსებული ორგანიზაციების გრძელვადიან ეკონომიკურ მდგრადობასთან დაკავშირებით, აგრეთვე იმ მთლიანი ფინანსური სისტემის როლსა და სტაბილურობას, რომელშიც ისინი მუშაობენ. აქედან გამომდინარე, მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიაში გამოყენებული მდგრადი დაფინანსების განსაზღვრება მოიცავს როგორც მწვანე დაფინანსებას (რომელშიც კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსებაც) შედის და სოციალურ დაფინანსებას.


### 1.3 კლიმატთან დაკავშირებული კერძო დაფინანსება

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე კერძო ინვესტიციების მოცულობა ქვეყნის კაპიტალში მნიშვნელოვნად გაიზარდა კერძო სექტორის დერეგულირების, საგადასახადო სისტემის გაუმჯობესების, ბაზრის გამჭვირვალობის დონის ამაღლებისა და რეკლამის შედეგად, რამაც ქვეყანაში კერძო ინვესტიციები ეკონომიკურად მიმზიდველი გახადა.

2019 წელს საქართველოში კერძო ინვესტიციების მოცულობა (8.28 მილიარდ ლარზე მეტი) 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (2.42 მილიარდ ლარზე მეტი) 3.5-ჯერ აღემატებოდა. კერძო ინვესტიციების ზრდის მაჩვენებელი აღემატება სახელმწიფო ინვესტიციების ზრდის მაჩვენებელს, რომელიც ამავე პერიოდში 1.71 მილიარდი ლარიდან 3.71 მილიარდ ლარამდე გაორმაგდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ინვესტიციები ახლა ძირითადად კერძო წყაროებიდან მოდის, 2019 წელს კერძო ინვესტიციების მოცულობა სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობას 2.3-ჯერ აღემატება. ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს კაპიტალი ძირითადად კერძო კაპიტალით იქმნება, ამასთან სხვაობა სახელმწიფო და კერძო კაპიტალს შორის სტაბილურად კერძო ფონდების სასარგებლოდ იზრდება. 2010-2019 წლებში კერძო კაპიტალის მოცულობა 85%-ით, ხოლო სახელმწიფო კაპიტალის მოცულობა 46%-ით გაიზარდა, 2019 წელს საქართველოს მთლიანი კაპიტალი 121.98 მილიარდი ლარი იყო, აქედან 61% კერძო სექტორზე მოდიოდა (74.88 მილიარდი ლარი), 37% - სახელმწიფო კაპიტალზე (45.44 მილიარდი ლარი), ხოლო დარჩენილი 2% - 1.66 მილიარდ ლარზე მეტი - საჯარო და კერძო თანამშრომლობაზე (PPP).

ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოში 2010-2019 წლებში სახელმწიფო და კერძო კაპიტალისა და ინვესტიციების შესახებ.

**ცხრილი 10.** სახელმწიფო და კერძო კაპიტალი და ინვესტიციები საქართველოში 2010-2019 წლებში



წყარო: IMF-ის (2021 წწ.) 1960-2019 წწ. ინვესტიციებისა და კაპიტალის მონაცემთა ბაზა.

ვინაიდან საქართველოში არ არსებობს განვითარების არაოფიციალური დახმარების (არა-ODA) პროექტების იდენტიფიცირების ცენტრალიზებული სისტემა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ინიციატივებში ასეთი კერძო ინვესტიციების წილი რაოდენობრივი შეფასება რთულია. საერთაშორისო დონეზე OECD-ის მონაცემთა ბაზაში ასახულია 2010-2019 წლებში საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროექტებისთვის კერძო დაფინანსების უზრუნველყოფის მხოლოდ ორი შემთხვევა:

**ცხრილი 11.** 2010-2019 წლებში საქართველოში კლიმატის ცვლილების პროექტებისთვის უზრუნველყოფილი საერთაშორისო კერძო დაფინანსება, რომელიც რეგისტრირებულია OECD-ის მონაცემთა ბაზაში

წელი	მომწოდებელი	პროექტის აღწერა	უზრუნველყოფილი დაფინანსება	ფინანსური მექანიზმი	სამიზნე სექტორი
2017	უილიამ და ფლორა ჰიულეტის ფონდი	UNEP-ის მხარდაჭერა საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკისა და ადმინისტრაციული მართვის სფეროში	9,016,008.06 ლარი	გრანტი	ტრანსპორტი – შერბილება
2019	Grameen Crédit Agricole-ს ფონდი	ლაზიკა კაპიტალის მხარდაჭერა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მიკროდაფინანსების უზრუნველყოფაში	298,474.80 ლარი	შელავათიანი სესხი	ბიზნესის განვითარება – ადაპტაცია

თუმცა, ცნობილია, რომ საქართველო კლიმატის გლობალური საპარტნიორო ფონდისგან (GCPF) კერძო სახსრების მობილიზებას ბაზისბანკის და თიბისი ბანკის საშუალებით ახორციელებს. GCPF არის საჯარო და კერძო თანამშრომლობა, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებას იყენებს კერძო კაპიტალის მოსაზიდად ქვეყნებში ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების საშუალებით ინვესტიციების განხორციელების მიზნით. ის მხარს უჭერს პროექტებს, რომლებიც განვითარებად და განვითარებადი ბაზრების მქონე ქვეყნებში კლიმატის ცვლილების შერბილებას ემსახურებიან, ხელს უწყობენ მდგრად ზრდას და ორიენტირებული არიან მცირე და საშუალო ბიზნესებისა და ოჯახების ენერგოეფექტურობისა და მათ მიერ ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების უზრუნველყოფაზე. ის ასევე მხარს უჭერს ამინდზე დაკვირვებებს, ინფორმაციის გაცვლას, კვლევას, ამინდის შესახებ ადრეული გაფრთხილების და სათბურის აირების მონიტორინგის შესაძლებლობების გაძლიერებას. GCPF-ის დაფინანსებით, ბაზისბანკმა გააძლიერა მწვანე დაკრედიტება და გააძლიერა საკუთარი შესაძლებლობები შესაბამისი მწვანე პროექტების შეფასების კუთხით. თიბისი ბანკმა, როგორც წამყვანმა უნივერსალურმა საბანკო ჯგუფმა საქართველოში, GCPF-გან მიიღო სახსრები კლიმატთან დაკავშირებული კერძო პროექტებისთვის საკუთარი საკრედიტო შესაძლებლობების გასაზრდელად.

ცალკეულმა ქართულმა კომპანიებმა კლიმატს ცვლილებასთან დაკავშირებულ ინვესტიციებში ბიზნესის განვითარების შესაძლებლობა დაინახეს და დაიწყეს საკუთარი პორტფელების დივერსიფიცირება და კონკურენტული უპირატესობების გაძლიერება ბიზნესისთვის ახალ კონტექსტში, როგორცაა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) და საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება.

გარდა ამისა, საქართველოში კერძო სექტორისთვის უკვე ფართოდ არის ხელმისაწვდომი ფინანსური წახალისებისა და დაფინანსების ინოვაციური მექანიზმები, თუმცა ბევრი მათგანი აუთვისებელი და გამოუყენებელია. ცხრილში წარმოდგენილია კერძო დაფინანსების საქართველოში მოქმედი და პოტენციურად ხელმისაწვდომი მექანიზმები.

**ცხრილი 12.** კერძო დაფინანსების საქართველოში ხელმისაწვდომი მექანიზმები

მექანიზმი	შიდა წყაროები				საერთაშორისო წყაროები	
	კომერციული ბანკები	მიკროსაფინანსო ინსტიტუტები	ინსტიტუციური ინვესტორები	არასაფინანსო კორპორაციები	საფინანსო ინსტიტუტები	არასაფინანსო კორპორაციები
<b>კორპორაციული ობლიგაციები</b>	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი					
<b>საპროექტო ობლიგაციები</b>	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი	არ ივსება (N/A)	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი			
<b>პირდაპირი დაკრედიტება</b>	არსებული არხი	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი	არ ივსება (N/A)	არსებული არხი	არ ივსება (N/A)
<b>მეზონინური დაფინანსება</b>	არსებული არხი	არ ივსება (N/A)	არსებული არხი	არ ივსება (N/A)	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი	არ ივსება (N/A)
<b>პირდაპირი ინვესტიცია</b>	არ ივსება (N/A)	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი	არსებული არხი	არსებული არხი	არსებული არხი	არსებული არხი
<b>კაპიტალური ინვესტიცია</b>	არ ივსება (N/A)	არ ივსება (N/A)	არ ივსება (N/A)	არ ივსება (N/A)	არსებული არხი	არ ივსება (N/A)
<b>გარანტიები/ დაზღვევა</b>	არ ივსება (N/A)	არ ივსება (N/A)	არ ივსება (N/A)	არ ივსება (N/A)	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი	არ ივსება (N/A)
<b>საწყისი ინვესტიცია</b>	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი	არ ივსება (N/A)	არ ივსება (N/A)	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი	არ ივსება (N/A)
<b>სავალუტო სვოპები</b>	არ ივსება (N/A)	არ ივსება (N/A)	არ ივსება (N/A)	არ ივსება (N/A)	არსებული არხი	არ ივსება (N/A)
<b>სეკიურიტიზაცია</b>	არ ივსება (N/A)	არ ივსება (N/A)	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი	არ ივსება (N/A)	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი
<b>გაერთიანება/ გამსხვილება</b>	არ ივსება (N/A)	არ ივსება (N/A)	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი	არ ივსება (N/A)	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი	ხელმისაწვდომი, მაგრამ ჯერ გამოუყენებელი

წყარო: OECD (2018 წ.), საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის დაფინანსების მობილიზება, მწვანე დაფინანსება და ინვესტიციები, OECD-ის გამომცემლობა, პარიზი. <http://dx.doi.org/10.1787/9789264289727-en>

ტენდენციები აჩვენებს, რომ ბაზარი თანდათანობით უფრო ხელსაყრელი ხდება კერძო ინვესტიციებისათვის, რაც საქართველოში კლიმატის წინააღმდეგ ბრძოლაში კერძო დაფინანსების მოზიდვის შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, კლიმატთან დაკავშირებულ ღონისძიებებში კერძო დაფინანსების მოცულობის გასაზრდელად აუცილებელია მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის მოხსნა. ეს საკითხი განხილულია დოკუმენტი თავი 2-ში.

## 2 კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების ხელშემშლელი ფაქტორები

ფინანსური რესურსების მობილიზებისთვის საქართველოს დასჭირდება იმ რამდენიმე წინააღმდეგობის გადალახვა, რომელიც ხელს უშლის ქვეყანაში კლიმატთან დაკავშირებულ ღონისძიებებში ფინანსური რესურსების ჩართვასა და ინვესტირებას. წინამდებარე თავში იდენტიფიცირებულია საქართველოში დაფინანსებისა და ინვესტირების მთავარი ხელშემშლელი ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ ქვეყნის წვდომას კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გამოვლენილი ხელშემშლელი ფაქტორი ეროვნული დონის არ არის, ასევე არსებობს კონკრეტული სექტორისთვის ხელშემშლელი ფაქტორები და მაკრო-გარემოში არსებული წინააღმდეგობები, რომელთა პრობლემაც გადაჭრას საჭიროებს.

### კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მობილიზებისთვის აუცილებელი კლიმატის ცვლილების თანმიმდევრული ეროვნული პოლიტიკის არარსებობა

საერთაშორისო ვალდებულებების პროცესებისა და ეროვნული მიზნების კონტექსტში საქართველოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავების საკმაოდ მდიდარი ისტორია აქვს, რომლის შედეგადაც მომზადებულია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტების მთელი რიგი. მიუხედავად ამისა, კლიმატის ცვლილება, როგორც ერთ-ერთი საკვანძო საკითხი, ეროვნული, დარგობრივი და სუბეროვნული პოლიტიკის კომპონენტებში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგია „ეკონომიკა 2030“ ეხება თემატურ სფეროებს, რომლებიც კავშირშია კლიმატის ცვლილებასთან, თუმცა დოკუმენტში ურთიერთ-კავშირი ეკონომიკის განვითარებასა და კლიმატის ცვლილებას შორის გამოვლენილი არ არის. რამდენიმე სექტორს საერთოდ არ აქვს სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებშიც განსაზღვრული უნდა იყოს სამოქმედო მიმართულებები კლიმატის ცვლილების პრობლემის გადასაჭრელად.

ეროვნული პოლიტიკური ჩარჩო ადგენს ბიუჯეტის განაწილების, მათ შორის სახელმწიფო ასიგნებების, კერძო სექტორის სტიმულირებისა და საერთაშორისო მხარდაჭერის მიღების საფუძვლებს. ეროვნული სტრატეგიები სუბეროვნული სტრატეგიებისათვის უნდა ასრულებდნენ ქოლგის ფუნქციას და უზრუნველყოფდნენ მათ შორის მკაფიო ურთიერთკავშირებს. ეროვნულ და სუბეროვნულ პოლიტიკურ დოკუმენტებს შორის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა გააძლიერებს დაინტერესებული მხარეების ნდობას როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში, და ხელს შეუწყობს მათ მიერ კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსებას. ეს ასევე თავიდან აიცილებს არაეფექტიანობას, მოულოდნელ დაბრკოლებებს და დაბნეულობას დაინტერესებულ მხარეებს შორის. აქედან გამომდინარე, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის დაფინანსების გამოყოფა შეფერხებულია იმის გამო, რომ ეროვნული პოლიტიკურ ჩარჩოს ყველა ასპექტში კლიმატის ცვლილების საკითხები არ არის ეფექტიანად და თანმიმდევრულად ინტეგრირებული.

კლიმატის ცვლილება ინტეგრირებული უნდა იყოს ქვეყნის პოლიტიკურ ჩარჩოში ისეთი ყოვლისმომცველი სტრატეგიის საშუალებით, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების მიმართულებას და რომელთანაც დაკავშირებული იქნება კონკრეტული ღონისძიებების შემცველი მოკლევადიანი დოკუმენტები.

### **კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების საინვესტიციო საჭიროებების არათანმიმდევრული ანალიზი**

კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის მიზნების მისაღწევად საჭირო ფინანსური ინვესტიციების ზუსტი აღრიცხვა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში კლიმატის ცვლილების ინტეგრირების, აგრეთვე სახელმწიფოს კონკრეტული ღონისძიებებისათვის საჭირო რესურსების გამოყოფის ერთ-ერთ მთავარ ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს. ისევე, როგორც მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის, ეს ამოცანა საქართველოსთვისაც გამოწვევად რჩება, ვინაიდან ქვეყნის ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტებში არ არის განსაზღვრული კონკრეტული მიზნები და მათ მისაღწევად საჭირო რესურსები, რომლებიც საბიუჯეტო პროგრამებში შეიძლება იქნეს გათვალისწინებული.

მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ცვლილების შერბილებასთან დაკავშირებით არსებობს ცალკეული ზოგადი მაჩვენებლები, ისინი არასრულია, მოძველებული და გაფანტულია სხვადასხვა პოლიტიკურ დოკუმენტებში და ადაპტაციის კომპონენტისთვის საჭირო შეფასებების გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა. ზოგიერთ საკვანძო სტრატეგიაში აღნიშნულია პოლიტიკური რეფორმებისთვის საჭირო ხარჯების გამოთვლის აუცილებლობა. აუცილებელია შერბილებისა და ადაპტაციის თითოეული დაგეგმილი ღონისძიებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების ოდენობის ცოდნა დაფინანსების მოსაძიებლად და ქვეყნის პრიორიტეტულ ღონისძიებებზე რესურსების ეფექტიანად გადასანაწილებლად, კლიმატთან დაკავშირებული ეროვნული ფინანსური გარემოს ცვლილებების გათვალისწინებით.

ის, რომ ეროვნულ და სუბეროვნულ პოლიტიკურ დოკუმენტებში არ არის განსაზღვრული მიზნები და ფინანსური საჭიროებები, გამოწვეული იყო სტრატეგიული და პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების არათანმიმდევრული და არასტრუქტურირებული მიდგომით. თუმცა, ვითარება 2020 წელს შეიცვალა, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება #629 პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ. დადგენილება განსაზღვრავს კონკრეტულ მოთხოვნებს სტრატეგიული დოკუმენტების მიმართ და ეს პრობლემა 2020 წლის შემდეგ მომზადებულ დოკუმენტებში აღარ იქნება. დადგენილება #629-ის შესაბამისად კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტებიც, სხვა დოკუმენტების მსგავსად უნდა შეიცავდნენ კონკრეტულ და დასაბუთებულ ფინანსურ მოთხოვნებს, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საბიუჯეტო პროგრამებში.

## კერძო სექტორის ინვესტიციების სიმცირე

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საქართველომ, ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციისა და გამოცოცხლების მიზნით, ღრმა სტრუქტურული და ეკონომიკური რეფორმები განახორციელა, არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ამცირებს ქვეყნის მიმზიდველობას კლიმატის დაფინანსების კერძო წყაროებიდან ინვესტირების კუთხით.

საქართველოს კერძო სექტორში იაფი, გრძელვადიანი კაპიტალის შეზღუდული ხელმისაწვდომობა კლიმატთან დაკავშირებულ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვის მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად რჩება. საქართველოში კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის პროექტების კერძო დაფინანსების მექანიზმები, როგორც წესი, მოითხოვს მაღალ წინასწარ კაპიტალდაბანდებას, ინვესტიციის ამოღების ხანგრძლივ პერიოდს და ძლიერ დამოკიდებულებას სტიმულირების სახელმწიფო მექანიზმებზე, რაც კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პროექტებში ინვესტირების პოტენციალს ამცირებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომერციული ბანკები გარკვეულ სესხებს დაბალი საპროცენტო განაკვეთით გასცემენ, სესხის მინიმალური ზღვარი მნიშვნელოვნად აჭარბებს კლიმატთან დაკავშირებული კერძო ინიციატივების ღირებულებას, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოების შემთხვევაში. აღნიშნული ფაქტორი, ბანკების მხრიდან გირაოს მაღალი თანხის მოთხოვნასთან ერთად, კიდევ უფრო აფერხებს ქართული საწარმოების სესხებზე წვდომას.

ბანკების მხრიდან გირაოს მაღალი თანხის - სესხის ღირებულების დაახლოებით 220%-ის მოთხოვნა ქართული კომპანიებს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესს, სესხის აღებას ურთულებს (EU4Business, 2017). ერთ-ერთი კვლევის თანახმად, კომერციული ბანკები, როგორც წესი, ვერ აღწევენ არაუზრუნველყოფილი სესხის კანონით დადგენილ ზღვარს (მთლიანი პორტფელის 25%). ეს ნიშნავს იმას, რომ კომერციულმა ბანკებმა შეიძლება რეგულაციებით სავალდებულო რისკებთან შედარებით უფრო მაღალი რისკები აიღონ (EIB, 2016). გარდა ამისა, მოკლევადიანი დაკრედიტების მიმზიდველი შესაძლებლობები, როგორცაა საცალო საბანკო მომსახურება (და არა კორპორაციული საბანკო მომსახურება), ხშირად ისეთი გრძელვადიანი კაპიტალის დეფიციტს აძლიერებს, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

გარდა ამისა, საქართველოში კერძო სექტორისთვის უკვე ფართოდ არის ხელმისაწვდომი ფინანსური წახალისებისა და დაფინანსების ინოვაციური მექანიზმები, თუმცა ბევრი მათგანი აუთვისებელი და გამოუყენებელია. OECD-ის თანახმად, საქართველოში კერძო დაფინანსების ხელმისაწვდომი, მაგრამ გამოუყენებელი მექანიზმებია<sup>17</sup>:

- ადგილობრივი კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ინსტიტუტების, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და არასაფინანსო კორპორაციების კორპორაციული ობლიგაციები.
- ადგილობრივი კომერციული ბანკების, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტებისა და არასაფინანსო კორპორაციების საპროექტო ობლიგაციები.

17 OECD (2018 წ.), საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის დაფინანსების მობილიზება, მწვანე დაფინანსება და ინვესტიციები, OECD-ის გამომცემლობა, პარიზი. <http://dx.doi.org/10.1787/9789264289727-en>

- პირდაპირი დაკრედიტება ადგილობრივი მიკროსაფინანსო ინსტიტუტებისა და ინსტიტუციური ინვესტორების მიერ.
- მეზონინური დაფინანსება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან.
- პირდაპირი ინვესტიცია ადგილობრივი მიკროსაფინანსო ინსტიტუტებისგან.
- გარანტიები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან.
- საწყისი ინვესტიციები ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან და მიკროსაფინანსო ინსტიტუტებისგან.
- სეკურტიზაცია ადგილობრივი ინსტიტუციური ინვესტორების და აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და არასაფინანსო კორპორაციების მიერ.
- გაერთიანება/გამსხვილება ადგილობრივი ინსტიტუციური ინვესტორების და აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და არასაფინანსო კორპორაციების მიერ.

### **შემოსავლების შემცირება, ხარჯებისა და სახელმწიფო ვალის ზრდა**

სახელმწიფოს მიერ კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსებას ხელს უშლის ეროვნულ დონეზე არსებული ისეთი მძიმე ფინანსური პრობლემები, როგორცაა შემოსავლების ზრდის მაჩვენებლის შემცირება, ხარჯებისა და სახელმწიფო ვალის ზრდა, რაც კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისით კიდევ უფრო გამწვავდა.

2018 წლიდან 2020 წლამდე საქართველოს შემოსავალი შედარებით სტაბილური - 10.5-დან 10.7 მილიარდ ლარამდე იყო, ხოლო ხარჯები - მზარდი, რაც გამოწვეული იყო კოვიდ-19-ის პანდემიის უარყოფითი ზემოქმედების საპასუხო ღონისძიებებითა და სუბსიდიებით (ცხრილი 13). მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს შემოსავლის მოცულობა ნაწილობრივ აღდგა და 12.8 მილიარდ ლარს მიაღწია, იმავე წელს ხარჯებმა 14.2 მილიარდი ლარი შეადგინა, რის შედეგადაც წმინდა საოპერაციო სალდო -1.4 მილიარდი ლარით განისაზღვრა.

**ცხრილი 13.** საქართველოს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტის დინამიკა<sup>18</sup>

წელი	შემოსავალი (მილიარდი ლარი)	ხარჯი (მილიარდი ლარი)	წმინდა საოპერაციო სალდო (მილიარდი ლარი)
2021	12.8	14.2	-1.4
2020	10.5	12.5	-2.0
2019	10.7	10.0	0.7
2018	10.6	9.5	1.1
2017	9.8	9.4	0.4
2016	8.6	8.7	-0.2
2015	8.2	8.2	0.01
2014	7.4	7.5	-0.05
2013	6.8	6.5	0.3
2012	7.1	6.6	0.4
2011	6.4	5.9	0.5
2010	5.4	5.5	-0.05

ეს მძიმე ფინანსური შეზღუდვები საქართველოს მზარდ ვალზეც აისახება, 2021 წელს ქვეყნის სახელმწიფო ვალის წილი მშპ-ში 52%-ს, ხოლო მთავრობის ვალის წილი მშპ-ში 54%-ს შეადგენდა. 2020 წელს მთავრობის ვალის წილმა მშპ-ში 60.2%-ს მიაღწია და გადააჭარბა ეკონომიკური თავისუფლების კანონით დადგენილ 60%-იან ზღვარს. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს ეს მნიშვნელოვანი მატება გამოწვეული იყო კოვიდ-19-ის პანდემიით, საქართველოს მთავრობის ვალი კვლავ მაღალი დარჩება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) World Economic Outlook მონაცემთა ბაზის პროგნოზის თანახმად, ეს მაჩვენებელი 2025 წელს 49%-მდე შემცირდება<sup>19</sup>, თუმცა ის 2010 წლის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება.

**ცხრილი 14.** საქართველოს სახელმწიფო ვალის დინამიკა<sup>20</sup>

წელი	სახელმწიფო საგარეო ვალი (მილიარდი ლარი)	მთავრობის საგარეო ვალი (მილიარდი ლარი)	მთავრობის საშინაო ვალი (მილიარდი ლარი)	სახელმწიფო ვალის წილი მშპ-ში (%)	მთავრობის ვალის წილი მშპ-ში (%)
2021	25.4	24.0	5.8	52	54
2020	24.7	23.5	6.2	63	60
2019	16.5	15.7	4.2	42	40

18 <https://www.geostat.ge/en/modules/categories/91/government-finance-statistics>

19 IMF, World Economic Outlook მონაცემთა ბაზა: 2021 წლის ოქტომბერი: <https://www.imf.org/en/Publications/WEO/weo-database/2021/October>

20 [https://mof.ge/saxelmwifo\\_sagareo\\_valis\\_statistika](https://mof.ge/saxelmwifo_sagareo_valis_statistika)

წელი	სახელმწიფო საგარეო ვალი (მილიარდი ლარი)	მთავრობის საგარეო ვალი (მილიარდი ლარი)	მთავრობის საშინაო ვალი (მილიარდი ლარი)	სახელმწიფო ვალის წილი მშპ-ში (%)	მთავრობის ვალის წილი მშპ-ში (%)
2018	14.5	14.1	3.3	40	39
2017	13.4	13.2	2.9	40	39
2016	12.0	11.9	2.5	40	40
2015	10.3	10.3	2.2	37	37
2014	7.8	7.7	1.9	31	31
2013	7.3	7.1	1.3	30	29
2012	7.2	6.6	1.2	31	29
2011	7.0	6.0	1.2	32	28
2010	7.0	5.8	1.1	37	32

აქედან გამომდინარე და კლიმატის ინვესტიციების ტენდენციებისა და 2021-2023 წლების კლიმატის დაგეგმილი ბიუჯეტის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ კერძო დაფინანსებასა და საერთაშორისო მხარდაჭერას გადამწყვეტი როლი აქვთ საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსებასა და განხორციელებაში.

### ძლიერი დამოკიდებულება საგარეო დაფინანსებაზე

საქართველომ, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მნიშვნელოვანი საერთაშორისო დახმარება მიიღო და ეროვნული პროექტების განსახორციელებლად დამოკიდებული იყო უცხოურ დაფინანსებაზე. განვითარების მიზნით ოფიციალური (ODA) დახმარების წლიური მოცულობა 90-იანი წლების დასაწყისიდან სტაბილურად იზრდებოდა (ცხრილი 15). თუმცა, ის 2008 წლის აგვისტოს ომის გამო მკვეთრად გაიზარდა და შემდეგ შემცირდა, თუმცა ODA-ს წლიური მაჩვენებლები მაინც მაღალი დარჩა.

ეს დამოკიდებულება უცხოურ დაფინანსებაზე ასევე აისახება საქართველოს წმინდა ODA-ში, როგორც მთლიანი ეროვნული შემოსავლის (GNI) პროცენტი (ცხრილი 15), რომელიც წარმოადგენს რეზიდენტების მიერ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე და დანარჩენი მსოფლიოდან დარიცხული პირველადი (ხელფასი, მოგება, შერეული შემოსავლები) და საკუთრებიდან (დივიდენდი, რენტა) წმინდა (მისაღები გასაცემის გამოკლებით) შემოსავლების ჯამს. როდესაც ODA მთლიანი ეროვნული შემოსავლის დიდ ნაწილს წარმოადგენს, ქვეყანა ძლიერად არის დამოკიდებული საგარეო დახმარებაზე. 2019 წელს საქართველოს წმინდა ODA მთლიანი ეროვნული შემოსავლის 2.89%-ს შეადგენდა. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებიდან (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი) მხოლოდ ყირგიზეთი და ტაჯიკეთი არიან უფრო ძლიერად დამოკიდებული საერთაშორისო დაფინანსებაზე. 2019 წელს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მთლიან ეროვნულ

შემოსავალში ODA-ს წილი საშუალოდ 0.89%-ს შეადგენდა.<sup>21</sup> ეს არაპროგნოზირებად დახმარებასა და დონორების მიერ დაფინანსებულ პროგრამებზე ზედმეტად ძლიერი დამოკიდებულების რისკს ქმნის.

**ცხრილი 15.** საქართველოში ODA დაფინანსების დინამიკა (მილიონი აშშ დოლარი)<sup>22</sup>



21 <https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=Table2A#>


22 <https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=Table2A#>

## ეროვნული ვალუტის გაუფასურება:

უკანასკნელ წლებში საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი გაუფასურდა. გაუფასურების ტემპი განსაკუთრებით კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყებიდან გაიზარდა. 2010 წელს ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 1.78 იყო, 2021 წელს კი ის 3.22-მდე დაეცა (ცხრილი 16). ქვეყნის ეროვნული ვალუტის გაუფასურება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის ექსპორტის შემცირებამ, მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორების ვალუტის გაუფასურებამ, მოსახლეობის ნეგატიურმა მოლოდინებმა და უცხოური წყაროებიდან დაფინანსების შემცირებამ.

მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის დონე. 2018 წლის ბოლოს ანაბრების 63% და სესხების 57% აშშ დოლარში იყო დენომინირებული<sup>23</sup>, აგრეთვე სახელმწიფო სესხების უდიდესი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია აღებული. ლარის გაუფასურებასთან ერთად საგარეო ვალის ტვირთი გაუფასურების პირდაპირპროპორციულად იზრდება. მოვალეები სესხების დაფარვას დოლარში ვერ ახერხებენ, რადგან მათ შემოსავალი ლარში აქვთ, რაც საფრთხეს უქმნის ბანკებსა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებს. შესაბამისად, ქვეყანა მოწყვლადია გაცვლითი კურსის რისკების მიმართ და ლარის სწრაფი გაუფასურება საფრთხეს უქმნის საქართველოს ფინანსურ სტაბილურობას. ეს უარყოფითად აისახება ქვეყნის მაკროეკონომიკურ გარემოზე და აფერხებს საერთაშორისო ინვესტიციების შემოდინებას.

**ცხრილი 16.** გაცვლითი კურსი (1 აშშ დოლარი ლართან მიმართებით, საშუალო პერიოდის განმავლობაში)<sup>24</sup>



23 <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1562748580656&uri=SWD:2019:292:FIN>

24 <https://databank.worldbank.org/reports.aspx?source=2&series=PA.NUS.FCRF&country=GEO>

## კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების კონტროლის არარსებობა

ბოლო წლებში საქართველოში ეროვნული ბიუჯეტების სისტემა არსებითად გაუმჯობესდა და მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორცაა ბიუჯეტის დაგეგმვა, შედგენა და განხორციელება. თუმცა, 2022 წლის აპრილის მდგომარეობით, საქართველოში არ არსებობს კონკრეტული საკანონმდებლო ან პროცედურული მოთხოვნები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბიუჯეტისა და საბიუჯეტო დოკუმენტების მიმართ. შესაბამისად, ბიუჯეტების პროცესში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროგრამების/პროექტების პრიორიტეტიზაცია არ არის გათვალისწინებული. კლიმატის ცვლილების ფინანსების ანგარიშგების მექანიზმების არარსებობა ნიშნავს იმას, რომ 2022 წლის მდგომარეობით კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბიუჯეტი ცალკე არ არის განსაზღვრული და ინფორმაცია შესაბამის ხარჯებზე არ მოიპოვება. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანას არ გააჩნია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საბიუჯეტო ხარჯების თანმიმდევრულად კლასიფიცირების (მარკირების) სისტემა, რის შედეგადაც საქართველოს საბიუჯეტო პროცესის არც ერთ საფეხურზე არ ხდება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საბიუჯეტო ხარჯების გამოვლენა და კლასიფიცირება და შესაბამისად, ქვეყანას არ აქვს როგორც ეროვნული ასიგნებებით, ასევე საერთაშორისო მხარდაჭერით ქვეყანაში მობილიზებული ფინანსური ნაკადების მკაფიო სურათი.

ეს იწვევს მნიშვნელოვან პრობლემებს კლიმატის დაფინანსების შესახებ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე ქვეყნის მიერ წარსადგენი ინფორმაციის მოცულობასა და ხარისხთან დაკავშირებით. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსების საჭიროებების, ხარჯებისა და მიღებული მხარდაჭერის, ასევე მობილიზებული დაფინანსებით მიღებული შედეგების ზუსტი, ყოვლისმომცველი და გამჭვირვალე ინფორმაციის არსებობა საქართველოს მიმართ დონორებისა და ინვესტორების ნდობის გაძლიერების ხელშეწყობ პირობას წარმოადგენს. დონორებს, როგორც წესი, არ სურთ მნიშვნელოვანი დაფინანსების გამოყოფა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსების დეფიციტის შევსებისა და ქვეყნის მიერ ფინანსური დახმარების გამოყენების შესახებ გამჭვირვალე ინფორმაციის არარსებობის პირობებში.


მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ გადადგა პირველი ნაბიჯები ბიუჯეტების პროცესში კლიმატის ცვლილების გათვალისწინების მიმართულებით 2022 წლის 25 თებერვალს 2023 – 2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის #88 დადგენილების მიღების შედეგად, კლასიფიკაციის შემოთავაზებული სისტემა ნაწილობრივ შეფასების შესაძლებლობას იძლევა და არ არის საკმარისი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ხარჯების შეფასებისა და ანგარიშგებისათვის. ეს არის არასავალდებულო ქმედება მხარჯავი დაწესებულებებისათვის, წარმოადგინონ ინფორმაცია კლიმატის ცვლილების პოლიტიკის სფეროების შესახებ. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ეს კლასიფიკაცია სახელმწიფო ფინანსების მართვაში (PFM) კლიმატის ცვლილების განზომილების ინტეგრირების სრულფასოვან სავალდებულო ინსტრუმენტს არ წარმოადგენს, ვინაიდან ის არ იძლევა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიების ტიპის დაზუსტებისა და შესაბამისი ხარჯების რაოდენობრივი შეფასების შესაძლებლობას. საქართველომ უნდა განავითაროს კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშების სისტემა, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს როგორც ეროვნული ასიგნებებით, ასევე საერთაშორისო მხარდაჭერით ქვეყანაში მობილიზებულ ფინანსურ ნაკადებს.

### 3 რესურსების მობილიზების სახელმძღვანელო

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რესურსების მობილიზაციის გარემო სწრაფად იზრდება, ამასთან უფრო კონკურენტულიც ხდება ისეთი სუბიექტების რაოდენობის ზრდის გამო, რომლებიც კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ საბრძოლველად დაფინანსებას საჭიროებენ. საჯარო, კერძო, ორმხრივი და მრავალმხრივი წყაროები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ქვეყნებს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობენ, თუმცა მათი დიდი რაოდენობა დაფინანსების შესაძლებლობების იდენტიფიცირებასა და მოძიებას ართულებს. მიუხედავად ამისა, რესურსების მობილიზება აუცილებელია ქვეყნებისათვის მათ მიერ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და პროგრამების წარმატებით განსახორციელებლად.

ამგვარად, საქართველო დგას ხელმისაწვდომი ფონდების მოთხოვნების, პროცესების და ანგარიშგების ფართო სპექტრის წინაშე, რაც ართულებს დაფინანსების ყველაზე შესაფერისი წყაროს იდენტიფიცირებას. წინამდებარე სახელმძღვანელო საქართველოს სთავაზობს რესურსების მობილიზაციის მიდგომას, რომელიც ეყრდნობა ქვეყნის არსებულ ინსტიტუციურ და პოლიტიკურ ჩარჩოს ქვეყნის მიერ განსაზღვრული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. რესურსების მობილიზაცია არის დაფინანსების საჭიროების მქონე ღონისძიებების იდენტიფიცირების, შესაბამის დონორებთან კონტაქტის დამყარებისა და ურთიერთობის, საჭიროებიდან გამომდინარე დაფინანსების საუკეთესო წყაროს შერჩევის, ამ წყაროზე წვდომის გეგმის მომზადების, და რესურსების მობილიზაციისთვის საჭირო მოქმედებების შესრულებისა და მართვის კოორდინირებული პროცესი.

მობილიზაციის სახელმძღვანელო 3 ეტაპად არის დაყოფილი. ესენია: ეროვნული ინსტიტუციური შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ფინანსური საჭიროებების შეფასება და კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების ისეთი წყაროების იდენტიფიცირება, რომელიც გამოვლენილ საჭიროებებს დააკმაყოფილებს და წყაროებზე წვდომის დაგეგმვა (ნახ. 6). თითოეული ეტაპი ითვალისწინებს რამდენიმე მოქმედებას, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს რესურსების სათანადოდ მობილიზების უზრუნველსაყოფად.



### 3.1 ეროვნული ინსტიტუციური შესაძლებლობების უზრუნველყოფა

#### მოქმედება 1. ინსტიტუციური საჭიროებების დადგენა

რესურსების მობილიზება მრავალმხრივი ამოცანაა და ქვეყნებს მისი დაგეგმვისა და კოორდინაციისათვის საკმარისი ინსტიტუციური და მმართველობითი ძალისხმევა სჭირდებათ. ინსტიტუციური შესაძლებლობები საკმარისი უნდა იყოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფინანსური საჭიროებების შესაფასებლად, რესურს-პარტნიორის იდენტიფიცირებისთვის, რესურს-პარტნიორთან ურთიერთობისა და მოლაპარაკებების დასაწყებად და დაფინანსებული საქმიანობის შედეგების მართვის, ანგარიშებისა და კომუნიკაციისათვის. რესურს-პარტნიორებთან სათანადო ურთიერთქმედება გამჭვირვალობასა და ნდობის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. თუმცა, ინსტიტუციური შესაძლებლობების ნაკლებობა და სისუსტე დაფინანსების წყაროების მიერ პროექტებსა და პროგრამებში ინვესტირების მთავარ შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს. ინვესტირების აზრით, ასეთ ინსტიტუტებს არ აქვთ მათი ფულის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობები. ამგვარად, უწყებებს, რომლებსაც სურთ დაფინანსების მოძიება ფინანსური დეფიციტის შესავსებად, უნდა ჰქონდეთ საკმარისი შესაძლებლობები იმისათვის, რომ უზრუნველყონ<sup>25</sup>:

25 FAO, 2012. რესურსების მობილიზაციის სახელმძღვანელო.

- ლონისძიების ფარგლებსა და მიზნის მიხედვით ყველაზე შესაფერისი რესურს-პარტნიორის **იდენტიფიცირება**, რაც ითვალისწინებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსების წყაროების შეფასებას და ყველაზე შესაფერისი წყაროს იდენტიფიცირებას და შემდეგ იმის გადამოწმებას, არის თუ არა რესურს-პარტნიორი მისაღები წყარო.
- მუშაობა** შერჩეულ რესურს-პარტნიორებთან იმ ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომელიც დაფინანსებას საჭიროებს. ეს ითვალისწინებს კომუნიკაციის შეთანხმებული მიდგომის გამოყენებას და ადვოკატირების ისეთი საშუალებების შემუშავებას, როგორცაა პროექტის კონცეფციები და წინადადებები, რისთვისაც აუცილებელია კონკრეტული რესურს-წყაროს საკომუნიკაციო მეთოდების ცოდნა. ამ შესაძლებლობის გაძლიერება შესაძლებელია თითოეულ რესურს-პარტნიორთან სამუშაოდ შესაბამისი პირის/კოორდინატორის დანიშვნის გზით.
- მოლაპარაკებები** თანამშრომლობის, მათ შორის პროცედურებისა და რესურსების შეთანხმების შესახებ, რისთვისაც აუცილებელია დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებების ტიპების ცოდნა.
- უზრუნველყოფილი რესურსების **მართვა და ანგარიშგება** შეთანხმებული მექანიზმის გამოყენებით რესურს-პარტნიორთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად და ღონისძიების განხორციელების შესახებ მისი რეგულარულად ინფორმირების მიზნით. ეს შეიძლება განხორციელდეს კონკრეტული დონორისთვის მისაღებ ფორმატსა და შეთანხმებული სიხშირით ინფორმაციის მიწოდების ან მათთვის შუალედური და დასკვნითი შეფასებების ანგარიშების წარდგენის გზით.
- შედეგების შესახებ ინფორმაციისა და გამოცდილების გავრცელება** ხილვადობის გასაზრდელად და მუდმივი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, უწყებებს, რომლებიც ჩართული იქნებიან კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსების მოძიების სისტემაში, რამდენიმე ძირითადი ფუნქცია უნდა ჰქონდეთ, კერძოდ: (i) რესურსების მობილიზება (შიდა, საერთაშორისო, სახელმწიფო და კერძო წყაროებიდან) და სახსრების ნაკადების მართვის ჩარჩოს შექმნა; (ii) იმ წვლილის დადგენა, რომელიც სხვადასხვა დაინტერესებულმა მხარეებმა (სამინისტროები, ადგილობრივი მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოება ან კერძო სექტორი) განხორციელებაში შეიძლება შეიტანონ; (iii) კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართულ ძალისხმევაში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა და ქმედებებზე პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა; და (iv) მიღწეული წარმატების, გარე მოვლენების და ახალი ან შემდგომი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობების აღრიცხვა.

კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების მობილიზებისა და გაცემის უზრუნველსაყოფად ეროვნულ სისტემებში შეიძლება შეიქმნას ფინანსური შუამავლები, რომლებიც შეიძლება მოიცავდნენ ეროვნულ უწყებებს, ეროვნულ საფინანსო ინსტიტუტებსა და კლიმატის ცვლილების ეროვნულ ფონდებს:

- ეროვნულ უწყებებს წარმოადგენენ ეროვნული ფინანსთა სამინისტროები, რომლებიც კოორდინაციას უწევენ და მართავენ კლიმატთან დაკავშირებულ ასიგნებებს საბიუჯეტო სისტემების მეშვეობით, გარემოს დაცვის სამინისტროები, რომლებსაც აქვთ ტექნიკური პასუხისმგებლობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და გეგმების შემუშავებაზე, მოლაპარაკებების წარმოებასა და შესრულებაზე და სხვა დარგობრივი სამინისტროები, რომლებიც კლიმატთან დაკავშირებულ დაფინანსებას უზრუნველყოფენ.

- ეროვნული საფინანსო ინსტიტუტებია განვითარების ეროვნული ბანკები, კერძო ბანკები და მიკროსაფინანსო ინსტიტუტები. ამ საფინანსო ინსტიტუტებს აქვთ წვდომა კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების საერთაშორისო და ეროვნული წყაროების ფართო სპექტრზე და სახსრებს სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტორებზე გასაცემენ.
- კლიმატის ცვლილების ეროვნული ფონდები (NCCF) წარმოადგენენ ძლიერ ცენტრალიზებულ საბიუჯეტო სისტემებს, რომლებიც ქვეყნებს სხვადასხვა წყაროებიდან სახსრების შეგროვებაში, შერწყმასა და კოორდინაციაში ეხმარებიან. ისინი არ ახდენენ ფინანსური ნაკადების დუბლირებას და არ აგროვებენ სახსრებს ისეთი პირველადი წყაროებიდან, როგორცაა GEF და GCF, არამედ უზრუნველყოფენ მექანიზმს, რომელსაც ამ რესურსების სხვა რესურსებთან შერწყმა შეუძლია.


ინსტიტუციური საჭიროებები განსხვავებულია და დამოკიდებულია ქვეყანაზე და რესურსებზე, რომელიც საჭიროა კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და პროგრამების განსახორციელებლად. კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების მობილიზებისა და მისაღებად საჭირო ინსტიტუციური მოწყობის მიდგომები განსხვავებულია და დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაზე. ამიტომ საქართველომ საკუთარი ინსტიტუციური საჭიროებები რესურსებთან დაკავშირებული იმ მოთხოვნების შესაბამისად უნდა დაადგინოს, რომლებიც განსაზღვრულია ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტებში. ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება უნდა მოხდეს არსებული შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

## მოქმედება 2. ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასება

მთავარი ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტების შესაბამისად საჭირო რესურსების მოსაპოვებლად ქვეყნის ინსტიტუციური საჭიროებების განსაზღვრის შემდეგ, აუცილებელია არსებული შესაძლებლობების შეფასება და გამოვლენილი ინსტიტუციური საჭიროებების შესაბამისად იმ მიმართულებების იდენტიფიცირება, რომლებიც გაძლიერებას საჭიროებენ.

ამ პროცესის დაწყება შესაძლებელია გადაწყვეტილებების ხის აგებით, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის საჭიროებების გააზრებას და შესაბამისი უწყების უკეთ შეფასებას. მომდევნო ნახაზზე მოცემულია გადაწყვეტილებების ხის მარტივი მაგალითი ინსტიტუციური შესაძლებლობების შესაფასებლად. ამის შემდეგ უნდა მოხდეს უფრო სიღრმისეული შეფასება ანკეტის საშუალებით.

**ნახაზი 7.** რესურსების მობილიზაციის ეტაპები და შესაბამისი მოქმედებები



რესურსების მაძიებელი უწყებების ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასებას უნდა მოყვას უფრო სიღრმისეული შეფასება ანკეტის საშუალებით (ცხრილი 17). დახმარების მაძიებელმა უწყებებმა უნდა შეაფასონ, აქვთ თუ არა მათ პრიორიტეტული ინსტიტუციური შესაძლებლობები და დაკმაყოფილებულია თუ არა საჭიროებები. მხოლოდ ყველა შემოწმების დასრულების შემდეგ შეძლებს უწყება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფინანსური საჭიროებების შეფასებას, შესაბამისი რესურს-პარტნიორების იდენტიფიცირებას, ამ რესურს-პარტნიორებთან დაკავშირებას და მოლაპარაკებების წარმოებას, დაფინანსებული საქმიანობის მართვასა და მისი შედეგების შესახებ ანგარიშების მომზადებას.

**ცხრილი 17.** პრიორიტეტული ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შეფასების ანკეტა

პრიორიტეტული ინსტიტუციური შესაძლებლობები და საჭიროებები	
<input type="checkbox"/>	უწყებას აქვს საკმარისი შესაძლებლობები პრიორიტეტული (ქვე)ღონისძიებ(ებ)ისთვის საჭირო დაფინანსების სრული სურათის მისაღებად.
<input type="checkbox"/>	უწყებას აქვს საკმარისი შესაძლებლობები პრიორიტეტული (ქვე)ღონისძიებ(ებ)ისთვის საჭირო დაფინანსება დაყოს ადაპტაციისა და შერბილების ღონისძიებებისა და NDC-ის სექტორების მიხედვით.
<input type="checkbox"/>	უწყებისთვის ცნობილია იმ რესურს-პარტნიორების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ დახმარების გაწევა, ასევე მათი საინვესტიციო ამოცანები, რეგიონული მიმართულება, ფინანსური მექანიზმის ტიპი, დახმარების მაძიებლების კრიტერიუმები და განაცხადის შეტანის პროცედურები.
<input type="checkbox"/>	უწყებისთვის ცნობილია ის გზები, რომლითაც მათ რესურს-პარტნიორებთან უნდა დაიწყონ და წარმართონ დიალოგი დახმარების მისაღებად.
<input type="checkbox"/>	უწყებაში არის სპეციალური დეპარტამენტი ან ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ჩაერთვება და მოლაპარაკებებს აწარმოებს შესაბამის რესურს-პარტნიორებთან ფინანსური დახმარების მისაღებად.
<input type="checkbox"/>	უწყებაში არის სპეციალური დეპარტამენტი ან ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს დაფინანსებული ღონისძიების მართვას და შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის ანგარიშების მომზადებასა და ინფორმირებას.
<input type="checkbox"/>	უწყებას აქვს რესურს-პარტნიორებისგან მოთხოვილი რესურსების გაცემის კანონით განსაზღვრული უფლებამოსილება.
<input type="checkbox"/>	უწყებას აქვს მონაცემთა შეგროვებისა და მართვის სისტემები და ინსტრუმენტები, რომლებიც საჭიროა ფინანსური საჭიროებების შესაფასებლად, შესაბამისი ინფორმაციის მისაღებად და შესაბამის რესურს-პარტნიორთან თანამშრომლობისათვის.

## 3.2 კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების საჭიროებების შეფასება

### მოქმედება 1. დაფინანსების საჭიროებების შეფასება

ეროვნული პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების მისაღებად აუცილებელია მკაფიო სტრატეგია, რომელშიც განსაზღვრული იქნება ქვეყნის ხედვა და საჭიროებები დაფინანსებასთან დაკავშირებით. ზუსტი ინფორმაცია კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს უფრო ინფორმირებული გადაწყვეტილებები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვის, პრიორიტეტების განსაზღვრისა და რესურსების განაწილების პროცესში და გაზომოს და შეაფასოს მიღწეული წარმატება. შეფასების მიზანია, გაირკვეს, რას აკეთებს თითოეული უწყება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით და რა დამატებითი მხარდაჭერაა საჭირო ქვეყნის მიერ კლიმატის ცვლილებასთან მიმართებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა, ასევე აუცილებელია გაირკვეს კლიმატის დაფინანსებაზე წვდომის ხელშემშლელი ფაქტორები და საქართველოს მიერ დაფინანსების ათვისების რეალური შესაძლებლობები, კერძოდ საქართველოს მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან (FDI), მათ შორის ფინანსური რესურსების, ცოდნისა და ტექნოლოგიების უზრუნველყოფის შედეგად სარგებლის მიღების უნარი.

თითოეულმა უწყებამ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია პრიორიტეტული ღონისძიებებისათვის საჭირო დაფინანსებისა და არსებული დეფიციტის შესახებ (ცხრილი 18). აუცილებელია, რომ წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ ტექნოლოგიებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები, არამედ კვლევებთან, მონიტორინგთან, შესაძლებლობების განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები და გაზრდილი/შეცვლილი მიმდინარე ხარჯები. ეს უზრუნველყოფს კლიმატის დაფინანსებასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული სიტუაციის უკეთ გაგებას, გამოავლენს ხარვეზებს, ხელს შეუწყობს საჭირო დაფინანსების იდენტიფიკაციასა და პრიორიტეტიზაციას და ამ ინფორმაციის რეგულარულად განახლებას.

**ცხრილი 18.** კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების საჭიროებების იდენტიფიცირება

მოქმედება	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრიორიტეტული (ქვე)ღონისძიება							
	ადაპტაცია				შერბილება			
	საჭიროება (ლარი) (A)	საბიუჯეტო დაფინანსება (ლარი) (B)	დაპირებული დაფინანსება (ლარი) (C)	დეფიციტი (ლარი) (D)	საჭიროება (ლარი) (A)	საბიუჯეტო დაფინანსება (ლარი) (B)	დაპირებული დაფინანსება (ლარი) (C)	დეფიციტი (ლარი) (D)
კვლევა								
განხორციელება								
<ul style="list-style-type: none"> <li>▶ საწყისი კაპიტალური ხარჯები</li> <li>▶ მიმდინარე ხარჯები</li> </ul>								
მონიტორინგი								
შესაძლებლობების გაძლიერება								

**წყარო:** ადაპტირებულია ავტორების იერ CDKN Dalberg NCCF რესურსების მობილიზაციის ანგარიშიდან.

ქვეყნის განახლებულ NDC-ში განსაზღვრულ პრიორიტეტულ სფეროებში კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების საჭიროების შესაფასებლად ცხრილი 18-ის შეფასებების გამოსაყენებლად მხარჯავმა უწყებებმა შემდეგი მოქმედებები უნდა შეასრულონ:

საჭიროების შეფასება: პრიორიტეტული ღონისძიების განხორციელების ღირებულება.

- A. საბიუჯეტო დაფინანსება: t საბიუჯეტო წელს n ღონისძიებებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ჯამური დაფინანსება.
- B. დაპირებული დაფინანსება: სახსრები, რომლებიც გათვალისწინებულია გარე სუბიექტების მიერ ამ პრიორიტეტის ფარგლებში ღონისძიების განსახორციელებლად.

დაფინანსების დეფიციტი (D) = A – B – C.

**მოქმედება 2. დარგობრივი პრიორიტეტების და ფინანსური საჭიროებების ცვლილების თეორიის განსაზღვრა**

უწყებების მიერ პრიორიტეტული ღონისძიებებისათვის საჭირო დაფინანსებისა და არსებული დეფიციტის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაში ასევე მითითებული უნდა იყოს მათი კავშირი საქართველოს განახლებულ NDC-ში განსაზღვრულ კლიმატის ცვლილების შესაბამის სფეროებთან (ცხრილი 19).

**ცხრილი 19.** საქართველოს განახლებულ NDC-ში განსაზღვრული კლიმატის ცვლილების სფეროები

შერბილება		ადაპტაცია	
	ენერჯეტიკა		ტურიზმი
	ტრანსპორტი		სოფლის მეურნეობა
	შენობები		წყლის რესურსები
	მრეწველობა		ბუნებრივი ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება
	სოფლის მეურნეობა		ჯანმრთელობა
	სატყეო სექტორი		ინფრასტრუქტურა
	ნარჩენები		

ეს ქვეყანას აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას და პასუხს სცემს შემდეგ მნიშვნელოვან კითხვას:

**დაკავშირებულია თუ პრიორიტეტული ღონისძიებების დაფინანსების საჭიროებები და დეფიციტი, რომელიც შევსებას საჭიროებს, ქვეყნის NDC-ში განსაზღვრულ პრიორიტეტებთან**

გარდა ამისა, ინვესტორებისთვის გამჭვირვალობისა და მიმზიდველობის გასაძლიერებლად, უწყებებმა უნდა დაასაბუთონ საკუთარი ფინანსური საჭიროებები ცვლილების თეორიით (ნახ. 8), რომელიც აღწერს უწყების საერთო ხედვას, მიზნებს, ზოგად შედეგებს, კონკრეტულ შედეგებსა და პრიორიტეტულ ღონისძიებებს. ეს არის კონტექსტი, რომლის საშუალებითაც ინვესტორებს უწყება სასურველ შედეგებსა და მოსალოდნელ ზემოქმედებას აცნობს. საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსების საჭიროების დასასაბუთებლად თითოეული პრიორიტეტული ღონისძიება, რომელმაც შესაძლოა ფინანსური დეფიციტი წარმოქმნას, ცვლილების თეორიის ნაწილი უნდა იყოს.

**ნახაზი 8.** ცვლილების თეორია დაფინანსების საჭიროებების დასასაბუთებლად



ეს მიდგომა შეიძლება საქართველოში პროგრამული ბიუჯეტის შედგენის პრაქტიკაში დაინერგოს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის (#385, 08/07/2011)<sup>26</sup> თანახმად, თითოეულმა მხარჯველმა უწყებამ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია გასული ორი წლის განმავლობაში, პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილ პროგრამებსა და ღონისძიებებზე მიმართული სახსრების, მიმდინარე წლისთვის არსებული პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილ პროგრამებსა და ღონისძიებებზე გამოყოფილი სახსრებისა და დასაგეგმი წლების პრიორიტეტების საშუალოვადიანი ბიუჯეტის შესახებ. ამ ინფორმაციის საფუძველზე თითოეული სამინისტრო ამზადებს და ამტკიცებს საკუთარ საშუალოვადიან გეგმებს, რომლებიც მოიცავს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში პროგრამული გეგმებისა და ამოცანების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების დეტალურ ჩამონათვალს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის თანახმად, თითოეულ ღონისძიებასთან მიმართებით წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- ღონისძიების აღწერა და მიზანი
- პროექტის განმახორციელებელი უწყება/სუბიექტი
- მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები
- დაფინანსების წყარო

26 სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია, ფინანსთა სამინისტრო, თბილისი, 2011 წ.: [https://www.mof.ge/images/File/budget\\_legislation/METHODOLOGY\\_OF\\_PROGRAM\\_BUDGETING.pdf](https://www.mof.ge/images/File/budget_legislation/METHODOLOGY_OF_PROGRAM_BUDGETING.pdf)

- ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა არსებული დაფინანსების პირობებში და მთლიანობაში
- დაფინანსების დამატებით წყაროს არსებობის შემთხვევაში სამიზნე მაჩვენებლებში ცვლილება
- ინფორმაცია ღონისძიების ტიპის შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის თანახმად:

- თითოეული ღონისძიების უკან უნდა იდგეს ხარჯთაღრიცხვა, სადაც განსაზღვრული იქნება ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო გადასახდელები. ხარჯთაღრიცხვის შედგენის მეთოდოლოგია ბევრ შემთხვევაში ინდივიდუალური იქნება, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ:
  - ▶ როდესაც ღონისძიება დაკავშირებულია ინტელექტუალურ შრომასთან და რომელსაც ახორციელებს სამინისტროს აპარატი (სხვა უწყება) შესაძლებელია ხარჯთაღრიცხვა დაითვალოს კაც/საათის მიხედვით.
  - ▶ თუ პროგრამის ხარჯი დამოკიდებულია ბენეფიციარების რაოდენობაზე ხარჯთაღრიცხვა კეთდება ბენეფიციარების მიხედვით.
  - ▶ თუ პროგრამა ითვალისწინებს ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას ან რაიმე პროდუქტის შექმნას და არ არის მხოლოდ ინტელექტუალურ შრომასთან დაკავშირებული, ხარჯთაღრიცხვა კეთდება პროდუქტის შექმნისთვის საჭირო ხარჯის მიხედვით (+ ინტელექტუალური შრომა დათვლილი პირველ პუნქტში, თუ იგი უკვე არ არის სხვა ღონისძიების ნაწილი ან თუ მისი ცალკე გამოყოფა შესაძლებელია).
- ხარჯთაღრიცხვის მოსამზადებლად ასევე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ალტერნატიული გზა, როდესაც შესაძლებელია აღებულ იქნეს უწყების/სტრუქტურული ერთეულის შენახვის საშუალო ხარჯი (გამოთვლა შესაძლებელია გასული რამდენიმე და მიმდინარე წლის მთლიანი ხარჯებიდან), შემდეგ დაიყოს უწყების/სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციების შესრულებად პროცენტულად დაახლოებით რა წილი მიაქვს და მთლიანი ხარჯები გადანაწილდეს იმავე პროპორციით.

საქართველოს მთავრობის #88 დადგენილება 2023 - 2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ახლახან იქნა მიღებული, მხარჯავ ორგანიზაციას ურჩევს, კლასიფიკაციის გზით (მდგრადი განვითარების მიზნები, გენდერი, კლიმატის ცვლილება და, სხვ.) განსაზღვრონ პროგრამის პოლიტიკური სფერო ელექტრონული ბიუჯეტის სისტემაში, დაადგინონ შესრულების შესაბამისი ინდიკატორები კლიმატის პოლიტიკის სფეროში და მოკლედ აღწერონ, თუ როგორ არის პროგრამა/ღონისძიებები დაკავშირებული კლიმატის ცვლილებასთან.

დარგობრივი პრიორიტეტებისა და დაფინანსების საჭიროების ცვლილების თეორიის განსაზღვრა საქართველოს მწვანე ბიუჯეტის რეკომენდაციებს შეესაბამება.<sup>27</sup> მწვანე ბიუჯეტი

27 მწვანე ბიუჯეტის პროექტი, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი, თბილისი, 2021 წ.: [http://environment.cenn.org/app/uploads/2021/02/EN\\_Green\\_Budget\\_A4\\_Print.pdf](http://environment.cenn.org/app/uploads/2021/02/EN_Green_Budget_A4_Print.pdf)

არის საქართველოს პარლამენტისთვის სარეკომენდაციო ძალის მქონე სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის მიზანიცაა შესაბამისობაში მოიყვანოს მოცემული წლის ბიუჯეტი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დარგში განსახორციელებელ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ რეფორმებთან. ეს ნიშნავს იმას, რომ თითოეულმა სახელმწიფო ორგანომ ან უწყებამ სასურველია ცალკე წარმოადგინოს ანგარიშები იმ პროგრამებისა ან ღონისძიებების შესახებ, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მწვანე ან გარემოსდაცვით ღონისძიებად, ქვეყანაში მწვანე ღონისძიებებისა და პროგრამების იდენტიფიცირებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მწვანე ბიუჯეტში არ არის განსაზღვრული სახელმძღვანელო მითითებები, ის მოითხოვს, რომ მწვანე ბიუჯეტირებით შეფასდეს და გაანალიზდეს:

**1** უწყებათშორისი ძალისხმევის განაწილებისა და სტრატეგიული დღის წესრიგით გამოწვეული საბიუჯეტო შედეგები:

- ა. გარემოსდაცვითი პოლიტიკის საჭიროებათა ანალიზი;
- ბ. გარემოსდაცვითი ქმედებების შეფასება ფისკალური მდგრადობის თვალსაზრისით;
- გ. „მწვანე მიზნების“ ფორმულირება გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ბიუჯეტის დაგეგმვაში.

**2** სახელმწიფო ღონისძიებების გარემოზე ზემოქმედება:

- ა. პოტენციურად გარემოზე ზიანის მომტანი ქმედებების საბიუჯეტო ხარჯების იდენტიფიცირება;
- ბ. საგადასახადო სისტემის შეფასება გარემოზე ზემოქმედების კუთხით;
- გ. წიაღისეული საწვავის სუბსიდირების ინვენტარიზაცია;
- დ. კლიმატის ცვლილების ფაქტორების გათვალისწინებით ხარჯების პრიორიტეტიზაცია.

**3** რელევანტური საბიუჯეტო ღონისძიებები:

- ა. წინასწარი გარემოსდაცვითი ზეგავლენის შეფასება (ex-ante);
- ბ. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი;
- გ. ქმედების რეალიზების შემდეგი შეფასება (ex-post).

### 3.3 კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება

#### მოქმედება 1. ფინანსური გარემოს შესწავლა

რესურსების მობილიზება მოითხოვს დეტალურ ინფორმაციას კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების წყაროების, მათი პრიორიტეტების, წესებისა და პროცედურების და ანგარიშვალდებულების მექანიზმების შესახებ. შესაბამისად, ღონისძიებისათვის ინვესტორის ყველაზე შესაფერისი ტიპის შესარჩევად საჭიროა ფინანსური გარემოს შესწავლა. ეს მოიცავს ინვესტორების პრიორიტეტული სფეროების შესწავლას, მათ შორის იმის დადგენას, შეესაბამება თუ არა ღონისძიების რეგიონი ან ადგილმდებარეობა მათ პრიორიტეტულ გეოგრაფიულ მიმართულებას, აგრეთვე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმების, დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის პროცედურებისა და რესურს-პარტნიორის მიერ გამოყენებული დაფინანსების მექანიზმების შესწავლას.


ვინაიდან კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების ყველა პოტენციური წყარო საქართველოს NDC-ის ღონისძიებებს უნდა უკავშირდებოდეს, აუცილებელია, რომ ფინანსური გარემოს შესწავლა საქართველოს პოლიტიკური ჩარჩოს გათვალისწინებით მოხდეს, რომლის საფუძველზეც მოხდება კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება.

#### მოქმედება 2. კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების ისეთი წყაროების იდენტიფიცირება, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება მხარჯავი უწყებების ხედვასა და მიზნებს

საქართველოს მხარჯავი უწყებებისთვის მნიშვნელოვანია კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების ისეთი წყაროების იდენტიფიცირება, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათ ხედვასა და მიზნებს. ამისათვის უნდა შედგეს რესურს-პარტნიორების მოკლესა და ერთმანეთს შედარდეს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლის საფუძველზეც მოხდება პოტენციური წყაროების პრიორიტეტიზაცია. პრიორიტეტიზაცია ხორციელდება კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების წყაროსა და დასაფინანსებელი ღონისძიების ისეთი მთავარი ასპექტების შედარებით, როგორცაა შესაბამისობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსების საჭიროებების შეფასების დროს შემუშავებულ ცვლილების თეორიასთან და დაფინანსების წყაროს შერჩევის კრიტერიუმები (ნახ. 9).

კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების იმ წყაროებს, რომლებიც ყველაზე უკეთ შეესაბამებიან ღონისძიების მიზნებსა და ამოცანებს და დაფინანსების კრიტერიუმებს, ყველაზე მაღალი ქულა ექნებათ, და, შესაბამისად, დაფინანსების მოსაძიებლად ეს წყაროები უნდა იქნეს გათვალისწინებული.

**ნახაზი 9.** კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების წყაროების პრიორიტეტიზაციის მატრიცა<sup>28</sup>



ცხრილი 20 და 21-ში ნაჩვენებია კავშირები დანართი I-ში წარმოდგენილ დაფინანსების წყაროებსა და საქართველოს განახლებული NDC-ის შერბილებებისა და ადაპტაციის პრიორიტეტულ სექტორებს შორის, შესაბამისად. ეს დაეხმარება საქართველოს მხარჯავ უწყებებს დაფინანსების წყაროების ისეთნაირად შერჩევაში, რომ პროექტის მიზნები და ამოცანები თანხვედრაში იყოს დაფინანსების წყაროს მიმართულებებსა და პრიორიტეტებთან.

**ცხრილი 20.** შერბილების ღონისძიებების დაფინანსების შესაძლო წყაროები საქართველოს NDC-ის სექტორების მიხედვით

	ენერგეტიკა	ტრანსპორტი	შენობები	მრეწველობა	სოფლის მეურნეობა	ნარჩენები	სატყეო სექტორი
<b>კლიმატის მრავალმხრივი ფონდები – UNFCCC-ის ფონდები</b>							
მწვანე კლიმატის ფონდი (GCF)	<input checked="" type="checkbox"/>						
კლიმატის ცვლილების სპეციალური ფონდი (SCCF)	<input checked="" type="checkbox"/>						
ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ფონდი (LDCF)							
ადაპტაციის ფონდი (AF)							

28 ადაპტირებულია ავტორების იერ CDKN Dalberg NCCF რესურსების მობილიზაციის ანგარიშიდან.

	ენერგეტიკა	ტრანსპორტი	შენობები	მრეწველობა	სოფლის მეურნეობა	ნარჩენები	სატყეო სექტორი
გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF) - საერთო სატრასტო ფონდი	<input checked="" type="checkbox"/>						
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)					<input checked="" type="checkbox"/>		
<b>კლიმატის მრავალმხრივი ფონდები - სხვა ფონდები</b>							
აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი (E5P)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>	
მდგრადი განვითარების ევროპული ფონდი (EFSD)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>		
მწვანე ზრდის ფონდი (GGF)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			
<b>საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები - მსოფლიო ბანკის ჯგუფი</b>							
რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	<input checked="" type="checkbox"/>						
საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA)	<input checked="" type="checkbox"/>						
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)	<input checked="" type="checkbox"/>						
მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო (MIGA)	<input checked="" type="checkbox"/>						
<b>საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები - სხვა</b>							
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	<input checked="" type="checkbox"/>						
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	<input checked="" type="checkbox"/>						
ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			
შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			
სკანდინავიური საინვესტიციო ბანკი (NIB)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	
სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	<input checked="" type="checkbox"/>						

	ენერგეტიკა	ტრანსპორტი	შენობები	მრეწველობა	სოფლის მეურნეობა	ნარჩენები	სატყეო სექტორი
							
გაეროს პროგრამა გაუტყეურებისა და ტყის დეგრადაციის შედეგად წარმოქმნილი ემისიების შემცირების შესახებ (UN REDD Program)					<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>
<b>ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები</b>							
ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
დანიის საინვესტიციო ფონდი განვითარებადი ქვეყნებისთვის (IFU)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
გერმანიის კლიმატის საერთაშორისო ინიციატივა (IKI)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>
ნიდერლანდების სამეწარმეო განვითარების ბანკი (FMO)	<input checked="" type="checkbox"/>				<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>
შერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ნორვეგიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (NORAD)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ჩეხეთის განვითარების სააგენტო (CzechAid)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>

	ენერგეტიკა 	ტრანსპორტი 	შენობები 	მრეწველობა 	სოფლის მეურნეობა 	ნარჩენები 	სატყეო სექტორი 
<b>ეროვნული საფინანსო ინსტიტუტები</b>							
საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი (GEDP)	<input checked="" type="checkbox"/>						
საქართველოს სს საპარტნიორო ფონდი	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF)							
საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი (GRDF)					<input checked="" type="checkbox"/>		
საქართველოს თანაინვესტირების ფონდი	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		

**ცხრილი 21.** ადაპტაციის ღონისძიებების დაფინანსების შესაძლო წყაროები საქართველოს NDC-ის სექტორების მიხედვით

	სანაპირო ზონა 	ტურიზმი 	სოფლის მეურნეობა 	წყლის რესურსები 	ბიომრავალ. 	სატყეო სექტორი 	ჯანმრთელობა 
<b>კლიმატის მრავალმხრივი ფონდები- UNFCCC-ის კლიმატის ფონდები</b>							
მწვანე კლიმატის ფონდი (GCF)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
კლიმატის ცვლილების სპეციალური ფონდი (SCCF)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ფონდი (LDCF)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ადაპტაციის ფონდი (AF)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF) - საერთო სატრასტო ფონდი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)			<input checked="" type="checkbox"/>				
<b>კლიმატის მრავალმხრივი ფონდები - კლიმატის სხვა ფონდები</b>							
აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი (E5P)				<input checked="" type="checkbox"/>			
მდგრადი განვითარების ევროპული ფონდი (EFSD)							
მწვანე ზრდის ფონდი (GGF)							

	სანაპირო ზონა 	ტურიზმი 	სოფლის მეურნეობა 	წყლის რესურსები 	ბიომრავალ. 	სატყეო სექტორი 	ჯანმრთე- ლობა 
<b>საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები – მსოფლიო ბანკის ჯგუფი</b>							
რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)							
მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო (MIGA)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
<b>საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები – სხვა</b>							
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>
შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB)	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	
სკანდინავიური საინვესტიციო ბანკი (NIB)	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>			
სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>			
გაეროს პროგრამა გაუტყეურებისა და ტყის დეგრადაციის შედეგად წარმოქმნილი ემისიების შემცირების შესახებ (UN REDD)							
<b>ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები</b>							
ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
დანის საინვესტიციო ფონდი განვითარებადი ქვეყნებისთვის (IFU)							
შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>

	სანაპირო ზონა 	ტურიზმი 	სოფლის მეურნეობა 	წყლის რესურსები 	ბიომრავალ. 	სატყეო სექტორი 	ჯანმრთე- ლობა 
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
გერმანიის კლიმატის საერთაშორისო ინიციატივა (IKI)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ნიდერლანდების სამეწარმეო განვითარების ბანკი (FMO)			<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>	
შვედური შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ნორვეგიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (NORAD)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ჩეხეთის განვითარების სააგენტო (CzechAid)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
<b>ეროვნული საფინანსო ინსტიტუტები</b>							
საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი (GEDP)							
საქართველოს სს საპარტნიორო ფონდი		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>				
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>			
საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი (GRDF)		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>				
საქართველოს თანაინვესტირების ფონდი		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>				

#### 4 კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საბიუჯეტო პროგრამების პრიორიტეტიზაცია და ინტეგრაცია

ქვეყნები აცნობიერებენ ფინანსთა სამინისტროების მიერ გასამზადებელ ფისკალური რისკების შეფასებებში კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა (როგორც ფიზიკური, ასევე გარდამავალი) და მათი შედეგების გათვალისწინებისა და ბიუჯეტირების პროცესებში კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ხარჯების ჩართვის მნიშვნელობას. ეს ასევე წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების ბიუჯეტირების რეფორმის დღის წესრიგის შემადგენელ ნაწილს, რომელიც, სახელმწიფო ფინანსების მართვის (PFM) სისტემის გავლენის მაქსიმალურად გასაძლიერებლად, კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების მიზნების ბიუჯეტირების ერთმანეთთან დაკავშირების შესაძლებლობას იძლევა. ქვეყნები წლიური ბიუჯეტირებიდან გადადიან საშუალოვადიან ბიუჯეტირებაზე, რომელიც განვითარების პოლიტიკისა და გეგმების საშუალოვადიან პერსპექტივებსა და მიზნებს ემყარება. საშუალოვადიანი ბიუჯეტირების ვარიანტები და მიდგომები: საშუალოვადიანი ხარჯების ჩარჩო (MTEF), საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჩარჩო (MTBF), და საშუალოვადიანი შესრულების ჩარჩო (MTPF).

MTEF-ის კონტექსტში საქართველო ამზადებს ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტს (BDD). BDD არის საქართველოს განვითარების ძირითადი გეგმა, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ. დოკუმენტში მოცემულია წინა წლის ფისკალური მაჩვენებლების ანალიზი და მომავალი წლის ფინანსური გეგმების მონახაზი, აგრეთვე კავშირები, ერთი მხრივ, ეროვნულ და რეგიონულ სტრატეგიებსა და პრიორიტეტებს შორის და, მეორე მხრივ, იურიდიული პირების სტრატეგიების ან პრიორიტეტების ხარჯებს შორის. დოკუმენტი მოიცავს ოთხწლიან პერიოდს და ყოველწლიურად ახლდება. როდესაც დარგობრივი სამინისტროები და საჯარო დაწესებულებები საკუთარი სამოქმედო გეგმების ან დარგობრივი სტრატეგიების ფარგლებში ახალ პოლიტიკას ან ვალდებულებებს იღებენ, BDD ადგენს ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც შესაბამისმა უწყებამ რესურსები უნდა გაითვალისწინოს.

წინამდებარე თავში წარმოდგენილია საქართველოს საშუალოვადიანი ბიუჯეტირების პროცესში კლიმატის ცვლილების ინტეგრირების ეტაპობრივი მიდგომა ბიუჯეტირების პროცესში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საბიუჯეტო პროგრამების პრიორიტეტიზაციისა და აქტუალიზაციის მიზნით და ამისათვის საჭირო ინსტრუმენტები და საშუალებები. ასევე განხილულია გეგმებსა და ბიუჯეტებში კლიმატის ცვლილების ჩართვის პროცესში გენდერული და სოციალური ასპექტების გათვალისწინების საკითხი საქართველოს ბიუჯეტირების არსებული სისტემის საფუძველზე.

წინამდებარე თავის მიზანია, რეკომენდაციები მისცეს ახლახან შექმნილ კლიმატის ცვლილების საბჭოს (CCC). CCC წარმოადგენს მაღალი დონის უწყებათაშორის ორგანოს, რომლის მიზანია, უზრუნველყოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გაუმჯობესებული კოორდინაცია. CCC-ის ფუნქციებში შედის შესაბამის ფონდებსა და საფინანსო ინსტიტუტებში წარსადგენი კლიმატთან დაკავშირებული პროექტების განხილვა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის კონკრეტული პროექტის მხარდაჭერის თაობაზე რეკომენდაციების მიცემა. გარდა ამისა, ის განიხილავს კლიმატის

ცვლილებასთან დაკავშირებულ ეროვნულ სტრატეგიებსა და გეგმებს და დამტკიცების შემთხვევაში, უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინიცირებას.

## 4.1 კლიმატის ცვლილების ინტეგრირება წინასაბიუჯეტო დოკუმენტებში

ბიუჯეტის შედგენისას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საბიუჯეტო პროგრამების პრიორიტეტიზაციისა და ინტეგრირებისათვის აუცილებელია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის ასახვა ისეთ წინასაბიუჯეტო დოკუმენტებში, როგორცაა საშუალოვადიანი სტრატეგიები. ბიუჯეტის შედგენის ციკლის საწყის ეტაპზე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის გათვალისწინება სამინისტროებს, დეპარტამენტებსა და სააგენტოებს კლიმატთან დაკავშირებული საკუთარი ხარჯების პროგნოზირებისა და დაგეგმვის შესაძლებლობას მისცემს და დაეხმარება ამ ხარჯების საკუთარ ბიუჯეტებში უკეთ ინტეგრირებაში.

ამის განხორციელება შესაძლებელია წინასაპროექტო დოკუმენტებში კლიმატის ცვლილების, ან მისი ზემოქმედების მნიშვნელობის, კლიმატის ცვლილების ფაქტორებისა და პოლიტიკური მიმართულებების და პროექტების ბიუჯეტებსა და ფინანსურ საჭიროებებზე მათი გავლენის შესახებ ინფორმაციის ჩართვის გზით. საქართველოს ბიუჯეტირების პროცესის კონტექსტში და სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის (#385, 08/07/2011) თანახმად, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების წინასწარ ბიუჯეტებთან დაკავშირებით დარგობრივმა სამინისტროებმა ფინანსთა სამინისტროს უნდა წარუდგინონ შემდეგი ინფორმაცია:

- ა. ღონისძიებების არსი
- ბ. განმახორციელებელი უწყება/სუბიექტი
- გ. ღონისძიების საბაზისო და სამიზნე ინდიკატორები
- დ. დაფინანსების წყარო
- ე. ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა არსებული დაფინანსების პირობებში და მთლიანობაში (თუ ღონისძიება დამატებით დაფინანსების შემთხვევაში შესაძლოა სხვაგვარად განვითარდეს)
- ვ. დაფინანსების დამატებით წყაროს არსებობის შემთხვევაში სამიზნე მაჩვენებლებში ცვლილება
- ზ. ინფორმაცია იმის შესახებ, ღონისძიება წარმოადგენს პროგრამის არსებული გზით გაგრძელების ნაწილს, თუ უკავშირდება რეფორმას, ახალ პოლიტიკას ან ახალ პროგრამას.

სასურველია, რომ ეს ინფორმაცია მითითებული იყოს საშუალოვადიან პერიოდში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ ასიგნებებში, საშუალოვადიანი ხარჯების ჩარჩოს (MTEF) მიდგომით, რაც უზრუნველყოფს საშუალოვადიან გეგმებში კლიმატის ცვლილების პოლიტიკის პრიორიტეტების ასახვას შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით. ეს უნდა გაკეთდეს როგორც კლიმატის ცვლილების შერბილების, ასევე მასთან ადაპტაციის

ვალდებულებებთან მიმართებით და კლიმატის ცვლილების ეროვნული პოლიტიკის ჩარჩოების, როგორცაა ქვეყნის NDC ან დაბალემისიანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია (LT-LEDS), შესაბამისად.

საქართველოს 2022-2025 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტებს გარემოს დაცვის, მისი მდგრადობის შენარჩუნებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მიმართულებით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პარალელურად. თუმცა ის კონკრეტულად კლიმატის ცვლილების საკითხებს არ ეხება და კლიმატის ცვლილებას ცალკე პრობლემად არ განიხილავს. გარდა ამისა, BDD-ში განსაზღვრულია პრიორიტეტები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად, გენდერული ნიშნით ძალადობის თითოეულ შემთხვევაზე სწრაფად და ეფექტიანად რეაგირებისათვის და ისეთი მოწყვლადი ჯგუფების მხარდასაჭერად, როგორცაა ბავშვები, ხანდაზმულები, ეთნიკური უმცირესობები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. თუმცა, დოკუმენტში კლიმატის ცვლილების გენდერული და მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებული ასპექტები გათვალისწინებული არ არის.

შესაბამისად, 2022 წლის მდგომარეობით, ამ წინასაბიუჯერო დოკუმენტებში კლიმატის ცვლილების პოლიტიკა არ არის ასახული. თუმცა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით ვითარება 2023 წლიდან შეიცვლება. 2022 წლის 25 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის #88 დადგენილება 2023 – 2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მხარჯავ დაწესებულებებს ურჩევს, კლასიფიკაციის გზით (მდგრადი განვითარების მიზნები, გენდერი, კლიმატის ცვლილება და, სხვ.) ნებაყოფლობით განსაზღვრონ პროგრამის პოლიტიკური სფერო ელექტრონული ბიუჯეტის სისტემაში, დაადგინონ შესრულების შესაბამისი ინდიკატორები, მათ შორის, კლიმატის პოლიტიკის სფეროში და მოკლედ აღწერონ, თუ როგორ არის პროგრამა/ღონისძიებები დაკავშირებული კლიმატის ცვლილებასთან.

ამ ცვლილებისთვის მოსამზადებლად და წინასაბიუჯეტო დოკუმენტებში კლიმატის ცვლილების ინტეგრაციის გასაუმჯობესებლად, CCC-მ უნდა უზრუნველყოს საბჭოს შემადგენლობაში შემავალი თითოეული სამინისტროს მიერ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინიციატივების პოლიტიკური მიზნების, მათ შორის წლებისა და ცალკეული პროგრამების მიხედვით ინდიკატორებისა და ხარჯების მკაფიოდ განსაზღვრა. მათ ასევე უნდა მიუთითონ ამ ინიციატივების კავშირი NDC-ის მიზნებთან და ამ მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ სხვა ინიციატივებთან. ამის შესასრულებლად საჭიროა სამინისტროების დახმარება საკუთარი სტრატეგიების განხილვაში, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შეფასებასა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ დარგობრივ საშუალოვადიან სტრატეგიულ გეგმებში პოლიტიკური პრიორიტეტების ასახვაში.

ამ სახის დახმარება ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების, ზომებისა და შესრულების ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების (KPI) ასახვას მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტებში. ეს უზრუნველყოფს სტრატეგიულ საბიუჯეტო დოკუმენტებში კლიმატის ცვლილების სტრატეგიების გათვალისწინებას, რაც მხარჯავ უწყებებს მისცემს შესაძლებლობას, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ სავალდებულო ინფორმაციასთან ერთად, წარმოადგინონ ინფორმაცია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ხარჯების შესახებ.

## 4.2 კლიმატის ცვლილების ინტეგრირება საშუალოვადიანი და წლიური ბიუჯეტების მომზადებაში

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მხარჯავი უწყებები აქტიურად იყვნენ ჩართული სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადების პროცესში დამტკიცებულ და განფასებულ სტრატეგიულ გეგმებში განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზნებთან ხარჯვითი პოლიტიკის წინადადებების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამისათვის ფინანსთა სამინისტროს უნდა ჰქონდეს მკაფიო ინსტრუქციები, რომლებიც კლიმატის ცვლილების საკითხებსაც შეეხება და მხარჯავ უწყებებს საშუალოვადიანი და წლიური ბიუჯეტებში კლიმატის ცვლილების პოლიტიკის გათვალისწინებაში დაეხმარება.

ფინანსთა სამინისტროს ან სხვა უწყებათაშორისი ორგანოების მიერ, როგორცაა CCC, მხარჯავი უწყებებისთვის დახმარების გაწევა დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროცესებში ინსტრუქციების ან შესაძლებლობების გაძლიერების საშუალებით, ძალიან მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბიუჯეტში სათანადოდ იყოს ასახული თითოეული სამინისტროს ხარჯვითი პოლიტიკის პრიორიტეტები. მთავრობაში წარდგენილი ხარჯვითი პოლიტიკის წინადადებები უნდა შეესაბამებოდეს სამინისტროების დამტკიცებულ და განფასებულ სტრატეგიულ გეგმებში განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზნებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატი შედგენის მეთოდოლოგია (#385, 08/07/2011)<sup>29</sup>, რომელიც წარმოადგენს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის წესს, ის ბიუჯეტირების პროცესში კლიმატის ცვლილების ასპექტების ჩართვას არ ითვალისწინებს. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის #88 დადგენილება 2023 – 2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მხარჯავ უწყებებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების კლასიფიცირების შესაძლებლობას აძლევს, სამინისტროებს არ აძლევს დამატებით მითითებებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ინფორმაციის წარმოდგენა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ CCC-მ სამინისტროებს მისცეს კონკრეტული მითითებები წლიური ბიუჯეტის მომზადებაში კლიმატის ცვლილების ინტეგრირების თაობაზე, რაც ასევე გამოიწვევს საშუალოვადიანი ბიუჯეტების მომზადების პროცესში კლიმატთან დაკავშირებული პრიორიტეტების განახლებას. ეს შეიძლება განხორციელდეს CCC-ის ფარგლებში მოქმედი კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების თემატური სამუშაო ჯგუფის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს კლიმატის ცვლილების საბჭოს საკონსულტაციო ორგანოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხებში. სამუშაო ჯგუფების შემადგენლობაში შედიან საჯარო მოხელეები, ექსპერტების და აკადემიური ინსტიტუტების წარმომადგენლები, რომლებიც ყოველ სამ თვეში ერთხელ იკრიბებიან. ამ შეხვედრებზე კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების სამუშაო ჯგუფს შეუძლია CCC-ში შემავალი სამინისტროების საფინანსო დეპარტამენტებს აუხსნას, თუ რა შედეგებს იწვევს კლიმატის ცვლილება, რა განსხვავებაა შერბილება და ადაპტაციის შორის და როგორ უნდა მოხდეს კლიმატის ცვლილების გათვალისწინება სამინისტროების წლიური ბიუჯეტების მომზადების პროცესში.

29 სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატი შედგენის მეთოდოლოგია, ფინანსთა სამინისტრო, თბილისი, 2011 წ.: [https://www.mof.ge/images/File/budget\\_legislation/METHODOLOGY\\_OF\\_PROGRAM\\_BUDGETING.pdf](https://www.mof.ge/images/File/budget_legislation/METHODOLOGY_OF_PROGRAM_BUDGETING.pdf)

გარდა ამისა, CCC-ის შეუძლია დაეხმაროს ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტირების სახელმძღვანელო დოკუმენტებში, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია, კლიმატთან დაკავშირებული ბიუჯეტების კლასიფიცირების წესის სრულყოფასა და გამრავალფეროვნებაში. მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის დანართი 1-ს - პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის ძირითადი არსი და პრინციპები (14.08.2015 N265) შეიძლება დაემატოს კლიმატის ცვლილების, შერბილებისა და ადაპტაციის განმარტებები.

### კლიმატის ცვლილება

კლიმატის შეცვლა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია ადამიანის საქმიანობასთან, რომელიც ცვლის ატმოსფერულ შემადგენლობას და რომელიც კლიმატის ბუნებრივი ცვალებადობის გათვალისწინებით დამატებით ცვლილებას წარმოადგენს დროის შედარებადი პერიოდების განმავლობაში.

### შერბილება

ადამიანის მიერ ზომების მიღება სათბურის აირების ემისიების წყაროების შესამცირებლად ან შეზღუდვის მიზნით, ან სათბურის აირების ემისიების შთანთქმის შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

### ადაპტაცია

ისეთი გადაწყვეტილებები ბუნებრივი ან ადამიანთა დაკავშირებული სისტემებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავენ კლიმატის მიმდინარე და მომავალში მოსალოდნელი ცვლილების რისკების, ან მათ მიმართ მოწყვლადობის თავიდან აცილებას, ან შემცირებას და მდგრადობის გაძლიერებას.

გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის დანართი 2-ს (14.08.2015 N265) შეიძლება დაემატოს მითითებები პროგრამული ბიუჯეტის დანართში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩართვის თაობაზე (ცხრილი 22 და 23).

**ცხრილი 22.** კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩართვა თითოეული პროგრამისთვის წარმოდგენილ ინფორმაციაში

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)				
პროგრამის განმახორციელებელი				
პროგრამის აღწერა და მიზანი				
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი				
პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:				
№	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1.				
2.				
3. (გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში)				
4. (კლიმატის ცვლილება – შერბილება ან ადაპტაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში)				
5. (კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში)				

**ცხრილი 23.** კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩართვა თითოეული ქვეპროგრამისთვის/ ღონისძიებისთვის წარმოდგენილ ინფორმაციაში

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)				
პროგრამის განმახორციელებელი				
პროგრამის აღწერა და ქვეპროგრამის მიზანი				
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი				
პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:				
№	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
1.				
2.				
3. (გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში)				
4. (კლიმატის ცვლილება – შერბილება ან ადაპტაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში)				
5. (კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში)				

CCC-ს ასევე შეუძლია დაეხმაროს ფინანსთა სამინისტროს კონკრეტულად კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროგრამებისთვის ხარჯების ზღვრული სიდიდეების განსაზღვრასა და დაწესებაში. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ბიუჯეტების მნიშვნელობა საბიუჯეტო წლების საშუალოვადიანი ხარჯების ზღვრულ სიდიდეებზე უნდა აისახოს.

დარგთაშორისი გეგმებით განსაზღვრული კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების ღონისძიებებისათვის ბიუჯეტში ადგილის გამოყოფა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროგრამებისთვის საბიუჯეტო ზღვრების დადგენა გაზრდის კლიმატის ცვლილების საკითხის მნიშვნელობას და ხელს შეუწყობს სამინისტროების მიერ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მეტი პროგრამის იდენტიფიცირებას.

გარდა ამისა, კლიმატის ცვლილების ასპექტების ჩართვამ იმ კრიტერიუმებში, რომლებიც გამოიყენება ბიუჯეტის შედგენისას პროგრამების შესწავლისა და შერჩევის მიზნით, შესაძლოა ხელი შეუწყოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინვესტიციების ზრდას. ეს კრიტერიუმები შეიძლება წარმოდგენილი იყოს მარტივი საკონტროლო ანკეტის სახით, ან მოითხოვდნენ ხარჯსარგებლიანობის ანალიზის ჩატარებას, როგორცაა, მაგალითად კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შეფასება (CCIA), კლიმატის ცვლილების სკრინინგი და შეფასება (CCSA), ან კლიმატის ცვლილების სარგებლის ანალიზი (CCBA). საქართველოს შეუძლია დაეყრდნოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კლიმატის-საჯარო ინვესტიციების მართვის შეფასებას (C-PIMA), რომელიც იძლევა კლიმატთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მართვის კუთხით ქვეყნის შესაძლებლობების შეფასების ჩარჩოს, რომელიც მოიცავს ანალიზის ჩატარებას პროექტის შეფასებისა და შერჩევის პროცესში (ნახ. 10).

**ნახაზი 10.** პროექტებისა და პროგრამების შერჩევა ბიუჯეტის ფორმირების პროცესში



**წყარო:** ადაპტირებული ავტორების მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის კლიმატის-საჯარო ინვესტიციების მართვის შეფასების (C-PIMA) მიდგომის საფუძველზე.

სასურველია, რომ საბიუჯეტო დოკუმენტებში წარმოდგენილი იყოს შერბილებისა და ადაპტაციის პროექტების სრული საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვა, მათ შორის საწყისი ინვესტიციები და მიმდინარე ხარჯები. საკონტროლო ანკეტა შეიძლება მომზადდეს CCC-თან კოორდინაციით ყველა შესაბამისი სამინისტროს წვლილის აღრიცხვისა და კლიმატთან დაკავშირებული პოლიტიკისა და ინიციატივების პრიორიტეტიზაციის უზრუნველსაყოფად.

### 4.3 კლიმატის ცვლილების ინტეგრირება ბიუჯეტის დამტკიცების პროცესსა და ანგარიშვალდებულებაში

საპარლამენტო განხილვებსა და მოსმენებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ჩართვა ხელს შეუწყობს უფრო ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას და ეროვნულ დონეზე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროგრამების ცნობადობის გაზრდას.

საქართველოს პარლამენტში 16 კომიტეტია, რომლებიც მხარჯავი ორგანიზაციებისგან იღებენ ინფორმაციას ძირითადი მიმართულებებისა და მაკროეკონომიკური პროგნოზების შესახებ და ატარებენ საპარლამენტო საკომიტეტო მოსმენებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტსა და შესაბამის BDD-ზე საექსპერტო მოსაზრებების მოსამზადებლად. საპარლამენტო კომიტეტები ასრულებენ ორ მნიშვნელოვან ფუნქციას დამტკიცებასა და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით:

- საბიუჯეტო დოკუმენტების შესწავლა ამ დოკუმენტებში სახელმწიფო პრიორიტეტების გათვალისწინების უზრუნველყოფის მიზნით
- ზოგადი თემატური კვლევები იმის დასადგენად, თუ რამდენად შესაბამეა ფართო სამთავრობო პოლიტიკა დასახულ მიზანს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ფუნქციებში შედის გარემოსდაცვითი ღონისძიებების კოორდინაცია, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა, გარემოსა და საზოგადოების ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა და შესაბამისი საქმიანობების კოორდინაცია და მათ განხორციელებაზე ზედამხედველობის განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბიუჯეტის განხილვა არ ხდება, კლიმატის ცვლილება ცალკე საკითხად შეტანილია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის დებულებაში. ის ატარებს თემატურ მოკვლევებს სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, მაგალითად, 2022 წელს კომიტეტი გეგმავს საქართველოში დეკარბონიზაციის პერსპექტივებისა და გამოწვევების შესახებ თემატური მოკვლევის ჩატარებას.

CCC-ს ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის პრაქტიკაში კლიმატის ცვლილების საკითხების ინტეგრაციას, კერძოდ საბიუჯეტო მოსმენების მასალებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ღონისძიებების ინფორმაციის ჩართვის კოორდინირების, ან საქართველოს პარლამენტის მიერ ბიუჯეტის დამტკიცების კრიტერიუმებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ასპექტების შეტანის ხელშეწყობას. ამისათვის საქართველოს საკომიტეტო მოსმენებში ჩართული დაინტერესებული მხარეები სათანადოდ უნდა იყვნენ ინფორმირებული კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საბიუჯეტო საკითხების შესახებ.

გარდა ამისა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაცია უფრო მკაფიოდ უნდა მიეწოდოს საქართველოს მოსახლეობასა და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებს, რაც ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ორგანოებისა და მოქალაქეების წინაშე კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციასა და შერბილებასთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის ამაღლებას. მაგალითად, CCC-ს შეუძლია მოამზადოს საინფორმაციო პუბლიკაციები ან გააკეთოს განცხადებები კლიმატის ცვლილების ასპექტებთან დაკავშირებით, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება რესურსების განაწილება მთლიან ბიუჯეტთან შედარებით და დროთა განმავლობაში მათი ტენდენციები NDC-ის დაფინანსების საჭიროებებთან მიმართებით.

#### 4.4 კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გენდერული ბიუჯეტირების ინტეგრაცია

გენდერული თანასწორობა ქვეყნების განვითარების სტრატეგიების საკვანძო ელემენტია და საჭიროებს სახელმწიფო ფინანსების მართვის (PFM) ისეთ ინტეგრირებულ სისტემას, რომელიც ბიუჯეტის განაწილებასა და განხორციელებას გენდერული ასპექტების გათვალისწინებით უზრუნველყოფს. ამისათვის რამდენიმე ქვეყანამ გენდერული ბიუჯეტირების (GRB) პროცესი დანერგა.

საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობა არ შეიცავს კონკრეტულ მეთოდოლოგიას/ მოთხოვნებს გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით ანალიზის ჩატარების თაობაზე და არ განსაზღვრავს GRB პროცედურების გამოყენების პირდაპირ ვალდებულებას. პროგრამულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებული არსებულ რეკომანდაციებში (ფინანსთა მინისტრის ბრძანება N385 “პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე”) აღნიშნულია, რომ გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან მიმართებაში გენდერული ასპექტი შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტის ერთ-ერთი კომპონენტი უნდა იყოს. შესაბამისად, მეთოდოლოგია ქმნის გარკვეულ საფუძველს საქართველოს ბიუჯეტის მართვის პროცესში გენდერული ბიუჯეტირების გამოყენებისათვის

გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია ადგენს, რომ გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად გამოყოფილ იქნეს პროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი აანალიზებს თითოეული საბიუჯეტო პროგრამის გენდერული ასპექტებისთვის მნიშვნელობის დონეს გენდერული შესაბამისობის ინდექსის საშუალებით და შედეგებს საჭიროების მიხედვით წარადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი ფორმალურად GRB პროცესად არ შეიძლება ჩაითვალოს, ქვეყანას აქვს გარკვეული მეთოდები ეროვნული ბიუჯეტის გენდერული ასპექტების კუთხით გასაანალიზებლად. თუმცა, გენდერული სენსიტიურობა არ არის მიბმული კლიმატის ცვლილებაზე და გენდერთან დაკავშირებული ღონისძიებები, რომლებიც განპირობებულია კლიმატის ცვლილებით, ცალკე არ არის მარკირებული.

GRB-თან დაკავშირებული ვითარება 2023 წლიდან შეიცვლება. 2022 წლის 25 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის #88 დადგენილება 2023 – 2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მხარჯავ დაწესებულებებს ურჩევს, კლასიფიკაციის გზით ნებაყოფლობით განსაზღვრონ პროგრამის პოლიტიკური სფერო ელექტრონული ბიუჯეტის სისტემაში, რომელშიც გენდერთან დაკავშირებული კრიტერიუმიც იქნება შეტანილი. მიუხედავად იმისა, რომ ის არ შეიცავს ცალკე კლასიფიკატორს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გენდერული ასპექტებისთვის, კლიმატის ცვლილებასა და გენდერს შორის შესაძლო კავშირების დანახვა ორივე კლასიფიკატორით მონიშნული პროგრამებით იქნება შესაძლებელი.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გენდერული ბიუჯეტირების შემდგომი ინტეგრაციის მიზნით, სასურველია, რომ CCC დაეხმაროს ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტირების სახელმძღვანელო დოკუმენტებში, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გენდერული ასპექტების ჩართვაში. მაგალითად, ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის დანართი 2-ში (14.08.2015 N265) შეიძლება ხაზი გაესვას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გენდერული ასპექტების შემცველი პროგრამების იდენტიფიცირებისა და შესრულების ეფექტიანობის ინდიკატორების დამატების აუცილებლობას და დაემატოს მითითებები პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილ ინფორმაციაში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩართვის თაობაზე (ცხრილი 21 და 22). ეს მხარჯავ უწყებებს მისცემს შესაძლებლობას, მონიშნონ არა მხოლოდ გენდერული ასპექტების შემცველი საბიუჯეტო პროგრამები, არამედ მიუთითონ, რომ ეს ასპექტები განპირობებულია კლიმატის ცვლილებით.

## 5 სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა

სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა განსაზღვრავს განახლებულ NDC-ში თითოეული პრიორიტეტული როგორც უპირობო, ასევე პირობიანი ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ინვესტიციების პროგრამას და დაფინანსების საჭიროების დაკმაყოფილების სტრატეგიას. ის ადგენს საქართველოს განახლებული NDC-ის შერბილებისა და ადაპტაციის პრიორიტეტული ღონისძიებების ღირებულებას, აფასებს ამ ღონისძიებების დაფინანსებასთან დაკავშირებულ ვითარებას და განსაზღვრავს დაფინანსების მიღების ვარიანტებს სახსრების დეფიციტის შესავსებად.

სტრატეგია და საინვესტიციო გეგმა NDC-ის უპირობო მიზნებს განიხილავს, როგორ მიზნებს, რომლებიც მიღწეული იქნება UNFCCC-ში NDC-ის წარდგენის დროს საქართველოში არსებული რესურსებით. ეს რესურსებია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ასევე ის საერთაშორისო სესხები და გრანტები, რომლებიც საქართველოსთვის უკვე გათვალისწინებული იყო NDC-ის მომზადების დროს. მეორე მხრივ, NDC-ის პირობითი კომპონენტი ეხება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ისეთ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებისათვის საჭიროა საერთაშორისო, ან კერძო წყაროებიდან ისეთი „დამატებითი და სპეციფიკური რესურსები“, რომლებიც არ იყო ხელმისაწვდომი NDC-ის მომზადებისას.

NDC-ით განსაზღვრული შერბილების უპირობო ღონისძიებების განსახორციელებლად საქართველოს დაახლოებით 8 მილიარდი ლარი დასჭირდება. ამჟამად დაფინანსების დეფიციტი 208 მილიონი ლარია. დამატებით მაქსიმუმ 5 მილიარდი ლარის ოდენობის საერთაშორისო დახმარება იქნება საჭირო პირობიანი ღონისძიებების განსახორციელებლად.

რაც შეეხება ადაპტაციას, საქართველოს მიერ UNFCCC-ში 2017 წელს წარდგენილი პირველი NDC-ის თანახმად, ქვეყანას 2021 წლიდან 2030 წლამდე ადაპტაციის ღონისძიებების განსახორციელებლად დაახლოებით 4.8 – 6.4 მილიარდი ლარი დასჭირდება. თუმცა, ეს რიცხვი დადგენილია ექსპერტების მოსაზრებების საფუძველზე და გამოთვლის გამოყენებული მეთოდოლოგია არ არის მითითებული ან განმარტებული. უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს საქართველომ წარადგინა განახლებული NDC, რომელიც შერბილებისა და ადაპტაციის უფრო ამბიციურ ვალდებულებებს განსაზღვრავს. ამიტომ, შესაძლებელია, რომ 2030 წლამდე საჭირო დაფინანსების მოცულობა ზემოთ მოცემულ მაჩვენებლებზე მნიშვნელოვნად მაღალი იყოს.


### 5.1 შერბილების პრიორიტეტული უპირობო ღონისძიებები

საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, საქართველოში კლიმატის ცვლილების შესარბილებლად, საქართველოს განახლებულ NDC-ში განსაზღვრული სათბურის აირების ემისიების შემცირების მიზნების მიღწევის გზებს ადგენს. 2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს იმ პრიორიტეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქართველოს უპირობო მიზნების მისაღწევად.

ცხრილში ნაჩვენებია საქართველოში NDC-ის შერბილების უპირობო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი. როგორც ცხრილიდან ჩანს, უპირობო მიზნების განხორციელების დაფინანსების 208 მილიონი ლარის ოდენობის დეფიციტი ძირითადად ენერგეტიკის სექტორზე მოდის (მთლიანი დეფიციტის 95%). დეფიციტის დარჩენილი 5% მოდის ტრანსპორტის

(1.3%), შენობების (0.8%), სოფლის მეურნეობისა (1.5%), და ნარჩენების (1.4%) სექტორებზე. დაფინანსების დეფიციტი არ აქვთ მრეწველობისა და სატყეო სექტორებს.

**ცხრილი 24.** საქართველოში NDC-ის შერბილების უპირობო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი



უზრუნველყოფილი საერთაშორისო სესხებისა და გრანტების წყაროები

ორმხრივი თანამშრომლობა	კლიმატის მრავალმხრივი ფონდები	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები	განვითარების მრავალმხრივი პარტნიორები
<ul style="list-style-type: none"> <li>▶ KfW</li> <li>▶ ევროკავშირი (NIF და თვინინგი)</li> <li>▶ საფრანგეთის განვითარების სააგენტო (FAD)</li> <li>▶ გერმანიის მთავრობა</li> <li>▶ შვედეთის მთავრობა</li> <li>▶ ნორვეგიის მთავრობა</li> <li>▶ დიდი ბრიტანეთის მთავრობა</li> <li>▶ შვეიცარიის მთავრობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ მწვანე კლიმატის ფონდი (GCF)</li> <li>▶ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)</li> <li>▶ გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF)</li> <li>▶ აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი (E5P)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)</li> <li>▶ World Bank</li> <li>▶ აზიის განვითარების ბანკი (ADB)</li> <li>▶ სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია (NEFCO)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP)</li> </ul>

საქართველოში NDC-ის შერბილების უპირობო ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების დეფიციტის შევსების ფინანსური წყაროები დამოკიდებულია და განპირობებულია იმ კონკრეტული სექტორებით, რომლებშიც ეს დეფიციტი არსებობს. მაგალითად, ენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორში დაფინანსების მიღება შესაძლებელია მრავალმხრივი საფინანსო ინსტიტუტებისგან, როგორცაა WB, EBRD, EIB, და ADB. ეს ვარიანტები ნაწილობრივ ტრანსპორტის, შენობებისა და ნარჩენების სექტორებზეც ვრცელდება. თუმცა, ამ სექტორებში დაფინანსების მიღების ვარიანტები ასევე მოიცავს ორმხრივ დაფინანსებას ევროპის ქვეყნებისგან/სააგენტოებისგან, UNFCCC-გან, შავი ზღვის რეგიონში მომუშავე საფინანსო ინსტიტუტებისა და ბანკებისაგან, და ნაწილობრივ ეროვნულ დაფინანსებას. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის სექტორში დაფინანსების მთავარი წყაროებია IFAD, FAO, და GEF, თუმცა ასევე შესაძლებელია ორმხრივი დაფინანსების მიღება ევროპის ქვეყნებისგან/სააგენტოებისგან, რისთვისაც აუცილებელია თანამშრომლობა საქართველოს კვლევით და სამეცნიერო ინსტიტუტებთან.

მომდევნო ქვეთავებში მოცემულია თითოეულ სექტორში განსახორციელებელი შერბილების ღონისძიებები შესაბამისი ღირებულებით და დაფინანსების კუთხით არსებული მდგომარეობით. დანართი II-ში წარმოდგენილია უფრო დეტალური ინფორმაცია თითოეული ღონისძიების, ღირებულების, დაფინანსების კუთხით არსებული მდგომარეობისა და დაფინანსების ვარიანტების შესახებ.

### 5.1.1 ენერჯის გენერაცია და გადაცემა

მიზანი - 2030 წლისთვის, საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზებთან შედარებით, ენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორში, სათბურის აირების ემისიების 15%-ით შემცირება.

ლონისქივა	ღირებულება	დაფინანსება	
<b>UE1. განახლებადი ენერჯის (ქარის, მზის, ჰიდრო, ბიომასის) წარმოების ხელშეწყობა</b>			
<b>UE1.1</b>	ქარის ენერჯიდან ელექტროენერჯის გამომუშავების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები	2,178,000,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UE1.2</b>	მზის ენერჯიდან ელექტროენერჯის გამომუშავების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები	209,880,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UE1.3</b>	ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები	1,980,000,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UE2. თბოელექტროსადგურების საშუალო ეფექტიანობის გაუმჯობესება</b>			
<b>UE2.1</b>	თბოელექტროსადგურებზე ტექნიკური სამუშაოების განხორციელება	531,200,000.00	დაფინანსების დეფიციტი 199,200,000.00
<b>UE3. საქართველოს გადამცემ ქსელში განახლებადი ენერჯის ინტეგრაციის შესაძლებლობების გაძლიერება</b>			
<b>UE3.1</b>	საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის განხორციელება ელექტროგადამცემის კომპანიებისთვის	771,804,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UE4. ენერჯეტიკის სფეროში ახალი პოლიტიკის დოკუმენტების და კანონმდებლობის შემუშავება</b>			
<b>UE4.1</b>	საქართველოს ენერჯეტიკის ერთიანი გრძელვადიანი მულტისექტორული სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება	198,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
	<b>სულ</b>	<b>5,671,082,000.00</b>	დაფინანსების დეფიციტი 199,200,000.00

## 5.1.2 ტრანსპორტი

მიზანი - 2030 წლისთვის, საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზებთან შედარებით, ტრანსპორტის სექტორში, სათბურის აირების ემისიების 15%-ით შემცირება.

ღონისძიება	ღირებულება	დაფინანსება
<b>UT1. დაბალი და ნულოვანი ემისიის მქონე და ტექნიკურად გამართული კერძო ავტომობილების წილის გაზრდა ავტოპარკში</b>		
<b>UT1.1</b> სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშირებით არსებულ რეგულაციაში ცვლილების განხორციელება	ადმინისტრაციული ხარჯები	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UT1.2</b> სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშირებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმების მეტად ეფექტურად აღსრულება	120,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UT1.3</b> სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის გზებზე კონტროლი	498,000.00	დაფინანსების დეფიციტი 498,000.00
<b>UT1.4</b> ელექტრომობილების გამოყენების წახალისებისთვის დამატებითი ოპტიმალური საგადასახადო შეღავათების ალტერნატივების იდენტიფიცირება ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე	ადმინისტრაციული ხარჯები	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UT1.5</b> თბილისში ელექტრომობილებისთვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.	ადმინისტრაციული ხარჯები	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UT1.6</b> ძველ მსუბუქ სატრანსპორტო საშუალებებზე იმპორტის გადასახადის გაზრდის შესაძლებლობის განხილვა ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის საფუძველზე	300,000.00	დაფინანსების დეფიციტი 300,000.00
<b>UT1.7</b> ემისიის სტანდარტის შემოღება იმპორტირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე ხარჯ-ეფექტიანობის ანალიზის საფუძველზე (ძრავის EUR4 / EUR5)	1,203,840.00	დაფინანსების დეფიციტი 990,000.00
<b>UT2. წიაღისეულ საწვავზე მოთხოვნის შემცირებისა და ბიოსაწვავის გამოყენების წახალისება</b>		
<b>UT2.1</b> საწვავზე გადასახადის გაზრდის შესაძლებლობის განხილვა	300,000.00	დაფინანსების დეფიციტი 300,000.00
<b>UT2.2</b> ბიოდიზელის წარმოების ხელშეწყობა და წახალისება	ადმინისტრაციული ხარჯები	დაფინანსების დეფიციტი არ არის

ღონისძიება	ღირებულება	დაფინანსება
<b>UT3. გადაადგილების არამოტორიზებული საშუალებებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის წახალისება</b>		
UT3.1	თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება	1,762,200,000.00 დაფინანსების დეფიციტი არ არის
UT3.2	ბათუმის მდგრადი ურბანული მობილობის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება	8,800,000.00 დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UT4. ტრანსპორტის სექტორში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინოვაციური ინიციატივების განხორციელება</b>		
UT4.1	კლიმატის საერთაშორისო დაფინანსების წინადადებების მომზადება, საზოგადოებრივი, საქალაქთაშორისო და არამოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესების მიზნით	178,200.00 დაფინანსების დეფიციტი 178,200.00
UT4.2	საგზაო ტვირთის სარკინიგზოზე გადატანის მიზნით საუკეთესო შესაძლებლობების გამოვლენისთვის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის მომზადება და განხორციელების შესწავლა	257,400.00 დაფინანსების დეფიციტი 257,400.00
	<b>სულ</b>	<b>1,773,857,440.00</b> დაფინანსების დეფიციტი 2,523,600.00

### 5.1.3 🏠 შენობები

მიზანი - შენობების სექტორში, დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარების ხელშეწყობა, კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებით.

ღონისძიება	ღირებულება	დაფინანსება
<b>UB1. შენობის ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების სისტემის შექმნა</b>		
UB1.1	შენობების სერტიფიცირებისათვის საჭირო მეთოდოლოგიის შემუშავება	88,715,880.00 დაფინანსების დეფიციტი არ არის
UB1.2	შენობების ენერგოეფექტურობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შექმნა, დამტკიცება და განხორციელება	33,264,000.00 დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UB2. მომხმარებლის ინფორმირებულობის ამაღლება ენერგოეფექტურობის თაობაზე</b>		
UB2.1	მოწყობილობებისთვის საჭირო სქემების სტანდარტების, ნორმების და მარკირების (ეტიკეტების) შექმნა	411,840.00 დაფინანსების დეფიციტი არ არის

ლონისქივაა	ღირებულება	დაფინანსება	
UB2.2	ენერგოეფექტურობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის პროგრამების განხორციელება	299,376.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
UB2.3	“ვარვარა“ ნათურებთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიის ჩატარება	ადმინისტრაციული ხარჯები	დაფინანსების დეფიციტი არ არის
UB2.4	მზის ენერჯით წყლის გაცხელების შესახებ საინფორმაციო კამპანიების განხორციელება	ადმინისტრაციული ხარჯები	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UB3. საცხოვრებელ, კომერციულ და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში ენერგოეფექტური მიდგომებისა და ენერგოეფექტური განათების დამონტაჟების წახალისება</b>			
UB3.1	“ვარვარა“ ნათურებთან დაკავშირებით საგადასახადო რეგულაციის შემოღება	ადმინისტრაციული ხარჯები	დაფინანსების დეფიციტი არ არის
UB3.2	საჯარო დაწესებულების მფლობელობა/სარგებლობაში არსებულ შენობებში ენერგოეფექტური განათების მონტაჟი	621,720.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
UB3.3	საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ საინფორმაციო სისტემების შექმნა	178,200.00	დაფინანსების დეფიციტი 178,200.00
UB3.4	სასკოლო შენობებში გარე შემომზღუდი კონსტრუქციის გაუმჯობესება, სკოლებში ენერგოეფექტური ნათურების დამონტაჟება, მყარი საწვავის გამათბობლების გაუმჯობესება/ჩანაცვლება	9,808,920.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UB4. წყლის გაცხელებისთვის მზის ენერჯის და ენერგოეფექტური ღუმელების გამოყენების ხელშეწყობა</b>			
UB4.1	შენობებში მზის ენერჯიაზე დაფუძნებული წყლის გაცხელების სისტემების ინსტალაციის მიზნით ფინანსური წახალისების მექანიზმის შემუშავება	178,200.00	დაფინანსების დეფიციტი 178,200.00
UB4.2	შემის ენერგოეფექტური ღუმელების გამოყენების წახალისება	33,660,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UB5. ენერგოეფექტურობის საკითხებში მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე კადრების მომზადება</b>			
UB5.1	ენერგეტიკის სექტორში ექსპერტების კვალიფიკაციის, აკრედიტაციისა და სერტიფიცირების სქემების განვითარება	1,073,160.00	დაფინანსების დეფიციტი 1,073,160.00
UB5.2	ენერგო-კონსულტანტებისთვის საგანმანათლებლო და გადამზადების პროგრამების განვითარება	ადმინისტრაციული ხარჯები	დაფინანსების დეფიციტი არ არის
	<b>სულ</b>	<b>168,211,296.00</b>	<b>დაფინანსების დეფიციტი 1,429,560.00</b>

### 5.1.4 მრეწველობა

მიზანი - 2030 წლისთვის, მრეწველობის სექტორის დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარების ხელშეწყობა კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებით, საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზებთან შედარებით, სათბურის აირების ემისიების 5%-ით შესამცირებლად.

ღონისძიება	ღირებულება	დაფინანსება
<b>UI1. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, სამრეწველო პროცესებიდან და სამრეწველო ობიექტების მიერ ენერჯის მოხმარებიდან გამოწვეული სათბურის აირების ემისიის დონის შემცირება</b>		
<b>UI1.1</b> ცემენტის წარმოების სველი მეთოდის მშრალი მეთოდით ჩანაცვლება	15,687,936.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UI1.2</b> სათბურის აირების დაბალი ემისიებით აზოტის მჟავის წარმოების ხელშეწყობა	17,820,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UI2. მრეწველობის სექტორში ემისიების ფაქტორების შესწავლისა და მონაცემების მართვის სისტემის განვითარება</b>		
<b>UB2.1</b> წარმოების შესაბამისად ემისიების ინდივიდუალური ფაქტორების ჩამოყალიბება	99,600.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>სულ</b>	<b>33,607,536.00</b>	დაფინანსების დეფიციტი არ არის

### 5.1.5 სოფლის მეურნეობა

მიზანი - სოფლის მეურნეობის სექტორის დაბალნახშირბადიანი განვითარების ხელშეწყობა კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებით.

ღონისძიება	ღირებულება	დაფინანსება
<b>UA1. ნიადაგის და საძოვრების მდგრადი მართვა და შინაური ცხოველების კვების მდგრადი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა</b>		
<b>UA1.1</b> მსხვილფეხა პირუტყვის ენტერული (ნაწლავური) ფერმენტაციის შედეგად წარმოქმნილი ემისიების შემცირების მიზნით, მსხვილფეხა შინაური რქოსანი პირუტყვისათვის საკვების შეცვლის მეთოდოლოგიის შემუშავება და სარეკომენდაციო კამპანიის წარმოება	574,200.00	დაფინანსების დეფიციტი 574,200.00
<b>UA1.2</b> პირუტყვის კვების ხარისხის გაუმჯობესება და საძოვრების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება	237,600.00	დაფინანსების დეფიციტი 237,600.00

ლონისძიება	ღირებულება	დაფინანსება	
<b>UA1.3</b>	ქარსაფარი ზოლების რეაბილიტაცია და ტრანსფორმაცია კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული მიწის დეგრადაციის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით	498,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UA2.</b>	<b>სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატგონივრული მიდგომების შემუშავებისთვის კვლევითი მტკიცებულებების შექმნის შესაძლებლობის განვითარება</b>		
<b>UA2.1</b>	შინაურ ცხოველთა კვების გაუმჯობესების თვალსაზრისით ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისა და მიზანშეწონილობის (განხორციელებადობის) კვლევა, შემდეგი კლიმატის სამოქმედო გეგმისათვის	237,600.00	დაფინანსების დეფიციტი 237,600.00
<b>UA2.2</b>	შინაურ ცხოველთა კვების გაუმჯობესების ხარჯ-სარგებლიანობისა და მიზანშეწონილობის (განხორციელებადობის) კვლევის ჩატარება, რათა გამოვლინდეს საქართველოს კონტექსტში ნაკელის მართვის სისტემების დანერგვის საუკეთესო გზები	237,600.00	დაფინანსების დეფიციტი 237,600.00
<b>UA2.3</b>	არსებული და ჩამოსაყალიბებელი კოოპერატივების მხარდაჭერა სათიბ-საძოვრების მდგრადად მართვის პრაქტიკის დანერგვის მიზნით და წარმატებული კოოპერატივების წარმატების ფაქტორების რეპლიკაცია სხვა კოოპერატივებისათვის	996,000.00	დაფინანსების დეფიციტი 996,000.00
<b>UA2.4</b>	კვლევისა და კონსულტაციის პროცესები საქართველოსთვის ეკონომიკურად და სოციალურად შესაბამისი კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის აქტივობების (CSA) განსასაზღვრად	356,400.00	დაფინანსების დეფიციტი 356,400.00
<b>UA2.5</b>	კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების დანერგვის ხელშეწყობა ექსტენციისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების მეშვეობით	356,400.00	დაფინანსების დეფიციტი 356,400.00
	<b>სულ</b>	<b>3,493,800.00</b>	დაფინანსების დეფიციტი 2,995,800.00

## 5.1.6 ღზ ნარჩენების მართვა

მიზანი - ნარჩენების სექტორის დაბალნახშირბადიანი განვითარების ხელშეწყობა კლიმატ-გონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისების გზით.

ღონისძიება	ღირებულება	დაფინანსება	
<b>UW1. არსებული უნებართვო, სტიქიური და არასახიფათო ნაგავსაყრელებიდან წარმოქმნილი სათბურის აირის ემისიების შემცირება</b>			
<b>UW1.1</b>	ოფიციალური (უნებართვო) არასახიფათო ნაგავსაყრელების დახურვა	6,520,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UW1.2</b>	სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა	2,800,000.00	დაფინანსების დეფიციტი 2,800,000.00
<b>UW1.3</b>	რეგიონული არასახიფათო ნაგავსაყრელების მოწყობა	47,520,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UW1.4</b>	თბილისის ნაგავსაყრელის განახლება და გაუმჯობესება	4,000,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UW1.5</b>	ქუთაისის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე აირების მართვის სისტემის მოწყობა	4,000,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UW1.6</b>	ბათუმის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე აირების მართვის სისტემის მოწყობა	4,000,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UW2. ნარჩენების გადამუშავების ხელშეწყობა</b>			
<b>UW2.1</b>	მუნიციპალიტეტების მიერ ქალაქის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების პრაქტიკის დანერგვა და ქალაქის რეციკლირების წახალისება	ადმინისტრაციული ხარჯები	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UW2.2</b>	მუნიციპალიტეტების მიერ ბიოდეგრადირებადი (ორგანული და ბალის) ნარჩენების გადამუშავება	1,188,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UW2.3</b>	ნარჩენების მართვის შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება	188,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UW3. ურბანული ჩამდინარე წყლებიდან წარმოქმნილი სათბურის აირის ემისიების შემცირება</b>			
<b>UW3.1</b>	ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა	183,120,618.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UW3.2</b>	თბილისის ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებზე სათბურის აირების შეგროვება და გადამუშავება	21,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის

ღონისძიება	ღირებულება	დაფინანსება
<b>UW3.3</b> ბათუმის ურბანულ ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაზე სათბურის აირების შეგროვება და გადამუშავება	17,500.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UW3.4</b> ქობულეთის ჩამდინარე წყლების გამწმენდ სადგურზე სათბურის აირების შეგროვება და გადამუშავება	17,500.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UW4. მონაცემებზე დაფუძნებული ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება</b>		
<b>UW4.1</b> ნარჩენების სექტორში მონაცემების შეგროვებისა და განახლების კონსოლიდირებული პროცესის ჩამოყალიბება	62,500.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>სულ</b>	<b>253,455,118.00</b>	<b>დაფინანსების დეფიციტი 2,800,000.00</b>

### 5.1.7 სატყეო სექტორი

მიზანი - 2030 წლისთვის, სატყეო სექტორის მიერ ნახშირბადის შთანთქმის შესაძლებლობის, 2015 წელს დაფიქსირებულ დონესთან შედარებით, 10%-ით გაზრდა.

ღონისძიება	ღირებულება	დაფინანსება
<b>UF1. დეგრადირებული ტყის აღდგენა</b>		
<b>UF1.1</b> 625 ჰა დეგრადირებული სატყეო ტერიტორიის (მათ შორის, ხანძრის შედეგად დაზიანებული ტერიტორიის) აღდგენა	6,585,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UF1.2</b> დეგრადირებული ტყის აღდგენა ბუნებრივი აღდგენის ხელშეწყობის გზით	4,758,260.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UF2. ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა</b>		
<b>UF2.1</b> ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვა ტყის მდგრადი მართვის გეგმების განხორციელების გზით	12,512,960.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UF2.2</b> ტყის მართვის მდგრადი პრაქტიკის დანერგვა ზედამხედველობისა და შესაძლებლობების გაძლიერების გზით	411,123.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UF2.3</b> ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა ტყეების მრავალფუნქციური გამოყენების მხარდაჭერით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებითა და ტყის რეფორმის პროცესებში საზოგადოების ჩართვის მხარდაჭერით	1,445,400.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის

ღონისძიება		ღირებულება	დაფინანსება
UF2.4	დამტკიცებული და კანდიდატი ზურმუხტის ქსელის საიტების ფარგლებში მოქცეული ტყის ფონდის ტერიტორიის მდგრადი მართვა და დაცვა	60,000.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
UF2.5	ახალ დაცულ ტერიტორიებში შემავალი ტყის ფართობის დაცვა ან/და მდგრადი მართვა	185,845.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>UF3. კლიმატის ცვლილების გამოწვევებისადმი ადეკვატური ტყის მართვის სისტემის განვითარება</b>			
UF3.1	დაცული ტერიტორიების მართვის გეგმებში კლიმატის ცვლილების საკითხების, მათ შორის შერბილების, ინტეგრირება.	ადმინისტრაციული ხარჯები	დაფინანსების დეფიციტი არ არის
<b>სულ</b>		25,958,588.00	დაფინანსების დეფიციტი არ არის

## 5.2 შერბილების პრიორიტეტული პირობიანი ღონისძიებები


საქართველო ასევე იღებს პირობიან ვალდებულებას, შეამციროს სატბურის აირების ემისიები საერთაშორისო მხარდაჭერის ღონის შესაბამისად. ეს საქართველოს მისცემს შესაძლებლობას, გამოიკვლიოს ემისიების შემცირების სხვა პოტენციური სფეროებიც, რაც საბოლოოდ, გაზრდის მის პროგრესს პარიზის შეთანხმებით დადგენილი ტემპერატურის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევაში. კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა აღწერს იმ სფეროებს, რომლებიც სავარაუდოდ გათვალისწინებული იქნება კლიმატის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომავალ ვერსიებში, თუ ამ პრიორიტეტული მიმართულებებისთვის ის საერთაშორისო დახმარებას მოიპოვებს.

ღონისძიებების წარმოდგენილი ღირებულება განსაზღვრულია საქართველოში ადრე განხორციელებული პროექტების, რეგიონში მიმდინარე მსგავსი პროექტებისა და საქართველოს მიერ წარდგენილი საპროექტო წინადადებების საფუძველზე. საპროექტო წინადადებების შემუშავებისას უნდა განხორციელდეს ხარჯების დეტალური შეფასება. მომდევნო ცხრილში ნაჩვენებია იმ საერთაშორისო დამატებითი დახმარების სავარაუდო მოცულობა, რომელიც საქართველოს NDC-ის შერბილების პირობიანი ღონისძიებების განსახორციელებლად დასჭირდება. როგორც ცხრილიდან ჩანს, ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო იქნება დაახლოებით 5 მილიარდი ლარი, ძირითადად ენერჯეტიკის სექტორში (საჭირო დამატებითი დაფინანსების 43%) და ტრანსპორტის სექტორში (საჭირო დამატებითი დაფინანსების 33%). დარჩენილი 24% ნაწილდება სოფლის მეურნეობის (9.4%), შენობების (5.5%), მრეწველობის (5.1%), სატყეო (3.1%) და ნარჩენების (0.5%) სექტორებს შორის.

**ცხრილი 25.** იმ საერთაშორისო დამატებითი დახმარების სავარაუდო მოცულობა, რომელიც საქართველოს NDC-ის შერბილების პირობიანი ღონისძიებების განსახორციელებლად დასჭირდება

**იმ საერთაშორისო დამატებითი დახმარების სავარაუდო მოცულობა, რომელიც საქართველოს NDC-ის შერბილების პირობიანი ღონისძიებების განსახორციელებლად დასჭირდება**

**საერთაშორისო დახმარების საჭიროება სექტორების მიხედვით**



სექტორი	სავარაუდო ღირებულება (ლარი)	საერთაშორისო დაფინანსების რეკომენდებული წყაროები
1 ენერჯეტიკა	2,262,275,000	მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის დაფინანსების მოსაძიებლად რეკომენდებულია განვითარების ბანკებთან, როგორცაა EBRD, EIB ან ADB მუშაობა. ტექნიკური დახმარების მიღება შესაძლებელია ევროპული ფონდებისგან, როგორცაა NEFCO და E5P, აგრეთვე ორმხრივი მხარდაჭერის მიღება ევროპის ქვეყნებიდან.
2 ტრანსპორტი	1,750,535,181	რეკომენდებულია დაფინანსების მოძიება პირველ რიგში განვითარების ბანკებისგან, როგორცაა ADB, EBRD და EIB.
3 შენობები	289,591,680	მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის დაფინანსების მოსაძიებლად რეკომენდებულია განვითარების ბანკებთან, როგორცაა EBRD, EIB ან ADB მუშაობა. ტექნიკური დახმარების მიღება შესაძლებელია ევროპული ფონდებისგან, როგორცაა NEFCO და E5P, აგრეთვე ორმხრივი მხარდაჭერის მიღება ევროპის ქვეყნებიდან.
4 მრეწველობა	270,128,400	დაფინანსების მთავარი რეკომენდებული წყაროა UNFCCC-ის ფონდები, განსაკუთრებით GEF. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კერძო სექტორის ჩართვას და მისგან თანადაფინანსების უზრუნველყოფას.

სექტორი		სავარაუდო ღირებულება (ლარი)	საერთაშორისო დაფინანსების რეკომენდებული წყაროები
5	 სოფლის მეურნეობა	492,067,632	მსხვილი პროექტებისთვის დაფინანსების მთავარი რეკომენდებული წყაროებია FAO, GEF და IFAD, მცირე პროექტებისთვის დაფინანსების მიღება შესაძლებელია GIZ და ADB-გან. მნიშვნელოვანია სამეცნიერო სექტორის ჩართვა.
6	 ნარჩენები	23,755,000	დაფინანსების მთავარი რეკომენდებული წყაროა EBRD, დამატებითი ორმხრივი ან მრავალმხრივი დახმარება მოპოვებულ უნდა იქნეს ევროპული სააგენტოებისგან და ფონდებისგან.
7	 სატყეო სექტორი	163,368,841	დაფინანსების მთავარი რეკომენდებული წყაროა UNFCCC-ის ფონდები, განსაკუთრებით GEF.
<b>სულ</b>		<b>5,251,721,735</b>	

პირობითი ღონისძიებების განსახორციელებლად საქართველო დაფინანსების მოძიებას ცდილობს. NDC-ის შერბილების ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო საერთაშორისო დახმარების მისაღებად შესაძლებელია დაფინანსების რამდენიმე წყაროს გამოყენება, მათ შორის მრავალმხრივი საფინანსო ინსტიტუტების, როგორცაა EBRD, EIB, ADB, NEFO, E5P, AFD, GEF, FAO, IFAD, და GGF; ორმხრივი დახმარების მიღება ევროპული ქვეყნებისგან/სააგენტოებისგან, როგორცაა GiZ, SIDA, და KfW; UNFCCC ფონდების ფარგლებში ტექნოლოგიების გადაცემის სქემების გამოყენება და ეროვნული დაფინანსების მოძიება საერთაშორისო დაფინანსების შესავსებად.

ამჟამად, საპროექტო წინადადება ADB-გან დაფინანსების მისაღებად მომზადდა მხოლოდ ორი ღონისძიებისთვის (CA2.1. და CA2.2.) ერთიანი პროექტის სახით სახელწოდებით „კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროექტი“<sup>30</sup>. პროექტი 3 კომპონენტისგან შედგება: i) აღმოსავლეთ საქართველოში სარწყავი სისტემების მოდერნიზაციის ხელშეწყობა; ii) წყალმომხმარებელთა და ფერმერთა ორგანიზაციებს დახმარება წარმოების სისტემების გაუმჯობესებასა და მოდერნიზებაში, და iii) აუცილებელი ინსტიტუციური, მმართველობითი და ფინანსური ცვლილებების განხორციელება ირიგაციის სექტორის რეფორმირების სტრატეგიის მხარდასაჭერად. დამტკიცების შემთხვევაში ADB უზრუნველყოფს 161,080,000.00 ლარს ჩვეულებრივი დარგობრივ პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხის სახით, ხოლო 80,540,000.00 ლარს - ჩვეულებრივი სესხის სახით. თანადაფინანსების ოდენობა 144,972,000.00 ლარს შეადგენს. დარჩენილი 64,432,000.00 ლარი ადგილობრივმა ბენეფიციარებმა უნდა უზრუნველყონ.

მომდევნო ქვეთავებში მოცემულია თითოეულ სექტორში განსახორციელებელი შერბილების ღონისძიებები შესაბამისი ღირებულებით. დანართი III-ში წარმოდგენილია უფრო დეტალური ინფორმაცია თითოეული ღონისძიების შესახებ, მათი დეტალური აღწერა, ღირებულების, დაფინანსების კუთხით არსებული მდგომარეობა და დაფინანსების

30 სესხები და ტექნიკური დახმარების გრანტები საქართველოსთვის: წყლის რესურსების სექტორის განვითარების პროგრამა. აზიის განვითარების ბანკის კონცეფციის დოკუმენტი. პროექტის ნომერი: 54014-001: <https://www.adb.org/sites/default/files/project-documents/54014/54014-001-cp-en.pdf>

ვარიანტები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კლიმატის დაფინანსების კუთხით არსებული ვითარების გათვალისწინებით, საქართველო მაქსიმალურად უნდა ეცადოს, მოიპოვოს შესაბამისი გრანტები. გრანტები ხელსაყრელია პოლიტიკის/ინსტრუმენტების შემუშავებასთან, კვლევებსა და შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებული პირობიანი ღონისძიებების განსახორციელებლად, ხოლო შეღავათიანი სესხები - ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, მათი მასშტაბის გათვალისწინებით.

### 5.2.1 ენერჯის გენერაცია და გადაცემა

მიზანი - განახლებადი ენერჯის უფრო ფართოდ გამოყენება ენერჯოსაფრთხოების გაზრდის, ენერჯომატარებლების იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებისა და სექტორიდან სათბურის აირების ემისიების შემცირების მიზნით, საერთაშორისო დახმარების პირობით.

ღონისძიება		სავარაუდო ღირებულება
<b>CE1. განახლებადი ენერჯის დამატებითი ხელშეწყობა</b>		
<b>CE1.1</b>	საქართველოში გეოთერმული და მზის ენერჯის პოტენციალის შესწავლა	1,127,560,000.00
<b>CE1.2</b>	წყლის და ქარის ენერჯის ფართოდ გამოყენება	1,127,560,000.00
<b>CE1.3</b>	განახლებად ენერჯიაში ინვესტიციების მოსაზიდად წამახალისებელი მექანიზმების შესწავლა	6,000,000.00
<b>CE2. ბიოგაზზე მომუშავე ელექტროსადგურის მოწყობა</b>		
<b>CE2.1</b>	ბიოგაზზე მომუშავე ელექტროსადგურის მიზანშეწონილობის კვლევის ჩატარება	1,155,000.00
<b>სულ</b>		<b>2,262,275,000.00</b>

### 5.2.2 ტრანსპორტი

მიზანი - გარემოს დამაბინძურებელი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით არაეფექტიანი სატრანსპორტო საშუალებებიდან ენერჯოეფექტურ და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სუფთა სატრანსპორტო საშუალებებზე გადასვლა, საერთაშორისო დახმარების პირობით.

ღონისძიება		სავარაუდო ღირებულება
<b>CT1. არამოტორიზებული კერძო და საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების შემდგომი პოპულარიზაცია</b>		
<b>CT1.1</b>	საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განახლება და მოდერნიზაცია	93,741,921.00
<b>CT1.2</b>	არამოტორიზებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განახლება და მოდერნიზაცია	570,000,000.00

ღონისძიება		სავარაუდო ღირებულება
<b>CT2. საზოგადოებრივი სამგზავრო და საქალაქთაშორისო სარკინიგზო მომსახურების გაუმჯობესება</b>		
CT2.1	ახალი და თანამედროვე მატარებლების შეძენა სამგზავრო სარკინიგზო მომსახურებისთვის	1,076,014,400.00
CT2.2	საქალაქთაშორისო სარკინიგზო სისტემის ხარისხის გაუმჯობესება	724,860.00
<b>CT3. მსუბუქი ავტომობილების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება</b>		
CT3.1	კერძო მსუბუქი ავტომობილების ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად წამახალისებელი მექანიზმების შესწავლა	2,000,000.00
<b>CT4. სატვირთო გადაზიდვების საგზაოდან სარკინიგზო ტრანსპორტზე გადასვლის მხარდაჭერა</b>		
CT4.1	სატვირთო გადაზიდვების საგზაოდან სარკინიგზო ტრანსპორტზე გადასვლის წამახალისებელი მექანიზმების შესწავლა	8,054,000.00
<b>სულ</b>		<b>1,750,535,181.00</b>

### 5.2.3 შენობები

მიზანი - შენობების ენერგოეფექტურობის შემდგომი გაუმჯობესება ნახშირბადისგან თავისუფალი შენობების უზრუნველყოფისაკენ მიმართული ინოვაციური ღონისძიებების მეშვეობით, საერთაშორისო დახმარების პირობით.

ღონისძიება		სავარაუდო ღირებულება
<b>CB1. საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება</b>		
CB1.1	საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტურობის საინფორმაციო სისტემის შექმნა	7,630,600.00
CB1.2	საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება	72,109,170.00
<b>CB2. გათბობის ავტონომიური სისტემების დანერგვა არსებულ საცხოვრებელ შენობებში</b>		
CB2.1	არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ შენობებში, გათბობის ავტონომიური სისტემების ეკონომიკური და კლიმატის ცვლილების პოტენციალის იდენტიფიცირების მიზნით, ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის ჩატარება	1,155,000.00
<b>CB3. სამშენებლო-კლიმატური ნორმების განახლება</b>		
CB3.1	სამშენებლო სექტორში ტექნიკური რეგლამენტებისა და სამშენებლო-კლიმატური ნორმების განახლება	17,931,910.00
<b>CB4. ტურიზმის სექტორში ენერგოეფექტური მიდგომების დანერგვა</b>		
CB4.1	საქართველოს კურორტებზე ნახშირბადისგან თავისუფალი შენობების განვითარების ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვა	190,765,000.00
<b>სულ</b>		<b>289,591,680.00</b>

### 5.2.4 მრეწველობა

მიზანი - მრეწველობის სექტორში სათბურის აირების ემისიების შემცირება და დარგის დაბალნახშირბადიანი განვითარების ხელშეწყობა ინოვაციური ტექნოლოგიებისა და სისტემების მეშვეობით.

ღონისძიება		სავარაუდო ღირებულება
<b>CI1.</b>	<b>ფოლადის მწარმოებელი ობიექტებიდან სათბურის აირების ემისიების დონის შემცირება</b>	
<b>CI1.1</b>	თანამედროვე ტექნოლოგიებით ფოლადის დაბალემისიანი წარმოების მხარდაჭერა	198,128,400.00
<b>CI2.</b>	<b>სამრეწველო ობიექტებზე ენერგოაუდიტის სისტემის და სერტიფიცირების სქემების დანერგვა</b>	
<b>CI2.1</b>	სამრეწველო ობიექტებზე სავალდებულო ენერგოაუდიტისა და სერტიფიცირების სქემების შემუშავება	24,000,000.00
<b>CI3.</b>	<b>სამრეწველო ობიექტებში ნარჩენი სითბოს გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება</b>	
<b>CI3.1</b>	სითბოს წარმოების მიზნით სამრეწველო ნარჩენების ეფექტიანი გამოყენების სისტემების დანერგვა	48,000,000.00
<b>სულ</b>		<b>270,128,400.00</b>

### 5.2.5 სოფლის მეურნეობა

მიზანი - სოფლის მეურნეობის სექტორის დაბალნახშირბადიანი განვითარების მხარდაჭერა კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და მომსახურების წახალისების გზით, საერთაშორისო დახმარების პირობით.

ღონისძიება		სავარაუდო ღირებულება
<b>CA1.</b>	<b>სოფლის მეურნეობის სექტორში მონაცემთა გაუმჯობესებული სისტემის შექმნა</b>	
<b>CA1.1</b>	სოფლის მეურნეობის სექტორში მონაცემების შეგროვებისა და განახლების კონსოლიდირებული პროცესის ჩამოყალიბება	8,000,000.00
<b>CA2.</b>	<b>კლიმატგონივრული სარწყავი სისტემების დანერგვა</b>	
<b>CA2.1</b>	სარწყავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება კლიმატგონივრული ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენებით	289,944,000.00
<b>CA2.2</b>	სარწყავი წყლის რეგლამენტების შემუშავება და განხორციელება	161,080,000.00
<b>CA3.</b>	<b>მოსავლის აღების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება</b>	

ღონისძიება		სავარაუდო ღირებულება
CA3.1	მოსავლის აღების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წვის პრაქტიკის რეგულირება სათბურის აირების ემისიებისა და სა-სოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და მიმდებარე ტერიტორიების დეგრადაციის შესამცირებლად.	134,200
CA3.2	მოსავლის აღების შემდეგ სავარგულებზე დარჩენილი მცენარეული მასის მდგრადი მართვის პოპულარიზაცია წახალისებისა და ცნობიერების ამაღლების საშუალებით მინდვრების გადაწვის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად	12,000
CA3.3	სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაწვის შედეგად დაზიანებული ქარსაფარი ზოლების აღდგენა	4,000,000.00
<b>CA4. საძოვრების მდგრადი მართვის ხელშეწყობა ჭარბი ძოვების და ნიადაგის ტკეპნის რეგულირებით</b>		
CA4.1	საძოვრების მართვა გაძაძოვების და ნიადაგის გადათელვის შესამცირებლად	2,329,232.91
<b>CA5. კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი მრავალფუნქციური ქარსაფარი და აგროსატყეო ეკოსისტემის (mWAE) გაძლიერება</b>		
CA5.1	კვლევებისა და ინოვაციების წახალისება კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი მრავალფუნქციური ქარსაფარი და აგროსატყეო ეკოსისტემის (mWAE) გასაძლიერებლად	26,578,200.00
<b>სულ</b>		<b>2,262,275,000.00</b>

## 5.2.6 ნარჩენების მართვა

მიზანი - ნარჩენების სექტორის დაბალნახშირბადიანი განვითარების მხარდაჭერა მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელებზე ბიოდეგრადირებადი და რეციკლირებადი ნარჩენების შემცირების გზით ცნობიერების ამაღლების, პილოტური პროექტების და წამახალისებელი კამპანიების მეშვეობით, ამავდროულად დაბინძურების შემცირება ზღვრულად დასაშვები ოდენობების დაწესებისა და მონაცემების შეგროვების შესაძლებლობების გაძლიერებით ნარჩენების სტატისტიკური მონაცემების უკეთ შეგროვების გზით, საერთაშორისო დანართების პირობით.

ღონისძიება		სავარაუდო ღირებულება
<b>CW1. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის გაუმჯობესება ნარჩენების არასახელმწიფო წარმომქმნელების მიერ</b>		
CW1.1	კომპოსტირების ობიექტების რაოდენობის გაზრდა შესაძლებლობების გაძლიერებისა და წამახალისებელი კამპანიის მეშვეობით	2,300,000.00
CW1.2	ღვინის წარმოებიდან და სოფლის მეურნეობიდან წარმოქმნილი ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების პილოტური პროექტი	325,000.00
<b>CW2. ნარჩენების წარმოქმნის, დამუშავებისა და განთავსების ზღვრულად დასაშვები ოდენობების დაწესება</b>		

ღონისძიება		სავარაუდო ღირებულება
<b>CW2.1</b>	ნარჩენებისთვის ზღვრულად დასაშვები ოდენობების დაწესება	1,130,000.00
<b>CW3. ნარჩენების მართვის შესახებ ცოდნის გაღრმავება</b>		
<b>CW3.1</b>	ნარჩენების მართვის იერარქიის ხუთსაფეხურიანი სისტემის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაწყება	12,000,000.00
<b>CW3.2</b>	ნარჩენების სექტორის მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობების გაუმჯობესება	8,000,000.00
<b>სულ</b>		<b>23,755,000.00</b>

### 5.2.7 სატყეო სექტორი

მიზანი - საერთაშორისო დახმარების პირობით, 2030 წლისთვის სატყეო სექტორის მიერ ნახშირბადის შთანთქმის შესაძლებლობის 2015 წელს დაფიქსირებულ დონესთან შედარებით გაზრდა. მიზანი მიიღწევა ხე-ტყის არამდგრადი მეთოდებით დამზადების და ტყის ხანძრების არასათანადოდ მართვით გამოწვეული ტყეების დეგრადაციის შემცირების გზით. ამასთან ერთად მოხდება ინფორმაციული სისტემების სრულყოფა, რაც სატყეო სექტორში პოლიტიკის შემუშავებისა და მონიტორინგის გაუმჯობესებას ემსახურება.

ღონისძიება		სავარაუდო ღირებულება
<b>CF1. სატყეო სექტორში მონაცემთა გაუმჯობესებული სისტემის შექმნა</b>		
<b>CF1.1</b>	სატყეო სექტორში მონაცემების შეგროვებისა და განახლების კონსოლიდირებული პროცესის ჩამოყალიბება	20,717,079.00
<b>CF2. შეშის მოპოვების მიზნით ხე-ტყის არამდგრადი მეთოდებით დამზადების შემცირება</b>		
<b>CF2.1</b>	სათბობ შეშაზე მოთხოვნის შემცირება შენობების ენერგოეფექტური შეფუთვის, აგრეთვე ენერჯის ალტერნატიულ წყაროებსა და ტექნოლოგიებზე წვდომის გაუმჯობესების გზით	108,125,602.00
<b>CF2.2</b>	ტყის უკანონო ქრის შემცირება	27,470,160.00
<b>CF3. ტყის ხანძრების შედეგად მიყენებული ზიანის თავიდან აცილება</b>		
<b>CF3.1</b>	ტყის ხანძრების პრევენციისა და მართვის ყოვლისმომცველი სისტემის ჩამოყალიბება	7,056,000.00
<b>სულ</b>		<b>163,368,841.00</b>

### 5.3 ადაპტაციის პრიორიტეტული ღონისძიებები

საქართველოს განახლებული NDC დოკუმენტი აღიარებს კლიმატის ცვლილების უარყოფით ზემოქმედებასთან ადაპტაციის აუცილებლობას და ქვეყანა იღებს ვალდებულებას, განაგრძოს კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ადაპტაციის შესაძლებლობების შესწავლა. კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან ადაპტაციის კუთხით NDC განიხილავს ეკონომიკის ყველაზე მოწყვლად სექტორებს, ეკოსისტემებს და სხვა ბუნებრივ რესურსებს, კერძოდ, შავი ზღვის სანაპირო ზონას, ტურიზმს, სოფლის მეურნეობას, წყლის რესურსებს, ბიომრავალფეროვნებას, ტყიან ტერიტორიებს და ადამიანის ჯანმრთელობას. საქართველო ამ განსაკუთრებით მოწყვლად სექტორებში გეგმავს ადაპტაციის შემდეგი ღონისძიებებს განხორციელებას:

- საქართველო გეგმავს შეაფასოს კლიმატის ცვლილების ზემოქმედება სანაპირო ზონაზე, მთების ეკოსისტემებზე, და ეკოსისტემურ სერვისებზე. ასევე, შეისწავლოს კლიმატის ცვლილების გავლენა მყინვარებზე, მთიანი და სანაპირო ზონის რეგიონების ეკონომიკურ მდგომარეობასა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, აღნიშნული რეგიონების მდგრადი მართვის მიზნით.
- საქართველო გეგმავს, განავითაროს ადაპტაციის შესაძლებლობები ზამთრისა და ზაფხულის მოწყვლადი კურორტებისთვის.
- საქართველო გეგმავს, შეაფასოს და განავითაროს ადაპტაციის შესაძლებლობები იმ სასოფლო-სამეურნეო წარმოებებისთვის, რომლებსაც ყველაზე დიდი წილი აქვთ მშპ-ში ან/და ქვეყნის უნიკალური პროდუქტის წარმოებაში.
- საქართველო გეგმავს, შეაფასოს კლიმატის ცვლილების ზემოქმედება მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის რესურსების ხელმისაწვდომობაზე მათი მდგრადი გამოყენებისთვის სოფლის მეურნეობის (სარწყავი სისტემები), ენერგოწარმოებისა და საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში.
- საქართველო გეგმავს, ხელი შეუწყოს ენდემური, წითელი ნუსხით დაცული სახეობების და სურსათისა და სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი აბორიგენული ჯიშების კონსერვაციას.
- საქართველო გეგმავს, შეისწავლოს წინასწარ შერჩეულ ტერიტორიებზე ტყის საფარის ყველაზე მოწყვლადი არეალები.
- საქართველო გეგმავს, შეაფასოს ადამიანის ჯანმრთელობაზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედება სოციალურ, ეკონომიკურ, ბიოლოგიურ, ეკოლოგიურ და ფიზიკურ სისტემებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ინტერდისციპლინარული კვლევის ჩატარების გზით.
- საქართველო გეგმავს, ხელი შეუწყოს იმ ღონისძიებების განხორციელებას, რომელთა მიზანია ექსტრემალური ამინდით გამოწვეული ზარალისა და ზიანის შემცირება.

ამ ღონისძიებების განხორციელება უნდა მოხდეს ეროვნული ადაპტაციის გეგმის ფარგლებში, NDC-ის განახლებული დოკუმენტით გათვალისწინებული ადაპტაციის მიზნების მისაღწევად. ეროვნული ადაპტაციის გეგმებში ხდება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის საშუალო

და გრძელვადიანი საჭიროებების გამოვლენა, აგრეთვე ის სტრატეგიები და პროგრამები, რომლებიც უნდა მომზადდეს და განხორციელდეს ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.<sup>31</sup>

ეროვნული ადაპტაციის გეგმის მომზადების მხარდაჭერის მზადყოფნის პროგრამის ფარგლებში საქართველომ GCF-ს მზადყოფნის წინადადება წარუდგინა. მზადყოფნის პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერის ხუთი მიმართულებიდან ერთ-ერთი ეხება ადაპტაციის ღონისძიებების დაგეგმვას, კერძოდ, ეროვნული, სუბეროვნული და/ან სექტორული გეგმების მომზადებას, და მოიცავს ადაპტაციის დაგეგმვის მართვის გაძლიერებისა და ინსტიტუციური კოორდინაციის მხარდაჭერას. ეროვნული ადაპტაციის გეგმის მოსამზადებლად ქვეყნებს შეუძლიათ მიიღონ 3 მილიონამდე აშშ დოლარი, ამასთან ადაპტაციის გეგმების მომზადების საპროექტო წინადადებების წარდგენა ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი.<sup>32</sup>

თუმცა, 2022 წლის მარტში საქართველოს ეროვნული ადაპტაციის გეგმის მომზადების პროცესი ჯერ დაწყებულიც არ იყო. ამიტომ, ჯერ საჭიროა ეროვნული ადაპტაციის გეგმის მომზადების ინიცირება. ეს უნდა იყოს უწყვეტი, პროგრესირებადი და განმეორებადი პროცესი, რომელიც დაემყარება თანამონაწილეობრივ და გამჭვირვალე მიდგომას ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით. საქართველოს შეუძლია იხელმძღვანელოს „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების (LDC) - მხარეების მიერ ეროვნული ადაპტაციის გეგმების მოსამზადებლად საწყისი სახელმძღვანელო მითითებებით“ (გადაწყვეტილება 5/CP.17, პუნქტი 6)<sup>33</sup>, რომელიც განსაზღვრავს ოთხ ელემენტს, რომლებიც შიძლება შესრულდეს ეროვნული ადაპტაციის გეგმების მომზადებისას ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე:

**1** საფუძვლის შექმნა და ხარვეზების გამოსწორება

- ა. ინსტიტუციური სტრუქტურის პროგრამების, პოლიტიკისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება და შეფასება ადაპტაციის ღონისძიებების კოორდინაციისა და მართვისთვის.
- ბ. კლიმატის ცვლილების ზემოქმედების, მოწყვლადობისა და ადაპტაციის, კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგოდ მიღებული ზომების, ხარვეზებისა და საჭიროებების შესახებ არსებული ინფორმაციის შეფასება ეროვნულ და რეგიონულ დონეზე.
- გ. განვითარების საჭიროებებისა და კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის კომპლექსური განმეორებითი შეფასებები.

**2** მოსამზადებელი ელემენტები

- ა. გამოვლენილი ხარვეზებისა გამოსასწორებლად და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად გეგმების, პოლიტიკისა და პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება.
- ბ. ადაპტაციის საშუალო და გრძელვადიანი საჭიროებების და, შესაბამის შემთხვევებში, განვითარების საჭიროებებისა და კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შეფასება.
- გ. განვითარების ეროვნულ და სუბეროვნულ და სექტორულ გეგმებში კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ინტეგრაციისკენ მიმართული ღონისძიებები.

31 <https://www.greenclimate.fund/projects/commitment>

32 <https://www.greenclimate.fund/readiness/naps>

33 [https://unfccc.int/files/adaptation/cancun\\_adaptation\\_framework/national\\_adaptation\\_plans/application/pdf/nap\\_initial\\_guidelines\\_annex\\_\\_to\\_decision\\_5cp17\\_eng.pdf](https://unfccc.int/files/adaptation/cancun_adaptation_framework/national_adaptation_plans/application/pdf/nap_initial_guidelines_annex__to_decision_5cp17_eng.pdf)

- დ. დაინტერესებულ მხარეთა თანამონაწილეობრივი კონსულტაციები.
- ე. კომუნიკაცია, ცნობიერების ამაღლება და განათლება.

**3** განხორციელების სტრატეგიები

- ა. პრიორიტეტების განსაზღვრა განვითარების საჭიროებების და კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობისა და რისკების მიხედვით.
- ბ. ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩოების გაძლიერება ადაპტაციის მხარდასაჭერად.
- გ. ტრენინგები და კოორდინაცია სექტორულ და სუბეროვნულ დონეზე.
- დ. ეროვნული ადაპტაციის გეგმის პროცესის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება.
- ე. ადაპტაციის არსებული გეგმების გამოყენება და მათი შევსება.

**4** ანგარიშგება, მონიტორინგი და განხილვა

- ა. რეგულარულად გადახედვა ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ახალი შეფასებების შედეგებისა და მეცნიერული მონაცემების ჩართვითა და ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით.
- ბ. რეგულარულად გადახედვა მიღებული ზომების მონიტორინგისა და ეროვნულ შეტყობინებებში მიღწეული პროგრესისა და ეროვნული ადაპტაციის გეგმის პროცესის ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციის უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია ისარგებლოს „NAP-ის პროცესის ტექნიკური მითითებებით“<sup>34</sup>, რომლებიც ემყარება NAP-ის შემუშავების თავდაპირველ პრინციპებს და განსაზღვრავს NAP-ის პროცესის თითოეულ ელემენტზე მუშაობის მრავალფეროვან ვარიანტებს. ასევე შესაძლებელია UNFCCC-ის სხვა ისეთი პუბლიკაციების გამოყენება, როგორცაა „NAP-ის პროცესი: მოკლე მიმოხილვა“<sup>35</sup>, „NAP-ის პროცესის პოსტერი“<sup>36</sup> და „ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ადაპტაციის საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება“<sup>37</sup>.

საქართველოს NAP-ის პროცესში ინტეგრირებული უნდა იყოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა (AgriNAP), რომელიც მომზადდა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ცალკეული სასოფლო სამეურნეო კულტურებისთვის საადაპტაციო ზომებისა და კლიმატის მიმართ მეგობრული მიდგომების შემუშავების მიზნით.

NAP-ის შემუშავების პროცესის დასრულების და შესამუშავებელი და განსახორციელებელი სტრატეგიებისა და პროგრამების იდენტიფიცირების შემდეგ, შესაძლებელი იქნება NAP-ის პროცესში გამოვლენილი ადაპტაციის ცალკეული პრიორიტეტული ღონისძიებების დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის მომზადება. ეს საქართველოს მისცემს შესაძლებლობას, განახორციელოს განახლებულ NDC-ში განსაზღვრული ადაპტაციის თითოეული პრიორიტეტული ღონისძიება.

34 [https://unfccc.int/files/adaptation/cancun\\_adaptation\\_framework/application/pdf/naptchguidelines\\_eng\\_high\\_res.pdf](https://unfccc.int/files/adaptation/cancun_adaptation_framework/application/pdf/naptchguidelines_eng_high_res.pdf)

35 [https://unfccc.int/files/adaptation/application/pdf/nap\\_overview.pdf](https://unfccc.int/files/adaptation/application/pdf/nap_overview.pdf)

36 [https://unfccc.int/files/adaptation/application/pdf/nap\\_poster.pdf](https://unfccc.int/files/adaptation/application/pdf/nap_poster.pdf)

37 [https://unfccc.int/files/adaptation/application/pdf/leg\\_bp11\\_volume3.pdf](https://unfccc.int/files/adaptation/application/pdf/leg_bp11_volume3.pdf)

## 6 განხორციელების გზამკვლევი

განხორციელების გზამკვლევი წარმოადგენს NDC-ის დაფინანსების სტრატეგიის მდგრადი განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი კომპონენტების იდენტიფიცირების მნიშვნელოვან საშუალებას, რომლის მიზანია კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების არსებული სისტემის ხარვეზებისა აღმოფხვრა და დაფინანსების დეფიციტის შევსება.

უნდა აღინიშნოს, რომ ის წარმოადგენს „ცოცხალ“ დოკუმენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის შეიძლება პერიოდულად განახლდეს და გაუმჯობესდეს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მისი სანდოობა, გამჭვირვალობა და სიზუსტე დროთა განმავლობაში ახალი ინფორმაციის და მონაცემების მიღების პარალელურად.

განხორციელების გზამკვლევი შემდეგი კომპონენტებისგან შედგება:

- **პოლიტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:** შემუშავდება პოლიტიკური რეკომენდაციები გაუმჯობესებული დარგობრივი ფინანსური გარემოს შესაქმნელად, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს საგადასახადო რეფორმებს და საბაზრო მექანიზმებს. ეს რეკომენდაციები მიმართული იქნება გამოვლენილი წინააღმდეგობების დაძლევისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად პოლიტიკის საუკეთესო ვარიანტების შერჩევაზე.
- **დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და რეკომენდაციები ინსტიტუციურ მექანიზმებთან დაკავშირებით:** მომზადდება NDC-ის ცალკეული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი დაინტერესებული მხარეების სია. გარდა ამისა, მომზადდება რეკომენდაციები სქართველოში კლიმატის დაფინანსებასთან დაკავშირებული საქმიანობების კოორდინაციისა და კონტროლის გასაუმჯობესებლად საჭირო ინსტიტუციურ მექანიზმებთან დაკავშირებით. ინსტიტუციური მექანიზმები დაემყარება არსებულ ინსტიტუციურ სისტემას იმისათვის, რომ მკაფიოდ განისაზღვროს NDC-ის დაფინანსებასთან დაკავშირებით თითოეული დაინტერესებული მხარის ფუნქციები და ვალდებულებები მათი ფორმალური და სამართლებრივი ინსტრუმენტების შესაბამისად.
- **შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა:** მომზადდება სახელმწიფო და კერძო სექტორების სუბიექტების შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა, რომელიც გაზრდის შესაბამისი დაინტერესებული მხარეების უნარ-ჩვევებსა და ცოდნას NDC-ის პრიორიტეტული ღონისძიებების ინოვაციური დაფინანსების მიმართულებით და გააძლიერებს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობას კლიმატის ცვლილების სფეროში დასახული მიზნების ირგვლივ მობილიზებისა და მათ განხორციელებისთვის. პროგრამა დაემყარება შესაძლებლობებში გამოვლენილ ხარვეზებსა და პრობლემებს და შეიმუშავებს ცნობიერებისა და ჩართულობის დონის ამაღლების რეკომენდაციებს. გათვალისწინებული იქნება „პრაქტიკით სწავლების“ მიდგომა ბიზნეს გეგმების შედგენისა და დაფინანსების შესახებ ტრენინგების გზით.
- **განხორციელების გრაფიკი მნიშვნელოვან ღონისძიებებზე აქცენტით:** წარმოდგენილი იქნება განხორციელების გრაფიკი, რომელიც უზრუნველყოფს პრიორიტეტული ღონისძიებების რეალისტურ ვადებში განხორციელებას. გრაფიკში ყურადღება გამახვილებული იქნება მაღალი პრიორიტეტის მქონე ღონისძიებების მოკლე ვადებში, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვანი ღონისძიებების საშუალო და ხანგრძლივ ვადებში განხორციელებაზე. მისი მიზანია შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენება ყველაზე ეფექტიანი მოკლევადიანი ღონისძიებებისათვის.

- **NDC-ის კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების კონტროლის მეთოდოლოგიები და შესრულების ინდიკატორები:** შემუშავდება NDC-ის განსახორციელებლად საჭირო და მიღებული დაფინანსების მონიტორინგის მეთოდოლოგია და შესრულების ინდიკატორები ეროვნული MRV სისტემისა და UNFCCC-ის მოთხოვნების შესაბამისად.

## 6.1 პოლიტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

ერთიანი პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა წყაროებიდან NDC-ის განხორციელებისკენ მიმართული კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ნაკადები-სა და საქართველოს NDC-ში განსაზღვრული ბევრი ღონისძიების მონიტორინგის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა, არ არსებობს. მას უნდა ჰქონდეს თანმიმდევრული სტრუქტურა დარგთაშორისი ასპექტების მხარდამჭერი პოლიტიკით და შედგებოდეს მკაფიო პოლიტიკური მითითებებისაგან, რომლებიც ძირითად დაინტერესებულ მხარეებს მიმართულელებას უჩვენებენ.

ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო ვალდებულებების პროცესებსა და ეროვნული მიზნებთან მიმართებით საქართველოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავების საკმაოდ მდიდარი ისტორია აქვს. ქვეყანაში მომზადებულია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტების მთელი რიგი, რომლებშიც საზგასმულია დაფინანსების აუცილებლობა დასახული მიზნების მისაღწევად. საქართველოს NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის მომზადება ამ პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია, ვინაიდან მას შეუძლია შექმნას ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო და სახელმწიფო დაფინანსების მოზიდვას და საერთაშორისო დონორების მიერ ქვეყნისთვის რესურსების მობილიზაციას.

ქვეყნის ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტებში არ არის განსაზღვრული კონკრეტული მიზნები და მათ მისაღწევად საჭირო რესურსები, რომლებიც საბიუჯეტო პროგრამებში, საერთაშორისო დახმარებებში ან კერძო სექტორის ინვესტიციებში შეიძლება იქნეს გათვალისწინებული. კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმაში მოცემულია ღონისძიებების სავარაუდო ღირებულება, თუმცა ცალკეულ ღონისძიებებზე ინფორმაცია არ არის. მიუხედავად ამისა, NAP უნდა მომზადდეს, თუმცა ინფორმაცია ადაპტაციის ღონისძიებებისთვის საჭირო დაფინანსებაზე არ იქნება სრულყოფილი. ზოგიერთ დარგობრივ სტრატეგიაში მითითებულია ღონისძიებების ღირებულება, თუმცა ეს მონაცემები, მათ შორის კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი, ძალიან ზოგადია და მათი მიზმა ბიუჯეტზე, საერთაშორისო დახმარებასა თუ კერძო ინვესტიციებზე შეუძლებელია.

ის, რომ ეროვნულ და სუბეროვნულ პოლიტიკურ დოკუმენტებში არ არის განსაზღვრული მიზნები და ფინანსური საჭიროებები, გამოწვეული იყო სტრატეგიული და პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების არათანმიმდევრული და არასტრუქტურირებული მიდგომით. თუმცა, ვითარება სავარაუდოდ 2020 წლიდან, საქართველოს მთავრობის დადგენილება #629 პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ მიღების შედეგად შეიცვლება. დადგენილება განსაზღვრავს კონკრეტულ მოთხოვნებს სტრატეგიული დოკუმენტების მიმართ და ეს პრობლემა 2020 წლის შემდეგ მომზადებულ დოკუმენტებში აღარ იქნება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად საქართველოს პოლიტიკური ჩარჩოს გასაძლიერებლად და გამოვლენილი წინაღობების პრობლემის გადასაჭრელად მოსახსნელად, ქვეყანამ:

- NDC-ს განხორციელება და შესაბამისი საჭირო ფინანსური ნაკადები ეროვნული განვითარების პოლიტიკურ ციკლს უნდა შეუსაბამოს. მაგალითად, თუ ეროვნული განვითარების გეგმებს ხუთწლიანი ციკლი აქვთ, UNFCCC-ის სამდივნოს განახლებული NDC ხუთწელიწადში ერთხელ უნდა წარედგინოს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „ეკონომიკა 2030“ შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 10-წლიანი გეგმის ფარგლებში. საქართველოს განახლებული NDC-ის (რომელსაც ვადა 2030 წლამდე აქვს) ინტეგრირება ეროვნული განვითარების ამ პოლიტიკაში, ხელს შეუწყობს NDC-ს დაკავშირებას არსებულ გეგმებსა და პროცესებთან და შესაბამის საბიუჯეტო ხარჯებთან.
- NDC-ს განხორციელება უნდა დააკავშიროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ისეთ სისტემებთან, როგორცაა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომლის კოორდინაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების განყოფილება უზრუნველყოფს. ამ ინსტრუმენტის საშუალებით ქვეყნდება ყველა პროექტთან და ეროვნულ დონეზე მიმდინარე ან დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებული ინფორმაცია. მონიტორინგს და კონტროლს მდგრადი განვითარების ჩვიდმეტივე მიზანი, მათ შორის „მიზანი 13 - კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები“ ექვემდებარება. ეს ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და მათთვის უზრუნველყოფილი დაფინანსებისა ან ფინანსური საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მონიტორინგს და მათ დაკავშირებას საქართველოს განახლებული NDC-ის მიზნებთან.
- პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელ სამინისტროებში, დეპარტამენტებსა და უწყებებში უნდა შექმნას ექსპერტთა ჯგუფი ან დეპარტამენტი, რომელსაც ექნება კონკრეტული მანდატი, საკუთარი საქმიანობის სფეროში შეიმუშაოს და კოორდინაცია გაუწიოს კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებს ქმედებებს და უზრუნველყოს მათი კავშირი განახლებულ NDC-ის სექტორებსა და ღონისძიებებთან. ასეთ ჯგუფებს შეიძლება მიეცეთ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების კოორდინაციისა და საკუთარი საქმიანობის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის უფლებამოსილება.
- საქართველომ უნდა განავითაროს ნახშირბადის გადასახადების ეროვნული პოლიტიკა, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პოლიტიკა და კერძო ინვესტიციების წახალისების პოლიტიკა ქვეყნის ფინანსური გარემოს გასაუმჯობესებლად.

## 6.2 დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და რეკომენდაციები ინსტიტუციურ მექანიზმებთან დაკავშირებით

NDC-ის ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, კერძო სექტორის, სამეცნიერო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუდმივი ძალისხმევა, კოორდინაცია და ჩართულობა, ვინაიდან ღონისძიებები ეროვნულ, სექტორულ და სუბეროვნულ დონეზე უნდა განხორციელდეს. საქართველოს

NDC-ის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი და პარტნიორი ორგანიზაციების იდენტიფიცირება ძალიან მნიშვნელოვანია განსაზღვრული მიზნებისა და ვადების და მათთან დაკავშირებული ფინანსური საჭიროებების კონტროლისა და შესრულების უზრუნველსაყოფად. წამყვანი ორგანიზაციები პასუხისმგებელი იქნებიან 2020 წლიდან 2030 წლამდე, NDC-ის განხორციელების პერიოდის განმავლობაში, ღონისძიებების ფინანსური მდგომარეობის შეფასებაზე საქართველოს განახლებული NDC-ის ფინანსების კონტროლის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც აღწერილია თავი 6.5.1-ში.

ამ კონტექსტში, ეს წამყვანი ორგანიზაციები შეასრულებენ მნიშვნელოვან როლს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფინანსური საჭიროებების შეფასებაში, მოახდენენ პოტენციურ რესურს-პარტნიორების იდენტიფიცირებას დაფინანსების დეფიციტის შესავსებად და ჩაერთვებიან რესურს-პარტნიორებთან მოლაპარაკებებში თავი 3-ში აღწერილი რესურსების მობილიზაციის სახელმძღვანელოს მიხედვით. წამყვანი და მათი პარტნიორი ორგანიზაციები შემდეგ ამოცანებს შეასრულებენ:

- **წამყვანი ორგანიზაცია:** ერთი უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება NDC-ის მიერ განსაზღვრული ღონისძიების განხორციელების ყველა ასპექტის კოორდინაციაზე, უზრუნველყოფილი და მობილიზებული სახსრებისა და ფინანსური დეფიციტის შეფასებაზე და დარგობრივ სამინისტროებში და სხვა არასამთავრობო სუბიექტებში სპეციალურად შექმნილ ჯგუფებთან მუშაობაზე განსაზღვრული მიზნებისა და ვადების შესასრულებლად.
- **პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ი:** წამყვანი ორგანიზაციის დახმარება კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებაში, ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ წამყვანი ორგანიზაციისათვის ინფორმაციისა და მონაცემების მიწოდება.

გარდა ამისა, საქართველოში კლიმატის დაფინანსებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის გასაძლიერებლად, აუცილებელია ისეთი ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ანგარიშების მოსამზადებლად და საქართველოში კლიმატის დაფინანსებასთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი მონაცემების გაცვლა-გამოცვლას და ცოდნისა და გამოცდილების ხელმისაწვდომობას. ინსტიტუციური მექანიზმები უნდა დაემყაროს არსებულ ინსტიტუციურ სისტემას იმისათვის, რომ მკაფიოდ განისაზღვროს NDC-ის დაფინანსებასთან დაკავშირებით თითოეული დაინტერესებული მხარის ფუნქციები და ვალდებულებები მათი ფორმალური და სამართლებრივი ინსტრუმენტების შესაბამისად.

## 6.2.1 შერბილების ღონისძიებებზე პასუხისმგებელი უწყებები

მომდევნო ორ ცხრილში წარმოდგენილია NDC-ის შერბილების 66 უპირობო და 35 პირობიანი ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი და პარტნიორი ორგანიზაციები. ისინი განსაზღვრულია საქართველოს 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგიისა და 2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

**ცხრილი 26.** საქართველოში NDC-ის შერბილების უპირობო ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები

საქტორი: ენერჯის გენერაცია და გადაცემა 		
ღონისძიება	წარმომადგენელი უწყება	პარტნიორი ორგანიზაცია (ორგანიზაციები)
<b>UE 1.1</b> ქარის ენერჯიდან ელექტროენერჯის გამომუშავების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“</li> <li>▶ ქარის ელექტროსადგურების მმართველი კომპანიები, რომლებიც ამ ღონისძიებას განახორციელებენ</li> </ul>
<b>UE 1.2</b> მზის ენერჯიდან ელექტროენერჯის გამომუშავების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“</li> <li>▶ მზის ელექტროსადგურების მმართველი კომპანიები, რომლებიც ამ ღონისძიებას განახორციელებენ</li> </ul>
<b>UE 1.3</b> ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“</li> <li>▶ ჰიდროელექტროსადგურების მმართველი კომპანიები, რომლებიც ამ ღონისძიებას განახორციელებენ</li> </ul>
<b>UE 2.1</b> თბოელექტროსადგურებზე ტექნიკური სამუშაოების განხორციელება	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
<b>UE 3.1</b> საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის განხორციელება ელექტროგადამცემის კომპანიებისთვის	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
<b>UE 4.1</b> საქართველოს ენერგოპოლიტიკის ერთიანი გრძელვადიანი მულტისექტორული სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	-
საქტორი: ტრანსპორტი 		
ღონისძიება	წარმომადგენელი უწყება	პარტნიორი ორგანიზაცია (ორგანიზაციები)
<b>UT 1.1</b> სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირებასთან დაკავშირებით არსებულ რეგულაციაში ცვლილებების განხორციელება	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ შინაგან საქმეთა სამინისტრო</li> <li>▶ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრები</li> <li>▶ შპს „საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი“</li> </ul>

<b>UT 1.2</b>	სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშირებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმების მეტად ეფექტურად აღსრულება	შინაგან საქმეთა სამინისტრო	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<b>UT 1.3</b>	სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის გზებზე კონტროლი	შინაგან საქმეთა სამინისტრო	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</li> <li>▶ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</li> <li>▶ სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“</li> <li>▶ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი</li> </ul>
<b>UT 1.4</b>	ელექტრომობილების გამოყენების წახალისებისთვის დამატებითი ოპტიმალური საგადასახადო შეღავათების ალტერნატივების იდენტიფიცირება ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე	შინაგან საქმეთა სამინისტრო	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</li> <li>▶ სსიპ “მომსახურების სააგენტო”</li> </ul>
<b>UT 1.5</b>	თბილისში ელექტრომობილებისთვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.	თბილისის მერია	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ ელექტრომობილების კომპანიები</li> <li>▶ სამშენებლო კომპანიები</li> <li>▶ კერძო კომპანიები</li> <li>▶ სახელმწიფო უწყებები</li> </ul>
- დაფინანსების პოტენციური წყაროები იდენტიფიცირებულია:** ეხება NDC-ის ისეთ ნაწილობრივ დაფინანსებულ და დაუფინანსებელ ღონისძიებებს, რომლებისთვისაც იდენტიფიცირებულია დაფინანსების პოტენციური წყაროები არსებული დეფიციტის შესავსებად. წინამდებარე დოკუმენტის თავი 5-ში წარმოდგენილ საინვესტიციო გეგმაში ჩამოთვლილია NDC-ის შერბილების ნაწილობრივ დაფინანსებული და დაუფინანსებელი ღონისძიებების დაფინანსების ყველაზე შესაფერისი წყაროები, მათ შორის ქართული ფონდები, კერძი ინვესტიციები და საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი მხარდაჭერა.
- დაფინანსებაზე საპროექტო წინადადებები მომზადების პროცესშია:** ეხება NDC-ის ისეთ ნაწილობრივ დაფინანსებულ და დაუფინანსებელ ღონისძიებებს, რომლებისთვისაც საპროექტო და დაფინანსების წინადადებები მომზადების პროცესშია.
- დაფინანსებაზე საპროექტო წინადადებები წარდგენილია:** ეხება NDC-ის ისეთ ნაწილობრივ დაფინანსებულ და დაუფინანსებელ ღონისძიებებს, რომლებისთვისაც საპროექტო და დაფინანსების წინადადებები წარდგენილია და განხილვის პროცესში იმყოფება.


მთავარ მიზანს წარმოადგენს NDC-ის ღონისძიებებისათვის საჭირო დაფინანსების უზრუნველყოფა რესურსების მობილიზების და კლიმატის ცვლილების ბიუჯეტების ინტეგრაციის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად, რომლებიც წარმოდგენილია დოკუმენტის თავი 3 და 4-ში, ისე, რომ NDC-ის ყველა ღონისძიება მაქსიმალურად მოკლე დროში „დაფინანსებული“ კატეგორიაში გადავიდეს.

გამოსახულებებზე ნაჩვენებია საქართველოს განახლებული NDC-ის შერბილების პრიორიტეტული პირობიანი და უპირობო ღონისძიებების განხორციელების მდგომარეობა 2022 წლის ივნისში.


**გახაზი 15.** NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის შესრულების ინდიკატორები – გრაფიკებზე ნაჩვენებია შერბილების ღონისძიებების 2022 წლის ივნისის მდგომარეობა




**დაფინანსების მდგომარეობის ინდიკატორები - შერბილების პირობიანი ღონისძიებები**



**დეფიციტის შევსების ინდიკატორები - შერბილების უპირობო ღონისძიებები**



დეფიციტის შევსების ინდიკატორები - შერბილების პირობიანი ღონისძიებები



### 6.5.3 ანგარიშგება NDC-ის დაფინანსებასთან დაკავშირებით

ძალიან მნიშვნელოვანია მრავალი ეროვნული და საერთაშორისო დაინტერესებული მხარისათვის ინფორმაციის მიწოდება NDC-ის განხორციელების ხარჯების, ეროვნული ბიუჯეტიდან, კერძო სექტორიდან და საერთაშორისო დახმარებით უზრუნველყოფილი დაფინანსების, აგრეთვე NDC-ის დაფინანსებაში არსებული დეფიციტის შესახებ. დაინტერესებული მხარეებისთვის წარსადგენი ანგარიშები უნდა იყოს მომზადდეს მათი ინტერესებისა და ჩართულობის დონის შესაბამისად:

- UNFCCC:** საქართველომ, რომელიც არის UNFCCC-ის მხარე და რატიფიცირებული აქვს პარიზის შეთანხმება, ინფორმაცია კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის საჭირო და მიღებული დახმარების შესახებ გაძლიერებული გამჭვირვალობის ჩარჩოს ფარგლებში უნდა წარადგინოს. ინფორმაციის წარდგენა უნდა მოხდეს ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშის (BTR) საშუალებით, რომელიც, არა უგვიანეს 2024 წლის დეკემბრიდან, UNFCCC-ის ორ წელიწადში ერთხელ უნდა გაეგზავნოს.
- ეროვნული მთავრობა:** NDC-ის დაფინანსების შესახებ ინფორმაციის წარდგენა ხელს შეუწყობს NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის ციკლის ეფექტიანობას, რაც ეროვნულ მთავრობას მისცემს შესაძლებლობას, სხვა საკითხებთან ერთად, შეაფასოს, მიმართულია თუ არა კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსება NDC-ის პრიორიტეტული ღონისძიებების განხორციელებაზე და განსაზღვროს საჭირო ნაბიჯები დაფინანსების დეფიციტის შესავსებად და ქვეყანაში კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების ზოგადი გარემოს გასაუმჯობესებლად.

- ეროვნული და საერთაშორისო დონორები და ინვესტორები: NDC-ის დაფინანსების შესახებ ინფორმაციის წარდგენა აამაღლებს გამჭვირვალობის დონეს, გაზრდის დონორების მხრიდან ნდობისა და საქართველოს მთავრობის ანგარიშვალდებულების ხარისხს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- ფართო საზოგადოება: NDC-ის დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გავრცელება გაზრდის ქვეყანაში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმირებულობის დონეს და აამაღლებს ამომრჩეველთა წინაშე ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხს.

2015 წლის დეკემბერში პარიზის შეთანხმების მიღება წარმოადგენს ისტორიულ მოვლენას კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართულ გლობალურ ძალისხმევაში, ვინაიდან ის არის პირველი ყოვლისმომცველი და იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო შეთანხმება კლიმატის ცვლილების შესახებ UNFCCC-ის იმ მხარეებს შორის, რომლებმაც მისი რატიფიცირება მოახდინეს.

პარიზის შეთანხმებით გათვალისწინებული ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ ფინანსური ნაკადები სათბურის აირების დაბალემისიანი და კლიმატისადმი მედეგი განვითარების გზას შეესაბამებოდეს. შეთანხმება, ასევე, ხაზს უსვამს ფინანსური მხარდაჭერის გამჭვირვალობისა და პროგნოზირებადობის გაძლიერების აუცილებლობას.

ორმხრივი ნდობის გასამყარებლად და კლიმატის ცვლილებით შექმნილი საფრთხეების ფონზე შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, შეთანხმების მუხლი 13 განსაზღვრავს გაძლიერებული გამჭვირვალობის ჩარჩოს (ETF), რომელიც ძალაში 2024 წლის დეკემბერს უნდა შევიდეს. სხვა საკითხებთან ერთად, ETF მიზნად თითოეული მხარის მიერ NDC-ის განხორციელების მონიტორინგის ხელშეწყობასა და გამჭვირვალობის ამაღლებას ისახავს. ETF-ის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიში (BTR), რომელიც, NDC-ის განხორციელების გამჭვირვალედ კონტროლის მიზნით, ყველა მხარემ UNFCCC-ის სამდივნოს 2024 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ უნდა წარუდგინოს.

კატოვიცეში მხარეთა 24-ე კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 18/CMA.1, რომელიც ეხება გაძლიერებული გამჭვირვალობის ჩარჩოს პირობებს, პროცედურებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (MPGs). MPGs განსაზღვრავს ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშში წარსადგენ ინფორმაციას, მათ შორის ინფორმაციას პარიზის შეთანხმების მუხლის 9-11 შესაბამისად ფინანსური, ტექნოლოგიების განვითარებისა და გადაცემის და შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით საჭირო და მიღებული დახმარების შესახებ:

**ინფორმაცია პარიზის შეთანხმების მუხლი 9-ის ფარგლებში განვითარებადი ქვეყნები-მხარეებისთვის საჭირო ფინანსური დახმარების შესახებ**

132. განვითარებადმა ქვეყნებმა-მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია პარიზის შეთანხმების მუხლი 9-ის ფარგლებში საჭირო ფინანსური დახმარების შესახებ ტექსტურ ფორმატში, შესაბამის შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად შემდეგი მონაცემების მითითებით:

(ა) სექტორები, რომლებისთვისაც მხარეს სურს საერთაშორისო დაფინანსების მოზიდვა, მათ შორის საერთაშორისო ფინანსების მოზიდვის ხელშემშლელი ფაქტორები;

(ბ) აღწერა იმისა, თუ როგორ შეუწყობს დახმარება ხელს NDC-ის შესრულებასა და პარიზის შეთანხმების გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.

133. განვითარებადმა ქვეყნებმა-მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია საჭირო ფინანსური დახმარების შესახებ ცხრილის სახით, შესაბამის შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად შემდეგი მონაცემების მითითებით:

- (ა) სახელწოდება (ღონისძიების, პროგრამის ან პროექტის);
- (ბ) პროგრამის/პროექტის აღწერა;
- (გ) საორიენტაციო თანხა (ეროვნულ ვალუტაში და აშშ დოლარში);
- (დ) სავარაუდო ვადები;
- (ე) სავარაუდო ფინანსური ინსტრუმენტი (გრანტი, შეღავათიანი სესხი, არაშეღავათიანი სესხი, კაპიტალური ინვესტიცია, გრანტია ან სხვა);
- (ვ) მხარდაჭერის ტიპი (შერბილება, ადაპტაცია ან დარგთაშორისი);
- (ზ) სექტორი და ქვესექტორი;
- (თ) შეუწყობს ხელს თუ არა ღონისძიება ტექნოლოგიების განვითარებას და გადაცემას და/ან შესაძლებლობების გაძლიერებას, შესაბამის შემთხვევაში;
- (ი) გათვალისწინებულია თუ არა ღონისძიება ეროვნულ სტრატეგიაში და/ან NDC-ში;
- (კ) სავარაუდო გამოყენება, ზემოქმედება და მოსალოდნელი შედეგები.

**ინფორმაცია პარიზის შეთანხმების მუხლი 9-ის ფარგლებში განვითარებადი ქვეყნები-მხარეების მიერ მიღებული ფინანსური დახმარების შესახებ**

134. განვითარებადმა ქვეყნებმა-მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია მიღებული ფინანსური დახმარების შესახებ ცხრილის სახით, შესაბამის შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად შემდეგი მონაცემების მითითებით:

- (ა) სახელწოდება (ღონისძიების, პროგრამის ან პროექტის);
- (ბ) პროგრამის/პროექტის აღწერა;
- (გ) არხი;
- (დ) მიმღები სუბიექტი;
- (ე) განმახორციელებელი სუბიექტი;
- (ვ) მიღებული თანხა (ეროვნულ ვალუტაში და აშშ დოლარში);
- (ზ) ვადები;
- (თ) ფინანსური ინსტრუმენტი (გრანტი, შეღავათიანი სესხი, არაშეღავათიანი სესხი, კაპიტალური ინვესტიცია, გრანტია ან სხვა);
- (ი) მდგომარეობა (გარანტირებული ან მიღებული);
- (კ) სექტორი და ქვესექტორი;
- (ლ) მხარდაჭერის ტიპი (შერბილება, ადაპტაცია ან დარგთაშორისი);
- (მ) შეუწყობს თუ არა ხელი ღონისძიებამ ტექნოლოგიების განვითარებას და გადაცემას ან/და შესაძლებლობების გაძლიერებას;
- (ნ) ღონისძიების სტატუსი (დაგეგმილი, მიმდინარე ან დასრულებული);
- (ო) გამოყენება, ზემოქმედება და მოსალოდნელი შედეგები.

**ინფორმაცია პარიზის შეთანხმების მუხლი 10-ის ფარგლებში განვითარებადი ქვეყნები-მხარეებისთვის ტექნოლოგიების განვითარებასა და გადაცემასთან დაკავშირებით საჭირო დახმარების შესახებ**

135. განვითარებადმა ქვეყნებმა-მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია პარიზის შეთანხმების მუხლი 10-ის ფარგლებში ტექნოლოგიების განვითარებასა და გადაცემასთან დაკავშირებით საჭირო დახმარების შესახებ ტექსტურ ფორმატში, შესაბამის შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად შემდეგი მონაცემების მითითებით:

(ა) ტექნოლოგიების განვითარება და გადაცემასთან დაკავშირებული გეგმები, საჭიროებები და პრიორიტეტები, მათ შორის, ტექნოლოგიური საჭიროებების შეფასებებში იდენტიფიცირებული, შესაბამის შემთხვევებში;

(ბ) ტექნოლოგიების განვითარებასა და გადაცემასთან დაკავშირებული საჭიროებები არსებული შესაძლებლობებისა და ტექნოლოგიების გასაძლიერებლად.

136. განვითარებადმა ქვეყნებმა-მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია ტექნოლოგიების განვითარებასა და გადაცემასთან დაკავშირებით საჭირო დახმარების შესახებ ცხრილის სახით, შესაბამის შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად შემდეგი მონაცემების მითითებით:

- (ა) სახელწოდება (ლონისძიების, პროგრამის ან პროექტის);
- (ბ) პროგრამის/პროექტის აღწერა;
- (გ) მხარდაჭერის ტიპი (შერბილება, ადაპტაცია ან დარგთაშორისი);
- (დ) ტექნოლოგიის ტიპი;
- (ე) სავარაუდო ვადები;
- (ვ) სექტორი;
- (ზ) სავარაუდო გამოყენება, ზემოქმედება და მოსალოდნელი შედეგები.

**ინფორმაცია პარიზის შეთანხმების მუხლი 10-ის ფარგლებში განვითარებადი ქვეყნები-მხარეების მიერ ტექნოლოგიების განვითარებასა და გადაცემასთან დაკავშირებით მიღებული დახმარების შესახებ**

137. განვითარებადმა ქვეყნებმა-მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია პარიზის შეთანხმების მუხლი 10-ის ფარგლებში ტექნოლოგიების განვითარებასა და გადაცემასთან დაკავშირებით მიღებული დახმარების შესახებ ტექსტურ ფორმატში, შესაბამის შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად შემდეგი მონაცემების მითითებით:

- (ა) კონკრეტული მაგალითები, მათ შორის წარმატებისა და წარუმატებლობის მნიშვნელოვანი შემთხვევები;
- (ბ) როგორ უწყობს დახმარება ხელს ტექნოლოგიების განვითარებასა და გადაცემას, არსებულ შესაძლებლობებსა და ცოდნას;
- (დ) ტექნოლოგიური ციკლის მხარდაჭერილი ეტაპი: მათ კვლევა და განვითარება, დემონსტრირება, დანერგვა, გავრცელება და ტექნოლოგიების გადაცემა.

138. განვითარებადმა ქვეყნებმა-მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია ტექნოლოგიების განვითარებასა და გადაცემასთან დაკავშირებით მიღებული დახმარების შესახებ ცხრილის სახით, შესაბამის შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად შემდეგი მონაცემების მითითებით:

- (ა) სახელწოდება (ლონისძიების, პროგრამის ან პროექტის);
- (ბ) პროგრამის/პროექტის აღწერა;
- (გ) ტექნოლოგიის ტიპი;
- (დ) ვადები;
- (ე) მიმღები სუბიექტი;
- (ვ) განმახორციელებელი სუბიექტი;
- (ზ) მხარდაჭერის ტიპი (შერბილება, ადაპტაცია ან დარგთაშორისი);
- (თ) სექტორი;
- (ი) ლონისძიების მდგომარეობა (დაგეგმილი, მიმდინარე ან დასრულებული);
- (კ) გამოყენება, ზემოქმედება და მოსალოდნელი შედეგები.

**ინფორმაცია პარიზის შეთანხმების მუხლი 11-ის ფარგლებში განვითარებადი ქვეყნები-მხარეებისთვის შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებით საჭირო დახმარების შესახებ**

139. განვითარებადმა ქვეყნებმა-მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია პარიზის შეთანხმების მუხლი 11-ის ფარგლებში შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებით საჭირო დახმარების შესახებ ტექსტურ ფორმატში, შესაბამის შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად შემდეგი მონაცემების მითითებით:

- (ა) მიდგომა, რომლითაც მხარე ცდილობს შესაძლებლობების გასაძლიერებლად საჭირო დახმარების ხელშეწყობას;
- (ბ) ქვეყნის საჭიროებები შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებით, შებენიანი და ხარვეზები ამ საჭიროებების კომუნიკაციაში და იმის განმარტება, თუ როგორ გააუმჯობესებს შესაძლებლობების გასაძლიერებლად საჭირო დახმარების მიღება ასეთი ინფორმაციის მიწოდებას;
- (გ) შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებულობის, საზოგადოების მონაწილეობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ამაღლების პროცესები.

140. განვითარებადმა ქვეყნებმა-მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებით საჭირო დახმარების შესახებ ცხრილის სახით, შესაბამის შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად შემდეგი მონაცემების მითითებით:

- (ა) სახელწოდება (ლონისძიების, პროგრამის ან პროექტის);
- (ბ) პროგრამის/პროექტის აღწერა;
- (გ) სავარაუდო ვადები;
- (დ) მხარდაჭერის ტიპი (შერბილება, ადაპტაცია ან დარგთაშორისი);
- (ე) სავარაუდო გამოყენება, ზემოქმედება და მოსალოდნელი შედეგები.

**ინფორმაცია პარიზის შეთანხმების მუხლი 11-ის ფარგლებში განვითარებადი ქვეყნები-მხარეების მიერ შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებით მიღებული დახმარების შესახებ**

141. განვითარებადმა ქვეყნებმა-მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია პარიზის შეთანხმების მუხლი 11-ის ფარგლებში შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებით მიღებული დახმარების შესახებ ცხრილის სახით, შესაბამის შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად შემდეგი მონაცემების მითითებით:

- (ა) კონკრეტული მაგალითები, მათ შორის წარმატებისა და წარუმატებლობის მნიშვნელოვანი შემთხვევები;
- (ბ) როგორ იქნა დახმარება მიღებული;
- (გ) ეროვნულ და, შესაბამის შემთხვევებში, სუბრეგიონულ და რეგიონულ დონეზე შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებით მიღებული მხარდაჭერა, მათ შორის დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტები, მონაწილეობა და ჩართულობა.

142. განვითარებადმა ქვეყნებმა-მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებით მიღებული დახმარების შესახებ ცხრილის სახით, შესაბამის შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად შემდეგი მონაცემების მითითებით:

- (ა) სახელწოდება (ლონისძიების, პროგრამის ან პროექტის);
- (ბ) პროგრამის/პროექტის აღწერა;
- (გ) განმახორციელებელი სუბიექტი;
- (დ) მიმღები სუბიექტი;
- (ე) მხარდაჭერის ტიპი (შერბილება, ადაპტაცია ან დარგთაშორისი);
- (ვ) ვადები;
- (ზ) ლონისძიების მდგომარეობა (დაგეგმილი, მიმდინარე ან დასრულებული);
- (ი) გამოყენება, ზემოქმედება და მოსალოდნელი შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ინფორმაციის წარდგენა განვითარებადი ქვეყნები-მხარეებისთვის, როგორც საქართველო, არ არის სავალდებულო, მომავალ BTR-ებში მაღალი ხარისხის ინფორმაციის თანმიმდევრულად წარდგენა ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე მყოფი საქართველოს ინტერესებში შედის. ევროკავშირმა და საქართველომ 2014 წელს ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც სრულად ამოქმედდა 2016 წლის ივლისში. ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოს ევროკავშირში პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველს ქმნის. 2022 წლის 17 ივნისს ევროკომისიამ რეკომენდაცია გაუწია საქართველოს ევროკავშირის წევრობის პერსპექტივას, თუმცა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება გარკვეული პირობების დაკმაყოფილებამდე გადაიდო. 2022 წლის 23 ივნისს, ევროპულმა საბჭომ გამოთქვა მზაობა, მიანიჭოს საქართველოს ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსი გარკვეული რეფორმების, მათ შორის ისეთი ეკონომიკური რეფორმების განხორციელების შემდეგ, როგორცაა განათლებაში, განახლებაში ენერჯის წარმოებასა და ტრანსპორტის სექტორში ინვესტიციების ზრდა.<sup>44</sup> NDC-ის შესაბამისი დაფინანსების შესახებ ანგარიშების რეგულარულად წარდგენა უზრუნველყოფს გამჭვირვალობის სათანადო დონეს და გამოაჩენს უნახშირბადო ეკონომიკური ზრდის მიმართულებით საქართველოს მიერ გაწეულ ძალისხმევას.

მხარეთა 26-ე კონფერენციაზე, რომელიც გლაზგოში გაიმართა, მიღებულ იქნა პარიზის შეთანხმების მუხლი 13-ში განსაზღვრული გაძლიერებული გამჭვირვალობის ჩარჩოს პირობების, პროცედურებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ამოქმედების წესები. გადაწყვეტილება 5/CMA.3 ადგენს BTR-ების სტრუქტურას და ცხრილებს ელექტრონული ანგარიშგებისათვის, მათ შორის, უზრუნველყოფილი და მობილიზებული ფინანსური, ტექნოლოგიების განვითარებასა და გადაცემასთან და შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებული დახმარების, აგრეთვე პარიზის შეთანხმების მუხლი 9-11-ის ფარგლებში საჭირო და მიღებული დახმარების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული სახით წარდგენის ცხრილებს. ცხრილები მოცემულია დანართი IV-ში.

44 ევროპის საბჭოს დასკვნები უკრაინის, უკრაინის, მოლდოვის რესპუბლიკისა და საქართველოს ევროკავშირის წევრობის შესახებ განაცხადების, დასავლეთ ბალკანეთისა და საგარეო ურთიერთობების შესახებ, 2022 წლის 23 ივნისი: <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/06/23/european-council-conclusions-on-ukraine-the-membership-applications-of-ukraine-the-republic-of-moldova-and-georgia-western-balkans-and-external-relations-23-june-2022/>

# დანართი I კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების წყაროები

იხილეთ		კლიმატის მწვანე ფონდი (GCF)
<b>იხილეთ</b>		კლიმატის მრავალმხრივი ფონდები – UNFCCC-ის კლიმატის ფონდები
	<b>იხილეთ იხილეთ</b>	<p>ფონდი უზრუნველყოფს შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების დაფინანსებას 50:50 პროპორციით შვიდი სტრატეგიული მიმართულებით: ენერჯის გამომუშავება და ენერჯიაზე წვდომა; ტრანსპორტი; შენობები, ქალაქები, მრეწველობა და ტექნიკა; ტყეები და მიწათსარგებლობა; ჯანმრთელობის, სურსათისა და წყლის უსაფრთხოება; ადამიანებისა და თემების საარსებო საშუალებები; ეკოსისტემები და ეკოსისტემური სერვისები; და ინფრასტრუქტურა და ხელოვნური გარემო.</p>
<b>რეგიონული მიმართულება</b>	<b>დაფინანსების მთავარი სახეები</b>	<b>დაფინანსებაზე განაცხადის წარმოდგენის კრიტერიუმები</b>
GCF-ს კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს. დაფინანსების მიღება შეუძლია ყველა განვითარებად ქვეყანას, რომელიც კონვენციის მხარეს წარმოადგენს.	გრანტები, სესხები, კაპიტალური ინვესტიცია, შედეგებზე დამყარებული დაფინანსება, გარანტიები	GCF-ში განაცხადის შეტანა შეუძლიათ განვითარებად ქვეყნებს (არ შედიან დანართი I-ში), რომლებიც UNFCCC-ის მხარეს წარმოადგენენ. მხარდაჭერის მიღება შეუძლიათ აკრედიტებულ სუბიექტებს.
	<b>განაცხადის წარმოდგენის პროცედურა</b>	<p>GCF-ის აკრედიტებული სუბიექტის სტატუსის მისაღებად განაცხადის გაკეთება შეუძლიათ იმ კერძო, საჯარო, არასამთავრობო, სუბეროვნულ, ეროვნულ, რეგიონულ ან საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც გამოავლენენ კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური რესურსების გამჭვირვალედ მართვის დადასტურებულ შესაძლებლობებს. აკრედიტებულ სუბიექტს GCF-ს დაფინანსების მისაღებად შეუძლია მიმართოს ეროვნულ უფლებამოსილ ორგანოსთან ან ეროვნულ კოორდინატორთან თანამშრომლობით. აკრედიტებულმა სუბიექტებმა უნდა ჩამოაყალიბონ და წარუდგინონ საპროექტო წინადადება GCF-ს, რომელიც შემდეგ განიხილება სამ დონეზე საბჭოს მიერ მის დამტკიცებამდე. საპროექტო წინადადება, განხილვის დასაწყებად, უნდა შეიცავდეს თითოეული ქვეყნის ეროვნული უფლებამოსილი ორგანოს ან ეროვნული კოორდინატორის მიერ ხელმოწერილ წერილს „საწინააღმდეგო მიზეზის არარსებობის შესახებ“. წერილი პროექტის ეროვნული ხელისუფლების ოფიციალურ თანხმობას ადასტურებს. საპროექტო წინადადებები უწყვეტ რეჟიმში მიიღება.</p>
იხილეთ		კლიმატის ცვლილების სპეციალური ფონდი (SCCF)
<b>იხილეთ</b>		კლიმატის მრავალმხრივი ფონდები – UNFCCC-ის კლიმატის ფონდები
	<b>იხილეთ იხილეთ</b>	<p>კლიმატის ცვლილების სპეციალური ფონდი (SCCF) პრიორიტეტს ანიჭებს ადაპტაციის ისეთ პროექტებს, რომლებიც დაკავშირებულია წყლის რესურსების მართვასთან, მიწის რესურსების მართვასთან, ჯანმრთელობასთან, ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, მყიდვე ეკოსისტემებთან (მათ შორის მთის ეკოსისტემებთან), სანაპირო ზონის ინტეგრირებულ მართვასთან და ადრეული შეტყობინების სისტემებთან. ის ასევე აფინანსებს შერბილების პროექტებს ისეთ სექტორებში როგორცაა ენერჯეტიკა, ტრანსპორტი, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და ნარჩენების მართვა და ეკონომიკური დივერსიფიკაცია. გარდა ამისა, ფონდი ხელს უწყობს ტექნოლოგიების გადაცემას, მათ შორის კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და შერბილებისკენ მიმართული კვლევების შედეგების დემონსტრირებასა და დანერგვის პროექტებს. SCCF-ს მართავს GEF და მუშაობს ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ფონდთან (LDCF) პარალელურად.</p>

რეგიონული ვიმართულება	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმოდგენის კრიტერიუმები
SCCF აფინანსებს ყველა გან-ვითარებადი ქვეყნის ეროვნულ და რეგიონულ პროექტებს, რომლებიც დაკავშირებულია კლიმატის ცვლილებასთან.	გრანტები	LDCF-გან განსხვავებით, SCCF-გან დაფინანსების მიღება შეუძლია ყველა განვითარებად ქვეყანას, რომელიც UNFCCC-ის მხარეს წარმოადგენს.

**განაცხადის წარმოდგენის პროცედურა**

საპროექტო წინადადებებს ამზადებს განმასხვრციელებელი სააგენტო ან GEF. საპროექტო წინადადებები, GEF-ის აღმასრულებელ დირექტორთან წარდგენამდე და დამტკიცებამდე, დამტკიცებული უნდა იყოს ეროვნული კოორდინატორის მიერ. გარდა ამისა, გრანტის მისაღებად აუცილებელია თანადაფინანსება, რომელიც გრანტის მაძიებელმა უნდა უზრუნველყოს.

**ინვესტორი ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ფონდი (LDCF)**

<b>ინვესტორის ტიპი</b>	კლიმატის მრავალმხრივი ფონდები – UNFCCC-ის კლიმატის ფონდები
------------------------	--

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**

ითვალისწინებს იმ ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების (LDC) კონკრეტულ საჭიროებებს, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველი არიან კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედების მიმართ და ამცირებს განვითარებისა და საარსებო წყაროებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმ სექტორებისა და რესურსების მოწყვლადობის დონეს, როგორცაა წყალი, სოფლის მეურნეობა და სასურსათო უსაფრთხოება, ჯანმრთელობა, კატასტროფების რისკის მართვა და პრევენცია, ინფრასტრუქტურა და მყიფე ეკოსისტემები. LDCF ერთადერთი ფონდია, რომელიც ადაპტაციის ეროვნული სამოქმედო პროგრამების (NAPA) მომზადებასა და განხორციელებას აფინანსებს. LDCF-ის მართვას GEF უზრუნველყოფს.

რეგიონული ვიმართულება	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმოდგენის კრიტერიუმები
LDCF-ს კონკრეტული რე-გიონული მიმართულება არ აქვს. დაფინანსების მიღება შეუძლია ყველა ყველაზე ნაკლებად განვითარებად ქვეყანას (LDC).	გრანტები	დაფინანსების მიღება შეუძლია ყველაზე ნაკლებად განვითარებად იმ ქვეყანას (LDC), რომელიც UNFCCC-ის მხარეს წარმოადგენს, თუ მას ასევე მსოფლიო ბანკისგან სესხის აღების უფლება აქვს. უფლებამოსილმა ქვეყნებმა ეროვნული კოორდინატორი უნდა დანიშნონ.

**განაცხადის წარმოდგენის პროცედურა**

ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები (LDC), GEF-ის რომელიმე სააგენტოს დახმარებით, ამზადებენ პროექტის კონცეფციას პროექტის საიდენტიფიკაციო ფორმით (PIF). ადაპტაციის ეროვნული სამოქმედო პროგრამების (NAPA) მომზადების შემთხვევაში ის უნდა მოიცავდეს არსებული ღონისძიებების მიმოხილვას და მთავარი დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებას. PIF წარედგინება GEF-ს დასამტკიცებლად LDCF საბჭოს მიერ და მას შეიძლება ახლდეს გრანტის მოთხოვნა პროექტის მოსამზადებლად (PPG). PIF-ის დამტკიცების შემდეგ, ქვეყანა იწყებს სრული საპროექტო დოკუმენტის შემუშავებას და მოთხოვნის შემთხვევაში ეძლევა PPG-ის დაფინანსება. დასრულების შემდეგ, სრული საპროექტო დოკუმენტი GEF-ს დასამტკიცებლად წარედგინება, რაც პროექტის განხორციელებისათვის ქვეყნის მიერ მოთხოვნილი დაფინანსების უზრუნველყოფის საფუძველს წარმოადგენს.

**ინვესტორი** **ადაპტაციის ფონდი (AF)**

<b>ინვესტორის ტიპი</b>	კლიმატის მრავალმხრივი ფონდები – UNFCCC-ის კლიმატის ფონდები
------------------------	--

**🌱 ინვესტიციების მთავარი მიზანი**  
 ადაპტაციის ფონდი პრიორიტეტს ანიჭებს ადაპტაციისა და მდგრადობის გაძლიერების ადგილობრივ საჭიროებებს მორგებულ პროექტებს ისეთ სფეროებში, როგორცაა კატასტროფების რისკის მართვა, მდგრადი ურბანული და სოფლის განვითარება, სანაპირო ზონების მდგრადი მართვა, სოფლის მეურნეობა, ტყეები და სურსათისა და წყლის უსაფრთხოება.

<b>რეგიონული მიმართულება</b>	<b>დაფინანსების მექანიზმების სახეები</b>	<b>დაფინანსებაზე განაცხადის წარმომადგენლის კრიტერიუმები</b>
ფონდს კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს, თუმცა ორიენტირებულია იმ განვითარებად ქვეყნებზე, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადი არიან კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების მიმართ.	გრანტები	ადაპტაციის ფონდში (AF) განაცხადის შეტანა შეუძლიათ განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც კიოტოს ოქმის მხარეებს წარმოადგენენ და განსაკუთრებით მოწყვლადი არიან კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების მიმართ. განაცხადების წარმდგენები ძირითადად ეროვნული სახელმწიფო უწყებები არიან, თუმცა პროექტის განხორციელებაში შესაძლებელია სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართვა.

**📄 განაცხადის წარმომადგენლის პროცედურა**  
 დაფინანსებაზე განაცხადის გასაკეთებლად ქვეყნებმა უნდა წარადგინონ წინადადება აკრედიტებული ერთეულის, ან ეროვნული განმახორციელებელი ერთეულის (NIE), რეგიონული განმახორციელებელი ერთეულის (RIE) ან მრავალმხრივი განმახორციელებელი ერთეულის (MIE) მეშვეობით. საპროექტო წინადადებები დამტკიცებული უნდა იყოს უფლებამოსილი ეროვნული ორგანოს მიერ და მიიღოს თანხმობა AF-ის საბჭოს მხრიდან AF-ის კონკრეტული კრიტერიუმებით შემოწმების შემდეგ. საპროექტო წინადადებების მიღება წელიწადში სამჯერ ხდება.

**ინვესტორი** **გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF) – საერთო სატრასტო ფონდი**

<b>ინვესტორის ტიპი</b>	კლიმატის მრავალმხრივი ფონდები – UNFCCC-ის კლიმატის ფონდები
------------------------	--

**🌱 ინვესტიციების მთავარი მიზანი**  
 ფონდი აფინანსებს კლიმატის ცვლილებასა და ადაპტაციასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულ პროექტებს ხუთ სამიზნე სფეროში: ბიოლოგიური მრავალფეროვნება; კლიმატის ცვლილება შერბილება; მიწის დეგრადაცია; საერთაშორისო წყლები; და ქიმიური ნივთიერებები და ნარჩენები.

<b>რეგიონული მიმართულება</b>	<b>დაფინანსების მექანიზმების სახეები</b>	<b>დაფინანსებაზე განაცხადის წარმომადგენლის კრიტერიუმები</b>
ფონდს კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს, ფონდში განაცხადის შეტანა შეუძლიათ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს.	გრანტები	UNFCCC-ის მხარე ყველა განვითარებადი ქვეყანა გარდამავალი ეკონომიკით: (i) რომელსაც რატიფიცირებული აქვს ყველა ის საერთაშორისო კონვენცია, რომლებსაც GEF ემსახურება და რომელიც შეესაბამება მხარეთა კონფერენციის (COP) მიერ დადგენილ უფლებამოსილების კრიტერიუმებს, და (ii) რომელსაც შეუძლია მიიღოს მსოფლიო ბანკის დაფინანსება ან UNDP-ის ტექნიკური დახმარება.

**განაცხადის ნარღვევის პროცედურა**

ოპერატიული კოორდინატორი იღებს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელია ყველაზე შესაფერისი GEF-ის 18 პარტნიორი სააგენტოდან პროექტის იდეის შემუშავებისა და განხორციელებისათვის. შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს სრულმასშტაბიანი პროექტები, საშუალო ზომის პროექტები, აგრეთვე ხელშემწყობი ღონისძიებები და პროგრამები, რომელთა განაცხადის შეტანისა და დამტკიცების პროცესები გარკვეული დეტალებით განსხვავდება.

**ინვესტორი** **სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)**

**ინვესტორის ტიპი** კლიმატის მრავალმხრივი ფონდები – UNFCCC-ის კლიმატის ფონდები

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) არის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი და გაეროს სპეციალიზებული სააგენტო. ფონდი ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის ისეთ ზრდას, რომელიც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მდგრადია და ინტეგრირებულია ეკოსისტემებში, სადაც შერბილების სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებებთან ერთად აქცენტი ადაპტაციასა და მდგრადობის გაზრდაზე, მათ შორის დარგთაშორის ასპექტებზე, კერძოდ სოფლის განვითარებაზე, წყლის რესურსებზე, ახალგაზრდობაზე, გენდერსა და მკვიდრ მოსახლეობაზე კეთდება.

რეგიონული მიმართულება	დაფინანსების მეთოდების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის ნარღვევის კრიტერიუმები
ფონდს კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს, ფონდში განაცხადის შეტანა შეუძლია ყველა განვითარებად ქვეყანას.	გრანტები, შეღავათიანი სესხები, შერეული დაფინანსება, სესხები, ვალის მდგრადობის უზრუნველყოფა	ფონდის რესურსები ხელმისაწვდომია განვითარებადი წევრი ქვეყნებისათვის

**განაცხადის ნარღვევის პროცედურა**

ფონდის მიერ დასაფინანსებელ პროექტებსა და პროგრამებს დამტკიცებამდე აფასებს აღმასრულებელი საბჭო პოლიტიკისა და კრიტერიუმების საფუძველზე, გრანტებისა და/ან სესხის ხასიათიდან გამომდინარე.

**ინვესტორი** **აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი (E5P)**

**ინვესტორის ტიპი** კლიმატის მრავალმხრივი ფონდები – კლიმატის სხვა ფონდები

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**

E5P აერთიანებს ევროკავშირისა და 24 ქვეყნის, მათ შორის ფონდით მოსარგებლე ქვეყნების მიერ გაკეთებულ ფინანსურ შენატანებს. ფონდი ხელს უწყობს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის ქვეყნებში მუნიციპალურ პროექტებს ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის სფეროში რვა მიმართულებით: ცენტრალური გათბობა; ენერგოეფექტურობა საჯარო შენობებში (სკოლები, საბავშვო ბაღები, საავადმყოფოები); ენერჯის დაზოგვის ღონისძიებები საცხოვრებელ სახლებში; განახლებადი ენერჯია (ბიომასის ჩათვლით); ქუჩების განათება; წყალი და ნარჩენი წყლის გაწმენდა; მყარი ნარჩენების მართვა; ურბანული ტრანსპორტი. E5P-ის გრანტები გამოიყენება, როგორც სტიმული მუნიციპალური კლიენტებისთვის, აიღონ სესხები, რომლებსაც მონაწილე განმარტებული სააგენტოები უზრუნველყოფენ.

რეგიონული მიმართულება	დაფინანსების მეთოდების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის ნარღვევის კრიტერიუმები
აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონი.	გრანტები	ფონდში განაცხადის შეტანა შეუძლიათ მუნიციპალურ კლიენტებს, CO2-ის ემისიების შემცირებისა და სხვა გარემოსდაცვითი სარგებლის მიღების მიზნით.

**განაცხადის ნარდვანის პროცედურა**

მმართველი ჯგუფი პროექტებს საჭიროების მიხედვით ამზადებს, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, მონაწილეთა ასამბლეის მომზადების ფარგლებში.

**ინვესტორი მდგრადი განვითარების ევროპული ფონდი (EFSD)**

**ინვესტორის ტიპი** კლიმატის მრავალმხრივი ფონდები – კლიმატის სხვა ფონდები

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**

მდგრადი განვითარების ევროპული ფონდი (EFSD) შეიქმნა და იმართება ევროკომისიის მიერ, როგორც ევროკავშირის ინიციატივა, რომლის მიზანია მდგრადი ფინანსური რესურსების გაზრდა ევროკავშირის მეზობელ და აფრიკის ქვეყნებში. ის მუშაობს ორი რეგიონული საინვესტიციო პლატფორმის მეშვეობით: აფრიკის საინვესტიციო პლატფორმა (AIP) და სამეზობლო საინვესტიციო მექანიზმი (NIF). NIF აფინანსებს აღმოსავლეთ პარტნიორობის, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის აუზის სამხრეთ და აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებს. ის მხარს უჭერს ინფრასტრუქტურულ პროექტებს ტრანსპორტის, ენერჯეტიკის, სოციალურ და გარემოსდაცვით სექტორებში ევროკავშირის საგრანტო რესურსებისა და ევროპის განვითარების საფინანსო ინსტიტუტების სესხების შერწყმით.

რეგიონული მიმართულება	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის ნარდვანის კრიტერიუმები
ხელს უწყობს ფინანსური რესურსების ზრდას ევროკავშირის მეზობელ და აფრიკის ქვეყნებში.	გრანტები, სესხები, კაპიტალური ინვესტიციები, ტექნიკური დახმარება, გარანტიები	განაცხადის შეტანა შეუძლიათ როგორც საჯარო, ასევე კერძო სუბიექტებს, თუმცა მათ უნდა გაიარონ კომპლექსური შეფასება იმის დასადასტურებლად, რომ მათ აქვთ ისეთივე მყარი პროცედურები, როგორც ევროკომისიას და, შესაბამისად, მათ შეიძლება დაეკისროს ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული ამოცანები.

**განაცხადის ნარდვანის პროცედურა**

EFSD მუშაობს „ერთი ფანჯრის“ პრინციპით. ის იღებს დაფინანსების შესახებ წინადადებებს საფინანსო ინსტიტუტებისაგან და საჯარო ან კერძო ინვესტორებისაგან და მისაღებ ინვესტიციებს ფინანსური დახმარების ფართო სპექტრით უზრუნველყოფს.

**ინვესტორი მწვანე ზრდის ფონდი (GGF)**

**ინვესტორის ტიპი** კლიმატის მრავალმხრივი ფონდები – კლიმატის სხვა ფონდები

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**

მწვანე ზრდის ფონდი (GGF) არის სოციალურ ზემოქმედებაზე ორიენტირებული საინვესტიციო ფონდი, რომელიც მუშაობს შერეული ფინანსური სტრუქტურის მეშვეობით, როგორც საჯარო და კერძო თანამშრომლობა, და რომელიც სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ სარისკო კაპიტალს დამატებით კერძო კაპიტალთან ერთად იყენებს იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად გაზარდოს ინვესტიციების მოცულობა იმ რეგიონებსა და სექტორებში, რომლებიც ჩვეულებრივ ასეთ ინვესტიციებს ვერ იზიდავენ. ფონდი ბიზნესებსა და ოჯახებს აფინანსებს ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით და შესაბამის პროექტებსა და კომპანიებში პირდაპირი ინვესტიციების გზით. ფონდი მხარს უჭერს კლიმატის ცვლილების შერბილებასა და მდგრად ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, განსაკუთრებული აქცენტით ენერჯის მოხმარების, რესურსების გამოყენებისა და CO2-ის ემისიების შემცირებაზე ენერჯოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის გზით. ფონდს ასევე აქვს სპეციალური ტექნიკური დახმარების მექანიზმი, რომელიც ამ ინიციატივებს შესაძლებლობების გაძლიერებით და ტექნიკური ცოდნით უზრუნველყოფს.

რეგიონული ვივარტულა	დაფინანსების გეგმვის სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა, თურქეთის ჩათვლით, აგრეთვე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთი რეგიონი, ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა (MENA).	გრანტები, საბაზრო განაკვეთის სესხები	GGF-ის ინვესტიციები მიზნად ისახავს ენერჯის მოხმარების 20%-ით და/ან CO2-ის ემისიების 20%-ით შემცირებას შემდეგი გზებით: (i) ისეთი საფინანსო ინსტიტუტების რეფინანსირება (ადგილობრივი კომერციული ბანკები, არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტები, როგორცაა მიკროსაფინანსო ინსტიტუტები და სალიზინგო კომპანიები და სხვა შერჩეული საფინანსო ინსტიტუტები), რომლებიც ოჯახებს, ბიზნესს, მუნიციპალიტეტებს და საჯარო სექტორს უზრუნველყოფენ სესხებით ენერგოეფექტურობის ღონისძიებების ან განახლებადი ენერჯის პროექტებისთვის. (ii) პირდაპირი დაფინანსების უზრუნველყოფა ისეთი არასაფინანსო ინსტიტუტებისათვის (კომპანიები, ენერგომომსახურების კომპანიები, განახლებადი ენერჯის კომპანიები ან პროექტები, განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის მცირემასშტაბიანი მომსახურების და მიმწოდებელი კომპანიები), რომლებიც აკმაყოფილებენ GGF-ის ენერჯის დაზოგვის და/ან ემისიების სამიზნე მაჩვენებლებს და შეესაბამებიან ტექნიკურ კრიტერიუმებსა და GGF-ის აკრძალვების სიას.

**განაცხადის წარმდგენის პროცედურა**

GGF-ის მომსახურების მისაღებად საფინანსო და არასაფინანსო ინსტიტუტები GGF-ის პარტნიორი ინსტიტუტები უნდა გახდნენ.

**ინვესტორი რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)**

<b>ინვესტორის ტიპი</b>	მრავალმხრივი საფინანსო ინსტიტუტები – მსოფლიო ბანკის ჯგუფი
------------------------	---

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**

IBRD არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ფართოდ არის წარმოდგენილი მთელ მსოფლიოში და მუშაობს სიღარიბის შემცირებაზე მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის გზით. ის მუშაობს კლიმატის ცვლილების შერბილებაზე ყველა სექტორსა და რეგიონში. ის მონაწილეობს განახლებადი ენერჯის გამოუმუშავებასთან, ენერგოეფექტურობასა და ენერჯის ხელმისაწვდომობასთან, სატყეო სექტორსა და მდგრად ტრანსპორტთან დაკავშირებულ პროექტებსა და პროგრამებში. გარდა ამისა, ის ეხმარება ყველაზე ნაკლებად განვითარებულ, პატარა კუნძულოვან განვითარებად და სხვა მოწყვლად ქვეყნებს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციაში თევზჭერისა და წყლის რესურსების მართვის სფეროში კატასტროფების რისკის შემცირებისა და ეკოსისტემურ სერვისებთან დაკავშირებული პროექტების დაფინანსებით გზით.

რეგიონული ვივარტულა	დაფინანსების გეგმვის სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
IBRD-ს, რომელიც დაფინანსებას მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფს, კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს.	კაპიტალური ინვესტიცია, გრანტები, სესხები, შეღავათიანი სესხები, გარანტიები, რისკების მართვის პროდუქტები	IBRD-გან მხარდაჭერის მიღება პირველ რიგში დამოკიდებულია ქვეყნის ფარდობით სიღარიბეზე, რომელიც განისაზღვრება, როგორც მთლიანი ეროვნული შემოსავალი (GNI) ერთ სულ მოსახლეზე. ის უნდა იყოს დადგენილ ზღვარზე დაბალი. ზღვრული სიდიდე ყოველწლიურად ახლდება (1,185 აშშ დოლარი 2021 ფისკალურ წელს). საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს და ზოგიერთ დაბალშემოსავლიან კრედიტუნარიან ქვეყანას შეუძლიათ IBRD-გან სესხის აღება.

**განაცხადის ნარდენის პროცედურა**

მსესხებელი და ბანკის ჯგუფი ამზადებენ სტრატეგიას, სახელწოდებით „ქვეყანასთან პარტნიორობის ჩარჩო“ იმისათვის, რომ დაადგინონ ქვეყნის უმთავრესი პრიორიტეტები სიღარიბის შემცირებისა და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. მსოფლიო ბანკი და მთავრობა თანხმდებიან პროექტის საწყის კონცეფციასა და მის ბენეფიციარებზე, ხოლო ბანკის საპროექტო გუნდი ძირითად ელემენტებს პროექტის კონცეფციაში ასახავს. მსოფლიო ბანკის მწვანე ბონდის პროგრამაში დასაშვებ პროექტებს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი სპეციალისტები არჩევენ. ეს პროექტები ხელს უნდა უწყობდნენ კლიენტ ქვეყნებში დაბალნახშირბადიან და კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრად განვითარებაზე გადასვლას.

**ინვესტორი საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA)**

<b>ინვესტორის ტიპი</b>	მრავალმხრივი საფინანსო ინსტიტუტები – მსოფლიო ბანკის ჯგუფი
------------------------	---

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**

IDA არის მრავალპროფილიანი სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს განვითარების დაფინანსებას და დარგთაშორის მხარდაჭერას, რაშიც შედის ქვეყნების მხარდაჭერა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციაში, ახალი გადაწყვეტილებების შეთავაზებისა და ინოვაციური ტექნოლოგიებით კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შემცირებაში დახმარების გაწევით.

<b>რეგიონული მიმართულება</b>	<b>დაფინანსების მეთოდების სახეები</b>	<b>დაფინანსებაზე განაცხადის ნარდენის კრიტერიუმები</b>
IDA-ს, რომელიც დაფინანსებას მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფს, კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს.	გრანტები, უპროცენტო და დაბალპროცენტული სესხები, და შეღავათიანი სესხები	დაფინანსების მისაღებად ქვეყნები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს: (I) ფარდობითი სიღარიბე, რომელიც განისაზღვრება, როგორც მთლიანი ეროვნული შემოსავალი (GNI) ერთ სულ მოსახლეზე, უნდა იყოს დადგენილ ზღვარზე დაბალი (ახლდება ყოველწლიურად) (1,205 აშშ დოლარი 2022 ფისკალურ წელს) და (II) საბაზრო პირობებით სესხის აღების კრედიტუნარიობა და, შესაბამისად, ქვეყნის განვითარების პროგრამის დასაფინანსებლად შეღავათიანი რესურსების საჭიროება.

**განაცხადის ნარდენის პროცედურა**

განაწილებას განსაზღვრავს, ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შემცირების ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელებაში ქვეყნის ეფექტიანობა წარმოადგენს. ამის შეფასება ხდება ქვეყნის პოლიტიკისა და ინსტიტუციური შეფასების (CPIA) გზით, რომელსაც IDA-ს რესურსების განაწილების ინდექსი (IRAI) ეწოდება. IRAI-ის და ეფექტიანობის კომპლექსური შეფასებით დგება ქვეყნის ეფექტიანობის რეიტინგი (CPR). დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ოდენობაც ახდენს.

**ინვესტორი საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)**

<b>ინვესტორის ტიპი</b>	მრავალმხრივი საფინანსო ინსტიტუტები – მსოფლიო ბანკის ჯგუფი
------------------------	---

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**

ბანკი აფინანსებს კლიმატის ცვლილების შერბილებაზე ორიენტირებულ პროექტებს, აგრეთვე ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია განახლებადი ენერჯის, რესურსების ეფექტიანობის, ენერგოეფექტურობისა და მწვანე შენობების საინვესტიციო ბაზრების გახსნისკენ. აქცენტი კეთდება განახლებადი ენერჯის განაწილებაზე, ურბანულ ინფრასტრუქტურაზე, სუფთა ტექნოლოგიების ვენჩურულ კაპიტალსა და მდგრად აგრობიზნესებზე.

რეგიონული მიმართულება	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის სარგებების კრიტერიუმები
IFC-ს, რომელიც დაფინანსებას მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფს, კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს.	სესხები, კაპიტალური ინვესტიცია ინვესტიციები, შერეული დაფინანსება, ვენჩურული კაპიტალი, რისკების მართვა	IFC-ის დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენად პროექტი უნდა მდებარეობდეს IFC-ის წევრ განვითარებად ქვეყანაში, ეკუთვნოდეს კერძო სექტორს, იყოს ტექნიკურად გამართული, მომგებიანი, სასარგებლო ადგილობრივი ეკონომიკისთვის და გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით უსაფრთხო.

**განაცხადის წარმდგენის პროცედურა**

კომპანიას ან მეწარმეს, რომელსაც სურს ახალი საწარმოს შექმნა ან არსებულის გაფართოება, შეუძლია პირდაპირ წარუდგინოს IFC-ს საკუთარი საინვესტიციო წინადადება პროექტთან ყველაზე ახლოს მდებარე IFC-ის ადგილობრივი ოფისის საშუალებით. პირველი კონტაქტისა და წინასწარი განხილვის შემდეგ, IFC-ს, პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, შეუძლია მოითხოვოს პროექტის დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზი ან ბიზნეს გეგმა. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების პირდაპირი დაკრედიტება არ ხდება.

**ინვესტორი მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო (MIGA)**

<b>ინვესტორის ტიპი</b>	მრავალმხრივი საფინანსო ინსტიტუტები – მსოფლიო ბანკის ჯგუფი
------------------------	---

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**

მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო (MIGA) არის მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, რომელიც ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში ტრანსსასაზღვრო ინვესტიციებს ინვესტორებისა და კრედიტორებისათვის გარანტიების უზრუნველყოფით. MIGA მხარს უჭერს მხოლოდ ისეთ ინვესტიციებს, რომლებიც განვითარების თვალსაზრისით საიმედოა და აკმაყოფილებს მაღალ სოციალურ და გარემოსდაცვით სტანდარტებს. მისი ოთხი სტრატეგიული პრინციპებიდან ერთ-ერთი არის ლიდერობა ისეთ გლობალურ საკითხებში, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, გენდერი და გარანტიების დაცვა.

რეგიონული მიმართულება	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის სარგებების კრიტერიუმები
MIGA-ს, რომელიც დაფინანსებას მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფს, კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს.	გარანტიები, კაპიტალური ინვესტიცია, აქციონერთა სესხები, აქციონერთა სესხების გარანტიები, არააქციონერთა სესხები	MIGA აზღვევს MIGA-ს წევრი ქვეყნის ინვესტორების მიერ განვითარებად წევრ ქვეყანაში განხორციელებულ ტრანსსასაზღვრო ინვესტიციებს. დაზღვევა ვრცელდება იმ კორპორაციებსა და საფინანსო ინსტიტუტებზე, რომლებიც დაფუძნებულია ან ძირითადად წევრ ქვეყანაში საქმიანობენ, ან მათი საკონტროლო პაკეტი წევრი ქვეყნების მოქალაქეებს ეკუთვნის. დაზღვევა შეუძლია მიიღოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულმა კომპანიამაც, თუ ის კომერციულ საფუძველზე საქმიანობს. შესაძლებელია არაკომერციული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ინვესტიციის დაზღვევაც, თუ ის კომერციულ საფუძველზე ხორციელდება.

**განაცხადის წარმდგენის პროცედურა**

კლიენტები წარადგენენ წინასწარ განაცხადს, რომელიც განიხილება იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა პროექტი შესაბამის კრიტერიუმებს. MIGA უკავშირდება კლიენტს პროექტის განსახილველად. ამის შემდეგ ხდება კლიენტის მიერ საბოლოო განაცხადის წარდგენა, რის შემდეგაც MIGA პროექტის საფუძვლიან განხილვას იწყებს.

## იწვევითი ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)

<b>იწვევითის ტიპი</b>	მრავალმხრივი საფინანსო ინსტიტუტები – სხვა
-----------------------	---

**🌱 იწვევითი მთავარი მიზანი**

EIB ორიენტირებულია ექვს პრიორიტეტულ მიმართულებაზე: კლიმატის ცვლილება და გარემოს მდგრადობა, ინოვაციები და უნარები, ინფრასტრუქტურა, ერთიანობა, მცირე და საშუალო საწარმოები და განვითარება, მათ შორის მდგრადი ზრდის ხელშეწყობა, სიღარიბის შემცირება, უთანასწორობის აღმოფხვრა და მსოფლიოში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. კლიმატის ცვლილების მიმართულებით ბანკისთვის პრიორიტეტულია: განახლებადი ენერჯია, ელექტროენერჯის დაბალნახშირბადიანი და ენერგოეფექტური გამოუმუშავება, საწვავის წარმოება ენერჯის დაბალნახშირბადიანი წყაროებიდან, ენერგოეფექტურობა, სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მიწათსარგებლობა, არაენერგეტიკული წყაროებიდან სათბურის აირების შემცირება, ნარჩენები და ნარჩენი წყალი, ტრანსპორტი, დაბალნახშირბადიანი ტექნოლოგიები და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დარგთაშორისი საკითხები.

რეგიონული მიმართულება	დაფინანსების მეთოდების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმოდგენის კრიტერიუმები
EIB-ს, რომელიც დაფინანსებას მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფს, კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს.	სესხები, კაპიტალური ინვესტიცია, გარანტიები, შერეული დაფინანსება, საკონსულტაციო მომსახურება	დაფინანსების მისაღებად პროექტი ხელს უნდა უწყობდეს ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების შესრულებას.

**📄 განაცხადის წარმოდგენის პროცედურა**

EIB-გან ინდივიდუალური სესხების მიღების მიზნით განაცხადს შესატანად სპეციალური პროცედურა არ არის განსაზღვრული. ბანკი შუამავალ ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ ბანკებს პროექტებისთვის 25 მლნ ევრომდე მოცულობის საკრედიტო ხაზს უზრუნველყოფს. 7.5-25 მილიონი ევროს ფარგლებში გათვალისწინებულია პირდაპირი სესხები საშუალო სიმძლავრის კომპანიების პროექტებისათვის.

## იწვევითი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)

<b>იწვევითის ტიპი</b>	მრავალმხრივი საფინანსო ინსტიტუტები – სხვა
-----------------------	---

**🌱 იწვევითი მთავარი მიზანი**

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) მხარს უჭერს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის მიდგომას და ორიენტირებულია ენერჯისა და რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე, ცირკულარულ ეკონომიკაზე, განახლებად ენერჯიასა და კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადობაზე. ბანკს ასევე აქვს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მიზნობრივი პროგრამები, მათ შორის მწვანე ქალაქების პროგრამა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაფინანსებისა და ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი (FINTECC) და მწვანე ეკონომიკის დაფინანსების მექანიზმები (GEFF). 2025 წლისთვის „მწვანე ბანკად“ გარდაქმნის მიზნით, 2022 წლის EBRD-ის საქმიანობა სრულ შესაბამისობაში იქნება პარიზის შეთანხმებასთან.

რეგიონული ვიმართულება	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
EBRD ინვესტირებას ახორციელებს სამი კონტინენტის ქვეყნების ეკონომიკაში, კერძოდ, ცენტრალურ აზიაში, ცენტრალურ ევროპასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, კვიპროსსა და საბერძნეთში, აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში, რუსეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში და თურქეთში.	სესხები, კაპიტალური ინვესტიცია, გარანტიები	EBRD-გან დაფინანსების მისაღებად, პროექტი უნდა მდებარეობდეს იმ ქვეყანაში, სადაც EBRD მუშაობს, ჰქონდეს ძლიერი კომერციული პერსპექტივა, პროექტის სპონსორისგან მიღებული ჰქონდეს მნიშვნელოვანი კაპიტალური ინვესტიცია ფინანსური ან არაფინანსური ფორმით, ხელს უწყობდეს ადგილობრივი ეკონომიკისა და კერძო სექტორის განვითარებას, აკმაყოფილებდეს ბანკის და გარემოსდაცვით სტანდარტებს.

**განაცხადის წარმდგენის პროცედურა**

კლიენტი EBRD-ს პროექტის კონცეფციებს წარუდგენს. პროექტის კონცეფციებსა და მთლიან სტრუქტურას, გარეთვე დაფინანსების შემოთავაზებულ სტრუქტურასა და ვალდებულებებს განიხილავს EBRD-ის მენეჯმენტი, რის შემდეგაც ხელი ეწერება სამანდატო წერილს, რომელიც მოიცავს პროექტის გეგმას, განხორციელების ხარჯებსა და ვალდებულებებს. საბჭოს მიერ დამტკიცებამდე, ხდება კონკრეტული დეტალების დახუსტება, რის შემდეგაც კლიენტი ხელს აწერს EBRD-თან გარიგებას და პროექტი იურიდიულ ძალას იძენს.

**ინვესტორი ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB)**

<b>ინვესტორის ტიპი</b>	მრავალმხრივი საფინანსო ინსტიტუტები – სხვა
------------------------	---

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**

ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB) არის ექსკლუზიურად სოციალური მანდატის მქონე განვითარების მრავალმხრივი ბანკი, რომელიც მხარს უჭერს შემდეგი მიმართულების მქონე სოციალური განვითარების პროექტებს: (i) ინკლუზიური ზრდა, (ii) მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა და (iii) გარემოსდაცვითი მდგრადობა. ბანკი აფინანსებს ეკონომიკურად და სოციალურად სიცოცხლისუნარიან პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურ ერთიანობას სხვადასხვა სექტორებში. რაც შეეხება ბუნებრივ კატასტროფებსა და გარემოს დაცვას, CEB სულ უფრო დიდ აქცენტს აკეთებს მდგრად განვითარებაზე, მათ შორის, მყარი და თხევადი ნარჩენების შემცირებასა და დამუშავებაზე; ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გაწმენდასა და დაცვაზე; ენერჯის დაზოგვისა და ეფექტურობის ღონისძიებებზე; ბიომრავალფეროვნების დაცვასა და განვითარებაზე; სუფთა სატრანსპორტო საშუალებებსა და ქსელებზე. კატასტროფების რისკის შემცირება და შემდგომი აღდგენა ბანკის პროექტების პორტფელში მზარდი პრიორიტეტით სარგებლობს.

რეგიონული ვიმართულება	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
მისი 42 წევრი სახელმწიფოს დაფინანსება.	სესხები, გარანტიები, გრანტები, და საპროცენტო განაკვეთის სუბსიდიები	CEB-ს შეუძლია სესხი მისცეს მის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, საკუთარი მანდატის შესაბამისად. ბანკს ასევე შეუძლია მიიღოს ნებაყოფლობითი ფინანსური შენატანები თავისი წევრებისგან, ფიდუციარული ანგარიშების მეშვეობით. CEB-ში გაწევრიანების უფლება აქვს ყველა ქვეყანას, რომელიც ევროპის საბჭოს წევრია.

**განაცხადის ნარდგენის პროცედურა**

პოტენციურ მსესხებლებს წარმოადგენენ CEB-ის წევრი სახელმწიფოს მიერ წინასწარ დამტკიცებული სამთავრობო სუბიექტები, ადგილობრივი/რეგიონული ხელისუფლების ორგანოები, საჯარო/კერძო საფინანსო ინსტიტუტები ან სხვა ნებისმიერი საჯარო/კერძო იურიდიული პირები. დაფინანსების მიღების უფლების დასადგენად, CEB ახორციელებს პოტენციური მსესხებლის გადახდისუნარიანობის, ინსტიტუციური სტრუქტურისა და მართვის შესაძლებლობების სისტემურ შეფასებას. სესხის მიღებაზე განაცხადს ერთობლივად ამზადებენ CEB და მსესხებელი ქვეყანა თითოეული პროექტის მახასიათებლების გათვალისწინებით.

**ინვესტორი აზიის განვითარების ბანკი (ADB)**

<b>ინვესტორის ტიპი</b>	მრავალმხრივი საფინანსო ინსტიტუტები – სხვა
------------------------	---

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**

აზიის განვითარების ბანკის (ADB) ხედვას კეთილდღეობის, ინკლუზიის, მედეგობისა და მდგრადობის მიღწევა წარმოადგენს. კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა, კლიმატისა და კატასტროფებისადმი მდგრადობის გაძლიერება და გარემოსდაცვითი მდგრადობის გაზრდა ერთ-ერთი ბანკის შვიდი საოპერაციო პრიორიტეტიდან. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი კლიმატის ცვლილების შერბილების, კლიმატისა და კატასტროფების მიმართ მდგრადობისა და გარემოს მდგრადობის გაძლიერების პროექტებს ძირითადად აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში აფინანსებს, ის მდგრადი განვითარების პროექტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით უჭერს მხარს. ADB საკუთარი პროექტების განსახორციელებლად მართავს ფონდების რიგს, მათ შორის სპეციალურ ფონდებს, რომლებიც მან განვითარებად წევრ ქვეყნებში უფრო დიდი ინვესტიციების განხორციელების გასაადვილებლად დააარსა.

<b>რეგიონული მიმართულება</b>	<b>დაფინანსების მექანიზმების სახეები</b>	<b>დაფინანსებაზე განაცხადის ნარდგენის კრიტერიუმები</b>
აზიის-წყნარი ოკეანის რეგიონი ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ჩათვლით	სესხები, ტექნიკური დახმარება, გრანტები, და კაპიტალური ინვესტიცია	დაფინანსების მიღება შეუძლია ADB-ის ყველა განვითარებად წევრ ქვეყანას (DMC) იმ ქვეყნების გამოკლებით, რომლებმაც ADB-გან რეგულარული დახმარების მიღება შეუწყდათ. განვითარებადი წევრი ქვეყნების (DMC) კლასიფიცირება ხდება ერთ სულ მოსახლეზე მათი მთლიანი ეროვნული შემოსავლისა (GNI) და კრედიტუნარიანობის მიხედვით, ADB-ის კლასიფიკაციისა და გრადაციის პოლიტიკის შესაბამისად.

**განაცხადის ნარდგენის პროცედურა**

ბენეფიციარი საჯარო ორგანიზაცია ADB-ს წარუდგენს წინადადებას. წარდგენილი წინადადება გაივლის დამტკიცების პროცესს, რომელიც შემდეგი ხუთი ეტაპისაგან შედგება: კონცეფციის შეთანხმება, კომპლექსური შემოწმება, ვადების და პირობების მოლაპარაკება, საინვესტიციო კომიტეტის მიერ საბოლოო განხილვა და დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცება.

**ინვესტორი შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB)**

<b>ინვესტორის ტიპი</b>	მრავალმხრივი საფინანსო ინსტიტუტები – სხვა
------------------------	---

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB) არის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად განვითარების პროცესის დაჩქარებას და აქციონერ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას. BSTDB მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს გარემოსდაცვით და სოციალურ მდგრადობას: (i) დაბინძურების პრევენციისა და შერბილების; (ii) სამუშაო გარემოში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის; (iii) შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის; (iv) კლიმატის ცვლილების პრობლემებზე მუშაობის და (v) ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობის, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კონსერვაციის გზით.

რეგიონული ვიმართულაა	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
შავი ზღვის რეგიონი და ინვესტიციებისა და კომპანიების მხარდაჭერა 11 წევრ ქვეყანაში.	საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სესხები, კაპიტალური ინვესტიციები და გარანტიები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენა შეუძლიათ BSTDB-ის წევრ ქვეყნებს (BSTDB-ის წევრობა ღიაა BSEC-ის მონაწილე ქვეყნებისთვის) უშუალოდ ან მათი წარმომადგენლებისა და სხვა მრავალმხრივი ბანკებისა და საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით.

### განაცხადის წარმდგენის პროცედურა

ბანკისგან დახმარების მიღებაზე განაცხადის გაკეთება შეუძლიათ როგორც კერძო კომპანიებსა და საფინანსო ინსტიტუტებს, ასევე სამთავრობო, საჯარო და არაკომერციულ სუბიექტებს. პირველადი კავშირის შეიძლება დამყარდეს ბანკის ვებგვერდის მეშვეობით. ყველა პროექტი გადის საფუძვლიანი შეფასების პროცესს, რის შემდეგაც ისინი წარედგინება დირექტორთა საბჭოს. საბჭოს მიერ დამტკიცება ბანკის ოფიციალურ ვალდებულებას წარმოადგენს.

## ინვესტორი სკანდინავიური საინვესტიციო ბანკი (NIB)

**ინვესტორის ტიპი** მრავალმხრივი საფინანსო ინსტიტუტები – სხვა

### ინვესტიციების მთავარი მიზანი

სკანდინავიური საინვესტიციო ბანკი (NIB) არის სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორის მომხმარებლების მდგრად, გრძელვადიან დაფინანსებას კონკურენტული საბაზრო პირობებით, კომერციული დაკრედიტების შევსების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ NIB-ის მისია მდგომარეობს ისეთი პროექტების დაფინანსებაში, რომლებიც სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ზელს უწყობენ პროდუქტიულობის ზრდას და გარემოს გაუმჯობესებას, ის ასევე მხარს უჭერს სხვა ქვეყნებში მდგრად განვითარებას სპეციალური დაკრედიტების პროგრამების მეშვეობით. ამჟამად NIB-ს აქვს შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკთან (BSTDB) შეთანხმებული სასესხო პროგრამა შავი ზღვის რეგიონში განახლებადი ენერჯის, ენერგოეფექტურობისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროებში ინვესტიციებისა და გარემოსდაცვითი პროექტების დასაფინანსებლად.

რეგიონული ვიმართულაა	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
NIB ძირითადად სკანდინავიის-ბალტიის რეგიონში მუშაობს. ამ არეალის ფარგლებს გარეთ, NIB-მა შეიძლება დააფინანსოს ისეთი პროექტები, რომლებიც მისი წევრი ქვეყნების ინტერესებს ეხება. ბანკს შეუძლია სესხების გაცემა იმ ქვეყნებში, რომლებსაც NIB-თან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები ფინანსური თანამშრომლობის შესახებ. ცალკეულ შემთხვევებში სესხები შეიძლება OECD-ის სხვა ქვეყნებშიც გაიცეს.	კორპორატიული სესხები, სუვერენული სესხები და ობლიგაციები	NIB-ის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი უნდა ზრდის კონკურენტუნარიანობას და/ან აუმჯობესებდეს გარემოს. გარდა ამისა, ბანკის საქმიანობის არეალის ფარგლებს გარეთ NIB-ის მიერ დაფინანსებული პროექტები საინტერესო უნდა იყოს როგორც მსესხებელი, ასევე ბანკის წევრი ქვეყნებისათვის.

**განაცხადის ნარდვანის პროცედურა**

პირველ რიგში ხდება სესხის ინიციატივისა და მანდატის შესწავლა იმის დასადგენად, ზრდის თუ არა პროექტი პროდუქტიულობას და/ან აუმჯობესებს გარემოს ბანკის წევრ ქვეყნებში. ამის შემდეგ ტარდება კრედიტუნარიანობის და მდგრადობის ანალიზი. დადებითი შეფასების შემთხვევაში, პროექტი დამტკიცდება დირექტორთა საბჭოს ან NIB-ის პრეზიდენტის მიერ და მოხდება სესხის დოკუმენტაციაზე მოლაპარაკება და შეთანხმება.

ინვესტორი <b>სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია (NEFCO)</b>	
<b>ინვესტორის ტიპი</b>	მრავალმხრივი საფინანსო ინსტიტუტები – სხვა

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**

სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია (NEFCO) არის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც 1990 წელს, მწვანე ზრდაზე გადასვლის დაჩქარების მიზნით კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებლად, ხუთი სკანდინავიური ქვეყნის - დანიის, ფინეთის, ისლანდიის, ნორვეგიისა და შვედეთის მიერ დაარსდა. NEFCO აფინანსებს მცირე და საშუალო ზომის საჯარო სექტორის პროექტებს აღმოსავლეთ ევროპაში, შეღავათიანი სესხების და სესხებისა და სკანდინავიის ქვეყნების მთავრობების, ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების მიერ უზრუნველყოფილი გრანტების კომბინაციის საშუალებით. განვითარების მიზნით საერთაშორისო ინიციატივებისათვის გამოყოფილია მწვანე ზრდაზე გადასვლის სპეციალური ფონდები. გარდა ამისა, მწვანე კლიმატის ფონდთან პარტნიორობით, ის მხარს უჭერს შედეგებზე დამყარებულ ან საგრანტო პროგრამებს გლობალურ დონეზე.

<b>რეგიონული მიმართულება</b>	<b>დაფინანსების მეთოდების სახეები</b>	<b>დაფინანსებაზე განაცხადის ნარდვანის კრიტერიუმები</b>
აღმოსავლეთ ევროპა	სესხები, კაპიტალური ინვესტიციები, მყიდველის კრედიტი, გრანტები, შედეგებზე დამყარებული დაფინანსება, ტექნიკური დახმარება, შეღავათიანი სესხები	NEFCO აფინანსებს მხოლოდ ისეთ პროექტებს, რომლებსაც აქვთ დადებითი ზემოქმედება გარემოსა და კლიმატზე.

**განაცხადის ნარდვანის პროცედურა**

საჯარო სექტორში შესყიდვების პროცესი, ჩვეულებრივ, შემდეგ ეტაპებს მოიცავს: (i) განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ (ii) წინასწარი კვალიფიკაცია, შესაბამის შემთხვევებში; (iii) ტენდერში მონაწილეობის მისაღებად მოწვევა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა; (iv) წინადადებების მიღება, შეფასება და ხელშეკრულების გაფორმება; და (v) ხელშეკრულების ადმინისტრირება.

ინვესტორი <b>გაეროს პროგრამა გაუტყეურებისა და ტყის დეგრადაციის შედეგად წარმოქმნილი ემისიების შემცირების შესახებ (გაეროს REDD პროგრამა)</b>	
<b>ინვესტორის ტიპი</b>	მრავალმხრივი საფინანსო ინსტიტუტები – სხვა

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**

გაეროს პროგრამა გაუტყეურებისა და ტყის დეგრადაციის შედეგად წარმოქმნილი ემისიების შემცირების შესახებ (UN REDD Program) მიზნად ისახავს გაუტყეურების შედეგად წარმოქმნილი ემისიების შემცირებას და ტყეების მიერ ნახშირბადის შთანთქმის გაძლიერებას და ამ გზით ეროვნულ დონეზე მდგრად განვითარებაში წვლილის შეტანას. ის მხარს უჭერს ეროვნულ REDD+ პროცესებს და ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირებულ და მიზნობრივ ჩართულობას.

რეგიონული მიმართულება	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
UN REDD-ს არ აქვს კონკრეტული რეგიონული მიმართულება და ის განვითარებად ქვეყნებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეხმარება.	გრანტები	ქვეყანა უნდა იყოს UN-REDD პროგრამის პარტნიორი ქვეყანა, ცდილობდეს რეგიონული ბალანსის მიღწევას, ჰქონდეს კოორდინაცია სხვა ინიციატივებთან, გაეროს სააგენტოებს უნდა ჰქონდეთ ქვეყნისთვის დახმარების გაწევის შესაძლებლობა, ქვეყანას უნდა შეეძლოს მოკლევადიან პერსპექტივაში REDD+ ადრეული ქმედებების საფუძველზე პროგრესის/შედეგების, REDD+ პოტენციალისა და UN-REDD პროგრამის პრინციპების დაცვის დემონსტრირება.

**განაცხადის წარმდგენის პროცედურა**

ეროვნულ მთავრობებს, რეგიონული განვითარების ბანკებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიღონ დაფინანსება იმ ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებიც გაეროს აღმასრულებელი სააგენტოების როლს ასრულებენ. დაფინანსების მაძიებელი განაცხადით, ჩვეულებრივ, ქვეყანაში არსებულ UNDP-ის ოფისის მიმართავს. თუ ქვეყანაში UNDP-ის ოფისი არ არის, განაცხადის გაგზავნა შესაძლებელია ქვეყანაში არსებულ FAO-ს ან UNEP-ის ოფისებში.

**იწვევითი ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA)**

<b>იწვევითის ტიპი</b>	ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები
-----------------------	--------------------------------

**იწვევითის მთავარი მიზანი**

ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA) მუშაობს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის, მშვიდობის უზრუნველყოფისა და გარემოს დაცვის მიმართულებით. ADA ძირითადად საქმიანობს ისეთ სექტორებში, როგორცაა: წყალმომარაგება და წყალარინება, განახლებადი ენერჯია, კლიმატის დაცვა, სოფლის მეურნეობა და სატყეო მეურნეობა, კერძო სექტორი და განვითარება, ასევე ადამიანის უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა.

რეგიონული მიმართულება	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
აფრიკა, აზია, სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა და სამხრეთ კავკასია	გრანტები	ADA-ს დაფინანსების მიღება შეუძლიათ ქვეყნის და რეგიონული სტრატეგიების, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის, კერძო სექტორისა და განვითარებისა და ჰუმანიტარული დახმარების ფარგლებში მომზადებულ პროექტებს/პროგრამებს.

**განაცხადის წარმდგენის პროცედურა**

პროექტებისა და პროგრამების დაფინანსება საჯარო ტენდერის გამოცხადებისა და ჩატარების შედეგად ხდება. გარდა ამისა, ADA ასევე აფინანსებს ორგანიზაციების მიერ საკუთარი ინიციატივით მომზადებულ და წარდგენილ პროექტებს/პროგრამებს.

**იწვევითი დანიის საინვესტიციო ფონდი განვითარებადი ქვეყნებისთვის (IFU)**

<b>იწვევითის ტიპი</b>	ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები
-----------------------	--------------------------------

**იწვევითის მთავარი მიზანი**

IFU არის დამოუკიდებელი სახელმწიფო ფონდი, რომელიც სთავაზობს სარისკო კაპიტალს განვითარებადი ქვეყნების და განვითარებადი ბაზრების მქონე ქვეყნების კომპანიებს. ის მიზნად ისახავს, საკუთარი წვლილი შეიტანოს მწვანე ზრდასა და ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. მუშაობს ისეთ სფეროებში, როგორცაა კლიმატი.

რეგიონული მიმართულება	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
IFU-ს, რომელიც დაფინანსებას მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფს, კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს.	კაპიტალური ინვესტიცია, სესხები და გარანტიები	საწარმო უნდა იყოს კომერციულად სიცოცხლისუნარიანი, ინვესტიციამ ხელი უნდა შეუწყოს მწვანე და სოციალურ განვითარებას, კომპანია უნდა მდებარეობდეს ისეთ განვითარებად ქვეყანაში, სადაც IFU-ს შეუძლია ინვესტიციის განხორციელება, ხოლო მასპინძელი ქვეყანა უნდა იყოს ისეთი განვითარებადი ქვეყნების სიაში, რომლებსაც შეუძლიათ IFU-ს ინვესტიციების მიღება.

**განაცხადის წარმდგენის პროცედურა**  
 ფინანსური წინადადებები ფასდება ინვესტიციის ფინანსური მდგრადობის და იმის მიხედვით, თუ როგორ აკმაყოფილებს იგი IFU-ს ზემოქმედების კრიტერიუმებს. ამის შემდეგ ის შეფასების პირველ ეტაპს გადის.

**ინვესტორი შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA)**

<b>ინვესტორის ტიპი</b>	ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები
------------------------	--------------------------------

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**  
 შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA) არის სამთავრობო სააგენტო, რომელიც მიზნად ისახავს სიღარიბის შემცირებას და გლობალური განვითარების შვედური პოლიტიკის განხორციელებას. კლიმატის ცვლილება და გარემოს დაცვა SIDA-ს პრიორიტეტული სფეროებია. ის მუშაობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, მრავალმხრივ ორგანიზაციებთან, საჯარო სექტორთან, კერძო სექტორთან და კვლევით ინსტიტუტებთან.

რეგიონული მიმართულება	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
SIDA-ს, რომელიც დაფინანსებას მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფს, კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს.	გრანტები, სესხები, გარანტიები	SIDA-ს მიერ დაფინანსებული ყველა ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს შვედეთის მთავრობის ჰუმანიტარულ/განვითარების სტრატეგიას და SIDA-ს ძირითად ღირებულებებს.

**განაცხადის წარმდგენის პროცედურა**  
 SIDA-ს ყველა შესყიდვა ქვეყნდება Kommerz Annons-ზე, სადაც შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ შესყიდვით დაინტერესების შემთხვევაში. მიღებული წინადადებების საფუძველზე SIDA შესაბამის პარტნიორებს გამოავლენს. შესაძლებელია წინადადებების წარდგენა საკუთარი ინიციატივითაც.

**ინვესტორი გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)**

<b>ინვესტორის ტიპი</b>	ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები
------------------------	--------------------------------

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**  
 KfW ბანკი არის გერმანიის ეროვნული განვითარების ბანკი, რომელიც მუშაობს ისეთ სფეროებში, როგორცაა კლიმატის შერბილება და ადაპტაცია, განვითარება კლიმატის ცვლილების პირობებში, კლიმატის დაცვა, კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება, და ტყეები და კლიმატის ცვლილება.

რეგიონული მიმართულება	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
KfW-ს, რომელიც დაფინანსებას მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფს, კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს.	გრანტები, შეღავათიანი სესხები, შერეული ფინანსური პროდუქტები, კაპიტალური ინვესტიცია და გარანტიები.	დამოკიდებულია პროგრამაზე, თუმცა, დაფინანსების მიღება შეუძლიათ როგორც სამთავრობო (ეროვნული, სუბეროვნული), ასევე არასამთავრობო სუბიექტებს, კერძო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით.

**განაცხადის წარმდგენის პროცედურა**

KfW, როგორც წესი, არ იღებს საკუთარი ინიციატივით შეტანილ წინადადებებს. ის, დაფინანსების შესაძლო შესაძლებლობების გამოსავლენად, პარტნიორებთან მუშაობს. აქედან გამომდინარე, წინადადების წარმდგენის პროცესი იწყება KfW-ს ქვეყნის/რეგიონული პროგრამის ან სპეციალიზებული პროგრამის მენეჯერების საშუალებით.

**ინვესტორი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)**

ინვესტორის ტიპი	ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები
-----------------	--------------------------------

**ინვესტიციების მთავარი მიზანი**

GIZ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება ძირითადად ახორციელებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) ტექნიკური თანამშრომლობის პროექტებს. ის ძირითადად არის დამკვეთი მხარე, თუმცა ასევე მუშაობს კერძო სექტორთან და სხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობას ეწევიან. GIZ მიზნად ისახავს, მისდიოს მდგრადი განვითარების პარადიგმას. კლიმატის ცვლილება GIZ-ის საქმიანობის მთავარი მიმართულებაა.

რეგიონული მიმართულება	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
GIZ-ს, რომელიც დაფინანსებას მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფს, კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს.	გრანტები და შეღავათიანი სესხები. ჩვეულებრივ, იგულისხმება საკუთარი წვლილიც.	დამოკიდებულია პროგრამაზე, თუმცა, დაფინანსების მიღება შეუძლიათ როგორც სამთავრობო (ეროვნული, სუბეროვნული), ასევე არასამთავრობო სუბიექტებს, კერძო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით. დაფინანსების მიმღებები არიან GIZ-ის პროექტების განმახორციელებელი პარტნიორები პარტნიორ ქვეყნებში, ან გერმანული და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობას ეწევიან.

**განაცხადის წარმდგენის პროცედურა**

პროექტზე განაცხადის წარმდგენა შეუძლიათ სახელმწიფო ორგანიზაციებს. არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიღონ მხარდაჭერა, როგორც პარტნიორებს.

**ინვესტორი გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ)**

ინვესტორის ტიპი	ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები
-----------------	--------------------------------

**🌱 იწვესტიციების მთავარი მიზანი**

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ) არის განვითარების მიზნით ოფიციალური თანამშრომლობის წამყვანი სამინისტრო გერმანიაში. განვითარების მიზნით ოფიციალური თანამშრომლობაში ცენტრალური ადგილი კლიმატის ცვლილებამ და მდგრადმა ენერჯეტიკამ დაიკავა და გამოიყო პრიორიტეტული მიმართულებები, როგორცაა NDC-ის მხარდაჭერა, ენერჯეტიკა და კლიმატი, ენერგოეფექტურობა, დაბალნახშირბადიანი ტრანსპორტი, შერბილება და კლიმატი, ქალაქები და კლიმატი, წყალი და კლიმატი, სოფლის მეურნეობა და კლიმატი, ტყეები და კლიმატი, ოკეანეები და კლიმატი, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მართვა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების დაზღვევა და კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებები დაფინანსება.

რეგიონული მიმართულება	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
BMZ-ს, რომელიც დაფინანსებას მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფს, კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს.	გრანტები და შეღავათიანი სესხები	დამოკიდებულია პროგრამაზე, თუმცა, დაფინანსების მიღება შეუძლიათ როგორც სამთავრობო (ეროვნული, სუბეროვნული), ასევე არასამთავრობო სუბიექტებს, კერძო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით.

**📄 განაცხადის წარმდგენის პროცედურა**

დამოკიდებულია პროგრამაზე. მთავარი პარტნიორები მთავრობები არიან, თუმცა ფინანსური მხარდაჭერის მიღება არასამთავრობო ორგანიზაციებსაც შეუძლიათ.

**იწვესტორი გერმანიის კლიმატის საერთაშორისო ინიციატივა (IKI)**

იწვესტორის ტიპი	ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები

**🌱 იწვესტიციების მთავარი მიზანი**

კლიმატის საერთაშორისო ინიციატივა (IKI) არის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელსაც იყენებს გერმანიის გარემოს დაცვის, ბუნების დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტრო (BMU) კლიმატსა და ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ღონისძიებების მხარდასაჭერად. ის აფინანსებს იმ ორგანიზაციების პროექტებს, რომლებიც ღონისძიებებს განვითარებად და განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან ერთად ოთხ სფეროში, კერძოდ, სათბურის აირების ემისიების შემცირება კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან ადაპტაცია, ნახშირბადის ბუნებრივი მშთანთქმელების შენარჩუნება და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ახორციელებენ.

რეგიონული მიმართულება	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
IKI-ს, რომელიც განვითარებად და განვითარებადი ბაზრებისა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების დაფინანსებას მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფს, კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს.	გრანტები	არასამთავრობო ორგანიზაციები, კომერციული საწარმოები, გერმანიისა და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტები და კვლევითი ინსტიტუტები, განმახორციელებელი ორგანიზაციები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინსტიტუტები თანამშრომლობის ქვეყნებში, აგრეთვე საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები, როგორცაა განვითარების ბანკები ან გაეროს ორგანიზაციები და პროგრამები.

**📄 განაცხადის წარმდგენის პროცედურა**

პირველ რიგში, BMU წარდგენილი პროექტებიდან წინასწარ ირჩევს პერსპექტიულ პროექტებს, რომლებიც სავალდებულო მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. ამის საფუძველზე BMU იღებს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი პროექტი უნდა გადავიდეს შერჩევის პროცესის მეორე ეტაპზე. ამის შემდეგ, ის წამყვანი განმახორციელებელი ორგანიზაციები, რომლებსაც საუკეთესო პროექტის მონახაზი ექნებათ, დეტალურ საპროექტო წინადადებას წარადგენენ.

## ინვესტორი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC)

<b>ინვესტორის ტიპი</b>	ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები
------------------------	--------------------------------

**🕒 ინვესტიციების მთავარი მიზანი**

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) მიზნად ისახავს საკუთარი წვლილის შეტანას სიღარიბისგან თავისუფალი და მშვიდობიანი სამყაროს შექმნაში. SDC ეძებს მდგრადი განვითარების გზებს და მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორცაა სოფლის მეურნეობა და სასურსათო უსაფრთხოება, კატასტროფების რისკის შემცირება, დახმარება საგანგებო სიტუაციების დროს, აღდგენა და დაცვა, კლიმატის ცვლილება და გარემო, წყალი. კლიმატის ცვლილებისა და გარემოს თემატური სფეროს ფარგლებში პრიორიტეტული სექტორებია მდგრადი სატყეო მეურნეობა, ენერგომომარაგება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია, მთიანი რეგიონები და კლიმატის დაცვის დაფინანსება.

<b>რეგიონული მიმართულება</b>	<b>დაფინანსების მექანიზმების სახეები</b>	<b>დაფინანსებაზე განაცხადის წარმოდგენის კრიტერიუმები</b>
SDC-ს აქვს სია, რომელშიც განსაზღვრულია პარტნიორი ქვეყნები და რეგიონები. მათ შორისაა ცენტრალური ამერიკის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები.	გრანტები და შეღავათიანი სესხები	დაფინანსების მიღება შეუძლიათ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებს, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს.

**📄 განაცხადის წარმოდგენის პროცედურა**

SDC-ის მანდატის ფარგლებში პირდაპირი მხარდაჭერის ან პროექტის განხორციელების გარდა, განვითარებადი ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიღონ მხარდაჭერა SDC-გან შვეიცარიულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით.

## ინვესტორი ნიდერლანდების სამეწარმეო განვითარების ბანკი (FMO)

<b>ინვესტორის ტიპი</b>	ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები
------------------------	--------------------------------

**🕒 ინვესტიციების მთავარი მიზანი**

ნიდერლანდების სამეწარმეო განვითარების ბანკი (FMO) მხარს უჭერს კერძო სექტორის მდგრად ზრდას განვითარებად და განვითარებადი ბაზრების მქონე ქვეყნებს.

<b>რეგიონული მიმართულება</b>	<b>დაფინანსების მექანიზმების სახეები</b>	<b>დაფინანსებაზე განაცხადის წარმოდგენის კრიტერიუმები</b>
FMO-ს, რომელიც განვითარებად და განვითარებადი ბაზრების მქონე ქვეყნების დაფინანსებას მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფს, კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს.	სესხები, სინდიცირებული სესხები, კერძო კაპიტალური ინვესტიცია, გარანტიები, შესაძლებლობების გაძლიერება	OECD-ის განვითარების ხელშემწყობი კომიტეტის (DAC) სიაში შემავალი ყველა ქვეყანა. სია მოიცავს ყველა ქვეყანას და ტერიტორიას, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ ოფიციალური დახმარება განვითარებისათვის.

**📄 განაცხადის წარმოდგენის პროცედურა**

პირველადი შეფასება ეხება ქვეყანას, საინვესტიციო გეგმას, განვითარებაზე ზემოქმედებას და FMO-ს, როგორც დამფინანსებლის, როლს. საინვესტიციო კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, FMO აგრძელებს პოტენციური რისკებისა და გამოწვევების ანალიზს.

## ინვესტორი შერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

<b>ინვესტორის ტიპი</b>	ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები
------------------------	--------------------------------

**📌 ინვესტიციების მთავარი მიზანი**

შერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) არის განვითარების მიზნით თანამშრომლობის აშშ-ს სამთავრობო სააგენტო. კლიმატის ცვლილება USAID-ის თოთხმეტი თემატური პრიორიტეტიდან ერთ-ერთია. ის მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა განახლებადი ენერჯია, ტყისა და ლანდშაფტების მართვა, კლიმატთან დაკავშირებულ კატასტროფებზე რეაგირება, კლიმატგონივრული და კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი სოფლის მეურნეობა, კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი სასმელი წყალი და კანალიზაცია, სათბურის აირების და ჰაერის დამბინძურებლების შემცირება.

<b>რეგიონული მიმართულება</b>	<b>დაფინანსების მექანიზმების სახეები</b>	<b>დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები</b>
USAID-ს, რომელიც დაფინანსებას მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფს, კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს.	გრანტები და შეღავათიანი სესხები	სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

**📌 განაცხადის წარმდგენის პროცედურა**

USAID, როგორც წესი, ხელმძღვანელობს ქვეყნის განვითარების მიზნით თანამშრომლობის სტრატეგიასთან, როგორც პროექტისა და პროგრამის შემუშავების საფუძველთან, რომლის შესაბამისადაც მუშავდება შესყიდვისა და დახმარების გეგმა. ამის შემდეგ USAID იღებს გადაწყვეტილებას იმ შედეგებზე, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნეს დახმარების ან შესყიდვის დაფინანსების გზით. გარდა ამისა, განცხადებები წინადადებების მიღების შესახებ ყოველდღიურად ქვეყნდება grants.gov-სა და SAM.gov-ზე. წინადადებებს მიღება რეგულარულად ხდება.

## ინვესტორი ნორვეგიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (NORAD)

<b>ინვესტორის ტიპი</b>	ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები
------------------------	--------------------------------

**📌 ინვესტიციების მთავარი მიზანი**

ნორვეგიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (NORAD) აფინანსებს სამოქალაქო საზოგადოების, კვლევით, უმაღლესი განათლებისა და მრეწველობის ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ პარტნიორობთან ღარიბი ქვეყნებიდან. NORAD-ის შვიდი ძირითადი თემატური სფეროდან ორს კლიმატის ცვლილება და გარემოს დაცვა და სუფთა ენერჯია წარმოადგენს.

<b>რეგიონული მიმართულება</b>	<b>დაფინანსების მექანიზმების სახეები</b>	<b>დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები</b>
აფრიკა, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი და ლათინური ამერიკა	გრანტები	NORAD აფინანსებს სამოქალაქო საზოგადოების, კვლევით, უმაღლესი განათლებისა და კერძო სექტორის განვითარების ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ პარტნიორობთან ღარიბი ქვეყნებიდან.

**📌 განაცხადის წარმდგენის პროცედურა**

NORAD-ის მიერ საქონლისა და მომსახურების ყველა შესყიდვა ცხადდება Doffin/TED მონაცემთა ბაზებში. დაფინანსების მაძიებლებმა უნდა წარადგინონ მოკლე კონცეფცია და დადასტურონ, რომ ისინი აკმაყოფილებენ გრანტების სქემის მინიმალურ კრიტერიუმებს. ამის შემდეგ წარმატებულმა მაძიებლებმა უნდა წარადგინონ სრული განაცხადი წარსადგენი და პროექტის ეკონომიკური დასაბუთება.

## ივესტორი ჩეხეთის განვითარების სააგენტო (CzechAid)

<b>ივესტორის ტიპი</b>	ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები
-----------------------	--------------------------------

**📌 ივესტიციების მთავარი მიზანი**  
 ჩეხეთის განვითარების სააგენტო (CzechAid) ორიენტირებულია ჩეხეთის რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებს შორის განვითარების მიზნით თანამშრომლობის ორმხრივ პროექტებზე. მისი ძირითადი თემები, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს გარემოს ზოგად დაცვას, კატასტროფების პრევენციას და მზადყოფნას და მდგრადი ენერჯის გამომუშავებას.

<b>რეგიონული მიმართულება</b>	<b>დაფინანსების მეთოდების სახეები</b>	<b>დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები</b>
ჩეხეთის რესპუბლიკას განსაზღვრული აქვს ექვსი პრიორიტეტული პარტნიორი ქვეყანა, რომლებშიც დაგეგმილია გრძელვადიანი თანამშრომლობა განვითარების მიზნით. ესენია ბოსნია და ჰერცეგოვინა, კამბოჯა, ეთიოპია, საქართველო, მოლდოვა, ზამბია.	გრანტები	ორმხრივი პროექტები პრიორიტეტულ პარტნიორ ქვეყნებთან, ზოგიერთი პროგრამა ღიაა ყველა განვითარებადი ქვეყნისთვის.

**📌 განაცხადის წარმდგენის პროცედურა**  
 სააგენტო განსაზღვრავს პრიორიტეტულ ქვეყნებში შერჩეულ ინსტიტუტებსა და პარტნიორებთან განვითარების მიზნით თანამშრომლობის სფეროებს. ამის შემდეგ ის განსაზღვრავს გადასაჭრელ პრობლემებს და შეიმუშავებს კონკრეტულ ზომებსა და ღონისძიებებს.

## ივესტორი საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD)

<b>ივესტორის ტიპი</b>	ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები
-----------------------	--------------------------------

**📌 ივესტიციების მთავარი მიზანი**  
 საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) ცდილობს, მის მიერ უზრუნველყოფილმა დაფინანსებამ უფრო სამართლიან და მდგრად სამყაროზე გადასვლა დააჩქაროს. ამისათვის ის ორიენტირებულია ისეთ სფეროებზე, როგორცაა კლიმატი, ბიომრავალფეროვნება, მშვიდობა, განათლება, ურბანული განვითარება, ჯანმრთელობა და მმართველობა.

<b>რეგიონული მიმართულება</b>	<b>დაფინანსების მეთოდების სახეები</b>	<b>დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები</b>
ის მუშაობს აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთის ქვეყნებსა და სამი ოკეანის რეგიონში	სესხები, გრანტები, და გარანტიები.	სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

**📌 განაცხადის წარმდგენის პროცედურა**  
 ის აცხადებს საპროექტო წინადადებებისა და განაცხადების მიღების შესახებ. წინადადებებისა და განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ პანელის წევრები ამუშავებენ და განიხილავენ განაცხადებს. იმ საპროექტო წინადადებებისა და განაცხადების მოკლე სიას, რომელიც განსახილველად პანელის წევრებს გადაეცემათ, პროექტის პარტნიორები ამზადებენ.

## ინვესტორი **იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA)**

<b>ინვესტორის ტიპი</b>	ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები
------------------------	--------------------------------

**🕒 ინვესტიციების მთავარი მიზანი**  
 იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA) წარმოადგენს სამთავრობო უწყებას, რომელიც კოორდინაციას უწევს განვითარების მიზნით ოფიციალურ დახმარებას (ODA) იაპონიისთვის და ცდილობს კლიმატის ცვლილების პრობლემის მოგვარებას. კლიმატის ცვლილების სფეროში ოთხი პრიორიტეტული საკითხია, კერძოდ, დაბალნახშირბადიანი, კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, კლიმატის პოლიტიკისა და ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შეფასების და საწინააღმდეგო ზომების გაძლიერება და ტყეებისა და სხვა ეკოსისტემების კონსერვაცია და მართვა.

<b>რავიონული მიმართულება</b>	<b>დაფინანსების მეთოდების სახეები</b>	<b>დაფინანსებაზე განაცხადის წარმომადგენლის კრიტერიუმები</b>
JICA-ს, რომელიც დაფინანსებას მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფს, კონკრეტული რეგიონული მიმართულება არ აქვს.	გრანტები და შეღავათიანი სესხები	სამთავრობო (ეროვნული, სუბეროვნული), საერთაშორისო/რეგიონული და არასამთავრობო ორგანიზაციები.

**📄 განაცხადის წარმომადგენლის პროცედურა**  
 განმცხადებლები განაცხადის წარსადგენად სპეციალურ ფორმას იყენებენ. განაცხადში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია კონკრეტული სექტორის განვითარების პოლიტიკის, არსებული პრაქტიკის, შემოთავაზებული პროექტის არეალის, მიმდები მთავრობის წვლილის, შემდგომი გეგმების, გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების, რისკების მართვის და სხვ. შესახებ.

## ინვესტორი **საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი (GEDP)**

<b>ინვესტორის ტიპი</b>	ეროვნული საფინანსო ინსტიტუტები
------------------------	--------------------------------

**🕒 ინვესტიციების მთავარი მიზანი**  
 საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი (GEDP) მიზნად ისახავს სუფთა და განახლებადი ენერჯის დაფინანსებას ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხარდასაჭერად უხვი ენერგორესურსების ათვისების გზით.

<b>რავიონული მიმართულება</b>	<b>დაფინანსების მეთოდების სახეები</b>	<b>დაფინანსებაზე განაცხადის წარმომადგენლის კრიტერიუმები</b>
საქართველო	გრანტები	პარტნიორები ენერჯეტიკის სექტორში.

**📄 განაცხადის წარმომადგენლის პროცედურა**  
 პროექტები შეიძლება ინიცირებული იყოს ორივე დაინტერესებული მხარის მიერ (ინვესტორი და/ან GEDF).

## ინვესტორი **საქართველოს სს საპარტნიორო ფონდი**

<b>ინვესტორის ტიპი</b>	ეროვნული საფინანსო ინსტიტუტები
------------------------	--------------------------------

**🕒 ინვესტიციების მთავარი მიზანი**  
 საქართველოს სს საპარტნიორო ფონდი არის საქართველოს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, რომელიც კერძო სექტორთან ერთად ახორციელებს ინვესტიციებს საქართველოში ხუთ ძირითად სექტორში, კერძოდ აგრობიზნესში, ენერჯეტიკაში, წარმოებაში, ლოჯისტიკაში, უძრავ ქონებასა და ტურიზმში.

რეგიონული ვიმართულაა	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
საქართველო	კაპიტალური ინვესტიცია, მეზონინური დაფინანსება	მთავარი საინვესტიციო კრიტერიუმებია: კომერციულად მომგებიანი პროექტი; ფონდის მონაწილეობა (პროექტის მთლიანი კაპიტალური ინვესტიციის 49%-მდე); და პარტნიორის გამოცდილება ან ოპერატორის არსებობა.

### განაცხადის წარმდგენის პროცედურა

პროექტის ინიცირება ხდება დაინტერესებული ინვესტორის მიერ ბიზნეს გეგმის და/ან ტექნიკური და ფინანსური მიზანშეწონილობის კვლევის წარმოდგენით.

## ინვესტორი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF)

ინვესტორის ტიპი	ეროვნული საფინანსო ინსტიტუტები
-----------------	--------------------------------

### ინვესტიციების მთავარი მიზანი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF) ხელს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას

რეგიონული ვიმართულაა	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
საქართველო	კაპიტალური ინვესტიცია	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

### განაცხადის წარმდგენის პროცედურა

განაცხადის წარმდგენა შეუძლიათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

## ინვესტორი საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი (GRDF)

ინვესტორის ტიპი	ეროვნული საფინანსო ინსტიტუტები
-----------------	--------------------------------

### ინვესტიციების მთავარი მიზანი

საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი (GRDF) ახორციელებს ინვესტიციებს საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებში. GRDF აქცენტს აკეთებს დედაქალაქის ფარგლებს გარეთ მდებარე და იმ ბიზნესებზე, რომლებიც ტურიზმსა და აგრობიზნესში საქმიანობენ.

რეგიონული ვიმართულაა	დაფინანსების მექანიზმების სახეები	დაფინანსებაზე განაცხადის წარმდგენის კრიტერიუმები
საქართველო	სესხი და კაპიტალური ინვესტიცია	მცირე და საშუალო საწარმოები საქართველოს რეგიონებში.

### განაცხადის წარმდგენის პროცედურა

განაცხადის წარმდგენა შეუძლიათ მცირე და საშუალო საწარმოებს.

იწვესტორი საქართველოს თანაინვესტირების ფონდი (GCF)		
იწვესტორის ტიპი	ეროვნული საფინანსო ინსტიტუტები	
<p><b>🕒 იწვესტიციების მთავარი მიზანი</b></p> <p>საქართველოს თანაინვესტირების ფონდი განიხილავს ისეთ საინვესტიციო მიმართულებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ეკონომიკის ზრდასა და განვითარებას. კერძოდ კი ფონდის სტრატეგიული მიმართულებებია: სოფლის მეურნეობა და ლოგისტიკა, ტურიზმი და უძრავი ქონება, ენერჯეტიკა და ინფრასტრუქტურა, მრეწველობა.</p>		
<b>რეგიონული მიმართულება</b>	<b>დაფინანსების მეთოდების სახეები</b>	<b>დაფინანსებაზე განაცხადის წარმოდგენის კრიტერიუმები</b>
საქართველო	კაპიტალური ინვესტიცია და ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტები	საქართველოს საშუალო და მსხვილი საწარმოები, რომლებსაც შეუძლიათ ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალის დემონსტრირება.
<p><b>📄 განაცხადის წარმოდგენის პროცედურა</b></p> <p>GCF-გან დაფინანსების მიღებით დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ დეტალური ბიზნეს გეგმა.</p>		

## დანართი II შერბილების პრიორიტეტული უპირობო ღონისძიებები

### ენერჯის გენერაცია და გადაცემა



მიზანი

2030 წლისთვის, საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზებთან შედარებით, ენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორში, სათბურის აირების ემისიების 15%-ით შემცირება.

### UE1. განახლებადი ენერჯის (ქარის, მზის, ჰიდრო, ბიომასის) წარმოების ხელშეწყობა

ღონისძიებების მიზანია 2030 წლისთვის საქართველოს მიერ გამომუშავებულ ელექტროენერჯიაში განახლებადი ენერჯის (ქარი, მზე, ჰიდრო) წილის 87%-მდე გაზრდა. პასუხისმგებელი ორგანოა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სს საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი.

#### UE1.1. ქარის ენერჯიდან ელექტროენერჯის გამომუშავების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები

##### აღწერა

ღონისძიება ხელს შეუწყობს 2024 წლამდე ქარის შემდეგი ელექტროსადგურების მშენებლობას: იმერეთი (104 მგვტ), რიკოთი-ფონა (20 მგვტ), თბილისი (54 მგვტ), დირბულა (21 მგვტ), რუისი (12.6 მგვტ), სამგორი (8 მგვტ), ზესტაფონი (50 მგვტ), ნიგოზა (50 მგვტ), კასპი (54 მგვტ).

##### ღირებულება

2,178,000,000.00 (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

##### დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან ამ ღონისძიებას აფინანსებენ ელექტროსადგურების მმართველი კომპანიები:

- ▶ იმერეთი: შპს უსასრულო ენერჯია
- ▶ რიკოთი-ფონა: შპს ტაბა
- ▶ თბილისი: სს კავკასიის ქარის კომპანია
- ▶ დირბულა: შპს სინტე
- ▶ რუისი: შპს რუისის ქარის ელექტროსადგური
- ▶ სამგორი: შპს ვენტო

- ▶ ზესტაფონი: შპს ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური
- ▶ ნიგოზა: შპს Chalik Georgia Wind
- ▶ კასპი: სს კავკასიის ქარის კომპანია

 **დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)

**UE1.2. მზის ენერჯიდან ელექტროენერჯის გამომუშავების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები**

 **აღწერა**

ლონისძიება ხელს შეუწყობს 2024 წლამდე მზის შემდეგი ელექტროსადგურების მშენებლობას: უდაბნო (5 მგვტ), ფლავი (7 მგვტ), გარდაბანი (50 მგვტ), მარნეული (20 მგვტ), ჯეოსოლარი (9 მგვტ), საგარეჯო (25 მგვტ), მზის უსახელო ელექტროსადგური (1 მგვტ).

 **ღირებულება**

209,880,000.00 (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

 **დაფინანსება**

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან ამ ღონისძიებას აფინანსებენ ელექტროსადგურების მმართველი კომპანიები:

- ▶ უდაბნო: შპს საქართველოს მზის კომპანია
- ▶ გარდაბანი: EBRD
- ▶ მარნეული: შპს ახალი თაობა
- ▶ საგარეჯო: სს საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი

 **დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)

**UE1.3. ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები**

 **აღწერა**

ლონისძიება ხელს შეუწყობს 2024 წლამდე (13 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის) შემდეგი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას: კირნათი (51.25 მგვტ), ხობი (46.7 მგვტ), მტკვარი (53 მგვტ), მესტიაჭალა 1 (20 მგვტ), სტორი 1 (20.03 მგვტ), სამყურისწყალი 2 (26.28 მგვტ), მეტეხი 1 (36.73 მგვტ), ღები (14.34 მგვტ), ჭიორა (14.15 მგვტ), Zoti (44.31 მგვტ).

## ღირებულება

1,980,000,000.00 (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან ამ ღონისძიებას აფინანსებენ ელექტროსადგურების მმართველი კომპანიები:

- ▶ კირნათი: შპს აჭარ ენერჯი 2007
- ▶ ხობი: შპს ქართლი საინვესტიციო ჯგუფი ენერჯია
- ▶ მტკვარი: შპს მტკვარი ჰესი
- ▶ მესტიაჭალა 1: შპს სვანეთი ჰიდრო
- ▶ სტორი 1: შპს გოტა 21
- ▶ სამყურისწყალი 2: შპს ფერი
- ▶ მეტეხი 1: შპს ფაზისი ენერჯი და იენიგუნი
- ▶ ლები: შპს ფაზისი ენერჯი და იენიგუნი
- ▶ ჭიორა: შპს ჭიორა ჰესი
- ▶ ზოტი: სს საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანია

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

## **UE2. თბოელექტროსადგურების საშუალო ეფექტიანობის გაუმჯობესება**

ღონისძიება ითვალისწინებს თბოელექტროსადგურების ეფექტიანობის გაუმჯობესებას 2030 წლისთვის თბოელექტროსადგურებზე ელექტროენერჯის გამომუშავების ეფექტიანობის 50%-ზე მეტით გაზრდის გზით.

### **UE2.1. თბოელექტროსადგურებზე ტექნიკური სამუშაოების განხორციელება**

#### აღწერა

საქართველოს ყველა არსებულ თბოელექტროსადგურზე განხორციელდება ტექნიკური სამუშაოები ეფექტიანობის ასამაღლებლად და გადაცემის სისტემების ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, ახალი კომბინირებული ციკლის თბოსადგურები აღიჭურვება ახალი ტექნოლოგიებით მათი ენერგოეფექტურობის ასამაღლებლად. 2023 წლისთვის აშენდება გარდაბანი 3 - კომბინირებულ ციკლზე მომუშავე გაზის თბოელექტროსადგური.

## ღირებულება

531,200,000.00 (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (GOGC) უზრუნველყოფს დაფინანსებას 332,000,000.00 ლარის ოდენობით. შესაბამისად დეფიციტი 199,200,000.00 ლარს შეადგენს.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

ღონისძიების მასშტაბისა და ეროვნული ასპექტის გათვალისწინებით, საქართველოს დაფინანსებისთვის შეუძლია მიმართოს მრავალმხრივ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს, როგორცაა EBRD, მსოფლიო ბანკი და ADB.

### **UE3. საქართველოს გადამცემ ქსელში განახლებადი ენერჯის ინტეგრაციის შესაძლებლობების გაძლიერება განხორციელება ელექტროგადაცემის კომპანიებისთვის**

ღონისძიების მიზანია საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის განხორციელება ელექტროგადაცემის კომპანიებისთვის, რომელიც 2030 წლისთვის საქართველოს ენერჯის სექტორის დადგმულ სიმძლავრეში განახლებადი ენერჯის წილს 18.2%-მდე გაზრდის.

#### **UE3.1. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის განხორციელება ელექტროგადაცემის კომპანიებისთვის**

## აღწერა

ეროვნული გადაცემის სისტემების ინფრასტრუქტურის გაძლიერება, არსებული პრობლემების მოგვარება, სამომავლო გამოწვევებზე რეაგირება და ქსელის შესაძლებლობების ათვისება.

## ღირებულება

771,804,000.00 (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

საქართველო ისეთი ორგანიზაციებისგან, როგორცაა EBRD, მსოფლიო ბანკი, KfW და EU-NIF მიიღებს სესხს/გრანტს 662,112,000.00 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო დაფინანსება 109,692,000.00 ლარის ოდენობით 2414 საბიუჯეტო საზიდან. აქედან გამომდინარე, დაფინანსების დეფიციტი არ არის.

---

 **დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)

---

**UE4. ენერგეტიკის სფეროში ახალი პოლიტიკის დოკუმენტების და კანონმდებლობის შემუშავება**

ლონისძიების მიზანია ენერგეტიკის სფეროში გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბება და ახალი პოლიტიკის დოკუმენტების, კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება აღნიშნული ხედვის შესაბამისად. გარდა ამისა, მომზადდება გრძელვადიანი სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავების საფუძველი გახდება, კონკრეტული აქცენტით საქართველოს მიერ განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებაზე.

**UE4.1. საქართველოს ენერგოპოლიტიკის ერთიანი გრძელვადიანი მულტისექტორული სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება**

 **აღწერა**

ლონისძიების ფარგლებში მომზადდება გრძელვადიანი (2030 წლისათვის) და ყოვლისმომცველი, სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავების საფუძველი გახდება, კონკრეტული აქცენტით საქართველოს მიერ განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებაზე.

 **ღირებულება**

198,000.00 (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

 **დაფინანსება**

საქართველო მიიღებს გრანტს 198,000.00 ლარის ოდენობით ევროკავშირისგან, შვედეთის მთავრობისა და UNDP-გან. აქედან გამომდინარე, დაფინანსების დეფიციტი არ არის.

---

 **დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)

---



**მიზანი**

2030 წლისთვის, საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზებთან შედარებით, ტრანსპორტის სექტორში, სათბურის აირების ემისიების 15%-ით შემცირება.

**UT1. დაბალი და ნულოვანი ემისიის მქონე და ტექნიკურად გამართული კერძო ავტომობილების წილის გაზრდა ავტოპარკში**

ღონისძიებების მიზანია 2030 წლისთვის საქართველოში რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებების მთლიან რაოდენობაში ელექტრომობილებისა და ჰიბრიდული ავტომანქანების წილის შესაბამისად 5% და 20%-ით გაზრდა, აგრეთვე ელექტროტრანსპორტის გამოყენების წახალისება, ბენზინსა და დიზელზე მომუშავე ავტომანქანების მოძრაობისა და ძველი, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით არაეფექტიანი ავტომანქანების იმპორტის შემცირება. გარდა ამისა, ღონისძიებები მიზნად ისახავენ გამართული ავტომანქანების წილის გაზრდას ისეთი ავტომანქანების წილის 55%-დან 30%-მდე შემცირებით, რომლებიც პირველ ტექნიკურ ინსპექტირებას ვერ გადიან.

**UT1.1. სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშირებით არსებულ რეგულაციაში ცვლილების განხორციელება**

**აღწერა**

საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომების გატარება სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების გვერდის ავლის ტენდენციის შესამცირებლად.

**ღირებულება**

ადმინისტრაციული ხარჯები (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

**დაფინანსება**

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან ის გათვალისწინებულია ღონისძიება UT 1.2-ში - სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშირებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმების მეტად ეფექტურად აღსრულება. სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების ადმინისტრაციული ხარჯები დაიფარება სახელმწიფო დაფინანსებიდან, რომელიც 120,000.00 ლარის ოდენობით 3008 საბიუჯეტო ხაზიდან გამოიყოფა.

**დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)

**UT1.2. სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშირებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმების მეტად ეფექტურად აღსრულება**

**აღწერა**

საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციული ზომების გატარება ტექნიკური ინსპექტირებისთვის გვერდის ავლის ტენდენციის შესამცირებლად, ასევე, ტექნიკური ინსპექტირების გაუვლელი ავტომობილების კონტროლისთვის ძირითად მაგისტრალებზე, საქალაქო და სასოფლო გზებზე შესაბამისი ფუნქციის ვიდეო-კამერების დამონტაჟება. დაგეგმილია ჯამში 150 ერთეული ვიდეოკამერის შესყიდვა. ღონისძიება ემსახურება ტექნიკურ ინსპექტირებაზე მიმართვიანობის გაზრდას, ბაზრიდან ყველაზე ნაკლებად ეფექტიანი სატრანსპორტო საშუალებების ამოღებას და ავტოპარკის განახლებას, რაც გაზრდის მის საშუალო ეფექტიანობას.

**ღირებულება**

120,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

**დაფინანსება**

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო დაფინანსება 3008 საბიუჯეტო ხაზიდან.

**დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)

**UT1.3. სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის გზებზე კონტროლი**

**აღწერა**

ღონისძიება ითვალისწინებს საქართველოს ქუჩებში ავტომობილებიდან გამონაბოლქვის ღონის კონტროლის ტექნიკური მექანიზმის დანერგვას და აღსრულებას.

**ღირებულება**

498,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

**დაფინანსება**

დაფინანსების დეფიციტი - 498,000.00 ლარი.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

ლონისძიების მიზნიდან და დაფინანსების მასშტაბიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაფინანსების მოთხოვნა ორმხრივი დაფინანსების წყაროებიდან, როგორცაა KfW, რომელსაც საქართველოში უკვე დაფინანსებული აქვს ტრანსპორტთან დაკავშირებული პროექტები.

### **UT1.4. ელექტრომობილების გამოყენების წახალისებისთვის დამატებითი ოპტიმალური საგადასახადო შეღავათების ალტერნატივების იდენტიფიცირება ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე**

#### აღწერა

ხარჯ-ეფექტიანობის ანალიზის ჩატარება იმის დასადგენად, თუ რამდენად გაზრდის ელექტრო სატრანსპორტო საშუალებებისთვის (აქციზის გადასახადის გარდა) დამატებითი საგადასახადო შეღავათების დაწესება ბაზარზე ელექტრომობილების შემოსვლის მაჩვენებელს არსებული ავტოპარკის ეტაპობრივად ჩასანაცვლებლად და ფისკალური ეფექტის განსაზღვრის მიზნით.

#### ღირებულება

ადმინისტრაციული ხარჯები (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

#### დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან ის გათვალისწინებულია ლონისძიება UT 1.6-ში - ძველ მსუბუქ სატრანსპორტო საშუალებებზე იმპორტის გადასახადის გაზრდის შესაძლებლობის განხილვა ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის საფუძველზე. ელექტრომობილების პოპულარიზაციის მიზნით. ოპტიმალური საგადასახადო შეღავათების დასადგენად საჭირო ადმინისტრაციული ხარჯები დაიფარება ლონისძიება UT 1.6-ის ფარგლებში გათვალისწინებული ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევებისთვის გამოყოფილი 300,000.00 ლარიდან.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

### **UT1.5. თბილისში ელექტრომობილებისთვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**

#### აღწერა

ლონისძიების ფარგლებში დაგეგმილია ელექტრომობილებისთვის დამტენი წერტილების, საპარკინგე ზოლების და სხვა ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შექმნა.

#### ღირებულება

ადმინისტრაციული ხარჯები (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან ის გათვალისწინებულია ღონისძიება UT3.1-ში - თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. ელექტრომობილებისთვის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად საჭირო ადმინისტრაციული ხარჯები დაიფარება 1,762,200,000.00 ლარის ოდენობის სესხის/გრანტის სახსრებით, რომელსაც საქართველო EBRD, ADB, KfW, და AFD-გან UT3.1-ის განსახორციელებლად მიიღებს.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

**UT1.6. ძველ მსუბუქ სატრანსპორტო საშუალებებზე იმპორტის გადასახადის გაზრდის შესაძლებლობის განხილვა ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის საფუძველზე**

## აღწერა

ეკონომიკური მიზანშეწონილობის შემთხვევაში, იმპორტის მაღალი პროგრესული გადასახადის განხილვა და დაწესება, რომელიც დაემყარება 10 წელზე მეტი ასაკის ავტომანქანებისთვის იმპორტის გაორმაგებულ, ხოლო 14 წელზე მეტი ასაკის ავტომანქანებისთვის იმპორტის გასამმაგებულ გადასახადს, რომელიც 2017 წლიდან მოქმედებს, და რომელიც ხელს შეუწყობს ძველი, არაეფექტიანი ავტომანქანების იმპორტის შემცირებას და ბაზარზე ახალი მოდელების, ჰიბრიდებისა და ელექტრომობილების აქტიურ შემოსვლას.

## ღირებულება

300,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი - 300,000.00 ლარი.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

იმის გათვალისწინებით, რომ ღონისძიება სახელმწიფო ადმინისტრაციულ პროცესებს ეხება, მიზანშეწონილია საჭირო დაფინანსების ეროვნული წყაროებიდან მოძიება.

## UT1.7. ემისიის სტანდარტის შემოღება იმპორტირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე ხარჯ-ეფექტიანობის ანალიზის საფუძველზე (ძირის EUR4 / EUR5)

### ალწარა

იმპორტირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შებენი მათი ემისიების მაჩვენებლების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს ახალი ავტომანქანების მარაგებში ემისიების ინტენსივობის მკვეთრ გაუმჯობესებას და არსებული ავტოპარკის უფრო ეფექტიანი მოდელით თანდათანობით ჩანაცვლებას.

### ღირებულება

1,203,840.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

### დაფინანსება

საქართველო მიიღებს გრანტს UNEP-გან 213,840.00 ლარის ოდენობით. შესაბამისად დაფინანსების დეფიციტი 990,000.00 ლარს შეადგენს.

### დაფინანსების მიღების ვარიანტები

პროექტის მასშტაბების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საქართველომ შეიტანოს საგრანტო განაცხადი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ UNFCCC-ის ფონდებში UNEP-თან, როგორც განმახორციელებელ სააგენტოსთან, ერთად.

## UT2. წიაღისეულ საწვავზე მოთხოვნის შემცირებისა და ბიოსაწვავის გამოყენების წახალისება

ღონისძიებების მიზანია საწვავის მოხმარების შემცირება და ტრანსპორტის სექტორში ეკოლოგიურად სუფთა საწვავის გამოყენების ხელშეწყობა. კერძოდ, 2030 წლისთვის საწვავის მთლიან მოხმარებაში საწვავის განახლებადი წყაროების, მათ შორის ბიოსაწვავის, წილის 10%-მდე გაზრდა.

### UT2.1. საწვავზე გადასახადის გაზრდის შესაძლებლობის განხილვა

#### ალწარა

საწვავზე გადასახადის ზრდის შესაძლებლობების განხილვა და მომზადება ბენზინსა და დიზელზე მომუშავე ავტომანქანების მოძრაობის შეზღუდვის მიზნით, რაც მძღოლების გარკვეულ ნაწილს საზოგადოებრივი ტრანსპორტის, როგორც გადაადგილების ძირითადი საშუალების, გამოყენებისაკენ უბიძგებს.

## ღირებულება

300,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი - 300,000.00 ლარი.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

იმის გათვალისწინებით, რომ ღონისძიება სახელმწიფო ადმინისტრაციულ პროცესებს ეხება, მიზანშეწონილია საჭირო დაფინანსების ეროვნული წყაროებიდან მოძიება.

### UT2.2. ბიოდიზელის წარმოების ხელშეწყობა და წახალისება

#### აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს ნახშირორჟანგის ემისიების შემცირების მიზნით, ბიოდიზელის წარმოების ხელშეწყობას, ბიოდიზელის წარმოებისა და რეალიზაციის შესახებ მონაცემების შეგროვებას და ტენდენციებზე დაკვირვებას, აგრეთვე ბიოდიზელის შესახებ საინფორმაციო ბროშურის მომზადებას, ბიოდიზელის მოხმარების წახალისების მიზნით. ეს ხელს შეუწყობს 2019 წლიდან კერძო სექტორის მიერ B5-ის, ანუ 5% ბიოდიზელისა და 95% დიზელის ნარევის (ბლენდის) და B7-ის, ანუ 7% ბიოდიზელის და 93% დიზელის ნარევის (ბლენდის) წარმოებასა და რეალიზაციას და 2023 წლისთვის დაგეგმილი მასშტაბური ქარხნის მშენებლობას.

## ღირებულება

ადმინისტრაციული ხარჯები (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

UE4.1-ის ღონისძიების - საქართველოს ენერგოპოლიტიკის ერთიანი გრძელვადიანი მულტისექტორული სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება, ფარგლებში საქართველომ უნდა უზრუნველყოს ბიოდიზელის წარმოების წახალისება სტრატეგიის განხორციელებისათვის ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების გაძლიერების კამპანიებით.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

აუცილებელია, რომ UT2.2 ღონისძიების ადმინისტრაციული ხარჯები დაფინანსდეს 198,000.00 ლარის ოდენობის გრანტიდან, რომელსაც საქართველო მიიღებს ევროკავშირისგან, შვედეთის მთავრობისა და UNDP-გან ბიოდიზელის წარმოების მხარდასაჭერად და წასახალისებლად.

### UT3. გადაადგილების არამოტორიზებული საშუალებებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის წახალისება

ლონისძიებების მიზანია ტრანსპორტირების/გადაადგილების ისეთი ფორმების წახალისება, როგორცაა ფეხით, ველოსიპედით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით (ავტობუსი, მეტრო და მიკროავტობუსი) გადაადგილება 2030 წლისთვის არამოტორიზებული საშუალებებით (ველოსიპედით და ფეხით) გადაადგილების 30%-იანი და საზოგადოებრივი ტრანსპორტით (მეტრო, ავტობუსი, მიკროავტობუსი) გადაადგილების 45%-იანი მაჩვენებლის მისაღწევად. ეს კერძო მანქანების გამოყენებას ავტომატურად 20%-მდე შეამცირებს.

#### UT3.1. თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება

##### აღწერა

თბილისის მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის (SUMP) შემუშავება, თბილისში ავტობუსების რეფორმის განხორციელება, მეტროს მოდერნიზაცია და ტევადობის გაზრდა, საბავრო გზების მშენებლობა, გონიერი სატრანსპორტო სისტემის და ზონალურ-საათობრივი პარკირების დანერგვა და ქუჩების რეაბილიტაცია მულტიმოდალური გეგმარების პრინციპების შესაბამისად.

##### ღირებულება

1,762,200,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

##### დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო EBRD, ADB, KfW, და AFD-გან 1,762,200,000.00 ლარის მოცულობის სესხს/გრანტს მიიღებს.

##### დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

#### UT3.2. ბათუმის მდგრადი ურბანული მობილობის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება

##### აღწერა

ავტობუსის მარშრუტების ეფექტიანობის გაუმჯობესება, ავტობუსის ტევადობის და მგზავრთა რაოდენობის გაზრდა, ცენტრალურ უბნებში ზონალურ-საათობრივი პარკირების დანერგვა, ავტომანქანების შემცირებული მოძრაობის დაგეგმვა და განხორციელება, თანამედროვე სტანდარტების დიზელზე მომუშავე და სრულად ელექტრო ავტობუსების შექმნა, მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიის პარკის განახლება/შეკეთება ახალი ადაპტირებული ავტობუსებით.

---

### ღირებულება

8,800,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

### დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო EBRD და E5P-გან 8,800,000.00 ლარის მოცულობის სესხს/გრანტს მიიღებს.

---

### დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

---

## **UT4. ტრანსპორტის სექტორში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინოვაციური ინიციატივების განხორციელება**

ღონისძიებების მიზანია ანალიზისა და კვლევების ჩატარება და ფინანსური რესურსების მოზიდვა ტრანსპორტის სექტორში სათბურის აირების ემისიების შესამცირებლად მტკიცებულებებზე დაფუძნებული დამატებითი ინიციატივების განსახორციელებლად, რომლებიც გამოავლენენ ახალ ზომებს არსებული ალტერნატივების ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე.

### **UT4.1. კლიმატის საერთაშორისო დაფინანსებისთვის წინადადებების მომზადება, საზოგადოებრივი, საქალაქთაშორისო და არამოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესების მიზნით**

#### აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს ფინანსური რესურსების მოზიდვას კლიმატის სამოქმედო გეგმის მომდევნო ვერსიის ფარგლებში კონკრეტული ახალი პოლიტიკისა და ღონისძიებების განსახორციელებლად.

---

### ღირებულება

178,200.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

### დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი - 178,200.00 ლარი.

---

---

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად კლიმატთან დაკავშირებული საერთაშორისო დაფინანსების საპროექტო წინადადების მოსამზადებლად მიზანშეწონილია იმ ევროპული ქვეყნებიდან/სააგენტოებიდან ორმხრივი ტექნიკური დახმარების მიღება, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული საქართველოს ტრანსპორტის სექტორის განვითარებაში.

### **UT4.2. საგზაო ტვირთის სარკინიგზოზე გადატანის მიზნით საუკეთესო შესაძლებლობების გამოვლენისთვის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის მომზადება და განხორციელებადობის შესწავლა**

## აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის მომზადებას, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ყველაზე მიმზიდველი ღონისძიებების გამოვლენას კლიმატის სამოქმედო გეგმის შემდეგ ვერსიაში შესატანად.

---

## ღირებულება

257,400.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი - 257,400.00 ლარი.

---

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

საქართველოს სარკინიგზო სექტორის განვითარებაში აქტიურად არის ან იყო ჩართული რამდენიმე საფინანსო ინსტიტუტი. საქართველოში სარკინიგზო სექტორის განვითარებაში ჩართულობის გათვალისწინებით, საქართველოს დაფინანსებისთვის შეუძლია მიმართოს EBRD, EIB, ან ADB-ს.

---



**მიზანი**

შენობების სექტორში, დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარების ხელშეწყობა, კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებით

**UB1. შენობის ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების სისტემის შექმნა**

ღონისძიებების მიზანია შენობების ენერგოეფექტურობაზე სერტიფიცირებისათვის საჭირო მეთოდოლოგიის, შესაბამისი სტანდარტების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება, დამტკიცება და განხორციელების უზრუნველყოფა 2030 წლისთვის ახალი აშენებული შენობებისთვის ენერგოეფექტურობაზე სერტიფიცირების 100%-იანი მაჩვენებლის მისაღწევად.

**UB1.1. შენობების სერტიფიცირებისათვის საჭირო მეთოდოლოგიის შემუშავება**

**აღწერა**

შენობების სერტიფიცირებისათვის საჭირო მეთოდოლოგიის შემუშავება, რაც სახელმწიფოს მისცემს შესაძლებლობას, ენერგოეფექტურობის სტანდარტების შესაბამისად სხვადასხვა კლიმატური პირობებისთვის, რეგიონების მიხედვით, შეიმუშაოს შენობების გარე შემომზღუდი კონსტრუქციების თბოიზოლაციის სანიმუშო სამშენებლო პროექტები და ხელმისაწვდომი გახადოს შედეგები ფართო საზოგადოებისათვის.

**ღირებულება**

88,715,880.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

**დაფინანსება**

საქართველო მიიღებს სესხს/გრანტს 87,579,360.00 ლარის ოდენობით EBRD, DANIDA, KfW, და ევროკავშირისაგან. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნება 1,136,520.00 ლარის მოცულობის სახელმწიფო დაფინანსება 250306 საბიუჯეტო საზიდან. აქედან გამომდინარე, დაფინანსების დეფიციტი არ არის.

**დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)

**UB1.2. შენობების ენერგოეფექტურობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შექმნა, დამტკიცება და განხორციელება**

**აღწერა**

შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება და დამტკიცება.

**ღირებულება**

33,264,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

**დაფინანსება**

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო მიიღებს სესხს/გრანტს 33,264,000.00 ლარის ოდენობით ევროკავშირისგან და KfW-გან.

**დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)

**UB2. მომხმარებლის ინფორმირებულობის ამაღლება ენერგოეფექტურობის თაობაზე**

ლონისძიებების მიზანია ენერგოეფექტური მოწყობილობების სტანდარტიზაცია და მარკირება და მეტი ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლებისთვის ენერგოეფექტური მოწყობილობების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ბაზარზე მათი წილის გასაზრდელად. ეს მოიცავს „ვარვარა“ ნათურებთან დაკავშირებით და მზის ენერგიით წყლის გაცხელების შესახებ საინფორმაციო კამპანიების ჩატარებას. შედეგად იმ მომხმარებელთა პროცენტული წილი, რომლებიც შენობებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების ენერგოეფექტურობას სამომხმარებლო გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვან ფაქტორად დაასახელებენ, 2030 წლისთვის 80% იქნება.

**UB2.1. მოწყობილობებისთვის საჭირო სქემების სტანდარტების, ნორმების და მარკირებების (ეტიკეტირების) შექმნა**

**აღწერა**

საყოფაცხოვრებო ტექნიკის შექმნისას მომხმარებლისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება ენერგომარკირების რეგულაციების პაკეტის დანერგვისა და ენერგომარკირების შესახებ საინფორმაციო კამპანიების ჩატარების გზით.

## ღირებულება

411,840.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან უზრუნველყოფილი იქნება 411,840.00 ლარის მოცულობის სახელმწიფო დაფინანსება 2401 საბიუჯეტო ხაზიდან.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

**UB2.2. ენერგოეფექტურობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის პროგრამების განხორციელება**

## აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს მოსახლეობის ინფორმირებას ენერჯის გამოყენების პროცესში ფინანსურად ეფექტიანი და ადვილად მიღწევადი ცვლილებების შესახებ ან/და ენერგოეფექტური ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ენერგოეფექტური საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენების წასახალისებლად.

## ღირებულება

299,376.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან უზრუნველყოფილი იქნება 299,376.00 ლარის მოცულობის სახელმწიფო დაფინანსება 2401 საბიუჯეტო ხაზიდან.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

**UB2.3. „ვარვარა“ ნათურებთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიის ჩატარება**

## აღწერა

საინფორმაციო კამპანიების ჩატარება 2023 წლისთვის კომერციულ შენობებში „ვარვარა“ ნათურების ენერგოეფექტური ნათურებით ჩანაცვლების 100%-იანი მაჩვენებლის მისაღწევად.

---

## ღირებულება

ადმინისტრაციული ხარჯები (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან ეს ღონისძიება გათვალისწინებულია UB2.2-ში - ენერგოეფექტურობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის პროგრამების განხორციელება. საინფორმაციო კამპანიის ადმინისტრაციული ხარჯები დაიფარება სახელმწიფოს მიერ 2401 საბიუჯეტო ხაზიდან გამოყოფილი 299,376.00 ლარის ოდენობის დაფინანსებიდან.

---

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

### UB2.4. მზის ენერჯით წყლის გაცხელების შესახებ საინფორმაციო კამპანიების განხორციელება

## აღწერა

მზის ენერჯით წყლის გაცხელებისა და შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ საინფორმაციო კამპანიების განხორციელება მომხმარებელთა ცნობიერების ასამაღლებლად.

---

## ღირებულება

ადმინისტრაციული ხარჯები (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან ეს ღონისძიება გათვალისწინებულია UB2.2-ში - ენერგოეფექტურობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის პროგრამების განხორციელება. საინფორმაციო კამპანიის ადმინისტრაციული ხარჯები დაიფარება სახელმწიფოს მიერ 2401 საბიუჯეტო ხაზიდან გამოყოფილი 299,376.00 ლარის ოდენობის დაფინანსებიდან.

---

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

---

### **UB3. საცხოვრებელი, კომერციული და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში ენერგოეფექტური მიდგომებისა და ენერგოეფექტური განათების დამონტაჟების წახალისება**

ლონისძიების მიზანია „ვარვარა“ ნათურებთან დაკავშირებით საგადასახადო რეგულაციების შემოღება, რომლებიც უზრუნველყოფენ 2023 წლისთვის საცხოვრებელი და კომერციული შენობებისთვის შექმნილ ახალ ნათურებში ენერგოეფექტური ნათურების წილის 100%-მდე გაზრდას, აგრეთვე საჯარო დაწესებულების მფლობელობა/ სარგებლობაში არსებულ შენობებში ენერგოეფექტური განათების მონტაჟი, ცენტრალური და მუნიციპალური მთავრობის მიერ დაკავებული და მფლობელობაში არსებული 500 მ<sup>2</sup>-ზე მეტი ფართობის შენობების სრული ფართობის 1%-ის ყოველწლიურად განახლება ენერგოეფექტურობის სტანდარტების მიხედვით და იმ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების, საჯარო სკოლების ჩათვლით, პროცენტული წილის 70%-ზე მეტით გაზრდა, რომლებიც ენერგოეფექტურ ნათურებს იყენებენ.

#### **UB3.1. „ვარვარა“ ნათურებთან დაკავშირებით საგადასახადო რეგულაციის შემოღება**

##### **აღწერა**

„ვარვარა“ ნათურებთან დაკავშირებით საგადასახადო რეგულაციების შემოღება 2023 წლისთვის საცხოვრებელი და კომერციული შენობებისთვის შექმნილ ახალ ნათურებში ენერგოეფექტური ნათურების წილის 100%-მდე გაზრდის მიზნით.

##### **ღირებულება**

ადმინისტრაციული ხარჯები (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

##### **დაფინანსება**

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან ეს ღონისძიება გათვალისწინებულია UB2.1-ში - მოწყობილობებისთვის საჭირო სქემების სტანდარტების, ნორმების და მარკირებების (ეტიკეტირების) შექმნა. საინფორმაციო კამპანიის ადმინისტრაციული ხარჯები დაიფარება სახელმწიფოს მიერ 2401 საბიუჯეტო საზიდან გამოყოფილი 411,840.00 ლარის ოდენობის დაფინანსებიდან.

##### **დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)

**UB3.2. საჯარო დაწესებულების მფლობელობა/ სარგებლობაში არსებულ შენობებში ენერგოეფექტური განათების მონტაჟი**

**აღწერა**

ღონისძიება ითვალისწინებს ყველა საჯარო შენობისთვის შეძენილ ახალ ნათურებში ენერგოეფექტური ნათურების წილის 100%-მდე გაზრდას.

**ღირებულება**

621,720.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

**დაფინანსება**

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან უზრუნველყოფილი იქნება 621,720.00 ლარის მოცულობის სახელმწიფო დაფინანსება 250306 საბიუჯეტო ხაზიდან.

**დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)

**UB3.3. საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ საინფორმაციო სისტემების შექმნა**

**აღწერა**

ეროვნული და მუნიციპალური საჯარო სექტორის შენობებისთვის, სკოლებისა და საბავშვო ბაღების გამოკლებით, შენობებისა მახასიათებლებისა და ენერჯის ხარჯვის/მოხმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება.

**ღირებულება**

178,200.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

**დაფინანსება**

დაფინანსების დეფიციტი - 178,200.00 ლარი.

**დაფინანსების მიღების ვარიანტები**

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, როგორცაა ADB, აფინანსებენ საქართველოს საზოგადოებისა და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს შესაფასებლად საჭირო მონაცემთა ინსტრუმენტებისა და მეთოდების შემუშავებას. ამან შესაძლოა ხელი შეუწყოს ენერგოეფექტურობის საინფორმაციო სისტემის შექმნას. ღონისძიების განხორციელებას შესაძლოა დასჭირდეს სახელმწიფო დაფინანსება, ვინაიდან ის საჯარო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას საჭიროებს.

**UB3.4. სასკოლო შენობებში გარე შემომზღული კონსტრუქციის გაუმჯობესება, სკოლებში ენერგოეფექტური ნათურების დამონტაჟება, მყარი საწვავის გამათბობლების გაუმჯობესება/ჩანაცვლება**

**აღწერა**

ღონისძიება ითვალისწინებს სასკოლო შენობების გარე შემომზღული კონსტრუქციის გაუმჯობესებას, ენერგოეფექტური ნათურების დამონტაჟებას, მყარი საწვავის გამათბობლების გაუმჯობესება/ჩანაცვლებას.

**ღირებულება**

9,808,920.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

**დაფინანსება**

საქართველო E5P და NEFCO-გან მიიღებს 9,654,480.00 ლარის მოცულობის გრანტს/სესხს. გარდა ამისა უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო დაფინანსება 154,440.00 ლარის ოდენობით 250306 საბიუჯეტო ხაზიდან. შესაბამისად, დაფინანსების დეფიციტი არ არის.

**დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)

**UB4. წყლის გაცხელებისთვის მზის ენერჯის და ენერგოეფექტური ღუმელების გამოყენების ხელშეწყობა**

ღონისძიებების მიზანია წახალისების მექანიზმების დანერგვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ინდივიდუალურ საცხოვრებელ და კომერციულ შენობებში წყლის გასათბობად მზის გამაცხელებლების შესაძენად და არაენერგოეფექტური ღუმელების ენერგოეფექტური ღუმელებით ჩასანაცვლებლად.

**UB4.1. შენობებში მზის ენერჯიაზე დაფუძნებული წყლის გაცხელების სისტემების ინსტალაციის მიზნით ფინანსური წახალისების მექანიზმის შემუშავება**

**აღწერა**

ღონისძიება ითვალისწინებს ფინანსური წახალისების მექანიზმების შემუშავებას წყლის გასაცხელებლად მზის ენერჯის გამოყენებისთვის, რაც შეამცირებს ტყეზე ზეწოლას და წარმოადგენს მეტად ენერგოეფექტურ ალტერნატივას.

**ღირებულება**

178,200.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი - 178,200.00 ლარი.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

ლონისძიების ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ორმხრივი მხარდაჭერის მიღება იმ ევროპული ქვეყნებიდან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული საქართველოს სამშენებლო სექტორში. ასეთია, მაგალითად KfW, რომელიც აქტიურად არის ჩართული შენობების სერტიფიცირების მეთოდოლოგიისა და ენერგოეფექტურობის შესახებ კანონმდებლობის შემუშავებაში. შენობების საქართველოში.

გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო სექტორში მიმდინარე ღონისძიებები ეროვნული წყაროებიდანაც ფინანსდება, შესაძლებელია ეროვნული და ორმხრივი დაფინანსების კომბინირებაც.

## UB4.2. შუშის ენერგოეფექტური ღუმელების გამოყენების წახალისება

### აღწერა

2027 წლამდე სახელმწიფოსა და საფინანსო ინსტიტუტების მიერ შუშის ენერგოეფექტური ღუმელების გამოყენების ფინანსური წახალისების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა და შესაბამისი მხარდაჭერი საინფორმაციო კამპანიების ჩატარება.

### ღირებულება

33,660,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო GCF-სა და გერმანიისა და შვედეთის მთავრობებისგან 33,660,000.00 ლარის მოცულობის გრანტს მიიღებს.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

## UB5. ენერგოეფექტურობის საკითხებში მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე კადრების მომზადება

ლონისძიებების მიზანია ენერგეტიკის სექტორში მომსახურების იმ მომწოდებლების (მაგ., აუდიტორების, მენეჯერებისა და მემონტაჟეები) სერტიფიცირების სისტემის შემუშავება, რომლებიც შენობების სექტორში ენერგო ხელსაწყოების მონტაჟს უზრუნველყოფენ. ღონისძიებები მოიცავს ენერგო-კონსულტანტებისთვის საგანმანათლებლო და გადამზადების პროგრამების შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს შენობების გათბობის, გაგრილებისა და ვენტილაციის სისტემებისა და ელექტრომომწოდებლობის ენერგოეფექტურობის სფეროში მომუშავე სერტიფიცირებული და დიპლომირებული სპეციალისტების რაოდენობის ზრდას.

**UB5.1. ენერგეტიკის სექტორში ექსპერტების კვალიფიკაციის, აკრედიტაციისა და სერტიფიცირების სქემების განვითარება**

**აღწერა**

ღონისძიება ითვალისწინებს ენერგეტიკის სფეროში სერვისის იმ მომწოდებლების, აუდიტორების, მენეჯერებისა და მემონტაჟეების სერტიფიცირების სისტემის შექმნას, რომლებიც შენობების სექტორში ენერგო ხელსაწყოების მონტაჟს უზრუნველყოფენ.

**ღირებულება**

1,073,160.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

**დაფინანსება**

დაფინანსების დეფიციტი - 1,073,160.00 ლარი.

**დაფინანსების მიღების ვარიანტები**

ამ ღონისძიებასა და შენობის ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების სისტემის შექმნის სფეროში უპირობო ღონისძიებებს შორის არსებული კავშირის გათვალისწინებით, საქართველოს შეუძლია მიიღოს მსგავსი ორმხრივი მხარდაჭერა, მაგალითად KfW-გან, რომელიც შეიძლება ეროვნულ დაფინანსებასთან გაერთიანდეს.

**UB5.2. ენერგო-კონსულტანტებისთვის საგანმანათლებლო და გადამზადების პროგრამების განვითარება**

**აღწერა**

ღონისძიება ითვალისწინებს პროგრამების შემუშავებას ენერგეტიკის სფეროს ინჟინრების, ენერგოაუდიტზე მომუშავე კომპანიებისა და მომსახურების მომწოდებლების უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გასაუმჯობესებლად.

**ღირებულება**

ადმინისტრაციული ხარჯები (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

**დაფინანსება**

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან ღონისძიება გათვალისწინებულია UB5.1-ში - ენერგეტიკის სექტორში ექსპერტების კვალიფიკაციის, აკრედიტაციისა და სერტიფიცირების სქემების განვითარება. საინფორმაციო კამპანიის ადმინისტრაციული ხარჯები დაიფარება დაფინანსების მოსალოდნელი ვარიანტებიდან მიღებული სახსრებიდან.

**დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)



მიზანი

2030 წლისთვის, მრეწველობის სექტორის დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარების ხელშეწყობა კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებით, საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზებთან შედარებით, სათბურის აირების ემისიების 5%-ით შესამცირებლად.

**UI1. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, სამრეწველო პროცესებიდან და სამრეწველო ობიექტების მიერ ენერჯის მოხმარებიდან გამოწვეული სათბურის აირების ემისიის ღონის შემცირება**

ღონისძიებების მიზანია სამრეწველო ობიექტების მიერ ენერჯის მოხმარების შემცირება ცემენტის წარმოების არსებული სველი მეთოდის ენერგოდამზოგავი მშრალი მეთოდით ჩანაცვლებისა და აზოტმჟავას მწარმოებელი ქარხნების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვის გზით. საშუალებით. ეს უკანასკნელი, აზოტმჟავას წარმოების ციკლიდან N2O-ს ემისიების დაახლოებით 95%-ს აღმოფხვრის. ამ ღონისძიებებით 2030 წლისთვის ცემენტისა და აზოტმჟავას წარმოებიდან შემცირებული ემისიების რაოდენობა 571 კტCO<sub>2</sub>-ეკვ იქნება, აქედან ცემენტის წარმოებიდან - 352 კტCO<sub>2</sub>-ეკვ, ხოლო აზოტმჟავას წარმოებიდან - 416 კტCO<sub>2</sub>-ეკვ.

**UI1.1. ცემენტის წარმოების სველი მეთოდის მშრალი მეთოდით ჩანაცვლება**

აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს ცემენტის წარმოების სველი მეთოდის მშრალი მეთოდით ჩანაცვლებას.

ღირებულება

15,687,936.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო კერძო კომპანია შპს ჰაიდელბერგიდან 15,687,936.00 ლარს მიიღებს.

დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

**UI1.2. სათბურის აირების დაბალი ემისიებით აზოტის მჟავის წარმოების სელშეწყობა**

**აღწერა**

შპს რუსთავის აზოტის აზოტმჟავას მწარმოებელი საწარმოს აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიით წარმოების ციკლიდან N<sub>2</sub>O-ს ემისიების შესამცირებლად.

**ღირებულება**

17,820,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

**დაფინანსება**

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო გერმანიის მთავრობისგან მიიღებს 8,910,000.00 ლარის ოდენობის გრანტს, ხოლო შპს რუსთავის აზოტის კერძო ინვესტიციის მოცულობა 8,910,000.00 ლარს შეადგენს.

**დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)

**UI2. მრეწველობის სექტორში ემისიების ფაქტორების შესწავლისა და მონაცემების მართვის სისტემის განვითარება**

ღონისძიება ითვალისწინებს სხვადასხვა სექტორებში ემისიებისა და შერბილების პოტენციალის დათვლისა და განსაზღვრის მიზნით მონაცემთა მართვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მოიცავს წარმოებების ემისიების ინდივიდუალურ ფაქტორებს.

**UI2.1. წარმოების შესაბამისად ემისიების ინდივიდუალური ფაქტორების ჩამოყალიბება**

**აღწერა**

მონაცემთა მართვის ისეთი სისტემის შექმნა და დანერგვა, რომელიც მოიცავს წარმოებების ემისიების ინდივიდუალურ ფაქტორებს სხვადასხვა სექტორებში ემისიებისა და შერბილების პოტენციალის უკეთ დათვლისა და განსაზღვრის მიზნით.

**ღირებულება**

99,600.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო GEF/UNEP-გან 99,600.00 ლარის ოდენობის გრანტს მიიღებს.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

## სოფლის მეურნეობა



### მიზანი

სოფლის მეურნეობის სექტორის დაბალნახშირბადიანი განვითარების ხელშეწყობა კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებით.

### **UA1. ნიადაგის და საძოვრების მდგრადი მართვა და შინაური ცხოველების კვების მდგრადი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა**

ღონისძიებების მიზანია სოფლის მეურნეობიდან სათბურის აირების ემისიების შემცირება და კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი მრავალფუნქციური ქარსაფარი და აგროსატყეო ეკოსისტემის (mWAE) ჩამოყალიბება, აგრეთვე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კვების ხარისხის გაუმჯობესება, საძოვრების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლის ხარჯების შემცირება, მიწის დეგრადაციის შემცირება, ნიადაგისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდა და დივერსიფიკაცია.

**UA1.1. მსხვილფეხა პირუტყვის ენტერული (ნაწლავური) ფერმენტაციის შედეგად წარმოქმნილი ემისიების შემცირების მიზნით, მსხვილფეხა შინაური რქოსანი პირუტყვისათვის საკვების შეცვლის მეთოდოლოგიის შემუშავება და სარეკომენდაციო კამპანიის წარმოება**

### აღწერა

ღონისძიების მიზანია 2021 წლისთვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 20%-თვის კვების ხარისხის მაქსიმალურად გაუმჯობესება, რაც ენტერული (ნაწლავური) ფერმენტაციით გამოწვეული სათბურის აირების ემისიების შემცირებას გამოიწვევს. ამისათვის განისაზღვრება საკვების ოპტიმალური ნარევი და შესაბამისი ინფორმაცია მეცხოველეებს მიეწოდება. აგრეთვე განიხილება ყურძნის კანისა და წიპწის, როგორც იაფი, ალტერნატიული კვებითი დანამატის გამოყენების შესაძლებლობა, რაც ცოხნის შედეგად წარმოქმნილ ემისიებს შეამცირებს, აგრეთვე მოხდება საქართველოს მრავალფეროვანი საკვები კულტურების პოპულარიზაცია, რაც შეამცირებს ცოხნას და შეინარჩუნებს ან გაზრდის შინაური საქონლის პროდუქტიულობას. გარდა ამისა, შესწავლილ იქნება საქართველოს ყურძნის რუკა.

---

## ღირებულება

574,200.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი - 574,200.00 ლარი.

---

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

ლონისძიების თემისა და დიდი მასშტაბების გათვალისწინებით, საქართველოს დაფინანსების თხოვნით შეუძლია მიმართოს IFAD-ს და FAO-ს. საქართველოს სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება ძალიან მნიშვნელოვანია ამ ღონისძიების კვლევისა და ინოვაციების კომპონენტის განსახორციელებლად, ღონისძიების მიზნის ხასიათის გათვალისწინებით, რომელიც კვლევაზეა ორიენტირებული.

### **UA1.2. პირუტყვის კვების ხარისხის გაუმჯობესება და საძოვრების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება**

## აღწერა

პირუტყვის კვების ხარისხის გაუმჯობესებისა და საძოვრების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით საძოვრების მართვის შესახებ კანონმდებლობის შემუშავება და საპროექტო წინადადების მომზადება და ამავდროულად რქოსანი მსხვილფეხა პირუტყვის მოვლის ხარჯების შემცირება ბენეფიციარებისათვის ბალახის ინტენსიური წარმოების აღჭურვილობის გადაცემის გზით.

---

## ღირებულება

237,600.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი - 237,600.00 ლარი.

---

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

საქართველოს FAO და GEF-გან მიღებული აქვს დაფინანსება საძოვრების მდგრადი მართვის პროექტების განსახორციელებლად. ამ ღონისძიების (UA1.2.) მიზნებისა და ღონისძიება UA2.3-ის - არსებული და ჩამოსაყალიბებელი კოოპერატივების მხარდაჭერა სათიბ-საძოვრების მდგრად მართვის პრაქტიკის დანერგვის მიზნით და წარმატებული კოოპერატივების წარმატების ფაქტორების რეპლიკაცია სხვა კოოპერატივებისათვის მიზნების ერთდროულად მისაღწევად მიზანშეწონილი იქნება GEF-თვის საძოვრების მდგრადი მართვის შესახებ საშუალო ზომის პროექტის მომზადება.

---

**UA1.3. ქარსაფარი ზოლების რეაბილიტაცია და ტრანსფორმაცია კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული მიწის დეგრადაციის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით**

**აღწერა**

ლონისძიების მიზანია მიწის დეგრადაციის შესამცირებლად მრავალფუნქციური ქარსაფარი და აგროსატყეო ეკოსისტემის (mWAE) ჩამოყალიბება, ნიადაგისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდა და დივერსიფიკაცია. ლონისძიება მოიცავს ქარსაფარი ზონების შესახებ შესაბამისი რეგულაციების მომზადებასა და მიღებას.

**ღირებულება**

498,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

**დაფინანსება**

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო GEF, IFAD-გან 498,000.00 ლარის ოდენობის გრანტს მიიღებს.

**დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)

**UA2. სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატგონივრული მიდგომების შემუშავებისთვის კვლევითი მტკიცებულებების შექმნის შესაძლებლობის განვითარება**

ლონისძიების მიზანია სოფლის მეურნეობის სექტორში ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზზე და სხვა მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლიმატგონივრული ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის წილის გაზრდა, აგრეთვე ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოსთვის ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით ყველაზე შესაფერისი პრიორიტეტული სტრატეგიების განსახორციელებლად.

**UA2.1. შინაურ ცხოველთა კვების გაუმჯობესების თვალსაზრისით ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისა და მიზანშეწონილობის (განხორციელებადობის) კვლევა, შემდეგი კლიმატის სამოქმედო გეგმისათვის**

**აღწერა**

შინაურ ცხოველთა კვების გაუმჯობესების თვალსაზრისით ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისა და მიზანშეწონილობის (განხორციელებადობის) კვლევის ჩატარება ყველაზე მიმზიდველი ალტერნატივების გამოვლენის მიზნით.

## ღირებულება

237,600.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი - 237,600.00 ლარი.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

ღონისძიების სპეციფიკისა და მისი შედეგებით მცირე მასშტაბის გათვალისწინებით, ყველაზე მიზანშეწონილი იქნება ორმხრივი დახმარების მიღება ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი თანამშრომლობის ინსტიტუტებისაგან. საქართველოს სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება ძალიან მნიშვნელოვანია ამ ღონისძიების კვლევისა და ინოვაციების კომპონენტის განსახორციელებლად, ღონისძიების მიზნის ხასიათის გათვალისწინებით, რომელიც კვლევაზეა ორიენტირებული.

**UA2.2. შინაურ ცხოველთა კვების გაუმჯობესების ხარჯ-სარგებლიანობისა და მიზანშეწონილობის (განხორციელებადობის) კვლევის ჩატარება, რათა გამოვლინდეს საქართველოს კონტექსტში ნაკელის მართვის სისტემების დანერგვის საუკეთესო გზები**

## აღწერა

ხარჯ-სარგებლიანობისა და მიზანშეწონილობის (განხორციელებადობის) კვლევის ჩატარება საქართველოს კონტექსტში, რეგიონების მიხედვით ნაკელის მართვის სისტემების დანერგვის საუკეთესო გზების გამოსავლენად.

## ღირებულება

237,600.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი - 237,600.00 ლარი.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

ღონისძიების სპეციფიკისა და მისი შედეგებით მცირე მასშტაბის გათვალისწინებით, ყველაზე მიზანშეწონილი იქნება ორმხრივი დახმარების მიღება ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი თანამშრომლობის ინსტიტუტებისაგან. საქართველოს სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება ძალიან მნიშვნელოვანია ამ ღონისძიების კვლევისა და ინოვაციების კომპონენტის განსახორციელებლად, ღონისძიების მიზნის ხასიათის გათვალისწინებით, რომელიც კვლევაზეა ორიენტირებული.

**UA2.3. არსებული და ჩამოსაყალიბებელი კოოპერატივების მხარდაჭერა სათიბ-საძოვრების მდგრადად მართვის პრაქტიკის დანერგვის მიზნით და წარმატებული კოოპერატივების წარმატების ფაქტორების რეპლიკაცია სხვა კოოპერატივებისთვის**

**აღწერა**

არსებული და ჩამოსაყალიბებელი კოოპერატივების მხარდაჭერა სათიბ-საძოვრების მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვის მიზნით. არსებული 37 კოოპერატივიდან 23-ს გადაცემული აქვს სათიბ-საძოვრები სახელმწიფოსგან 25-წლიანი მმართველობით, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, საძოვრების მდგრადი მართვა არ ხდება. შესაბამისად, მოხდება არსებული კოოპერატივების წარმომადგენლების შესაძლებლობების გაძლიერება საძოვრების მდგრადი მართვის მიმართულებით. აგრეთვე მოხდება წარმატებული კოოპერატივების წარმატების ფაქტორების რეპლიკაცია სხვა კოოპერატივებისათვის.

**ღირებულება**

996,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

**დაფინანსება**

დაფინანსების დეფიციტი - 996,000.00 ლარი.

**დაფინანსების მიღების ვარიანტები**

საქართველოს FAO და GEF-გან მიღებული აქვს დაფინანსება საძოვრების მდგრადი მართვის პროექტების განსახორციელებლად. ამ ღონისძიების (UA2.3) მიზნებისა და ღონისძიება UA1.2-ის - პირუტყვის კვების ხარისხის გაუმჯობესება და საძოვრების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება მიზნების ერთდროულად მისაღწევად მიზანშეწონილი იქნება GEF-თვის საძოვრების მდგრადი მართვის შესახებ საშუალო ზომის პროექტის მომზადება. ეროვნულ დონეზე შესაძლებელია საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის (GRDF) მობილიზება, ვინაიდან ის მიზნად ისახავს ინვესტირებას აგრობიზნესის სფეროს მზარდ და დინამიურ მცირე და საშუალო საწარმოებში შიდა ეკონომიკური ზრდისა და თვითმდგრადობის ხელშესაწყობად, რაც თავსებადია ამ ღონისძიების მიზნებთან.

**UA2.4. კვლევა და კონსულტაციები საქართველოს კონტექსტში ეკონომიკურად და სოციალურად მიზანშეწონილი კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით**

**აღწერა**

კვლევებისა და კონსულტაციების ჩატარება საქართველოსთვის ეკონომიკურად და სოციალურად მიზანშეწონილი კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით ისეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურებსა და რეგიონებზე აქცენტით, სადაც ასეთი პრაქტიკა არ არის დანერგილი. 2024 წლისთვის კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის სახელმძღვანელოს მომზადება სულ მცირე 4 სასოფლო-სამეურნეო კულტურისთვის.

---

## ღირებულება

356,400.00 ლარი

---

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი - 356,400.00 ლარი.

---

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

ღონისძიების თემის გათვალისწინებით, საქართველოს დაფინანსების თხოვნით შეუძლია მიმართოს IFAD-ს და FAO-ს. საქართველოს სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება ძალიან მნიშვნელოვანია ამ ღონისძიების კვლევისა და ინოვაციების კომპონენტის განსახორციელებლად, ღონისძიების მიზნის ხასიათის გათვალისწინებით, რომელიც კვლევაზეა ორიენტირებული.

### **UA2.5. კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების დანერგვის ხელშეწყობა ექსტენციისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების მეშვეობით**

## აღწერა

ღონისძიების მიზანია კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების დანერგვის ხელშეწყობა ექსტენციისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების მეშვეობით.

---

## ღირებულება

356,400.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი - 356,400.00 ლარი.

---

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

ღონისძიების სპეციფიკისა და მისი შედეგებით მცირე მასშტაბის გათვალისწინებით, ყველაზე მიზანშეწონილი იქნება ორმხრივი დახმარების მიღება ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი თანამშრომლობის ინსტიტუტებისაგან. საქართველოს სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება ძალიან მნიშვნელოვანია ამ ღონისძიების კვლევისა და ინოვაციების კომპონენტის განსახორციელებლად, ღონისძიების მიზნის ხასიათის გათვალისწინებით, რომელიც კვლევაზეა ორიენტირებული.

---



ნარჩენების სექტორის დაბალნახშირბადიანი განვითარების ხელშეწყობა კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისების გზით

**UW1. არსებული უნებართვო, სტიქიური და არასახიფათო ნაგავსაყრელებიდან წარმოქმნილი სათბურის აირის ემისიების შემცირება**

ღონისძიება ითვალისწინებს თბილისსა და რეგიონებში რიგი უნებართვო, სტიქიური ნაგავსაყრელების ჩანაცვლებას არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელებით და არსებული ნაგავსაყრელების აღჭურვას თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც 2030 წლისთვის ნაგავსაყრელებიდან ემისიების რაოდენობას 2020 წელთან შედარებით 251 გგ CO<sub>2</sub>-ეკვ-ით შეამცირებს.

**UW1.1. ოფიციალური (უნებართვო) არასახიფათო ნაგავსაყრელების დახურვა**

**აღწერა**

ღონისძიება ითვალისწინებს არსებული უნებართვო მუნიციპალური ნაგავსაყრელების, მათ შორის 2024 წლამდე სულ მცირე ოთხი (4) ნაგავსაყრელის დახურვას.

**ღირებულება**

6,520,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

**დაფინანსება**

საქართველო EBRD-გან 4,000,000.00 ლარის ოდენობის სესხს მიიღებს. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნება 2,520,000.00 ლარის სახელმწიფო დაფინანსება 250501 საბიუჯეტო ხაზიდან. შესაბამისად, დაფინანსების დეფიციტი არ არის.

**დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)

**UW1.2. სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა**

**აღწერა**

ღონისძიება მიზნად ისახავს 2024 წლისთვის რეგიონებში არსებული ნაგავსაყრელების 100%-ის, მათ შორის 400-მდე ინდივიდუალური უბნის დახურვას.

## ღირებულება

2,800,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი - 2,800,000.00 ლარი.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, როგორცაა EBRD, საქართველოში ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებენ, რაც გააადვილებს ნაგავსაყრელების დასახურად საჭირო დაფინანსების მოზიდვას. გარდა ამისა, შავი ზღვის რეგიონში მოქმედ საფინანსო ინსტიტუტებსა და ბანკებს შეუძლიათ მუნიციპალიტეტებს მისცენ სესხები ნაგავსაყრელების დასახურად საჭირო ზომების მისაღებად.

### UW1.3. რეგიონული არასახიფათო ნაგავსაყრელების მოწყობა

#### აღწერა

2030 წლისთვის აჭარაში, ქვემო ქართლში, სამეგრელოში, იმერეთში, კახეთსა და ცენტრალურ საქართველოში შეთანხმებული სტანდარტებით მოეწყობა არასახიფათო ნარჩენების შვიდი (7) რეგიონული ნაგავსაყრელი.

## ღირებულება

47,520,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო EBRD და KfW-გან მიიღებს სესხს 47,520,000.00 ლარის ოდენობით.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

### UW1.4. თბილისის ნაგავსაყრელის განახლება და გაუმჯობესება

#### აღწერა

ღონისძიება მოიცავს თბილისის ნაგავსაყრელზე აირების შეგროვების სისტემის მოწყობასა და გამონაჟონის მართვის სისტემის გაუმჯობესებას საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. გარდა ამისა, მოხდება ნაგავმზიდების არსებული ავტოპარკის განახლება და მყარი ნარჩენების არსებული გადამტვირთავი სადგურების მოდერნიზაცია.

## ღირებულება

4,000,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო EBRD-გან 4,000,000.00 ლარის ოდენობის სესხს მიიღებს.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

### **UW1.5. ქუთაისის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე აირების მართვის სისტემის მოწყობა**

## აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს ქუთაისის ნაგავსაყრელზე აირების შეგროვებისა და გადამუშავების სისტემის მოწყობას, რომელიც სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკურ რეგლამენტს.

## ღირებულება

4,000,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო KfW და ევროკავშირი/NIF-გან მიიღებს სესხს/გრანტს 4,000,000.00 ლარის ოდენობით.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

### **UW1.6. ბათუმის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე აირების მართვის სისტემის მოწყობა**

## აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს ბათუმის ნაგავსაყრელზე აირების შეგროვებისა და გადამუშავების სისტემის მოწყობას, რომელიც სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკურ რეგლამენტს.

---

## ღირებულება

4,000,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო EBRD-გან 4,000,000.00 ლარის ოდენობის სესხს მიიღებს.

---

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ იკვება (N/A)

---

## UW2. ნარჩენების გადამუშავების ხელშეწყობა

ღონისძიებების მიზანია 2030 წლისთვის სათბურის აირების ემისიების დაახლოებით 150 გგ CO<sub>2</sub>-ეკვ-ით შემცირება ქალაქისა და ბიოდეგრადირებადი ნარჩენების რეციკლირების ინიციატივების წახალისებისა და მხარდაჭერის, მათ შორის ნარჩენების მართვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ღონის ამალღების გზით.

### UW2.1. მუნიციპალიტეტების მიერ ქალაქის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების პრაქტიკის დანერგვა და ქალაქის რეციკლირების წახალისება

#### აღწერა

ღონისძიების მიზანია ქალაქის რეციკლირების სულ მცირე 30%-იანი წლიური მაჩვენებლის მიღწევა მუნიციპალიტეტებში ქალაქის ნარჩენების წყაროსთან სეპარაციის პრაქტიკის დანერგვის, მუნიციპალიტეტების მიერ ქალაქის რეციკლირების წახალისებისა და ქალაქის რეციკლირების შესაძლებლობების გაზრდის გზით ინფორმაციის მოგროვებისა და საინფორმაციო ბროშურების მომზადების და გავრცელების მეშვეობით.

---

## ღირებულება

ადმინისტრაციული ხარჯები (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან ეს ღონისძიება გათვალისწინებულია ღონისძიება UW2.3-ში - ნარჩენების მართვის შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამალღება. ადმინისტრაციული ხარჯები დაიფარება 188,000.00 ლარის მოცულობის გრანტიდან, რომელსაც საქართველო შვედეთის, ნორვეგიისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებისგან მიიღებს.

---

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

ძალისხმევის გასააქტიურებლად საქართველოს შეუძლია ადმინისტრაციული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინოს.

### UW2.2. მუნიციპალიტეტების მიერ ბიოდეგრადირებადი (ორგანული და ბალის) ნარჩენების გადამუშავება

#### აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს ქუთაისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში ბიოდეგრადირებადი (ორგანული და ბალის) ნარჩენების კომპოსტირების ხელშეწყობას კომპოსტირების მუნიციპალური საწარმოების საშუალებით კომპოსტირების ისეთი წლიური მაჩვენებლების მისაღწევად, რომლებიც უზრუნველყოფენ ყოველწლიურად სულ მცირე 600 ტონა ბიოდეგრადირებადი ორგანული და ბალის ნარჩენების რეციკლირებას და წელიწადში სულ მცირე 40 ტონა კომპოსტის წარმოებას.

#### ღირებულება

1,188,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

#### დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო ევროკავშირისგან 1,188,000.00 ლარის მოცულობის გრანტს მიიღებს.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

### UW2.3. ნარჩენების მართვის შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება

#### აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების მიერ მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარებას ნარჩენების მართვის შესახებ ცოდნისა და ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად, რაც ხელს შეუწყობს რეციკლირებისა და კომპოსტირების ინიციატივების განხორციელებას.

#### ღირებულება

188,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

#### დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო შვედეთის, ნორვეგიისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებისგან 188,000.00 ლარის მოცულობის გრანტს მიიღებს.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

### **UW3. ურბანული ჩამდინარე წყლებიდან წარმოქმნილი სათბურის აირის ემისიების შემცირება**

ლონისძიებების მიზანია სათბურის აირების ემისიების შემცირება ჩამდინარე წყლების მართვის გაუმჯობესებით, აგრეთვე ჩამდინარე წყლების ახალი მუნიციპალური გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა და თბილისის, ბათუმისა და ქობულეთის ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებზე სათბურის აირების შეგროვებისა და გადამუშავების სისტემების დანერგვა.

#### **UW3.1. ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა**

##### აღწერა

ლონისძიება ითვალისწინებს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ცამეტი (13) ახალი ნაგებობის მშენებლობას და დაგეგმვას. კერძოდ, 2024 წლისთვის აბასთუმანში, ზუგდიდში, ფოთში, მარნეულში, მესტიასა და გუდაურში უნდა აშენდეს ექვსი (6) ახალი გამწმენდი ნაგებობა. ყვარელში, მუხრანში, მარტვილში, დუშეთში, ჟინვალში, ფასანაურსა და ხაშურში უნდა დაიგეგმოს შვიდი (7) ობიექტის მშენებლობა.

##### ღირებულება

183,120,618.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

##### დაფინანსება

საქართველოს ADB-გან სესხის სახით 148,906,274.00 ლარს მიიღებს. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნება 34,214,344.00 ლარი სახელმწიფო დაფინანსება 250401 საბიუჯეტო ხაზიდან. შესაბამისად, დაფინანსების დეფიციტი არ არის.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

### **UW3.2. თბილისის ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებზე სათბურის აირების შეგროვება და გადამუშავება**

##### აღწერა

თბილისის ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაზე სათბურის აირების შეგროვებისა და გადამუშავების სისტემის მოწყობა.

---

### ღირებულება

21,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

### დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან ღონისძიებას აფინანსებს გამწმენდი ნაგებობის მმართველი კომპანია შპს “Georgian Water and Power”.

---

### დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

## **UW3.3. ბათუმის ურბანულ ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაზე სათბურის აირების შეგროვება და გადამუშავება**

### აღწერა

ბათუმის ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაზე სათბურის აირების შეგროვებისა და გადამუშავების სისტემის მოწყობა.

---

### ღირებულება

17,500.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

### დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან ღონისძიებას აფინანსებს გამწმენდი ნაგებობის მმართველი კომპანია შპს „ბათუმის წყალი“.

---

### დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

## **UW3.4. ქობულეთის ჩამდინარე წყლების გამწმენდ სადგურზე სათბურის აირების შეგროვება და გადამუშავება**

### აღწერა

ქობულეთის ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაზე სათბურის აირების შეგროვებისა და გადამუშავების სისტემის მოწყობა.

---

### ღირებულება

17,500.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

---

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან ღონისძიებას აფინანსებს გამწმენდი ნაგებობის მმართველი კომპანია შპს „ქობულეთის წყალი“.

---

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

---

### **UW4. მონაცემებზე დაფუძნებული ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება**

ღონისძიება ითვალისწინებს ნარჩენების მართვის მონაცემთა ბაზის შექმნას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ნარჩენების წარმოქმნასთან, მართვასა და ემისიებთან დაკავშირებული გამოთვლების უკეთ განხორციელება და ნარჩენების სექტორის პოლიტიკისა და ღონისძიებების უფრო ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების ჩატარება.

#### **UW4.1. ნარჩენების სექტორში მონაცემების შეგროვებისა და განახლების კონსოლიდირებული პროცესის ჩამოყალიბება**

## აღწერა

ნარჩენების მართვის მონაცემების არსებული ბაზის გაუმჯობესება მეთოდების სისტემატიზაციისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ ნარჩენების სტატისტიკური მონაცემების მომზადების გზით, რაც შესაძლებელს გახდის ნარჩენების წარმოქმნასა და მართვასთან დაკავშირებული გამოთვლების უკეთ განხორციელებას და, შედეგად, სათბურის აირების ემისიების ინვენტარიზაციის უფრო ზუსტად და სრულყოფილად ჩატარებას, აგრეთვე ნარჩენების სექტორის პოლიტიკისა და მონიტორინგისა და შეფასების უფრო ეფექტიანად განხორციელებას.

---

## ღირებულება

62,500.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო ევროკავშირისგან თვინინგის პროგრამის საშუალებით გრანტის სახით 62,500.00 ლარს მიიღებს.

---

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

---



მიზანი

2030 წლისთვის, სატყეო სექტორის მიერ ნახშირბადის შთანთქმის შესაძლებლობის, 2015 წელს დაფიქსირებულ დონესთან შედარებით, 10%-ით გაზრდა.

**UF1. დეგრადირებული ტყის აღდგენა**

ლონისძიებების მიზანია 625 ჰა დეგრადირებული სატყეო ტერიტორიის (მათ შორის, ხანძრის შედეგად დაზიანებული ტერიტორიის) აღდგენა გატყიანების გზით და 2,411 ჰა ფართობზე ტყის ბუნებრივი აღდგენის ხელშეწყობა.

**UF1.1. 625 ჰა დეგრადირებული სატყეო ტერიტორიის (მათ შორის, ხანძრის შედეგად დაზიანებული ტერიტორიის) აღდგენა**

**აღწერა**

2024 წლისთვის, გატყიანების გზით 625 ჰა სატყეო ტერიტორიის აღდგენა (საშუალოდ 125 ჰა ყოველწლიურად).

**ღირებულება**

6,585,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

**დაფინანსება**

GCF-გან და გერმანიის მთავრობისგან საქართველო გრანტის სახით 3,960,000.00 ლარს მიიღებს. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნება 2,625,000.00 ლარის მოცულობის სახელმწიფო დაფინანსება 310902 საბიუჯეტო ხაზიდან. შესაბამისად, დაფინანსების დეფიციტი არ არის.

**დაფინანსების მიღების ვარიანტები**

არ ივსება (N/A)

**UF1.2. დეგრადირებული ტყის აღდგენა ბუნებრივი აღდგენის ხელშეწყობის გზით**

**აღწერა**

2411 ჰა-ზე მეტი დეგრადირებული სატყეო ტერიტორიების აღდგენა ეროვნული სატყეო სააგენტოს (800 ჰა), აჭარის სატყეო სააგენტოს (600 ჰა) და ახმეტის მუნიციპალიტეტის (991 ჰა) მიერ ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობით.

## ღირებულება

4,758,260.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

GCF-გან და გერმანიის მთავრობისგან საქართველო გრანტის სახით 3,633,260.00 ლარს მიიღებს. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნება 1,125,000.00 ლარის მოცულობის სახელმწიფო დაფინანსება 310902 საბიუჯეტო ხაზიდან. შესაბამისად, დაფინანსების დეფიციტი არ არის.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

### **UF2. ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა**

ღონისძიებების მიზანია ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავება და განხორციელება, ზედამხედველობისა და შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველყოფა, ტყეების მრავალფუნქციური გამოყენების მხარდაჭერა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ტყის რეფორმის პროცესებში მისი ჩართულობის გაძლიერება, აგრეთვე საქართველოს ზურმუხტის ქსელის მართვის გეგმების მომზადება და განხორციელება. ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა ასევე მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა, ჭრა, ტყის აღდგენა, სანიტარული ჭრები, და სხვ.

#### **UF2.1. ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვა ტყის მდგრადი მართვის გეგმების განხორციელების გზით**

## აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს 2027 წლისთვის 270,807 ჰა სატყეო ტერიტორიაზე ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვასა და განხორციელებას საჭირო საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის, ზედამხედველობის მხარდაჭერის, ცოდნისა და შესაძლებლობების მართვის გაძლიერების, გაზომვის, ანგარიშგების და გადამოწმების (MRV) სისტემის გაძლიერების, მდგრადი მეთოდებით დამზადებული შეშით მომარაგების ხელშეწყობის, და ტყის მოვლის, ჭრისა და აღდგენისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობისა და პრაქტიკის განვითარების მხარდაჭერის გზით.

## ღირებულება

12,512,960.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

GCF-გან და გერმანიის მთავრობისგან საქართველო გრანტის სახით 10,002,960.00 ლარს მიიღებს. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნება 2,510,000.00 ლარის მოცულობის სახელმწიფო დაფინანსება 310904 საბიუჯეტო ხაზიდან. შესაბამისად, დაფინანსების დეფიციტი არ არის.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

**UF2.2. ტყის მართვის მდგრადი პრაქტიკის დანერგვა ზედამხედველობისა და შესაძლებლობების გაძლიერების გზით.**

## აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს 2027 წლისთვის 270,807 ჰა სატყეო ტერიტორიაზე ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვასა და განხორციელებას საჭირო საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის, ცოდნის მართვის, შესაძლებლობების გაძლიერების, გაზომვის, ანგარიშგების და გადამოწმების (MRV) სისტემის გაძლიერების და მდგრადი მეთოდებით დაზღვეული შეშით მომარაგების გზით.

## ღირებულება

411,123.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო GCF-გან და გერმანიის მთავრობისგან გრანტის სახით 411,123.00 ლარს მიიღებს.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

**UF2.3. ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა ტყეების მრავალფუნქციური გამოყენების მხარდაჭერით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებითა და ტყის რეფორმის პროცესებში საზოგადოების ჩართვის მხარდაჭერით**

## აღწერა

ლონისძიების მიზანია ტყეებზე ზეწოლის შემცირება ტყეების მრავალფუნქციური გამოყენების მხარდაჭერით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებითა და ტყის რეფორმის პროცესებში საზოგადოების ჩართვის მხარდაჭერით. გათვალისწინებულია ტყის არამერქნული, მათ შორის, ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალის შეფასება პრიორიტეტების გამოსავლენად და ტყეების მრავალფუნქციური გამოყენების სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად და განსახორციელებლად. ღონისძიება ასევე მოიცავს ტყეების მრავალფუნქციური გამოყენების, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტყეების მდგრადი გამოყენების მეთოდებისა და ტყეების მდგრადი გამოყენების სარგებლის შესახებ კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.

## ღირებულება

1,445,400.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო GCF-გან, გერმანიის, შვედეთისა და შვეიცარიის მთავრობებისგან გრანტის სახით 1,445,400.00 ლარს მიიღებს.

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

### **UF2.4. დამტკიცებული და კანდიდატი ზურმუხტის ქსელის საიტების ფარგლებში მოქცეული ტყის ფონდის ტერიტორიის მდგრადი მართვა და დაცვა**

## აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს დამტკიცებული და კანდიდატი ზურმუხტის ქსელის ფარგლებში (590,103 ჰა დამტკიცებული; 52,997 ჰა კანდიდატი) 643,100 ჰა სპეციალური დაცული ტერიტორიების (SAC) ტყის ფონდის მდგრად მართვას და განვითარებას. ის ასევე მოიცავს ისეთ დამხმარე ღონისძიებებს, როგორცაა საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა, ჭრა, ტყის აღდგენა, სანიტარული ჭრები, და სხვ.

## ღირებულება

60,000.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან საქართველო გერმანიის მთავრობისგან გრანტის სახით 60,000.00 ლარს მიიღებს.

## დაფინანსების მიზანის ვარიანტები

არ ივსება (N/A)

### **UF2.5. ახალ დაცულ ტერიტორიებში შემავალი ტყის ფართობის დაცვა ან/და მდგრადი მართვა**

#### აღწერა

ლონისძიება ითვალისწინებს შემდეგ ახალ დაცულ ტერიტორიებში შემავალი 162,895 ჰა ტყის ტერიტორიის დაცვა და მდგრადი მართვა: ერუშეთის ეროვნული პარკი (7,393 ჰა), რაჭის ეროვნული პარკი (17,230 ჰა), რაჭა-ლეჩხუმის დაცული ტერიტორიები (28,835 ჰა), არაგვის დაცული ლანდშაფტი (41,759 ჰა), სვანეთის დაცული ტერიტორიები (22,325 ჰა), თრიალეთის დაცული ტერიტორიები (8,208 ჰა), ძამის დაცული ტერიტორიები (16,571 ჰა), სამეგრელოს დაცული ტერიტორიები (12,366 ჰა), ატენის დაცული ტერიტორიები (8,208 ჰა).

#### ღირებულება

185,845.00 ლარი (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

#### დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან უზრუნველყოფილი იქნება 185,845.00 ლარის მოცულობის სახელმწიფო დაფინანსება 310802 საბიუჯეტო ხაზიდან.

## დაფინანსების მიზანის ვარიანტები

არ ივსება (N/A)

### **UF3. კლიმატის ცვლილების გამოწვევებისადმი ადეკვატური ტყის მართვის სისტემის განვითარება**

დაცული ტერიტორიების მდგრადი მართვის უზრუნველყოფის მიზნით დაცული ტერიტორიების მართვის გეგმებში კლიმატის ცვლილების საკითხების განხილვა, შემუშავება და ეტაპობრივი ინტეგრირება.

#### **UF3.1. დაცული ტერიტორიების მართვის გეგმებში კლიმატის ცვლილების საკითხების, მათ შორის შერბილების, ინტეგრირება.**

---

## ალნა

ლონისძიება ითვალისწინებს, დაცული ტერიტორიების მდგრადი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, დაცული ტერიტორიების მართვის გეგმების 100%-ში კლიმატის ცვლილების საკითხების, შერბილების ჩათვლით, განხილვას, შემუშავებასა და ეტაპობრივი ინტეგრირებას 2030 წლისთვის, აქედან ნახევარში გათვალისწინებული უნდა იყოს გენდერული ასპექტები.

---

## ღირებულება

ადმინისტრაციული ხარჯები (2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმა)

---

## დაფინანსება

დაფინანსების დეფიციტი არ არის, ვინაიდან ეს ღონისძიება გათვალისწინებულია ღონისძიება UF2.1-ში - ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვა ტყის მდგრადი მართვის გეგმების განხორციელების გზით. ადმინისტრაციული ხარჯები დაიფარება 10,002,960.00 ლარის ოდენობის გრანტიდან, რომელსაც საქართველო GCF-ისა და გერმანიის მთავრობისგან მიიღებს. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნება 2,510,000.00 ლარის მოცულობის სახელმწიფო დაფინანსება 310904 საბიუჯეტო ხაზიდან.

---

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

არ ივსება (N/A)

---

# დანართი III შერბილების პრიორიტეტული პირობიანი ღონისძიებები

## ენერჯის გენერაცია და გადაცემა



მიზანი

განახლებადი ენერჯის უფრო ფართოდ გამოყენება ენერჯო-საფრთხოების გაზრდის, ენერჯომატარებლების იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებისა და სექტორიდან სათბურის აირების ემისიების შემცირების მიზნით, საერთაშორისო დახმარების პირობით.

### CE1. განახლებადი ენერჯის დამატებითი ხელშეწყობა

ღონისძიებების მიზანია საქართველოში არსებული განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენება ქვეყნის ენერჯო-საფრთხოების გასაძლიერებლად და იმპორტზე დამოკიდებულების შესამცირებლად, რაც საქართველოს მთავრობის ენერჯეტიკული პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს.

#### CE1.1. საქართველოში გეოთერმული და მზის ენერჯის შესაძლებლობების შესწავლა



აღწერა

ღონისძიების მიზანია საქართველოში გეოთერმული და მზის ენერჯის შესაძლებლობების შესწავლა განახლებადი ენერჯის მისაღებად. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მზის რადიაცია საკმაოდ მაღალია. მზის ენერჯის სრული სავარაუდო პოტენციალი, წლის განმავლობაში, საშუალოდ, 108 მგვტ-ია, საქართველოს რეგიონების უმეტეს ნაწილში წელიწადში მზიანი დღეების რაოდენობა 250-280-ს შეადგენს, რაც წელიწადში დაახლოებით 1,900-2,200 მზიან საათს უდრის. გარდა ამისა, საქართველოს აქვს საშუალო და მაღალი ტემპერატურის თერმული წყლების მნიშვნელოვანი რესურსები.



ღირებულება

საქართველოში საშუალო სიმძლავრის განახლებადი ენერჯის პროექტების მომზადების, აშენებისა და ექსპლუატაციის დასაფინანსებლად საჭირო იყო 1,127,560,000.00 ლარი (EBRD)<sup>45</sup>

45 EBRD-ის პროექტის „საქართველოს დაბალნახშირბადიანი ჩარჩოს“ შემაჯამებელი დოკუმენტი: <https://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/georgian-low-carbon-framework.html>

---

## დაფინანსება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

---

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

რამდენიმე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, როგორცაა ADB, EBRD, NEFO და GGF აქტიურად იყო ჩართული საქართველოში განახლებადი ენერჯის პროექტების დაფინანსებაში. მათი წარსული გამოცდილებისა და ინტერესის გათვალისწინებით, ორგანიზაციები დაფინანსების მიღების შესაძლო წყაროდ უნდა ჩაითვალოს. საერთაშორისო წყაროებიდან მიღებული სახსრები შეიძლება შეივსოს ეროვნული დაფინანსებით, კერძოდ იმ კომპანიების მიერ, რომლებიც ელექტროსადგურებს ამუშავებენ.

### CE1.2. წყლის და ქარის ენერჯის ფართოდ გამოყენება

#### აღწერა

ღონისძიების მიზანია საქართველოს ჰიდროლოგიური და ქარის პოტენციალის უფრო ფართოდ გამოყენება განახლებადი ენერჯის მისაღებად, ვინაიდან ამჟამად ქვეყნის ჰიდროლოგიური და ქარის პოტენციალის მხოლოდ მცირე ნაწილია ათვისებული. ჰიდროლოგიური რესურსების ჯამური ენერგეტიკული პოტენციალი 1,450 მგვტ-ს, ხოლო ქარის ენერგეტიკული პოტენციალი 4 ტერავატ/სთ-ს შეადგენს.

---

#### ღირებულება

საქართველოში საშუალო სიმძლავრის განახლებადი ენერჯის პროექტების მომზადების, აშენებისა და ექსპლუატაციის დასაფინანსებლად საჭირო იყო 1,127,560,000.00 ლარი (EBRD)<sup>46</sup>

---

## დაფინანსება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

---

46 EBRD-ის პროექტის „საქართველოს დაბალნახშირბადიანი ჩარჩოს“ შემაჯამებელი დოკუმენტი: <https://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/georgian-low-carbon-framework.html>

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, მათ შორის ADB, საქართველოს ჰიდროენერგეტიკაში ინვესტიციებს ახორციელებს. ADB-თვის დასაფინანსებლად წარდგენილია 49223-001<sup>47</sup> პროექტი, რომელმაც, დამტკიცების შემთხვევაში შეიძლება წვლილი შეიტანოს ამ ღონისძიების განხორციელებაში. რამდენიმე ჰიდროენერგეტიკული პროექტი საქართველოში EBRD-მაც დააფინანსა. საქართველოში განახლებადი ენერგეტიკის პროექტებს აქტიურად აფინანსებენ სხვა საერთაშორისო ფონდებიც, როგორცაა NEFCO და GGF, რომლებსაც ქვეყანას დაფინანსების თხოვნით შეუძლია მიმართოს. საერთაშორისო წყაროებიდან მიღებული სახსრები შეიძლება შეივსოს ეროვნული დაფინანსებით, კერძოდ იმ კომპანიების მიერ, რომლებიც ელექტროსადგურებს ამუშავებენ.

## **CE1.3. განახლებად ენერჯიაში ინვესტიციების მოსაზიდად წამახალისებელი მექანიზმების შესწავლა**

### აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს ფინანსური წახალისების/სტიმულირების მექანიზმების შესწავლასა და შეფასებას საქართველოს განახლებადი ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების მოცულობის გასაზრდელად.

### ღირებულება

ბალკანეთის რეგიონში განხორციელებულ პროექტებში, რომლებიც ითვალისწინებდნენ ენერჯიის განახლებად წყაროებში ინვესტიციების რისკების შემცირებას, ამ სფეროში ინვესტიციების მხარდაჭერის მიზნით მდგრადი ბიზნეს მოდელებისა და ფინანსური მექანიზმების შესასწავლად თითქმის 6,000,000.00 ლარი იყო გამოყოფილი. (GEF)<sup>48</sup>

### დაფინანსება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

ასეთი კვლევის ჩასატარებლად ყველაზე მიზანშეწონილი იქნება ევროპული ქვეყნებიდან და/ან სააგენტოებიდან ორმხრივი ტექნიკური დახმარების მიღება. ასევე შესაძლებელია გრანტების მოპოვება ისეთი ევროპული ფონდებიდან, რომლებიც ხელს უწყობენ შავი ზღვის რეგიონში ენერჯიის განახლებადი წყაროების ათვისებასა და ენერგოეფექტურობის ამაღლებას.

47 ADB-თვის დასაფინანსებლად წარდგენილი პროექტი #49223-001 - ნენსკრა ჰესი: <https://www.adb.org/projects/49223-001/main>

48 GEF-ის პროექტის დოკუმენტი. „ენერჯიის განახლებად წყაროებში ინვესტიციების რისკების შემცირება“: <https://www.thegef.org/projects-operations/projects/9192>

## CE2. ბიოგაზზე მომუშავე ელექტროსადგურის მოწყობა

ლონისძიება მიზნად ისახავს საქართველოს ენერჯის განახლებადი წყაროების გაფართოებას ბიოგაზზე მომუშავე პირველი ელექტროსადგურის მშენებლობის გზით, რაც საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის მისიას შეესაბამება.

### CE2.1. ბიოგაზზე მომუშავე ელექტროსადგურის მიზანშეწონილობის კვლევის ჩატარება

#### აღწერა

ლონისძიების მიზანია პირველი ნაბიჯების განხორციელება ბიოგაზის ელექტროსადგურის მშენებლობაში, რომელიც საწვავად ამარანტს გამოიყენებს. ვინაიდან ეს ტექნოლოგია საქართველოში საწყის ეტაპზე საჭირო იქნება პროექტის მიზანშეწონილობის შეფასება საერთაშორისო ექსპერტების მიერ.

#### ღირებულება

უნგრეთში 1,6 მგვტ სიმძლავრის ბიოგაზის ელექტროსადგურის მშენებლობის ღირებულება 18,000,000.00 ლარამდე შეფასდა. ამ ფასში შედიოდა ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის ყველა ფაზის, საინჟინრო პროექტის, შესყიდვების, მასალების შექმნისა და მშენებლობის ხარჯები. (EEA)<sup>49</sup> აღმოსავლეთ ევროპაში ენერჯის განახლებად წყაროებზე ცენტრალიზებული გათბობის მოწყობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის წინასწარი კვლევის ღირებულება თითო რაიონზე 775,000.00 - 1,155,000.00 ლარს შეადგენდა. (EEA)<sup>50</sup>

#### დაზინანება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

#### დაზინანების მიღების ვარიანტები

ამ პირობიან ღონისძიებაში გათვალისწინებული ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევების ჩასატარებლად ყველაზე მიზანშეწონილი იქნება ევროპული ქვეყნებიდან და/ან სააგენტოებიდან ორმხრივი ტექნიკური დახმარების მიღება.

49 ისლანდიის, ლიხტენშტეინის, ნორვეგიის გრანტები. პროექტი „ბალატონზაბადში 1,6 მგვტ სიმძლავრის ბიოგაზის ელექტროსადგურის მოწყობა“: <https://eeagrants.org/archive/2009-2014/projects/HU02-0013>

50 ისლანდიის, ლიხტენშტეინის, ნორვეგიის გრანტები. პროექტი „ორადიაში გეოთერმულ ენერჯიაზე მომუშავე გათბობის ცენტრალიზებული სისტემის მოწყობის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევა“ და „ბეიუსში გეოთერმულ ენერჯიაზე მომუშავე გათბობის ცენტრალიზებული სისტემის მოწყობის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევა“: <https://eeagrants.org/archive/2009-2014/projects/RO06-0008> და <https://eeagrants.org/archive/2009-2014/projects/RO06-0009>



მიზანი

გარემოს დამაბინძურებელი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით არაეფექტიანი სატრანსპორტო საშუალებებიდან ენერგოეფექტურ და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სუფთა სატრანსპორტო საშუალებებზე გადასვლა, საერთაშორისო დახმარების პირობით.

**CT1. არამოტორიზებული კერძო და საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების შემდგომი პოპულარიზაცია**

ღონისძიებების მიზანია გადაადგილების ისეთი ალტერნატიული საშუალებების პოპულარიზაცია და წახალისება, როგორცაა არამოტორიზებული კერძო და საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებები, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით არაეფექტიანი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების შესამცირებლად.

**CT1.1. საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განახლება და მოდერნიზაცია**

აღწერა

ეს ღონისძიება ითვალისწინებს საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განახლებასა და მოდერნიზაციას 2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული პროექტების საფუძველზე.

ღირებულება

ახალი სატრანსპორტო კომპანიების დასაარსებლად და არსებული კომპანიების გასაძლიერებლად საჭიროა დაახლოებით 93,741,921.00 ლარი (EBRD)<sup>51</sup>

დაფინანსება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

51 EBRD-ის „საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამის“ რეზიუმე: <https://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/50842.html>

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

საქართველო ქვეყნის საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და განახლებისთვის დაფინანსებას სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის ADB, EBRD, EIB და E5P-დან იღებს. შესაბამისად, ეს არის კარგი შესაძლებლობა საჯარო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი განახლებისა და მოდერნიზაციისათვის დამატებითი დაფინანსების მოსაპოვებლად. უპირობო ღონისძიება UT4.1-ის საშუალებით საქართველო მოამზადებს წინადადებებს კლიმატის საერთაშორისო დაფინანსების მისაღებად საზოგადოებრივი, საქალაქთაშორისო და არამოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებების განვითარების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ამ პირობიანი ღონისძიება CT1.1-ის განსახორციელებლად საჭირო საერთაშორისო დახმარების მხარდაჭერის იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფას.

### **CT1.2. არამოტორიზებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განახლება და მოდერნიზაცია.**

#### აღწერა

ეს ღონისძიება ითვალისწინებს არამოტორიზებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განახლებასა და მოდერნიზაციას 2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმის მიხედვით მომზადებული პროექტების საფუძველზე.

#### ღირებულება

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და განვითარების საქართველოში ადრე განხორციელებული პროექტების ღირებულება დაახლოებით 570,000,000.00 ლარი იყო (EIB)<sup>52</sup>. ზუსტი ღირებულება ცნობილი გახდება 2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმის მიხედვით არამოტორიზებული ტრანსპორტისთვის საპროექტო წინადადებების მომზადების შემდეგ.

#### დაფინანსება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

ტრანსპორტის სექტორში შერბილების უპირობო ღონისძიებების განსახორციელებლად საქართველო EBRD, ADB, KfW და AFD-გან მნიშვნელოვან დახმარებას იღებს. ამ ღონისძიების მასშტაბებიდან გამომდინარე, ყველაზე მიზანშეწონილი იქნება გრანტებისა და სესხების მოძიება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან და განვითარების ბანკებიდან.

52 EIB-ის პროექტის “საქართველოს ურბანული რეკონსტრუქცია და განვითარება” დოკუმენტი: <https://www.eib.org/en/projects/all/20150172>

## CT2. საზოგადოებრივი სამგზავრო და საქალაქთაშორისო სარკინიგზო მომსახურების გაუმჯობესება

ლონისძიების მიზანია საზოგადოებრივი სამგზავრო და საქალაქთაშორისო სარკინიგზო მომსახურების გაუმჯობესება იმისათვის, რომ ის უფრო მიმზიდველი და მომგებიანი გახდეს მგზავრებისათვის, რაც დამაბინძურებელი სატრანსპორტო საშუალებების ეტაპობრივად ჩანაცვლებას უზრუნველყოფს.

### CT2.1. ახალი და თანამედროვე მატარებლების შექმნა სამგზავრო სარკინიგზო მომსახურებისთვის.

#### აღწერა

სამგზავრო სარკინიგზო მომსახურების გაუმჯობესება, რაც მოიცავს ახალი, თანამედროვე და უფრო ეფექტიანი მატარებლების შექმნასა და ექსპლუატაციას და ამ მატარებლებით ძველი და დამაბინძურებელი მატარებლების ჩანაცვლებას

#### ღირებულება

აღმოსავლეთ-დასავლეთის სარკინიგზო დერეფნის მოდერნიზაციის პროექტი, რომელიც აზერბაიჯანში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდა, ითვალისწინებდა დაახლოებით 1,076,014,400.00 ლარის ღირებულების 40 ახალი მაგისტრალური ელექტროლოკომოტივის შექმნას (WB)<sup>53</sup>

#### დაფინანსება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

#### დაფინანსების მიღების ვარიანტები

ღონისძიების ფარგლებისა და საჭირო დაფინანსების მოცულობის გათვალისწინებით, საქართველოს დაფინანსების თხოვნით შეუძლია მიმართოს მსოფლიო ბანკს, EBRD-ს ან ADB-ს, რაც სატრანსპორტო სექტორში უპირობო ღონისძიებების მოქმედებების დაფინანსების წყაროებს შეესაბამება.

53 მსოფლიო ბანკი (P083108) – სარკინიგზო ვაჭრობისა და ტრანსპორტის ხელშეწყობა: <https://documents1.worldbank.org/curated/en/807121468208766866/pdf/ISR-Disclosable-P083108-12-31-2014-1420043872711.pdf>

## CT2.2. საქალაქთაშორისო სარკინიგზო სისტემის ხარისხის გაუმჯობესება

### აღწერა

საქალაქთაშორისო სარკინიგზო სისტემის გაუმჯობესება 2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული საპროექტო წინადადებებისა და კლიმატის ცვლილების შერბილების ეროვნული პრიორიტეტის საფუძველზე მოხდება.

### ღირებულება

სარკინიგზო დერეფნის შესაფასებლად, სხვათა საკითხებთან ერთად ინფრასტრუქტურის საინვესტიციო საჭიროებების დასადგენად, საჭიროა დაახლოებით 724,860.00 ლარი<sup>54</sup>

### დაფინანსება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

### დაფინანსების მიღების ვარიანტები

იმის გამო, რომ საქალაქთაშორისო სარკინიგზო სისტემის გაუმჯობესების საჭირო მიმართულებების დასადგენად საჭირო იქნება საპროექტო წინადადებების მომზადება, საქართველომ შესაბამისი შეფასების ჩასატარებლად დაფინანსება უნდა მოიძიოს.

EBRD ამჟამად აფინანსებს ტექნიკურ დახმარებას გარკვეული სარკინიგზო დერეფნის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო საჭიროებების შესაფასებლად. ამის გათვალისწინებით, ამ ღონისძიების განსახორციელებლად საქართველოს შეუძლია დაფინანსება EBRD-გან მოიპოვოს.

## CT3. მსუბუქი ავტომობილების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება

ღონისძიების მიზანია კერძო მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებების ენერგოეფექტურობის შემდგომი გაუმჯობესება საქართველოს მოძველებული და დაბალეფექტიანი ავტოპარკის გამო.

54 ADB-ის პროექტი 5329-001 - სომხეთსა და საქართველოს შორის ტრანსსასაზღვრო სარკინიგზო მომსახურების გაუმჯობესების მხარდაჭერა: <https://www.adb.org/projects/55329-001/main>

### CT3.1. კერძო მსუბუქი ავტომობილების ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად წამახალისებელი მექანიზმების შესწავლა

#### აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს ფინანსური წახალისების/სტიმულირების მექანიზმების შესწავლასა და შეფასებას ქვეყანაში კერძო მსუბუქი ავტომობილების ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

#### ღირებულება

აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში მდგრადი დაბალნახშირბადიანი ტრანსპორტის ახალი მიდგომების შესასწავლად ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეფასებების, კვლევებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების განხორციელების ღირებულებამ 1,600,000.00 - 2,000,000.00 ლარი შეადგინა. (ADB)<sup>55</sup>

#### დაფინანსება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

#### დაფინანსების მიღების ვარიანტები

საერთაშორისო განვითარების ბანკებს, როგორცაა ADB და EBRD, საქართველოსთვის მომზადებული აქვთ შეფასებები, სტრატეგიები და საგზაო რუკები ქვეყნის სატრანსპორტო სექტორის მდგრადი განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, კერძო მსუბუქი ავტომობილების ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად ფინანსური წახალისების/სტიმულირების მექანიზმების შესწავლის მიზნით დაფინანსების მოსაპოვებლად ყველაზე მიზანშეწონილი იქნება ამ ინსტიტუტებისთვის მიმართვა. გარდა ამისა, ღონისძიების მცირე მასშტაბის გათვალისწინებით, ასევე მიზანშეწონილი იქნება ორმხრივი ტექნიკური დახმარების მიღება იმ ევროპული სააგენტოებიდან, რომლებიც უკვე მუშაობენ ქვეყანაში სატრანსპორტო სექტორის ენერგოეფექტურობის მიმართულებით.

55 ADB-ის პროექტის დოკუმენტაცია. პროექტი „რეგიონული: მდგრადი ტრანსპორტის დანერგვა აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში - ახალი მიდგომები აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში მდგრადი დაბალნახშირბადიანი ტრანსპორტის დასანერგად (ქვეპროექტი 5)“ და პროექტი „მონღოლეთი: მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშეწყობის სისტემების გაძლიერება“: <https://www.adb.org/projects/45105-003/main> და <https://www.adb.org/projects/51123-001/main>

## CT4. სატვირთო გადაზიდვების საგზაოდან სარკინიგზო ტრანსპორტზე გადასვლის მხარდაჭერა

ღონისძიების მიზანია სატვირთო გადაზიდვების საგზაოდან სარკინიგზო ტრანსპორტზე გადასვლის მხარდაჭერის ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტის განხორციელება 2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისა და ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის შედეგების საფუძველზე.

### CT4.1. სატვირთო გადაზიდვების საგზაოდან სარკინიგზო ტრანსპორტზე გადასვლის წამახალისებელი მექანიზმების შესწავლა

#### აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს ფინანსური წახალისების/სტიმულირების მექანიზმების შესწავლასა და შეფასებას ქვეყანაში სატვირთო გადაზიდვების საგზაოდან სარკინიგზო ტრანსპორტზე გადასვლის ხელშესაწყობად.

#### ღირებულება

რამდენიმე ქვეყანისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, გაწეული რეგიონული ტექნიკური დახმარების მოცულობა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მიზნად ისახავდა საგზაო ტრანსპორტთან შედარებით რკინიგზის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას, დაახლოებით 8,054,000.00 ლარს შეადგენდა<sup>56</sup>

#### დაფინანსება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

#### დაფინანსების მიღების ვარიანტები

რამდენიმე საფინანსო ინსტიტუტი აქტიურად არის ან იყო ჩართული საქართველოს სარკინიგზო სექტორის განვითარებაში. ქვეყანას დასაფინანსებლად შეუძლია მიმართოს EBRD, EIB ან ADB-ს ღონისძიების ეროვნული მასშტაბისა და საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის მოდერნიზაციაში ამ საფინანსო ინსტიტუტების მონაწილეობის გათვალისწინებით.

56 ADB-ის პროექტი #52137-001 - სარკინიგზო სექტორის განვითარება ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნებში: <https://www.adb.org/projects/52137-001/main>



**მიზანი**

შენობების ენერგოეფექტურობის შემდგომი გაუმჯობესება ნახშირბადისგან თავისუფალი შენობების უზრუნველყოფისაკენ მიმართული ინოვაციური ღონისძიებების მეშვეობით, საერთაშორისო დახმარების პირობით.

**CB1. საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება**

ღონისძიებების მიზანია გადაადგილების ისეთი ალტერნატიული საშუალებების პოპულარიზაცია და წახალისება, როგორცაა არამოტორიზებული კერძო და საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებები, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით არაეფექტიანი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების შესამცირებლად.

**CB1.1. საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტურობის საინფორმაციო სისტემის შექმნა**



**აღწერა**

ღონისძიება ითვალისწინებს ინფორმაციული სისტემის შექმნას, რომელშიც შევა საცხოვრებელი შენობების ინვენტარიზაციის სისტემატიზებულად შეგროვებული და სტრუქტურირებული მონაცემები. სისტემის საშუალებით, კერძოდ, ზუსტ და განახლებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახდება ქვეყანაში არსებული საცხოვრებელი შენობების კლიმატის ცვლილების შერბილების პოტენციალის უკეთ შეფასება და ენერგოეფექტურობის უფრო ეფექტიანი და მიზანმიმართული პოლიტიკის შემუშავება.



**ღირებულება**

საზოგადოებისა და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს შეფასების მიზნით მონაცემთა ინსტრუმენტების შესაქმნელად უზრუნველყოფილი ტექნიკური დახმარების მოცულობა ადრე დაახლოებით 7,630,600.00 ლარს შეადგენდა. (ADB)<sup>57</sup>



**დაფინანსება**

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

57 ADB პროექტი #55242-001 - ახალი სტატისტიკური რესურსების შემუშავება და შესაძლებლობების გაზრდა მონაცემთა ახალ წყაროებისა და ტექნოლოგიების სფეროში: <https://www.adb.org/projects/55242-001/main>

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

ღონისძიების მასშტაბისა და ონლაინ ინსტრუმენტებსა და სისტემებთან დაკავშირებით ქვეყნისთვის ადრე გაწეული ტექნიკური დახმარების გათვალისწინებით, დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს შეუძლია ორმხრივ ევროპულ პარტნიორებს მიმართოს.

### CT1.2. საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება

#### აღწერა

ღონისძიება შეიმუშავებს ეროვნულ პროგრამებსა და დაფინანსების ინსტრუმენტებს ქვეყანაში საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების წასახალისებლად, რომლებსაც ქვეყნის შენობების სექტორში ენერჯის დაზოგვის და სათბურის აირების ემისიების შემცირების უდიდესი პოტენციალი აქვთ.

#### ღირებულება

არსებული საჯარო შენობების ენერგოეფექტური მოდერნიზაციისათვის საჭირო იყო დაახლოებით 72,109,170.00 ლარი (NAMA რეესტრი)<sup>58</sup>

#### დაფინანსება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

საქართველოში შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას ფინანსური მხარდაჭერა დაფინანსების როგორც ორმხრივმა, ასევე მრავალმხრივმა წყაროებმა აღმოუჩინეს. მაგალითად, Mitigation Momentum პროექტის საშუალებით, რომელიც კლიმატის საერთაშორისო ინიციატივის (IKI) ნაწილს წარმოადგენს, დაფინანსდა ეროვნულ დონეზე მისაღები შემარბილებელი ღონისძიება (NAMA) - საქართველოს საჯარო შენობების ენერგოეფექტური მოდერნიზაცია, ხოლო NEFCO და E5P აფინანსებენ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს საჯარო შენობებში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელებისა და ქვეყანაში ენერჯის ალტერნატიული და განახლებადი წყაროების გამოყენების პოპულარიზაციის მიმართულებით. შესაბამისად, საქართველოს დაფინანსებისათვის შეუძლიათ მიმართოს რამდენიმე წყაროს, ღონისძიებების მასშტაბების მიხედვით.

58 NAMA რეესტრი. NS – 228 – „საქართველოს საჯარო შენობების ენერგოეფექტური მოდერნიზაცია“: [309](https://www4.unfccc.int/sites/PublicNAMA/_layouts/un/fccc/nama>NamaSeekingSupportForImplementation.aspx?ID=158&viewOnly=1</a></p></div><div data-bbox=)

## **CB2. გათბობის ავტონომიური სისტემების დანერგვა არსებულ საცხოვრებელ შენობებში**

ლონისძიების მიზანია არსებულ მრავალბინიან შენობებში გათბობის ავტონომიური სისტემების, როგორც დამატებითი ტექნოლოგიური ვარიანტის, დანერგვა შენობების სექტორში ენერჯის მოხმარების შესამცირებლად.

**CT2.1. არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ შენობებში, გათბობის ავტონომიური სისტემების ეკონომიკური და კლიმატის ცვლილების პოტენციალის იდენტიფიცირების მიზნით, ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის ჩატარება**

### **აღწერა**

იმის გათვალისწინებით, რომ გათბობის ავტონომიური სისტემები და, უფრო კონკრეტულად, ნარჩენების ენერჯიად გარდაქმნის ტექნოლოგიები ქვეყანაში არ არის დანერგილი, ლონისძიების ფარგლებში ჩატარდება არსებული მრავალბინიან შენობებში ტექნოლოგიის დანერგვის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევა.

### **ღირებულება**

აღმოსავლეთ ევროპაში ენერჯის განახლებად წყაროებზე ცენტრალიზებული გათბობის მოწყობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის წინასწარი კვლევის ღირებულება თითო რაიონზე 775,000.00 - 1,155,000.00 ლარს შეადგენდა. (EEA)<sup>59</sup>

### **დაფინანსება**

ამ ლონისძიების, როგორც პირობიანი ლონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

### **დაფინანსების მიღების ვარიანტები**

ამ პირობიან ლონისძიებაში გათვალისწინებული ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევების ჩასატარებლად ყველაზე მიზანშეწონილი იქნება ევროპული ქვეყნებიდან და/ან სააგენტოებიდან ორმხრივი ტექნიკური დახმარების მიღება.

59 ისლანდიის, ლისტენშტეინის, ნორვეგიის გრანტები. პროექტი „ორადიაში გეოთერმულ ენერჯიაზე მომუშავე გათბობის ცენტრალიზებული სისტემის მოწყობის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევა“ და „ბეიუსში გეოთერმულ ენერჯიაზე მომუშავე გათბობის ცენტრალიზებული სისტემის მოწყობის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევა“: <https://eeagrants.org/archive/2009-2014/projects/RO06-0008> და <https://eeagrants.org/archive/2009-2014/projects/RO06-0009>

### CB3. სამშენებლო-კლიმატური ნორმების განახლება

ღონისძიების მიზანია სამშენებლო სექტორში სამშენებლო ნორმების განახლება ენერჯის მომხმარებლისა და სათბურის აირების ემისიების შემცირების მიზნით შენობების ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

#### CT3.1. სამშენებლო სექტორში ტექნიკური რეგლამენტებისა და სამშენებლო-კლიმატური ნორმების განახლება

##### აღწერა

მოხდება ტექნიკური რეგლამენტების, მათ შორის სამშენებლო-კლიმატური ნორმების განახლება და მათი ჰარმონიზაცია ევროკოდებთან, რაც შესაძლებელს გახდის საინჟინრო/თერმულ-ტექნიკური გამოთვლების ჩატარებას, შენობებში ენერგომომხმარება უკეთ შეფასებასა და შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას.

##### ღირებულება

საქართველოს საჯარო შენობებში ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელებისა და ენერჯის განახლებადი წყაროების დანერგვის სამუშაოებისათვის, რაც ასევე მოიცავს ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად ახალი ნორმების გამოყენებასა და დემონსტრირებას, სავარაუდოდ საჭირო იქნება 17,931,910.00 ლარი (NEFO/E5P)<sup>60</sup>

##### დაფინანსება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

##### დაფინანსების მიღების ვარიანტები

რამდენიმე საფინანსო ინსტიტუტი აქტიურად არის ან იყო ჩართული საქართველოს სამშენებლო სექტორის განვითარებაში. ქვეყანას დასაფინანსებლად შეუძლია მიმართოს EBRD, EIB ან ADB-ს ღონისძიების ეროვნული მასშტაბისა და საქართველოში ამ საფინანსო ინსტიტუტების მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით, ან მოიძიოს ორმხრივი დაფინანსების წყარო, როგორცაა KfW. გარდა ამისა, საერთაშორისო წყაროებიდან მიღებული დაფინანსების შესავსებად სასურველია სახსრების შიდა წყაროებიდანაც მიღება.

60 NEFO ზოგადი შესყიდვის შეტყობინება - საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და ენერჯის განახლებადი და ალტერნატიული წყაროების გამოყენება: <https://www.nefco.int/procurements/energy-efficiency-in-public-buildings-in-georgia/>

#### **CB4. ტურიზმის სექტორში ენერგოეფექტური მიდგომების დანერგვა**

ლონისძიება მიზნად ისახავს ტურიზმის სექტორის მხარდაჭერას, რომელიც უკანასკნელ წლებში სტაბილური ზრდით ხასიათდება, მდგრადი განვითარებისა და ენერგოეფექტური მიდგომების დანერგვის გზით.

##### **CT4.1. საქართველოს კურორტებზე ნახშირბადისგან თავისუფალი შენობების განვითარების ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვა.**

#### **აღწერა**

ლონისძიება ითვალისწინებს საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების მხარდაჭერას ალტერნატიული ენერგორესურსების და კლიმატისთვის უსაფრთხო ტექნოლოგიების მიწოდებისა და საცხოვრებელი სახლების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების გზით, საქართველოს კურორტებზე ნახშირბადისგან თავისუფალი შენობების უზრუნველსაყოფად.

#### **ღირებულება**

საქართველოს მასშტაბით 200 შენობის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისა და რეაბილიტაციის შესახებ ხელმოწერილი პროექტის განსახორციელებლად დაახლოებით 190,765,000.00 ლარი იქნება საჭირო (EBRD)<sup>61</sup>

#### **დაფინანსება**

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

#### **დაფინანსების მიღების ვარიანტები**

ქვეყანას დასაფინანსებლად შეუძლია მიმართოს ევროპულ ფონდებს, როგორცაა EBRD და EIB ღონისძიების მასშტაბისა და საქართველოში ენერგოეფექტური შენობების მიმართულებით ამ საფინანსო ინსტიტუტების მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით.

61 EBRD პროექტი 51145 - მწვანე ინვესტიციები შენობებში (GRIB) – საქართველო: <https://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/51145.html>



მრეწველობის სექტორში სათბურის აირების ემისიების შემცირება და დარგის დაბალნახშირბადიანი განვითარების ხელშეწყობა ინოვაციური ტექნოლოგიებისა და სისტემების მეშვეობით.

**CI1. ფოლადის მწარმოებელი ობიექტებიდან სათბურის აირების ემისიების დონის შემცირება**

ღონისძიება მიზნად ისახავს ფოლადის მწარმოებელ სამრეწველო ობიექტებში ენერჯის მოხმარების შემცირებას არსებული მეთოდების სხვადასხვა დაბალემისიანი ტექნოლოგიებით ჩანაცვლების გზით, რაც ფოლადის წარმოებიდან სათბურის აირების ემისიას შეამცირებს.

**CI1.1. თანამედროვე ტექნოლოგიებით ფოლადის დაბალემისიანი წარმოების მხარდაჭერა**



ფოლადის წარმოების ობიექტების აღჭურვა სხვადასხვა ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიებით, როგორცაა გამწოვი სისტემები, მოწყობილობები და მეთოდები საწარმოო ციკლიდან ემისიების შესამცირებლად.



საქართველოს წარსულში EBRD-გან მიღებული აქვს 198,128,400.00 ლარის ოდენობის სესხი ქვეყანაში ფოლადის წარმოების გასაუმჯობესებლად. (EBRD)<sup>62</sup>



ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

62 EBRD-ის პროექტების საძიებელი, „ჯეო სტილი“: <https://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/geo-steel.html>

## **დაფინანსების მიღების ვარიანტები**

პროექტის მასშტაბების გათვალისწინებით, ყველაზე მიზანშეწონილია სესხის აღება იმ საერთაშორისო განვითარების ბანკებიდან, რომლებიც ჩართული არიან შავი ზღვის რეგიონში ფოლადის მრეწველობის განვითარებაში. გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს UNFCCC-ის ფონდების ტექნოლოგიების გადაცემის სქემებში. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თანადაფინანსების მიღება კერძო კომპანიებისგან. საქართველოს შეუძლია დანერგოს წახალისების ინოვაციური სქემა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ეკონომიკური სარგებლის შესახებ ფოლადის მრეწველობის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლების გზით.

## **CI2. სამრეწველო ობიექტებზე ენერგოაუდიტის სისტემის და სერტიფიცირების სქემების დანერგვა**

ღონისძიება მიზნად ისახავს სავალდებულო ენერგოაუდიტისა და სერტიფიცირების სქემების შემუშავებას, ენერგოეფექტურობის შესაბამისად საქართველოს სამრეწველო ობიექტების აკრედიტაციისა და სერტიფიცირების უზრუნველსაყოფად.

### **CI2.1. სამრეწველო ობიექტებზე სავალდებულო ენერგოაუდიტისა და სერტიფიცირების სქემების შემუშავება**

#### **აღწერა**

ღონისძიება ითვალისწინებს ისეთ სამრეწველო ობიექტებზე, როგორცაა ცემენტის ქარხნები, აზოტმუხავას და ფოლადის მწარმოებელი ობიექტები, სავალდებულო ენერგოაუდიტისა და სერტიფიცირების სქემების დანერგვის შეფასებასა და განხორციელებას ენერჯის მოხმარებისა და სათბურის აირების ემისიების შემცირების მიზნით.

#### **ღირებულება**

შავი ზღვის აუზში განხორციელებული პროექტების გამოცდილებით, ეროვნულ დონეზე მრეწველობაში ენერჯის მართვის სისტემის სტანდარტების დანერგვას, მათ შორის მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებას, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და ცნობიერების ამაღლებას დაახლოებით 24,000,000.00 ლარი დასჭირდება. (GEF)<sup>63</sup>

#### **დაფინანსება**

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

63 GEF-ის პროექტის დოკუმენტი. „უკრაინის მრეწველობაში ენერჯის მართვის სისტემის სტანდარტის დანერგვა“: <https://www.thegef.org/projects-operations/projects/4784>

---

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

პროექტის მასშტაბებიდან გამომდინარე, ყველაზე მიზანშეწონილი იქნება საქართველომ დაფინანსებისთვის GEF-ს მიმართოს, რომელიც ჩართულია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მრეწველობის დარგში ენერგოეფექტურობის სტანდარტების დანერგვაში. საქართველოს ასევე შეუძლია მოიძიოს დაფინანსება ენერგოეფექტურობის მრავალმხრივი ან ორმხრივი ევროპული პროგრამებიდან.

---

### **CI3. სამრეწველო ობიექტებში ნარჩენი სითბოს გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება**

ღონისძიების მიზანია ისეთი ენერგოინტენსიური საწარმოების მიერ გამოთავისუფლებული და გამოყენებული ნარჩენი სითბოს გამოყენება, როგორცაა ცემენტის ქარხნები და ნარჩენი სითბოს გამოყენების სისტემების დანერგვა, რაც ენერგოეფექტურობას გააუმჯობესებს.

#### **CI3.1. სითბოს წარმოების მიზნით სამრეწველო ნარჩენების ეფექტიანი გამოყენების სისტემების დანერგვა**

##### აღწერა

ცემენტის საწარმოებში ისეთი სისტემების დანერგვა, რომელთა საშუალებით საწარმოების ნარჩენი სითბო გამოყენებული იქნება სხვადასხვა დანიშნულებით, მაგალითად, საწარმოს ოფისებისა და მიმდებარე სახლების ცხელი წყლითა და გათბობით უზრუნველსაყოფად.

---

##### ღირებულება

ეროვნულ დონეზე ცემენტის მრეწველობის ნარჩენები სითბოს აღდგენის პილოტური პროექტების განსახორციელებლად საჭირო იქნება ინვესტიცია 48,000,000.00 ლარის ოდენობით (GEF)<sup>64</sup>

---

##### დაფინანსება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველომ საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

---

64 GEF-ის პროექტი “TT-Pilot (GEF-4): ვიეტნამის ცემენტის მრეწველობაში ნარჩენი სითბოს აღდგენა ელექტროენერჯის წარმოებისთვის (HRPG): <https://www.thegef.org/projects-operations/projects/4057>

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

პროექტის მასშტაბებიდან გამომდინარე, ყველაზე მიზანშეწონილი იქნება საქართველომ დაფინანსებისთვის GEF-ს მიმართოს, რომელიც ჩართულია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მრეწველობის დარგში ენერგოეფექტურობის სტანდარტების დანერგვაში. საქართველოს ასევე შეუძლია მოიძიოს დაფინანსება ენერგოეფექტურობის მრავალმხრივი ან ორმხრივი ევროპული პროგრამებიდან. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თანადაფინანსების მიღება კერძო კომპანიებისგან. საქართველოს შეუძლია დანერგოს წახალისების ინოვაციური სქემა საწარმოო ობიექტებზე ნარჩენი სითბოს აღდგენის ეკონომიკური სარგებლის შესახებ ცემენტის მრეწველობის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლების გზით.

## სოფლის მეურნეობა



სოფლის მეურნეობის სექტორის დაბალნახშირბადიანი განვითარების მხარდაჭერა კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და მომსახურების წახალისების გზით, საერთაშორისო დახმარების პირობით.

### CA1. სოფლის მეურნეობის სექტორში მონაცემთა გაუმჯობესებული სისტემის შექმნა

ღონისძიება ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკური მონაცემების გაუმჯობესებული ბაზის შექმნას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სასოფლო-სამეურნეო მეთოდებსა და ემისიებთან დაკავშირებული გამოთვლების უკეთ განხორციელება და სოფლის მეურნეობის სექტორის პოლიტიკისა და ღონისძიებების უფრო ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების ჩატარება.

#### CA1.1. სოფლის მეურნეობის სექტორში მონაცემების შეგროვებისა და განახლების კონსოლიდირებული პროცესის ჩამოყალიბება

##### აღწერა

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების არსებული ბაზის გაუმჯობესება მონაცემთა შეგროვების გაფართოებისა და სისტემატიზაციით, რაც შესაძლებელს გახდის ქვეყანაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მეთოდებთან დაკავშირებული გამოთვლებისა (მაგ., პირუტყვის ზრდა, სასუქების გამოყენება, და სხვ.) და სათბურის აირების ემისიების ინვენტარიზაციის უკეთ ჩატარებას და სოფლის მეურნეობის სექტორის პოლიტიკისა და ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების უფრო ეფექტიანად განხორციელებას.

## ღირებულება

გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვასა და მონიტორინგთან დაკავშირებით საქართველოში ადრე განხორციელებული პროექტების გამოცდილებით, სოფლის მეურნეობის სექტორში მონაცემთა სისტემის გასაუმჯობესებლად სავარაუდოდ საჭირო იქნება 8,000,000.00 ლარი. (GEF)<sup>65</sup>

## დაფინანსება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

იმის გათვალისწინებით, რომ FAO და GEF-ის დაფინანსების დიდი ნაწილი „კლიმატის გამჭვირვალობის“ ინიციატივისთვის არის მობილიზებული, FAO და GEF ამ პირობიანი ღონისძიების დაფინანსების რეალურ წყაროებს წარმოადგენენ.

## CA2. კლიმატგონივრული სარწყავი სისტემების დანერგვა

ღონისძიებები ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო სარწყავი სისტემების ეფექტიანობის ამაღლებას ინფრასტრუქტურისა და რეგულირების გაუმჯობესების გზით, ნიადაგის ხარისხის შენარჩუნების, სოფლის მეურნეობის წარმოების გაზრდის, გარემოს დეგრადაციის პრევენციისა და სათბურის აირების ემისიების შემცირების მიზნით.

### CA2.1. სარწყავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება კლიმატგონივრული ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენებით

## აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს სარწყავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ძველი ან გაუმართავი არხებიდან აორთქლების შედეგად წყლის დანაკარგები შემცირების მიზნით. ღონისძიება შეუწყობს ნიადაგის ხარისხისა და სოფლის მეურნეობის წარმოების ამაღლებას სათბურის აირების ემისიების შემცირებასთან ერთად.

65 GEF-ის პროექტი „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“: <https://www.thegef.org/projects-operations/projects/5467>.

## ღირებულება

289,944,000.00 ლარი (ADB)<sup>66</sup>

## დაფინანსება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

ამჟამად ADB-ში განიხილება საპროექტო წინადადება „კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროექტი“<sup>67</sup>. პროექტი 3 კომპონენტისგან შედგება. ერთ-ერთი ხელს შეუწყობს აღმოსავლეთ საქართველოში სარწყავი სისტემების მოდერნიზაციას, მეორე კი წყალმომხმარებელთა და ფერმერთა ორგანიზაციებს წარმოების სისტემების გაუმჯობესებასა და მოდერნიზებაში დაეხმარება. დამტკიცების შემთხვევაში ADB ჩვეულებრივი სესხის სახით 80,540,000.00 ლარს გამოყოფს. თანადაფინანსების ოდენობა 144,972,000.00 ლარს შეადგენს. დარჩენილი 64,432,000.00 ლარი ადგილობრივმა ბენეფიციარებმა უნდა უზრუნველყონ.

## CA2.2. სარწყავი წყლის რეგლამენტების შემუშავება და განხორციელება

### აღწერა

ღონისძიება ითვალისწინებს სარწყავი წყლის რეგლამენტების შემუშავებასა და დანერგვას ხარისხის მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრისა და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით. ღონისძიების მიზანია ნიადაგის ხარისხისა და სოფლის მეურნეობის წარმოების ამაღლების ხელშეწყობა დაჭაობების, წყლისმიერი ეროზიისა, ნიადაგ ენის დამლაშებისა და წყლის დაბინძურების შემცირებით გარემოს დეგრადაციისა და სათბურის აირების ემისიების შემცირების გზით.

## ღირებულება

161,080,000.00 ლარი (ADB)<sup>68</sup>

## დაფინანსება

ამ ღონისძიების, როგორც პირობიანი ღონისძიების, განსახორციელებლად, საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს

66 სესხები და ტექნიკური დახმარების გრანტები საქართველოსთვის: წყლის რესურსების სექტორის განვითარების პროგრამა. აზიის განვითარების ბანკის კონცეფციის დოკუმენტი. პროექტის ნომერი: 54014-001: <https://www.adb.org/sites/default/files/project-documents/54014/54014-001-cp-en.pdf>

67 იქვე

68 იქვე

## დაფინანსების მიღების ვარიანტები

ამჟამად ADB-ში განიხილება საპროექტო წინადადება „კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროექტი“<sup>69</sup>. პროექტი 3 კომპონენტისგან შედგება. ერთ-ერთი ითვალისწინებს აუცილებელ ინსტიტუციურ, მმართველობით და ფინანსურ ცვლილებებს ირიგაციის სექტორის რეფორმირების სტრატეგიის მხარდასაჭერად. დამტკიცების შემთხვევაში ADB უზრუნველყოფს 161,080,000.00 ლარს ჩვეულებრივი პოლიტიკური სესხის სახით.

### **CA3. მოსავლის აღების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება**

ღონისძიებების მიზანია მოსავლის აღების შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წვის პრაქტიკის ეტაპობრივად აღმოფხვრა, სათბურის აირების ემისიების შემცირების მიზნით მოსავლის აღების შემდეგ დარჩენილი მცენარეული მასის მდგრადი მართვის ხელშეწყობასა და წვის შედეგად დეგრადირებული სავარგულებისა და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენასთან ერთად, რეგულაციების, წამახალისებელი მექანიზმების, ცნობიერების ამაღლებისა და ქარსაცავი ზოლების აღდგენის კამპანიების საშუალებით.

**CA3.1. მოსავლის აღების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წვის პრაქტიკის რეგულირება სათბურის აირების ემისიებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და მიმდებარე ტერიტორიების დეგრადაციის შესამცირებლად.**

## აღწერა

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წვა საქართველოში, განსაკუთრებით კახეთის რეგიონში, ჩვეული პრაქტიკაა. მოსავლის აღების შემდეგ, ფერმერები მინდვრებს წვავენ, რადგან ეს, მიწის მომდევნო დამუშავებამდე, მცენარეთა ნარჩენების, მღრღნელებისა და სხვა მავნებლების მოშორების ყველაზე იაფ გზას წარმოადგენს. ეს იწვევს სათბურის აირების ემისიებს და გარემოს დეგრადაციას. ღონისძიების მიზანია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წვის პრაქტიკის ეტაპობრივად აღმოფხვრა მოსავლის აღების შემდგომ პრაქტიკასთან დაკავშირებული რეგულაციების შემუშავების, მიღებისა და განხორციელების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წვის აკრძალვისა და პატრულირების გაძლიერების გზით.

69 იქვე

